

მართლმსაჯულება **1**'16
კანონი

Justice and Law Legal Journal
#1(49)'16

N1(49)'16

მართლმსაჯულება



კანონი

რედაქტორი
ნინო ძიძიგური

რედაქტორის მოადგილე
ირმა ბეჟაური

ნომერზე მუშაობდნენ:
ინგა ალავიძე, მარინე ვასაძე

თარგმანი:
თამარ ნეფარიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

სარედაქციო საბჭო:
დინა ბერეკაშვილი
ნინო გვენეტაძე
თამარ ზამბახიძე
ზზია თოდუა
ზაზა შეიშვილი
ვალერი ცერცვაძე

Editorial Board:
DIANA BEREKASHVILI
NINO GVENETADZE
TAMAR ZAMBAKHIDZE
MZIA TODUA
ZAZA MEISHVILI
VALERI TSERTSVADZE

Editor:
NINO DZIDZIGURI

Deputy Editor:
IRMA BEKAURI

The issue was prepared by
INGA ALAVIDZE, MARINE VASADZE

Translated by
TAMAR NEPHARIDZE

Designed by
BESIK DANELIA



საპარტვილოს მოსამართლეთა
ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA



საქართველოს უზენაესი სასამართლო
THE SUPREME COURT OF GEORGIA

აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების
გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, საქართველოს
მოსამართლეთა ასოციაციისა და საქართველოს
უზენაესი სასამართლოს წერილობითი
ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

*English version of articles has been provided by Candidates
of Law faculty of Tbilisi State University*

უკ (UDC) 340.11+340.130.5
მ-306

ISSN 1512-259X

5 ბადრი ნიპარიშვილი
ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის
არსებითი განხილვა და პროცესის შეჯიბრებითობა

TRIAL IN ABSENTIA AND ADVERSARIAL PROCEEDINGS
BADRI NIPARISHVILI

29 ლევან დარბაიძე
განმეორებით გასამართლებისა და დასჯისაგან დაცვის
კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის პრაქტიკული ასპექტები

PRACTICAL ASPECTS OF REALIZING THE CONSTITUTIONAL RIGHT TO BE
PROTECTED FROM DOUBLE JEOPARDY AND PUNISHMENT
LEVAN DARBAIDZE

50 მარინე მარინაშვილი
საქართველოს პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავებისა და
გადადგომის წესი

PROCEDURE OF TAKING THE OFFICE AND RESIGNATION OF THE PRESIDENT
OF GEORGIA
MARINE MARINASHVILI

61 მალხაზ ლომსაძე
ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემები

PROBLEMS OF QUALIFICATION OF CRIME BY GROUP
MALKHAZ LOMSDAZE

67 ია ხარაზი
საგზვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო საქმისა და
საგადასახადო სამართლის კონსტიტუციურსამართლებრივი
საფუძვლები

CONSTITUTIONAL-LEGAL GROUNDS OF TAX CASE AND TAX LAW OF FOREIGN
COUNTRIES
IA KHARAZI

78 პაატა კუბლაშვილი
ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს
შუამდგომლობის საფუძველზე და სამართალწარმოებისას
გასათვალისწინებელი სხვა რეგულაციები

ADMINISTRATIVE PROCEEDINGS PURSUANT TO THE MOTION OF TAX
AUTHORITIES, AND OTHER REGULATIONS TO BE CONSIDERED DURING LEGAL
PROCEEDINGS
PAATA KUBLASHVILI

91

კობა საყვარელიძე

მხარეთა საპროცესო უფლება-მოვალეობები მძიცივებულებათა წარდგენის დროს სამოქალაქო სამართალწარმოებაში

RIGHTS AND OBLIGATIONS OF PARTIES AT THE MOMENT OF EVIDENCE SUBMISSION IN CIVIL PROCEEDINGS

KOBA SAKVARELIDZE

100

ლელა მეტრეveli

ოჯახში ძალადობის სისხლისსამართლებრივი დახასიათება

DOMESTIC VIOLENCE – DESCRIPTION FROM THE STANDPOINT OF CRIMINAL LAW

LELA METREVELI

110

მაკა ტყეხუჩავა

სასამართლო პრაქტიკა და სამართლის დოქტრინა, როგორც ქართული კერძო სამართლის წყაროები

JUDICIAL PRACTICE AND LEGAL DOCTRINE AS SOURCES OF GEORGIAN PRIVATE LAW

MAKA TKEBUCHAVA

123

მარი კუთათელაძე

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, როგორც პროკურორის დისკრეცია სისხლის სამართლის პროცესში

DIVERSION AND MEDIATION PROGRAM, AS PROSECUTOR'S DISCRETION IN CRIMINAL PROCEEDINGS

MARI KUTATELADZE

129

ლევან კოკაია

ნავთობისა და გაზის ტრანსსაზღვრო გადაზიდვის პროექტის ხელშეკრულებათა სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები

MECHANISMS OF LEGAL REGULATION OF AGREEMENTS ON OIL AND GAS TRANS-BOUNDARY SHIPMENT PROJECT

LEVAN KOKAIA

142

ნათია გიგაური

ინფორმაციული უფლებები საქართველოში და მათი შეზღუდვის საფუძვლები

RIGHT TO INFORMATION IN GEORGIA AND GROUNDS FOR THEIR LIMITATION

NATIA GIGAURI

ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა და პროცესის შეჯიბრებითობა

ბადრი ნიპარიშვილი

*თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი*

შესავალი

სასამართლო დაცვის გარანტია ძირითადი საპროცესო უფლებაა და წარმოადგენს საპროცესო სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მატერიალური სამართალი. ფიზიკური პირის პრეტენზიას სასამართლო დაცვაზე, ანუ სასამართლოსადმი მიმართვაზე ხშირად, „ადამიანის უძველეს პროცესუალურ უფლებას“ უწოდებენ. ამ უფლების მიხედვით, არავინ შეიძლება იყოს სასამართლო პროცესის შიშველი ობიექტი, ყველას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, პროცესის მიმდინარეობისას გამოთქვას თავისი შეხედულება, რათა ამით გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს თავად პროცესზე და სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.¹

აღნიშნული უფლება შეჯიბრებითი პროცესის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. თავად შეჯიბრებითობის პრინციპი კი, სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელი ელემენტია და

წარმოადგენს როგორც ინკვიზიციური, ისე შეჯიბრებითი სისხლის სამართლის მოდელის ნაწილს. ამის ნათელი მაგალითია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ყველა ხელშემკვრელ სახელმწიფოს მოეთხოვება პროცესის შეჯიბრებითობის, როგორც კონვენციით დაცული პრინციპის უზრუნველყოფა მიუხედავად იმისა, სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებით თუ ინკვიზიციურ მოდელს ირჩევენ ისინი ეროვნულ დონეზე.²

შეჯიბრებითობა ხშირად თეორიულად გამოხატულია როგორც სასამართლოში მოდავე მხარეთა მიერ თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დაცვის იურიდიულად თანაბარი შესაძლებლობების რეალიზაცია.³ თუმცა, ზღვარის გავლება შესაძლებლობების რეალიზაციის თანაბრობას შორის მეტად რთული, დელიკატური საკითხია და მრავალფეროვან ასპექტებს მოიცავს.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი სისხლის სამართლის პროცესში უდიდეს პასუხისმგებლობას სწორედ მხარეებს აკისრებს, გამონაკლის შემთხვევებში, იგი დასაშვებად მიიჩნევს მის წარმოებას ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე და ამ განსაკუთრებულ ვითარებას, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, – შეჯიბრებითობის პრინციპსა და ზოგადად, სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან თანაარსებობის შანსს უტოვებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული საგამონაკლისო წესის მოქმედება სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისას, რომელიც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების უპირობოდ ძირითად საპროცესო სტადიას წარმოადგენს და რომლის შედეგიც გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენია.

ერთი შეხედვით, სასამართლო განხილვა ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე შეიძლება უცნაურადაც გამოიყურებოდეს, რადგან ზოგადად, იგი სასამართლო განხილვის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტია. გარდა ამისა, ბრალდებულს მინიჭებული აქვს მთელი რიგი უფლებები, რომლებითაც უზრუნველყოფილია სამართლიანი სასამართლოს სტანდარტები, ხოლო ბრალდებულის დაუსწრებლად აღნიშნული უფლებების რეალიზაცია სისხლის სამართლის პროცესში რთულია. ამ მიზეზით ბევრმა ეროვნულმა და საერთაშორისო სასამართლო სისტემამ უარი თქვა ამ წესის გამოყენებაზე, თუმცა, დროთა განმავლობაში ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვის წესი უფრო მისაღები გახდა.⁴

მოცემულ საკითხზე ძალზე საინტერესო და მდიდარი პრაქტიკა ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილებებიც ბუნებრივია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შიდა კანონმდებლობის შეფასებასა და განმარტებაზე. ნიშანდობლივია, რომ თვით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის ინტერპრეტაციას ახდენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისად.⁵ ჩვენი აზრით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზით შესაძლებელია იმ ძირითადი საკითხების გამოკვეთა, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის შეჯიბრებითობის პრინციპთან შესაბამისობის შეფასებისათვის.

საინტერესოა, რა სირთულეებს უკავშირდება შეჯიბრებით პროცესში ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა, რა მინიმალური წესები და კრიტერიუმები უნდა იქნას დაცული, რომ საკუთარი საქმის განხილვაში ბრალდებულის დაუსწრებლობამ არ დაარღვიოს შეჯიბრებითობის პრინციპი იმ დონეზე, რომ სამართლიანი პროცესის ფარგლებს გასცდეს.

ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, მიმოვიხილავთ მხოლოდ იმ საკითხებს, რომელთაც მოიცავს ბრალდებულის მონაწილეობით/მონაწილეობის გარეშე სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში.

თემაზე მუშაობისას ძირითადად, გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური და ისტორიული მეთოდები.

ნაშრომი მცდელობაა იმისა, რომ წარმოაჩინოს ის პრობლემური საკითხები, რაც დაკავშირებულია შეჯიბრებითი პროცესის პირობებში ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვასთან და ასევე, უპასუხოს კითხვას, რამდენად შესაბამისია საქართველოს კანონმდებლობა ამ კუთხით ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკასთან.

I. შეჯიბრებითობის პრინციპი სისხლის სამართლის პროცესში

ყველა სამართლებრივი სისტემა ცდილობს მიაღწიოს მიუკერძოებელი და სრულად ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას. შეჯიბრებითი სისტემის მხარდამტყრები ფიქრობენ, რომ აღნიშნული ყველაზე კარგად მიიღწევა როდესაც: ა) გადაწყვეტილების მიმღები ნეიტრალური და პასიურია და მხოლოდ საქმის გადაწყვეტის ფუნქცია აკისრია; ბ) მხარეები დამოუკიდებლად მოიპოვებენ და წარადგენენ მტკიცებულებებსა და მოსაზრებებს, რასაც უნდა დაეფუძნოს გადაწყვეტილება; გ) პროცედურები კონცეტრირებული და მიმართულია მხარეთა მიერ წარმოდგენილი საპირისპირო მტკიცებულებებისა და არგუმენტების დაპირისპირებისაკენ; დ) მხარეებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობები, წარადგინონ და იდავონ საქმის შესახებ მოსამართლის წინაშე.⁶

შეჯიბრებითი პროცესის არსს ქმნის მხარეების შესაძლებლობა, წარმოადგინონ მტკიცებულებები, ახალი ფაქტობრივი გარემოებები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სასამართლო მსჯელობს ფაქტობრივ გარემოებებზე, გამოთქვან მოსაზრებები, გამოხატონ პოზიციები როგორც საკუთარ, ისე მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებებსა და საქმესთან დაკავშირებულ გარემოებებზე, რათა დაარწმუნონ სასამართლო საკუთარი არგუმენტების სისწორეში და გავლენა მოახდინონ სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაზე.⁷

უდავოა, რომ ქართული სისხლის სამართლის პროცესი სწორედ შეჯიბრებითობის პრინციპს ეფუძნება. ამის დასტურია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის შესაბამისად, „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.“ ამ ნორმის მიზანია სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფა მხარეებისათვის საკუთარი პოზიციის დაცვის თანაბარი შესაძლებლობების მინიჭებისა და ფუნქციათა გამიჯვნის გზით.⁸ შეჯიბრებითობა მხარეებს შორის გარანტირებულია როგორც გამოძიების, ისე საქმის სასამართლოში განხილვის სტადიაზე. აღნიშნული პრინციპი თანაბარ მდგომარეობასა და პირობებში აყენებს მხარეებს, მათ მიერ მტკიცებულებათა მოპოვების, მოსამართლის წინაშე მათი წარმოდგენის, გამოკვლევისა და ანალიზის თვალსაზრისით.⁹ აღნიშნულზე მიუთითებს იმავე კოდექსის 25-ე მუხლიც – „სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორობა“, რომელიც აყალიბებს საყრდენ მიმართულებებს ამ თვალსაზრისით, თუმცა შეჯიბრებითი პროცესი ხორციელდება მთელი რიგი დებულებების შესაბამისად, რომლებიც მიმოხეულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სხვადასხვა მუხლში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, თანასწორობა შეჯიბრებითობის აუცილებელი პირობაა, რადგან შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე უფლებები – საქმის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვან ყველა გარემო-

ებასა და მტკიცებულებაზე აზრის გამოთქმის, გაქარწყლების და პასუხის მიღების უფლება თანაბრად უნდა ჰქონდეს ყველა მხარეს.¹⁰

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვის მნიშვნელოვან გარანტიად მიიჩნია საქმის ზეპირი განხილვა: „საქმის ზეპირი მოსმენა ითვალისწინებს რა, მხარეთა უშუალო მონაწილეობას საქმის განხილვაში, რაც ნიშნავს მათ შესაძლებლობას, წარადგინონ მტკიცებულებები, გამოთქვან მოსაზრებები, დაიცვან თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით, სწორედ ამ გზით, წარმოადგენს მნიშვნელოვან გარანტიას პროცესის შეჯიბრებითობის, დაცვის უფლებით ადეკვატურად სარგებლობისთვის, ამასთან, საბოლოოდ, უზრუნველყოფს მხარეთა შესაძლებლობას, უკეთ დაიცვან საკუთარი ინტერესები, გავლენა მოახდინონ საქმის გადაწყვეტაზე, ხელი შეუწყონ სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას.“¹¹

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეჯიბრებითობაზე დაფუძნებულ პროცესს სამართლიანი სასამართლოს არსებით ნაწილად, ხოლო თავად შეჯიბრებითი პროცესის ეფექტიანობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მოსმენის უფლებას განიხილავს. უტილიტარული თვალთახედვით, ის აუშკობს გადაწყვეტილებების მიღების ხარისხს. პირი, რომლის საქმეც განიხილება როგორც წესი, ფლობს მნიშვნელოვან ინფორმაციას და მისი მოსაზრებები შეიძლება იყოს საინტერესო და გავლენის მომხდენი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. გარდა ამისა, კანონის უზენაესობის თვალსაზრისით, რომელიც თავის მხრივ, დემოკრატიის პრინციპს უკავშირდება, აუცილებელია, რომ პირი, რომელსაც შეეხება ხელისუფლების გადაწყვეტილება, ჩართული იყოს მისი მიღების პროცესში. ეს ხელს უწყობს მიღებული შედეგის აღიარებას. დაბოლოს, ფილოსოფიური პერსპექტივით, მოსმენის უფლება ავითარებს კონცეფციას იმის შესახებ, რომ პირი არის არა პროცესის ობიექტი, არამედ სუბიექტი. რასაკვირველია, გაზვიადებული და საკმაოდ არარეალისტურია საუბარი თანამშრომლობაზე განსაკუთრებით, სისხლის სამართლის პროცესის კონტექსტში, თუმცა, არსებობს ემპირიული მტკიცებულება, რომ სამართლიანობა პირის მიერ მსჯავრდებისა და სასჯელის აღიარების ძირითადი ფაქტორია.¹²

„მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ მათთვის ცნობილი იყოს ყველა მტკიცებულება, რომელიც აუცილებელია მათი საჩივრების წარმატებისათვის, არამედ ასევე იცოდნენ და კომენტარი გააკეთონ სასამართლო გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით წარდგენილ ყველა მტკიცებულებაზე ან წერილობით შეპასუხებაზე.“¹³

აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი არ არის აბსოლუტური უფლება და კანონმდებლობა ითვალისწინებს მისგან გამონაკლისებს, მაგრამ ნებისმიერი გამონაკლისი უნდა ეფუძნებოდეს გონივრულ საფუძველს.¹⁴

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ შეჯიბრებითი პროცესი საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობით აღიარებული სტანდარტია, თუმცა, აბსოლუტურ უფლებას არ წარმოადგენს. შეჯიბრებითი პროცესის პირობებში საქმის შედეგი დამოკიდებულია მხოლოდ მხარეთა მომზადებაზე, მათ მიერ მტკიცებულებათა სასამართლოში წარდგენაზე, პროცესში მათ აქტიურ მონაწილეობაზე, საკუთარი არგუმენტების სწორად წარმოჩენასა და დაცვაზე, ხოლო მოსამართლეს ამ პროცესში დამოუკიდებლად, თავისი ინიციატივით მონაწილეობის უფლება არ გააჩნია. იგი ასრულებს მარტოოდენ დამკვირვებლის როლს მხარეთა მიერ თავიანთი უფლება-მოვალეობების კანონით დადგენილი წესით გამოყენებაზე. „შეჯიბრებითი და თანასწორი პროცესის პირობებში სასამართლო, რომელიც თავად

არ ეძებს გადაწყვეტილების მიღებისათვის რელევანტურ მტკიცებულებებს და შემოიფარგლება მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილი და გამოკვლეული მტკიცებულებებით, უზრუნველყოფს მხარეებს შორის „სამართლიანობის სასწორის“ პინის თანაბარ მდგომარეობას.“¹⁵ ე. ი. საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები პირი – მოსამართლე ჩამოცილებულია ბრალდებისა და დაცვის ფუნქციათა განხორციელებას, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა ჩართულობის აუცილებლობის მნიშვნელობას.

II. ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის არსებითი განხილვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრემიადენდოული სამართლის შესაბამისად

2.1. საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლება ევროპული კონვენციის მიხედვით

ვიდრე უშუალოდ მიმოვიხილავდეთ ევროპული სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკას ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის არსებითი განხილვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია გავანალიზოთ, თუ რა ხარისხით უზრუნველყოფს კონვენცია ბრალდებულს, მონაწილეობა მიიღოს საკუთარი საქმის განხილვაში.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში ევროპული კონვენცია) მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, [...] ყველას აქვს [...] მისი საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება [...], ხოლო მე-3 პუნქტის მიხედვით, ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს სულ მცირე, შემდეგი უფლებები: [...]

გ) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით ან თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები; და

დ) დაკითხოს ან დააკითხინოს ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3(დ) პუნქტი ევროპული კონვენციისაგან განსხვავებით, პირდაპირ მიუთითებს პირის უფლებაზე, გაასამართლონ მისი თანდასწრებით. თუმცა, აღნიშნული აგრეთვე, არაპირდაპირ იგულისხმება და დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითაც.¹⁶ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის საგანი და მიზანი ზოგადად იმის დემონსტრირება, რომ პირს, „რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაული,“ უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს სასამართლო განხილვაში,¹⁷ ასევე აღიარა, რომ სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული პირისათვის საქმის განხილვაში მონაწილეობის გარანტიის ვალდებულება კონვენციის მე-6 მუხლის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნად მიიჩნევა (Hermi v. Italy [GC], §§ 58-59; Sejdic v. Italy [GC], §§ 81 and 84).¹⁸

აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის სასამართლო კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებებს მისი პირველი პუნქტისაგან მოწყვეტით ვერ განიხილავს, ვინაიდან ისინი ამ უკანასკნელში მოცემული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების სპეციალურ ასპექტებს წარმოადგენს,¹⁹ თუმცა, მათი ცალ-ცალკე განხილვა უფრო ნათელ სურათს მოგვცემს.

2.1.1. საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლება, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით

მოიცავს თუ არა ევროპული კონვენცია სასამართლო განხილვაზე დასწრების უფლებას, „ამის შესახებ არ არის მკაფიოდ ნახსენები მე-6 მუხლის პირველ პუნქტში, თუმცა, ამ მუხლის მიზანი და დანიშნულება, ერთად აღებული, ადასტურებს, რომ „სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირს აქვს (სასამართლო) განხილვაში მონაწილეობის უფლება.“ ეს პრინციპი, რომელიც ჩამოყალიბდა კოლოზას (Colozza) საქმეში, ყოველთვის გამოიყენება პირველი ინსტანციით საქმის განხილვის დროს და საყოველთაოდ აღიარებულია. სტენფორდის (Stanford) საქმეში სასამართლომ კიდევ უფრო დააზუსტა მისი მნიშვნელობა: „მთლიანობაში, განხილული მე-6 მუხლი უზრუნველყოფს ბრალდებულის უფლებას, ეფექტიანი მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის საქმის განხილვაში. ზოგადად, ეს მოიცავს, inter alia, არა მხოლოდ დასწრების, არამედ – სამართალწარმოების მოსმენისა და მისთვის თვალის დევნების უფლებას.“²⁰

2.1.2. საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლება, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით

ბრალდებულის უფლება, მონაწილეობა მიიღოს საკუთარი სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვაში, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ორი ქვეპუნქტიდან გამომდინარეობს, რომლებიც თავის მხრივ, განსხვავებულ უფლებებს წარმოადგენს.

კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(გ) პუნქტის ნაწილი არის ბრალდებულის უფლება, პირადად იმოქმედოს თავის დასაცავად. გარანტიის ამ ასპექტზე გავლენას არ ახდენს ის ფაქტი, რომ დამცველი შეიძლება დაენიშნოს პირს მისი ნების საწინააღმდეგოდ. ბრალდებულს მაინც ექნება პერსონალურად მოქმედების საშუალება.²¹

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(დ) პუნქტი მოწმეთა დაკითხვას ეხება. გარანტიის დანიშნულებაა სამართალწარმოების შეჯიბრებითობის უზრუნველყოფა.²² ბრალდებულის უფლება, დაკითხოს ან დააკითხვინოს მისი მოწინააღმდეგე მოწმეები, ნიშნავს, რომ ყველა ჩვენების მიცემა როგორც წესი, უნდა მოხდეს ბრალდებულის თანდასწრებით, საჯარო სხდომაზე, იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს როგორც ჩვენების, ისე მოწმის სანდოობისა და დამაჯერებლობის შემოწმება. მართალია, ამ პრინციპს აქვს გამონაკლისები, მაგრამ ისინი არ უნდა არღვევდეს დაცვის მხარის უფლებებს.²³ ამასთან, ყველა მტკიცებულების გამოკვლევა ბრალდებულის თანდასწრებით უნდა განხორციელდეს შეჯიბრებითი პაექრობის პრინციპის დაცვით.²⁴ დაცვას უნდა ჰქონდეს ბრალდებულის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებების გამოკვლევისა და საკუთარი მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობა. ამ უფლების გამოყენების პირობები უნდა იყოს პროკურორისათვის განსაზღვრული პირობების მსგავსი, რაც მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს ემსახურება. მოწმეთა დაკითხვისა და მტკიცებულებათა წარმოდგენის უფლება უზრუნველყოფს, რომ ბრალდებულის იყოს სამართალწარმოების აქტიური მონაწილე. ის არ შეიძლება წარმოადგენდეს ბრალდების პასიურ სამიზნეს, რომელიც დაცული უნდა იყოს სახელმწიფო ძალაუფლებისაგან. ბრალდებულის ითვლება აქტიურ მონაწილედ, სუბიექტად. მე-6 მუხლის მე-3(დ) პუნქტით გათვალისწინებული უფლებები მას შესაძლებლობას აძლევს, გავლენა მოახდინოს სამართალწარმოების მიმდინარეობასა და მიმართულებაზე.²⁵

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-ნ მუხლის მე-3(დ) პუნქტში მოიაზრებს ყველა სახის მტკიცებულებას, მიუხედავად იმისა, რომ იქ მხოლოდ მოწმეებზეა საუბარი. ბუნებრივია, ამგვარი ვიწრო გაგება გაუმართლებლად შეზღუდავდა ბრალდებულის მიერ აღნიშნული გარანტიით სარგებლობას, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ბრალდებულის უშუალო ჩართვას მტკიცებულებათა გამოკვლევაში საქმის არსებითი განხილვისას, ვინაიდან მტკიცებულებების გამოკვლევა სისხლის სამართლის პროცესის სწორედ ამ ეტაპზე ხდება.

კონვენციის მე-ნ მუხლის მე-3(დ) პუნქტთან დაკავშირებულ თითქმის ყველა საქმეში სტრასბურგის სასამართლო აცხადებს, რომ „ყველა მტკიცებულების წარმოდგენა ჩვეულებრივ უნდა მოხდეს ბრალდებულის თანდასწრებით საჯარო განხილვაზე შეჯიბრებითი მსჯელობის უზრუნველსაყოფად.²⁶ აქ უპირველესად, იგულისხმება სასამართლო პროცესი (არსებითი განხილვა), რომელიც სისხლის სამართალწარმოების ცენტრალური ელემენტია. მტკიცებულება „ცოცხლად“ უნდა იქნას წარდგენილი იმ ორგანოს წინაშე, რომელსაც ევალება საქმის შეფასება და ფაქტების დადგენა. ეს განსაკუთრებით ეხება მოწმის ჩვენებას. დაცვას უნდა მიეცეს მოწმის ღია სასამართლო პროცესზე დაკითხვის შესაძლებლობა.²⁷

2.2. საქმის განხილვა ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით

ადამიანის უფლებათა კომიტეტის განცხადებით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლი, რომელიც პირდაპირ მიუთითებს პირის უფლებაზე, გასამართლონ მისი თანდასწრებით, არ შეიძლება განიმარტოს ისე, თითქოს ყოველთვის დაუშვებლად მიიჩნევდეს ბრალდებულის დაუსწრებლად გასამართლებას, მისი არყოფნის მიზეზების მიუხედავად.²⁸

ბუნებრივია, სტრასბურგის სასამართლოსაც მოუწია მსჯელობა იმ საკითხზე, არღვევდა თუ არა ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის განხილვა კონვენციას მათ შორის, იმ მიზეზებზე, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ამგვარ განხილვას, რაც მნიშვნელოვანია ჩვენ მიერ განსახილველი საკითხის სრულფასოვანი შეფასებისათვის, კერძოდ: ბრალდებულის დაუსწრებლად გასამართლების მხარდამჭერი ერთ-ერთი არგუმენტი არის ის, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა შეიძლება უფრო ხანმოკლე იყოს, ვიდრე სასჯელის აღსრულებისთვის. ამასთან, არსებობს ბრალდების საფუძვლიანობის განსაზღვრის ინტერესი, ვიდრე მტკიცებულებები ჯერ კიდევ, ხელმისაწვდომია.²⁹ ამასთან, in absentia³⁰ პროცედურა საზოგადოების ზოგად ინტერესებს ემსახურება.³¹ აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა ის მინიმალური სტანდარტები და გარანტიები, რაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბრალდებულის დასწრების გარეშე მისი გასამართლებისას.

2.2.1. საქმის განხილვის შესახებ ინფორმირების უფლება

ევროპული სასამართლო იმის დადგენის კრიტერიუმად, არღვევს თუ არა ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვა სამართლიანი სასამართლოს უფლებას, საქმის განხილვის თაობაზე ბრალდებულის სათანადო ინფორმირებას მიიჩნევს.

სტრასბურგის სასამართლომ მკაფიოდ განაცხადა, რომ „იმისათვის, რათა საპროცესო უფლებებზე უარის თქმას ძალა ჰქონდეს კონვენციის მიზნებისთვის, აუცილებელია მისი მნიშვნელობის

თანამომადი მინიმალური გარანტიების არსებობა.“ დაუსწრებლად გასამართლების შემთხვევაში, ეს გარანტიები პირდაპირ უკავშირდება ბრალდებულის სასამართლოში დაბარების წესს.³²

დაუსწრებელი წარმოება დასაშვებია, თუ სახელმწიფო ორგანოები მოქმედებდნენ გულმოდგინედ, თუმცა – წარუმატებლად, რათა ბრალდებულისათვის ეფექტიანად შეეტყობინებინათ საქმის განხილვის შესახებ.³³ ჯეროვანი გულმოდგინება არ გამოუჩენიათ კოლოზას (Colozza) საქმეში, როდესაც ბრალდებულის ახალი მისამართი სულაც არ იყო დაფარული. მას არ უნდა დაეკისროს „იმის მტკიცების ტვირთი, რომ არ უცდია მართლმსაჯულებისგან დამალვა ან მისი არყოფნის მიზეზი იყო დაუძლეველი ძალის არსებობა.“³⁴ სხვა სიტყვებით, სასამართლომ (სტრასბურგში საქმის განხილვისას სახელმწიფომ) უნდა დაამტკიცოს, რომ პირისთვის ცნობილი იყო სასამართლო განხილვის თარიღი.³⁵

სტრასბურგის სასამართლოს სასამართლოში დაბარების წესის სათანადოდ განხორციელების საკითხის განხილვა მოუწია საქმეში – Somogyi v. Italy (No. 67972/01, 18.05.04). აღნიშნულ საქმეში სათანადოდ არ შემოწმდა, უშუალოდ ბრალდებულმა ჩაიბარა თუ არა უწყება მაშინ, როდესაც მთელი რიგი უზუსტობები იყო უწყების ჩაბარების ყუაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-6 მუხლი ყველა ეროვნულ სასამართლოს აკისრებს ვალდებულებას, შეამოწმოს, ჰქონდა თუ არა ბრალდებულს შესაძლებლობა, მიეღო ინფორმაცია მის მიმართ წარმოებული პროცესის შესახებ. ამავე საქმეში ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ინფორმირება ისეთი მნიშვნელობის სამართლებრივი ქმედებაა, რომ უნდა განხორციელდეს პროცედურული და არსებითი მოთხოვნების შესაბამისად და მაგალითად, ის ფაქტი, რომ ბრალდებული მის მიმართ საქმის განხილვის შესახებ შეიტყოდა სხვა წყაროდან (მაგალითად, პრესიდან) არ ამცირებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას – საქმეში საკითხის განხილვა მოუწია სტრასბურგის სასამართლოს.³⁶

შესაბამისად, შიდა სასამართლოებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა დაადგინონ ბრალდებულთა ადგილსამყოფელი, საკონტაქტო ინფორმაცია ან ნებისმიერი სხვა მონაცემი, რომელიც მასთან დაკავშირებას შესაძლებელს გახდის. ამასთან, ისინი უნდა დარწმუნდნენ, რომ ნამდვილად ბრალდებულია ის პირი, რომელსაც გაუგზავნეს უწყება ან ჩაბარდა იგი.

2.2.2. საქმის განხილვაში მონაწილეობაზე უარის თქმა

ბრალდებულს შეუძლია, პირდაპირ ან არაპირდაპირ თქვას უარი სასამართლო განხილვაზე დასწრების უფლებაზე.³⁷ ბრალდებულის ქცევა, რომელიც სასამართლო წესრიგს არღვევს, შეიძლება განიმარტოს როგორც უფლებაზე ნაგულისხმევი უარის თქმა. თუმცა, ამ უფლებაზე, ისევე როგორც დაცვის სხვა უფლებებზე უარის თქმა, „ერთმნიშვნელოვნად უნდა დადგინდეს.“³⁸ თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულმა ერთმნიშვნელოვნად უნდა განაცხადოს, რომ უარს ამბობს თავის უფლებაზე, დაეწეროს საქმის განხილვას, ეს ასევე შეიძლება იქნას ნაგულისხმევი მისი ქცევიდან გამომდინარე, მაგალითად, როდესაც ბრალდებული მიმალულია.³⁹

ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლება არ ავალდებულებს სახელმწიფო ორგანოებს, მიიყვანონ ბრალდებულები საქმის მოსმენაზე, თუ ისინი თავად არ იჩენენ საკმარის ძალისხმევას, რომ მონაწილეობა მიიღონ საქმის განხილვაში (Nunes Dias v. Portugal).⁴⁰

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვის ერთ-ერთ დასაშვებ შემთხვევად პირდაპირ დაასახელა ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან

გაძვეების შემთხვევა. „კონფლიქტი წარმოიქმნება, როდესაც ბრალდებული არ ემორჩილება სასამართლო განხილვის ნორმალურად წარმართვის მიზნით დადგენილ ქცევის წესებს. ბრალდებულმა შეიძლება არეულობა შეიტანოს სამართალწარმოებაში თავისი საუბრით, ყვირილით, ძალადობრივი ქმედებით ან ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ სასამართლოში გამოცხადებით. თეორიულად შესაძლებელია ასეთ ქცევაზე რეაგირება ძალის გამოყენებით, პირის შებოჭვით ან მის დასამშვიდებლად შესაბამისი მედიკამენტების გამოყენებით, თუმცა სასამართლო წესრიგი მაინც დაირღვევა და ბრალდებულის, სასამართლოსა და ყველა დამსწრის ღირსება შეილახება. ამიტომ შესაძლებელი უნდა იყოს ასეთი პირების გაძვევა სასამართლო დარბაზიდან. კომისიამ აშკარად დაუსაბუთებლად ცნო განაცხადები მსგავსი ზომების წინააღმდეგ.⁴¹ მაგრამ პირი უნდა დაბრუნდეს დარბაზში, თუ წესრიგის დაცვის პირობას დადებს და შეასრულებს.⁴² ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვის ერთ-ერთი დასაშვები შემთხვევაა აგრეთვე, მისი ავადმყოფობის ზოგიერთი შემთხვევა.⁴³

2.2.3. დაცვის უფლებით უზრუნველყოფა

ევროპული სასამართლო ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვის პროცესში მნიშვნელოვან გარანტიად დამცველის მონაწილეობის უფლებას მიიჩნევს.

სასამართლო ერთმანეთისგან განასხვავებს პირის დაუსწრებლად გასამართლებას, როდესაც ის შეგნებულად თავს არიდებს გამოცხადებას⁴⁴ იმ შემთხვევისგან, როდესაც ბრალდებული ვერ ახერხებს გამოცხადებას მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.⁴⁵ ამ განსხვავების მიუხედავად, სასამართლო მუდმივად აცხადებს, რომ „სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის უფლება, ისარგებლოს დამცველის ეფექტიანი დახმარებით, სამართლიანი სასამართლო განხილვის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია. ბრალდებული არ კარგავს ამ უფლებას მხოლოდ იმით, რომ არ ესწრება სასამართლო განხილვას.“⁴⁶

დამცველი უზრუნველყოფს ბრალდებულს იმ ტექნიკური უნარ-ჩვევებით, რომლებიც მას სჭირდება სისხლის საპროცესო სამართალში, მათ შორის, კონსტიტუციით ან საერთაშორისო სამართლით გარანტირებული უფლებებით სრულად სარგებლობისთვის. დამცველის დახმარება არის ის გასაღები, რომელიც აძლევს დაცვის ყველა უფლებისა და შესაძლებლობის კარს, ამ ტერმინის არსებითი გაგებით.⁴⁷ მთავარი საკითხია იმის გარკვევა, შეიძლება თუ არა სამართალწარმოება იყოს „სამართლიანი,“ როდესაც ბრალდებულს არ ჰყავს დამცველი. ბოლოსდაბოლოს საუბარია სამართლიანობის ერთ-ერთ ელემენტზე.⁴⁸ ამის შესახებ პირდაპირ არის აღნიშნული საქმეში RD პოლონეთის წინააღმდეგ: „არსებობს... ძირითადი აუცილებელი მოთხოვნა, რომ „მართლმსაჯულების ინტერესები“ დაკმაყოფილდეს ყველა საქმეში. ეს არის სასამართლოს წინაშე სამართლიანი სამართალწარმოების მოთხოვნა, რომელიც ყველაფერთან ერთად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს აკისრებს მთელი სასამართლო განხილვის მანძილზე ბრალდებულისათვის თავის დაცვის რეალისტური შანსის მიცემას.“⁴⁹

ამასთან, მოწმეთა დაკითხვის უფლებასთან მიმართებით, სასამართლომ მკაფიოდ აღნიშნა, რომ მოწმის დაკითხვა დამცველის მიერ აკმაყოფილებს მე-6 მუხლის მე-3(დ) პუნქტის მოთხოვნებს. ეს მოსაზრება განსაკუთრებით ნათლად გამოითქვა კამასინსკის (Kamasinski) საქმეში: „მე-6 მუხლის მე-3(დ) პუნქტის მიზნებისთვის ბატონ კამასინსკის უთანაბრდება დამცველი, რომელიც მისი სახელით მოქმედებდა და შესაბამისად, (განმცხადებელი) ვერ დააკისრებს მოპასუხე სახელმწიფოს რაიმე პასუხისმგებლობას მისი დამცველის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისთვის.“⁵⁰

მნიშვნელოვანია ის მიდგომა, რაც ევროპულმა სასამართლომ ბრალდებულის გამოუცხადებლობისას დამცველით სარგებლობის უფლებაზე დაამკვიდრა. სასამართლოში გამოცხადების უფლება ხაზს უსვამს პრინციპის მეორე ელემენტს, კერძოდ, ბრალდებულის ვალდებულებას, რომ გამოცხადდეს.⁵¹ თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ნეგატიურად შეაფასა იტალიის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ბრალდებულს ჩამოერთვა დამცველის ყოლის უფლება იმის გამო, რომ იგი არ გამოცხადდა სხდომაზე. ბრალდებულმა მკაფიოდ გამოხატა თავისი სურვილი, არ დასწრებოდა სასამართლო განხილვას, თუმცა ასევე განაცხადა, რომ განზრახული ჰქონდა დამცველის მომსახურებით სარგებლობა. ამდენად, სასამართლოს უნდა განესაზღვრა, აქვს თუ არა ბრალდებულს, „რომელმაც შეგნებულად აარიდა თავი (სასამართლოში) პირადად გამოცხადებას, უფლება, ესარგებლა მის მიერ არჩეული დამცველის დახმარებით.“

სასამართლომ არ გამორიცხა იმ ბრალდებულთა წინააღმდეგ გარკვეული სანქციების გამოყენების შესაძლებლობა, რომლებიც შეგნებულად უარს აცხადებდნენ სასამართლოში გამოცხადებაზე: „ბრალდებულის გამოცხადებას დიდი მნიშვნელობა აქვს... შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოს უნდა შეეძლოს უსაფუძვლო გამოუცხადებლობის აღკვეთა.“ მაგრამ აშკარად არაპროპორციული იყო ბრალდებულისთვის დამცველის დახმარებით სარგებლობის უფლებაზე უარის თქმა სასამართლოში გამოუცხადებლობის გამო.⁵² საქმეში Van Geyselhem v. Belgium [GC], (No. 26103/95, 21.01.99) სასამართლომ განაცხადა, რომ ბრალდებულს თავის დაცვის მრავალი საშუალება რომ ჰქონოდა, ბრიუსელის სასამართლო მაინც ვალდებული იყო, მისი ადვოკატისთვის, რომელიც სხდომას ესწრებოდა – დაცვის საშუალება მიეცა, თუნდაც ბრალდებულის დასწრების გარეშე.⁵³

შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ ცალსახად განაცხადა, რომ განსასჯელთა დაუსწრებლად საქმის განხილვისას მათ მიერ ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის სრული აკრძალვით ეს ნორმა (მე-6 მუხლის 3(გ) პუნქტი) დაირღვევა.⁵⁴

დამცველით სარგებლობის უფლების მნიშვნელობაზე საუბრისას შეგვიძლია მოვიტანოთ ისეთი ავტორიტეტული ორგანოების შეხედულებები, როგორებიცაა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისი, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ გარანტიას.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 1975 წლის 21 მაისს დაამტკიცა # (75)11 რეზოლუცია ბრალდებულის დაუსწრებლად ჩატარებული პროცესების წარმართვის კრიტერიუმების შესახებ, სადაც აღინიშნა, რომ თუ ბრალდებულის გასამართლება ხდება მის დაუსწრებლად, მტკიცებულებები მიღებულ უნდა იქნას ჩვეულებისამებრ და დაცვას უნდა ჰქონდეს უფლება, მონაწილეობა მიიღოს მათ გამოკვლევაში.⁵⁵ ასევე, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისის შეხედულებით „ბრალდებულს უფლება აქვს, დაესწროს თავისი საქმის განხილვას. საქმის განხილვა in absentia დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და ისიც ეფექტიანი დაცვის განხორციელების უზრუნველყოფის პირობებში. მაშინვე, როგორც კი ბრალდებული, რომელმაც თვითნებურად არ აარიდა თავი მართლმსაჯულებას, შეიტყობს მის მიმართ განხორციელებული პროცედურების თაობაზე, უნდა აღიჭურვოს ბრალდების ხელახლა გადასინჯვის შესაძლებლობით.“⁵⁶

ცალსახად უნდა ითქვას, რომ ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვისას „მართლმსაჯულების ინტერესები“ ნამდვილად მოითხოვს დამცველის სავალდებულო მონაწილეობას, რაც პრეცედენტული სამართლის შესაბამისად მინიმუმ, უნდა იქნას გარანტირებული.

2.2.4. საქმის ხელახალი გადასინჯვის უფლება

სტრასბურგის სასამართლო იმის განსაზღვრის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად, არღვევს თუ არა ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვა სამართლიანი სასამართლოს უფლებას, პარალელს ავლებს ხელახალი გასამართლების საკითხთან.

დაუსწრებლად გასამართლება არ წარმოშობს რაიმე პრობლემას სამართლიანობასთან დაკავშირებით, როდესაც მსჯავრდებულის საქმე შეიძლება ხელახლა იქნას განხილული მის მიერ ასეთი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში ან თუ საქმის გადასინჯვა ავტომატურად მოხდება. სასამართლომ შემდგომში განაცხადა, რომ „თუ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა უშვებს სასამართლო განხილვას ბრალდებულის არყოფნის მიუხედავად, პირს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება სამართალწარმოების შესახებ, სასამართლოსგან მოითხოვოს მისთვის წარდგენილი ბრალდების საფუძვლიანობის არსებითი განსაზღვრა.“ თუ პირი არ ისარგებლებს ამ შესაძლებლობით, ეს ჩაითვლება უფლებაზე უარის თქმად.⁵⁷

ამასთან მნიშვნელოვანია, რომ მსჯავრდებულს ჰქონდეს გემდგომი ინსტანციის სასამართლოში მისი საქმის განხილვისას სხდომაზე დასწრებისა და აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა.⁵⁸ აქვე გასათვალისწინებელია, რომ მსჯავრდებულის დასწრება მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც გემდგომი ინსტანციის სასამართლო განიხილავს საქმის როგორც სამართლებრივ, ისე ფაქტობრივ საფუძვლებს, თუმცა დასწრების უფლება შეიძლება შეზღუდოს გემდგომმა სასამართლო ინსტანციამ იმ საჩივრის განხილვისას, რომელიც შემოიფარგლება კანონთან დაკავშირებული საკითხებით, რაც ჩვეულებრივ, არ მოითხოვს ბრალდებულის დასწრებას.⁵⁹

თუ საჩივარი ასევე, შეეხება სასჯელის სიმძიმეს, მართლმსაჯულების ინტერესები შეიძლება მოითხოვდეს განმცხადებლის დასწრებას. ეს შემთხვევა დაფიქსირდა კრემცოვის საქმეში, სადაც დადგინდა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(გ) პუნქტის დარღვევა. ამ საქმეში მსჯავრდებულს მისჯილი ჰქონდა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც გაასაჩივრა პროკურორმა, თუმცა მას არ მიეცა გემდგომ ინსტანციაში მონაწილეობის უფლება, ხოლო საჩივარი დაკმაყოფილდა და სასჯელი დამძიმდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „ეს სამართალწარმოება... ძალიან მნიშვნელოვანი იყო განმცხადებლისთვის და მოიცავდა არა მხოლოდ მისი პიროვნებისა და დანაშაულის ჩადენის დროს გონებრივი მდგომარეობის, არამედ აგრეთვე, მისი მოტივის შეფასებას.“⁶⁰ მეორე მხრივ, კამასინსკის საქმეში არ არსებოდა უფრო მძიმე სასჯელის დაკისრების რისკი და არც ბრალდებულის პიროვნება და ხასიათი განხილულა. ამდენად, ბრალდებულის არყოფნა ვერ ჩაითვლებოდა დისკრიმინაციად თავისუფლებაში მყოფ პირებთან შედარებით.⁶¹

რაც შეეხება ტექნიკურ ასპექტს, დაუსწრებელი გადაწყვეტილების შემთხვევაში გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის ათვლა უნდა დაიწყოს იმ მომენტიდან, როდესაც არსებობს საფუძველი ვარაუდისათვის, რომ მსჯავრდებულმა შეიტყო გამამტყუნებელი განაჩენის შესახებ.⁶²

საქმის ხელახლა გადასინჯვას გარკვეული პრევენციული დატვირთვაც აქვს. ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილება ექვემდებარება შემდგომ გადასინჯვას, მოსამართლეებს უქმნის კეთილსინდისიერი მუშაობისა და შეცდომებისა თუ თვითნებობის თავიდან აცილების ძლიერ მოტივაციას.⁶³

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვანია საქმე *Medenica v. Switzerland* (No. 20491/92, 14.06.01), რომელშიც პირს უარი ეთქვა საქმის (ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხების) ხელახალ

განხილვაზე, მიუხედავად in absentia საქმის განხილვისა. მოცემულ საქმეში ბრალდებულმა იცოდა საქმის განხილვის შესახებ, ამასთან, არ დადგინდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დაუსწრებლობის ფაქტი, პირიქით ბრალდებული სასამართლოსათვის მიწოდებული მცდარი ინფორმაციით ცდილობდა განხილვაზე დაუსწრებლობის გამართლებას. სწორედ ამიტომ და იმის გათვალისწინებით, რომ საქმე არ ეხებოდა ბრალდებულს, რომელსაც პროცესზე დასწრების შესახებ შეტყობინება არ მიუღია ან რომელსაც უარი უთხრეს ადვოკატის დახმარებაზე, საქმის ხელახალ განხილვაზე უარი ევროპულმა სასამართლომ არ მიიჩნია კონვენციის დარღვევად.⁶⁴

III. ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

მას შემდეგ, რაც მოკლედ იქნა მიმოხილული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვასთან მიმართებით შეჯიბრებითი პროცესის ჭრილში, საინტერესოა, რამდენად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობა ევროპულ სტანდარტებს და ითვალისწინებს თუ არა იგი თუნდაც მინიმალურ სტანდარტებს ამ განსაკუთრებული პროცედურის რეალიზებისას.

3.1. ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლთან

საქმის განხილვაში ბრალდებულის მონაწილეობის საფუძვლები განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით და მისი 42-ე მუხლის შესაბამისი პუნქტებით წესრიგდება, თუმცა, თავისთავად აღებულო, ეს მუხლი სამართლიანი სასამართლოს უფლების, ისევე როგორც შეჯიბრებითობის პრინციპის გამოხატულებაა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სამართლიანი სასამართლოს უფლება არა მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობას გულისხმობს, არამედ უზრუნველყოფს ადამიანის სრულყოფილ სამართლებრივ დაცვას. სამართლიანი სასამართლოს უფლება, უპირველესად, ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა იმ გადაწყვეტილების (ქმედების) სასამართლოში გასაჩივრებასა და სამართლებრივ შეფასებას, რომელიც ადამიანის უფლებებს არღვევს. კონკრეტული დავის სამართლიანი განხილვა მინიმუმ მოიცავს: პირის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის, მისი საქმის სამართლიანი საჯარო მოსმენის მოთხოვნის, თავისი მოსაზრებების გამოთქმისა და პირადად ან დამცველის მეშვეობით თავის დაცვის, მისი საქმის გონივრულ, შემჭიდროებულ ვადებში და დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ განხილვის უფლებას.⁶⁵

რაც შეეხება ბრალდებულის პროცესში უშუალოდ მონაწილეობის უფლებას, ეს სიტყვასიტყვით არ არის მოცემული საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლში, მაგრამ სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისათვის იგი გამომდინარეობს იმავე მუხლის მე-ნ პუნქტიდან, რომელიც მოიცავს ბრალდებულის უფლებას, მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს.⁶⁶

საქართველოს კონსტიტუცია არც ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე სისხლის სამართლის საქმის განხილვის შესახებ ითვალისწინებს რაიმე ჩანაწერს, თუმცა აღნიშნული სრულებითაც არ ნიშნავს, რომ იგი მსგავსი შეზღუდვის შესაძლებლობას გამოიწვევს. „ამგვარი შეზღუდვის შემთხვევები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებზე დაყრდნობით, თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა თვით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ: (1) ხელისუფლების ორგანოები მოქმედებდნენ სათანადოდ ოპერატიულად, მაგრამ ვერ შეძლეს ბრალდებულის გაფრთხილება სასამართლო მოსმენის შესახებ; (2) ბრალდებულის ავადმყოფობის ზოგიერთ შემთხვევაში; (3) ამ უფლებებზე თვით მხარის მიერ უარის შემთხვევაში, როცა უარის თქმა ეჭვს არ იწვევს; (4) თუ ბრალდებული უარს ამბობს დასწრებაზე, მას უნდა ჰქონდეს უფლება იურიდიულ წარმომადგენლობაზე.“⁶⁷

გასაკვირი არაა, რომ საქართველოს კონსტიტუცია შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის განხილვასთან მიმართებით, რადგან როგორც აღინიშნა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით გათვალისწინებულ უფლებებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად განმარტავს.

3.2. ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად

3.2.1. საქმის განხილვაში მონაწილეობა – უფლება თუ მოვალეობა?

ვიდრე გავანალიზებდეთ საქართველოს სსსკ-ის დებულებებს ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის არსებითი განხილვის კონტექსტში, უნდა აღინიშნოს, რომ იმავე კოდექსის 38-ე მუხლის მე-14 ნაწილი ბრალდებულს უზრუნველყოფს უფლებით – უშუალოდ ან დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მონაწილეობა მიიღოს მისი ბრალდების საქმის სასამართლო განხილვაში; დააყენოს შუამდგომლობა და განაცხადოს აცილება; დაცვის მხარის მტკიცებულება გამოიკვლიოს იმავე პირობებში, როგორშიც ბრალდების მხარის მტკიცებულების გამოკვლევა ხდება; გაეცნოს მხარის მიერ შეტანილ საჩივარს და მასზე გამოთქვას მოსაზრება; გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს და მასზე გამოთქვას შენიშვნა. მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ის 38-ე მუხლი დასათაურებულია როგორც „ბრალდებულის უფლება-მოვალეობანი“, ცალსახად უნდა ითქვას, რომ იგი შეიცავს მხოლოდ უფლებათა ჩამონათვალს სასამართლო განხილვაში მონაწილეობის უფლების ჩათვლით. ამასთან, ის, რომ იმავე მუხლის მე-17 ნაწილი, საგამოძიებო მოქმედებაში ბრალდებულის მონაწილეობის თვალსაზრისით, პირდაპირ განსაზღვრავს უფლებით სარგებლობის წესს – უფლებამოსილებას, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ სასამართლო განხილვაში მონაწილეობის უფლება მსგავსი – უფლებით სარგებლობის არჩევანის თავისუფლების შინაარსით არ უნდა იქნას გაგებული, მით უმეტეს, რომ სსსკ-ით მკაფიოდაა გარანტირებული ბრალდებულის მიერ თავისი უფლებების გამოყენების ან გამოუყენებლობის მისთვის საუარესოდ შეფასების აკრძალვა.⁶⁸

საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლში მოცემული სასამართლო განხილვაში მონაწილეობის უფლების საპირისპიროდ, 188-ე მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს, რომ მხარე (რომელშიც ბრალდე-

ბულიც მოიაზრება) ვალდებულია, დადგენილ დროს გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე, ხოლო სათანადო შემთხვევაში, სასამართლო განხილვის დაწყებამდე შეატყობინოს სასამართლოს საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შესახებ.⁶⁹ ზემოაღნიშნულ ნორმათა ერთი შეხედვით ურთიერთგამორიცხავი შინაარსი არ უნდა განიმარტოს წინააღმდეგობრივი ბუნებით, კერძოდ: სსსკ-ის 188-ე მუხლი მიუთითებს გამოცხადებაზე და არა მონაწილეობაზე, რაც უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისგან, რადგან სასამართლო სხდომაზე გამოცხადება ავტომატურად არ გულისხმობს მასში მონაწილეობას. ამასთან, წარმოდგენილია ერთი და იგივე საპროცესო გარანტია (მოცემულ შემთხვევაში, საქმის განხილვაში მონაწილეობა) ერთდროულად უფლებაც იყოს და ვალდებულებაც. „უფლების“ ამგვარი გაგება ამრს დაუკარგავდა ზოგადად მის არსებობას. ნიშნდობლივია, რომ როგორც დაკავების, ისე აღკვეთის ღონისძიებისა და დამატებითი მოვალებების გამოყენების ერთ-ერთი მიზანიც სწორედ სასამართლოში გამოცხადება და არა მასში მონაწილეობის მიღებაა.⁷⁰ გარდა ამისა, არც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით არის გამორიცხული სანქციების გამოყენება იმ პირობა მიმართ, ვინც თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას, რაც თავის მხრივ, სასამართლოსადმი პატივისცემით მოპყრობის ინსტრუმენტად მიიჩნევა.

3.2.2. მექანიზმები, რომლებიც მიმართულია ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვის რისკის შესამცირებლად

კანონმდებლობით გათვალისწინებულია ბრალდებულის სხდომაზე გამოცხადების გარკვეული მექანიზმები, როგორებიცაა:

- ა) დისტანციური მონაწილეობის წესი (სსსკ-ის 188-ე მუხლის მე-3 ნაწილი);
- ბ) დაპატიმრებული ბრალდებულის ტრანსპორტირების შეუძლებლობისას სხდომის გადადება და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის ინფორმირება, რომელიც ვალდებულია, მომდევნო სხდომაზე უზრუნველყოს ბრალდებულის წარმოდგენა (სსსკ-ის 189-ე მუხლის მე-2 ნაწილი);
- გ) არაპატიმარი ბრალდებულის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას მის მიმართ ჯარიმის დაკისრება 100-დან 500 ლარამდე ოდენობით, რაც მას არ ათავისუფლებს გამოცხადების ვალდებულებისაგან (სსსკ-ის 91-ე მუხლის მე-8 ნაწილი);
- დ) თუ ბრალდებული საზღვარგარეთ იმყოფება (მათ შორის, იხდის სასჯელს), სასამართლომ დაბეჯითებით უნდა გაარკვიოს შესაძლებელია თუ არა მისი საქართველოში გონივრულ ვადაში ექსტრადირება,⁷¹ ვიდრე დაიწყებდეს მისი მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვას და გადადოს სხდომა აღნიშნული საკითხის გარკვევამდე, აგრეთვე, კონტროლი გაუწიოს საექსტრადიციო პროცედურების მიმდინარეობას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბრალდებულის დასწრების გარეშე საქმის განხილვის რისკის შემამცირებელ გარანტიად შესაძლებელია, მივიჩნიოთ ის შემთხვევა, როდესაც მაგალითად, ბრალდებულის მძიმე ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო სასამართლო სხდომა შეიძლება ჩატარდეს დარბაზის გარეთაც (სსსკ-ის 185-ე მუხლის პირველი ნაწილი). რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება სხდომის ჩატარება ბრალდებულის ავადმყოფობის ისეთ (განსაკუთრებით მძიმე) შემთხვევებში, როდესაც ფაქტობრივად გამორიცხულია მისი ჩართულობა არსებით განხილვაში ან მის მიერ თავისი

უფლებების უშუალოდ განხორციელება რაიმე ფორმით. ასეთ შემთხვევას სტრასბურგის სასამართლო საერთო წესიდან გადახვევის გამონაკლისად მიიჩნევს, როგორც პრეცედენტული სამართლის გაანალიზებისას ზევით იქნა აღნიშნული. როცა მხარეს ეძლევა საკუთარი შეხედულების გამოთქმისა და საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა, მაგრამ უარს ამბობს ამ შესაძლებლობის გამოყენებაზე, ეს სრულიადაც არ ნიშნავს სასამართლო დაცვის ძირითადი უფლების დარღვევით პროცესის ჩატარებას. დაუშვებელია, მხარემ მოახდინოს სასამართლო პროცესის ბლოკირება იმით, რომ არ გამოიყენოს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების მისთვის არაერთხელ მიცემული შესაძლებლობა.⁷²

3.2.3. საქმის განხილვა ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირდაპირ ითვალისწინებს ორ შემთხვევას, როდესაც საქმის განხილვა დასაშვებია ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე, კერძოდ, როდესაც იგი: 1. თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას. აქ, უპირველესად, უნდა მოვიზაროთ ის შემთხვევა, როდესაც შეუძლებელია ბრალდებულის პოზიციის გარკვევა მისი ხელმიუწვდომლობის ან ძებნაში ყოფნის გამო, რაც პირდაპირ იკითხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან და, ასევე, ნებაყოფლობით უარის განცხადება აღნიშნული უფლებით სარგებლობაზე,⁷³ და 2) გაძევებულია სხდომის დარბაზიდან.⁷⁴

თავის არიდების კლასიკურ შემთხვევად უნდა ჩაითვალოს, როდესაც ბრალდებული მიმალულია და მის მიმართ გამოცხადებულია ძებნა, მათ შორის, ინტერპოლის მეშვეობით. აღნიშნულ საკითხზე არ უნდა იქნას გაზიარებული ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს (ODIHR) დასკვნა, რომ „სერიოზულ შემოთქმებას იწვევდა პროცესის ბრალდებულის დაუსწრებლად ჩატარება სამართლიანობის კუთხით, როდესაც სასამართლოები უშვებდნენ ვარაუდს, რომ ბრალდებული თავს არიდებდა სასამართლო პროცესს.“⁷⁵ აღსანიშნავია, რომ ეს დასკვნა გაკეთდა იმ საქმეებთან დაკავშირებით, სადაც ბრალდებულები (საუბარია ყოფილ მაღალი თანამდებობის პირებზე) იყვნენ მიმალულები და მათ მიმართ მიმდინარეობდა ძებნის ღონისძიებები. რთულია, ასეთი შემთხვევა შეფასდეს „ვარაუდის დაშვების“ მტკიცების ხარისხით.

იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულთან კომუნიკაცია შესაძლებელია, მაგრამ იგი ნებაყოფლობით უარს აცხადებს სხდომაში მონაწილეობაზე (რაც, როგორც აღინიშნა, ირიბად გამომდინარეობს სსსკ-ის მთელი რიგი დებულებებიდან), რა დროსაც საქმე იხილება მის დაუსწრებლად, ჩვენი აზრით, სასურველი იქნება, თუ მისი ინფორმირება მოხდება ყოველი შემდეგი სასამართლო სხდომის შესახებ სათანადო წესით. სასამართლოს აღნიშნული ვალდებულება ხელს შეუწყობს ბრალდებულის მეტ ჩართულობას საქმის განხილვის პროცესში, რადგან არ არის გამორიცხული, მან შეცვალოს გადაწყვეტილება და შემდგომში მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში.

ბუნებრივია, ზედმეტია იმაზე საუბარი, რამდენად მნიშვნელოვანია ბრალდებულის მონაწილეობა საქმის განხილვაში. ამიტომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ერთი მხრივ, ითვალისწინებს გაძევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების პერიოდული გადასინჯვის შესაძლებლობას, ხოლო მეორე მხრივ, გაძევებულ ბრალდებულს ყველა შემთხვევაში უზრუნველყოფს სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოცხადების სხდომაში მონაწილეობის გარანტიით, ხოლო თუ

იგი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, გადაწყვეტილება გამოცხადდება მის გარეშე (სსსკ-ის 85-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილები). მიგვაჩნია, რომ გადაწყვეტა სასამართლომ უნდა გამოიყენოს უკიდურეს შემთხვევაში, ხოლო გადაწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, შენიშვნის მიცემისას, სასამართლომ დეტალურად უნდა განუმარტოს ბრალდებულს გადაწყვეტის არასასურველი შედეგები, გასაჩივრების პროცედურების ზოგადი წესის ჩათვლით, რადგან მას არ ექნება სააპელაციო სასამართლოში ყველა მტკიცებულების ხელახლა გამოკვლევის უფლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს გარკვეული სახის გარანტიებს, რაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბრალდებულის დასწრების გარეშე მისი სასამართლებისას.

3.2.3.1. დაცვის უფლებით უზრუნველყოფა

ბუნებრივია, შეჯიბრებითი პროცესის პირობებში წარმოუდგენელია საქმის განხილვა მხოლოდ ერთი მხარის ჩართულობით. შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზებისათვის სისხლის სამართლის საქმის განხილვაში ორივე მხარის მონაწილეობა გადამწყვეტია. სწორედ ამიტომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ორივე ზემოაღნიშნულ შემთხვევაში უზრუნველყოფს ბრალდებულის მიერ დაცვის უფლებით (შეთანხმებით ან დანიშვნით) სარგებლობის შესაძლებლობას. შესაბამისად, თუ საქმეში მონაწილეობს ბრალდებულის მიერ მოწვეული ადვოკატი, სწორედ იგი მიიღებს მონაწილეობას ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის არსებით განხილვაში, ხოლო თუ მას არა ჰყავს ადვოკატი, ასეთ შემთხვევაში სასამართლო დაუნიშნავს მას ადვოკატს სავალდებულო წესით.

საქართველოს სსსკ-ის 189-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თავის არიდების გამო საქმის ბრალდებულის დაუსწრებლად განხილვისას ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა. ამავე პათოსს იზიარებს სსსკ-ის 45-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტი, რომელიც სამართალდამცავ ორგანოებში გამოცხადებისათვის თავის არიდების შემთხვევაში, ბრალდებულისათვის სავალდებულო დაცვას ითვალისწინებს, თუმცა სასურველია, თუ აქვე ჩაემატება სასამართლოში გამოუცხადებლობისათვის თავის არიდების ან რაიმე სხვა მიზეზით ბრალდებულის მიერ საქმის განხილვაში მონაწილეობის მიუღებლობის შემთხვევაც, რითაც აღნიშნული მუხლი სრულყოფილი გახდება. რაც შეეხება გადაწყვეტის შემთხვევას, ამ დროსაც საპროცესო კოდექსი უზრუნველყოფს სავალდებულო დაცვის გარანტიას (სსსკ-ის 45-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტი).

ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის არსებითი განხილვისას, დაცვის უფლებით სარგებლობის იმპერატიული წესი შეჯიბრებითობის პრინციპის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან გარანტიად უნდა მივიჩნიოთ. როგორც ვნახეთ, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსაც მსგავსი მიდგომა აქვს მოცემულ საკითხთან მიმართებით. დამატებით შეიძლება აღინიშნოს და ხაზი გაესვას იმ მოცემულობას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, ადვოკატი აღჭურვილია ბრალდებულის ყველა უფლებით (გარდა იმ უფლებებისა, რომლებითაც თვით ამ უფლებების ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ ბრალდებულმა ისარგებლოს, მაგალითად, დუმილის უფლება), აგრეთვე დაცვის მხარის სსსკ-ით გათვალისწინებული სხვა უფლებებით,⁷⁶ რაც მიანიშნებს ბრალდებულის არყოფნისას საქმის არსებით განხილვაზე მისი წარმომადგენლობის ხარისხზე. „მას (ადვოკატს) სასამართლოში აქვს საკმარისი სამართლებრივი შესაძლებლობები, რომ დაუპირისპირ-

დეს ბრალდების მხარეს და დააყენოს წარდგენილი ბრალდების საფუძვლიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ.⁷⁷ ბუნებრივია, ამ შემთხვევაში სასამართლო არ თავისუფლდება ვალდებულებისაგან დაცვის სათანადოდ განუხორციელებლობის შემთხვევაში აღნიშნულზე მოახდინოს შესაბამისი რეაგირება,⁷⁸ რაც ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლის დამკვიდრებული პრაქტიკაა, განსაკუთრებით, სახაზინო ადვოკატის მონაწილეობის შემთხვევაში.⁷⁹

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსსკ-ის 22-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, თუ სისხლის სამართლის საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადია და ბრალდებული თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას, საქმეს სასამართლო განხილავს მის დაუსწრებლად, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე. ამ შემთხვევაშიც, ბრალდებული უზრუნველყოფილია დამცველის მონაწილეობით. ამასთან, ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით საქმის განხილვის ქართული მოდელის გათვალისწინებით, არ შევიჩრდებით იმ საკითხის დეტალურ განმარტებაზე – ამგვარი შეზღუდვა რაიმე პრობლემას ხომ არ ქმნის ბრალდებულისათვის.⁸⁰

3.2.3.2. საქმის ხელახლა გადასინჯვის უფლება

დაცვის უფლებით სარგებლობის უმნიშვნელოვანეს გარანტიასთან ერთად ბრალდებული, რომლის მიმართაც სისხლის სამართლის საქმე განხილულ იქნა მის დაუსწრებლად, სარგებლობს არანაკლებ მნიშვნელოვანი გარანტიით – მისი საქმე სრული მოცულობით (ბრალდების საფუძვლიანობის შემოწმების ჩათვლით) გადასინჯოს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

საქართველოს სსსკ-ის 292-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა მის დაუსწრებლად, უფლება აქვს, განაჩენი გაასაჩივროს 1 თვის ვადაში: დაპატიმრებიდან; ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან; ან პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან, თუ მსჯავრდებული ითხოვს სააპელაციო საჩივრის განხილვას მისი მონაწილეობის გარეშე.“ ამავე კოდექსის 297-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, მტკიცებულებათა გამოკვლევის ამ მუხლით დადგენილი წესი (სააპელაციო წესით საქმის განხილვისას პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული ყველა მტკიცებულება მიიჩნევა გამოკვლეულად) არ ვრცელდება სისხლის სამართლის იმ საქმეებზე, რომლებზეც პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენი ბრალდებულის დაუსწრებლად გამოიტანა. აღნიშნული წესიდანაც არსებობს გამონაკლისი და თუ ბრალდებული მოითხოვს სააპელაციო წესით საქმის მისი მონაწილეობის გარეშე განხილვას, სააპელაციო სასამართლო მოქმედებს ძირითადი წესის შესაბამისად ე. ი. მტკიცებულებათა ხელახლა გამოკვლევა აღარ ხდება და პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული ყველა მტკიცებულება მიიჩნევა გამოკვლეულად. ერთ-ერთი არგუმენტი, რატომაც მიგვაჩნია, რომ ბრალდებულის მიერ სხდომაში მონაწილეობაზე უარის ნებაყოფლობით განცხადების შემთხვევაში პირველი ინსტანციის წესით საქმის არსებითი განხილვა ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე უნდა ჩატარდეს, სწორედ სსსკ-ის 297-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის აღნიშნული დებულებაცაა. ამ შემთხვევაში კანონი პირდაპირ ითვალისწინებს უფლებაზე ნებაყოფლობით უარის თქმას.

უფლებაზე უარის შემთხვევაა ნაგულისხმები ბრალდებულის დაუსწრებლად გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების მექანიზმშიც (სსსკ-ის 292-ე მუხლის მე-3 ნაწილი), როდესაც გასაჩივრება შესაძლებელია ძირითადი წესით – გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, მაგრამ მხოლოდ იმ პირო-

ბებში, თუ მსჯავრდებული ითხოვს სააპელაციო საჩივრის განხილვას მისი მონაწილეობის გარეშე. რასაკვირველია, ამ დროს სააპელაციო სასამართლოში საქმე განიხილება ჩვეულებრივი წესით და არა დაუსწრებელ განაჩენზე შეტანილი საჩივრის განხილვის პროცედურით, რაც საგვსებით ლოგიკური და მიზანშეწონილია. ამავე და ზედა აბზაცში მითითებულ მოტივებზე დაყრდნობით, ვფიქრობთ, რომ მსგავსი წესი უნდა გავრცელდეს იმ მსჯავრდებულზე, რომელმაც თავის დროზე ნებაყოფლობით განაცხადა უარი თავისი საქმის არსებით განხილვაში მონაწილეობაზე ან გაძევებულ იქნა სხდომის დარბაზიდან.

მართალია, საქართველოს სსსკ პირდაპირ არ განსაზღვრავს, თუ სააპელაციო განხილვის რა წესი უნდა გავრცელდეს იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელიც მაგალითად, დასკვნითი სიტყვების ეტაპზე დააკავს (მაშინ, როდესაც მტკიცებულებების გამოკვლევა უკვე დასრულებულია), თუმცა მართებულად მივიჩნევთ, რომ იგი „ჩაჯდეს“ იმავე რეჟიმში, როგორც მსჯავრდებული, რომლის მიმართაც სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა მის დაუსწრებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვფიქრობთ, იგი მოკლებული იქნება ბრალდების საფუძვლიანობის ხელახლა შემოწმების სრულფასოვან შესაძლებლობას, რადგან სწორედ მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპი წარმოადგენს გარდამტეხ ფაზას და განაპირობებს საბოლოო შედეგს.

საპროცესო კოდექსით აგრეთვე, უზრუნველყოფილია დაპატიმრებიდან ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან (ანუ მას შემდეგ, რაც იგი ოფიციალურად შეიტყობს მის მიმართ ჩატარებული პროცედურების შესახებ) გასაჩივრების გარანტია, რაც ასევე შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

ვერ დავეთანხმებით ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს (ODIHR) მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაუსწრებლად გასამართლებულ ბრალდებულს უტოვებს უფლებას, გაასაჩივროს პირველი ინსტანციის განაჩენი. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ კოდექსის 292 (3) და 297 (ვ) მუხლები იძლევიან ასეთ შემთხვევებში ფაქტების ხელახლა განხილვის საშუალებას, დაუსწრებლად გასამართლებულ პირს მხოლოდ გასაჩივრების და არა საქმის ხელმეორედ განხილვის შესაძლებლობა ეძლევა. ეს კი ფაქტობრივად, ართმევს პირს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მოსმენის უფლებას, რისი შესაძლებლობაც სხვა ბრალდებულებს ეძლევათ.⁸¹ აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაუსწრებლად გასამართლებულ პირს აძლევს არა ტიპური გასაჩივრების, არამედ აღნიშნული გასაჩივრების ფარგლებში „პირველი ინსტანციის სასამართლოს“ მიერ გასამართლების ხელახალ შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო მოქმედებს ზუსტად იმავე წესებით, რითაც ხელმძღვანელობს პირველი ინსტანციის სასამართლო ბრალდებულის დასწრებით საქმის განხილვისას, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე და თანაც, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქმეს სასამართლო განიხილავს კოლეგიური შემადგენლობით. ამასთან, მსჯავრდებულს რჩება უფლება, განაჩენი გაასაჩივროს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში, რომელიც მართალია, მხოლოდ კანონიერების საკითხს განიხილავს, თუმცა წარმოუდგენელია განაჩენის კანონიერების შემოწმება დასაბუთებულობის კომპონენტის სრული გამორიცხვით.⁸² მეორე მხრივ, თუ მხარეს მტკიცებულებასთან მიმართებით კანონიერების პრეტენზია წარმოეშება, საკასაციო სასამართლო აღნიშნულის გამოსწორების გზასაც უტოვებს მსჯავრდებულს, რაზეც მეტყველებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბოლო პერიოდში მიღებული გადაწყ-

ვეტილება, როდესაც დაცვის მხარის მტკიცებულებათა მიღებაზე არასწორი უარის გამო, საკასაციო პალატამ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინი, რაც მოცემულ შემთხვევაში, ამ უკანასკნელის მიერ საქმის ხელახლა განხილვის ავტომატურ ვალდებულებას წარმოშობს.⁸³

დასკვნა

სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ცხადყოფს, რაოდენ მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისას შეჯიბრებითი პროცესის უზრუნველყოფა, ხოლო ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვის შემთხვევაში, სწორედ შეჯიბრებითი პროცესის და ზოგადად, სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფიდან გამომდინარე აყალიბებს იმ საყრდენ დებულებებს, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს, რათა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი არ დაირღვეს. აღნიშნული გარანტიები უკავშირდება ბრალდებულის სათანადო ინფორმირებას საქმის არსებითი განხილვის შესახებ, არსებით განხილვაზე დაუსწრებლობასთან დაკავშირებით ბრალდებულის პოზიციის სკრუპულოზურ შემოწმებას, in absentia საქმის განხილვისას ეფექტიანი დაცვით უზრუნველყოფას და საბოლოოდ, ზემოაღნიშნული პროცედურით საქმის განხილვისას, ბრალდების საფუძვლიანობის ხელახლა შემოწმების უფლებას.

ზემოაღნიშნული გარანტიებისა და მათი განმარტებების გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობა, განსაკუთრებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც დეტალურ წესებს მოიცავს შეჯიბრებით პროცესში ბრალდებულის მონაწილეობის თვალსაზრისით, სრულად შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკას, ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის შეჯიბრებით პროცესთან შესაბამისობის კუთხით და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბრალდებულს უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლო განხილვით. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებელმა გაითვალისწინოს გარკვეული სახის ის ნიუანსები, რომლებიც ჩვენ მიერ გამოიკვეთა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გაანალიზებისას.

შენიშვნები:

- ¹ კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბილისი, 2014, 339.
- ² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2015 წლის 29 სექტემბრის #31/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „მ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე,“ პარ. 16.
- ³ გუცენკო კ. ფ., გოლოვკო ლ. ვ., ფილიმონოვი ბ. ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, ი. ბოხაშვილის, თ. შაყულაშვილის, ვ. ხუციშვილისა და ნ. გოგნიაშვილის თარგმანი, რ. გოგშელიძის რედაქტორობით, თბილისი, 2007, 35.
- ⁴ Tasar L., Trial in Absentia: Rescuing the "Public Necessity" Requirement to Proceed With a Trial in the Defendant's Absence, 2009, Barry Law Review, 12; 153; 165; იხ.: <http://www.jeanmonnet.org.tr/Portals/0/scholars_database_thesis/basri_bagci_tez.pdf> [10.01.16].
- ⁵ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 517.
- ⁶ Burnham W., Introduction to the Law and Legal System of the United States, Third Edition, Minnesota, US, 2002, 80-81.
- ⁷ იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2014 წლის 23 მაისის 31/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ პარ. II-75.
- ⁸ იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, Commentary on the Criminal Procedure Code of Georgia, გ. გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 84.
- ⁹ თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014, 74.
- ¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2015 წლის 29 სექტემბრის დასახ. გადაწყვეტილება, პარ. II-19.
- ¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2014 წლის 23 მაისის დასახ. გადაწყვეტილება, პარ. II-61.
- ¹² ტაილერი (1990); ჰაინცი (1985) პარ. 13; კასპარი (1978) პარ. 237; ტიბოლი და უოქერი (1975); კასპარი, ტაილერი და ფიშერი (1988) პარ. 483; ლანდისი და გოდშტაინი (1986) პარ. 675; იხ.: ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, 114.
- ¹³ K.S. ფინეთის წინააღმდეგ (K.S. v. Finland), No. 29346/95, 31.5.01, პარ. 21, იხ.: ლიჩი ფ. როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მესამე გამოცემა, ე. ლომთათიძის, ლ. ჩხეტიას, ქ. აბაშიძისა და ნ. თოფურიძის თარგმანი, თბილისი, 2013, 335.
- ¹⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, Commentary on the Criminal Procedure Code of Georgia, გ. გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 86.
- ¹⁵ თუმანიშვილი გ., შეჯიბრებითობის პრინციპი ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისას, მზია ლეკვეიშვილი – 85 საიუბილეო კრებული, მ. ივანიძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 109.
- ¹⁶ იხ.: ტრექსელი შ., დასახ. ნაშრ., 277.
- ¹⁷ სამართლიანი სასამართლოს უფლებების საერთაშორისო სამართლებრივი კრებულები, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 7. გვ. 134. კოლოზა იტალიის წინააღმდეგ, ECtHR, 12.02.85, პარ. 27, ბელუიუკი პოლონეთის წინააღმდეგ, ECtHR, 25.03.98, პარ. 37 (II), ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში. საქართველო, ვარშავა, 2014, 93, იხ.: <<http://www.osce.org/ka/odihr/130686?download=true>> [10.01.16].
- ¹⁸ Guide on Article 6. Right to a Fair Trial (criminal limb), Council of Europe/European Court of Human Rights, 2014, 29, <http://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_6_criminal_ENG.pdf> [10.01.16].
- ¹⁹ შეად. ტრექსელი შ., დასახ. ნაშრ., 330-331.

- ²⁰ კოლოზა (Colozza) იტალიის წინააღმდეგ, პარ. 27; მონელი (Monnell) და მორისი (Morris) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, პარ. 56; ბარბერა (Barbera), მესაგე (Messague) და ხაბარდო (Jabardo) ესპანეთის წინააღმდეგ, პარ. 78, 34; ბროზიჩეკი (Brozicek) იტალიის წინააღმდეგ, პარ. 45; F.C.B. იტალიის წინააღმდეგ, პარ. 33; ტიტალიის წინააღმდეგ, პარ. 26; ზანა (Zana) თურქეთის წინააღმდეგ, პარ. 68; ბელზიუკი (Belziuk) პოლონეთის წინააღმდეგ, პარ. 37; ფან დაიკი და ფან ჰოფი (1998) პარ. 433. ვიდმაიერი (Widmaier) ნიდერლანდების წინააღმდეგ, No. 9573/81; ფროვიანი და პოიკერტი (1996) მე-6 მუხლი, პარ. 94; პონსე (1977) პარ. 46.; სტენფორდი (Stanford) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §26, იხ.: ციტირება: ტრექსელი შ., დასახ. ნაშრ., 287. იხ.: ტრექსელი შ., დასახ. ნაშრ., 286.
- ²¹ გოლვიტცერი (1992), პარ 219, იხ.: ტრექსელი შ., დასახ. ნაშრ., 331.
- ²² ბოუმანი ჰ. დ., ჩხეიძე გ. ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ქართველი იურისტებისათვის, თბილისი, 2014, 151.
- ²³ ბურჟა ს., ტელბისი ა. (EHRA), სასამართლოს გადაწყვეტილებების დასაბუთებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ასპექტები (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტების შესაბამისად), სახელმძღვანელო წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბილისი, 2015, 339-340.
- ²⁴ იხ.: ტრექსელი შ., დასახ. ნაშრ., 331.
- ²⁵ SN შვედეთის წინააღმდეგ, პარ. 44. გოლვიტცერი (1992) მე-6 მუხლი, პარ. 225, იხ.: ტრექსელი შ., დასახ. ნაშრ., 338.
- ²⁶ შეად. ტრექსელი შ., დასახ. ნაშრ., 339.
- ²⁷ დანიელ მონგუტა მბენგე (Daniel Monguta Mbenge) ზაირის წინააღმდეგ, პარ 76, შეად. წიგნიდან: ტრექსელი შ., დასახ. ნაშრ., 289.
- ²⁸ იხ. მაგ: ავსტრიის საპროცესო კოდექსის 57-ე და 59-ე მუხლები; გერმანიის საპროცესო კოდექსის 78-ე და 79-ე მუხლები; შვეიცარიის საპროცესო კოდექსის 70-ე და 73-ე მუხლები; კოლოზა (Colozza) იტალიის წინააღმდეგ, პარ. 29, იხ.: ტრექსელი შ., დასახ. ნაშრ., 288.
- ²⁹ „ვინმეს (უმეტესად განსასჯელის) დაუსწრებლად,“ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ტერმინთა ლექსიკონი, ევროპის საბჭო, თბილისი, 2008, 4.
- ³⁰ Stavros S., The Guarantees for Accused Persons under Article 6 of the European Convention on Human Rights. An Analysis of the Application of the Convention and a Comparison with the Instruments, Dordrecht, Boston, London, 1993, 268, იხ.: <<https://books.google.ge/books?id=saB8zPMqoilC&pg=PA284&lpg=PA284&dq=Defendant%27s+presence+at+court+hearing+echr&source=bl&ots=Re9Jq-qw8g&sig=Is4e9va89YuW4sJSMNE61oxK9fc&hl=ka&sa=X&ved=0ahUKewjthIXwmaHKAhWftrQKHfVeBuw4ChDoAQg4MAQ#v=onepage&q=absentia&f=false>> [10.01.16].
- ³¹ პეიფერი (Peifer) და პლანკლი (Plankl) ავსტრიის წინააღმდეგ, პარ. 37; პუატრიმოლი (Poitrimol) საფრანგეთის წინააღმდეგ, პარ. 31; აგრეთვე, დევეერი (Deweere) ბელგიის წინააღმდეგ, პარ. 49, იხ.: ტრექსელი შ., დასახ. ნაშრ., 288.
- ³² Colozza v Italy (1985) 7 E.H.R.R. 516 (paras 28-29); Rubinat v Italy (1985) 7 E.H.R.R. 512. This was not established in FCB v Italy (1992) 14 E.H.R.R. 909, ix. wign.: Emmerson B., Ashworth A., Macdonald A., Human Rights and Criminal Justice. Third Edition, London, Sweet&Maxwell, 2012, 581, იხ.: ბმულზე: <<https://books.google.ge/>
- ³³ კოლოზა იტალიის წინააღმდეგ პარ. 28; 30, იხ.: ტრექსელი შ., დასახ. ნაშრ., 290.
- ³⁴ F.C.B. იტალიის წინააღმდეგ, პარ. 35, იქვე.
- ³⁵ შეად. მაკბრაიდი ჯ., დასახ. ნაშრ., 286-287.
- ³⁶ საქმეში კოლოზა (Colozza) იტალიის წინააღმდეგ (პარ. 28) სასამართლომ ლიად დატოვა ასეთი შესაძლებლობის არსებობის საკითხი, შეად. იქვე.
- ³⁷ ნოიმაისტერი (Neumeister) ავსტრიის წინააღმდეგ, პარ. 36; ლე კონტი (Le Compte), ვან ლოვენი (Van Leuven) და დე მეიერი (De Meyere) ბელგიის წინააღმდეგ, პარ. 59; ალბერი (Albert) და ლე კონტი (Le Compte) ბელგიის წინააღმდეგ, პარ. 35; კოლოზა (Colozza) იტალიის წინააღმდეგ, პარ. 28; ზანა (Zana) თურქეთის წინააღმდეგ, პარ. 70, იქვე.
- ³⁸ Herath E., Trials in Absentia: Jurisprudence and Commentary on the Judgment in Chief Prosecutor v. Abul Kalam Azad in the Bangladesh International Crimes Tribunal, Harvard International Law Journal, 2014, 5-6, ix bmulze: <http://www.harvardilj.org/wp-content/uploads/2014/06/HILJ-Online_volume-55_Herath.pdf> [10.01.16].
- ³⁹ Vitkauskas D., Dikov G., Protecting the right to a fair trial under the European Convention on Human Rights, Concil of Europe, Strasbourg, 2012, 54. books?id=AWJl60wYY3MC&pg=PA397&lpg=PA397&dq=Defendant%27s+presence+at+

- court+hearing+echr&source=bl&ots=A8r5mY_JDk&sig=Jowo9dDO_2Y1IE_TBLm_enByH3Y&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEWjthIXwmaHKAhWftrQKHfVeBuw4ChDoAQgxMAM#v=onepage&q=absentia&f=false> [10.01.16].
- 41 X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განაცხადი No. 8386/78, იხ.: ტრექსელი შ., დასახ. ნაშრ., 288.
- 42 იქვე.
- 43 ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1978 წლის 8 ივლისის განჩინება საქმეზე „ენსლინი და სხვები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ,“ იხ.: ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, მ. კოპალეიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2013, 651.
- 44 პუატრიმოლი (Poitrimol) საფრანგეთის წინააღმდეგ, პარ. 30; ვან გეიზეხემი (Van Geysseghem) ბელგიის წინააღმდეგ, პარ. 29, იხ.: ტრექსელი შ., დასახ. ნაშრ., 289.
- 45 გოდი (Goddi) იტალიის წინააღმდეგ; კოლოზა (Colozza) იტალიის წინააღმდეგ; კრომბახი (Krombach) საფრანგეთის წინააღმდეგ, იქვე.
- 46 გედჰარტი (Goedhart) ბელგიის წინააღმდეგ, პარ. 26; ვან გეიზეხემი (Van Geysseghem) ბელგიის წინააღმდეგ, პარ. 34; ლალა (Lala) ნიდერლანდების წინააღმდეგ, პარ. 33; პალანდოა (Pelladoah) ნიდერლანდების წინააღმდეგ, პარ. 40; სტროკი (Stroek) ბელგიის წინააღმდეგ; კრომბახი (Krombach) საფრანგეთის წინააღმდეგ, იხ.: ტრექსელი შ., დასახ. ნაშრ., 289.
- 47 პონსე (1977) პარ. 161, იხ.: ტრექსელი შ., დასახ. ნაშრ., 279.
- 48 გრეინჯერი (Granger) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, პარ. 47; ფამ ჰონგი (Pham Hoang) საფრანგეთის წინააღმდეგ, პარ. 39; კარანტა (Quaranta) შვეიცარიის წინააღმდეგ, პარ. 27; ტვალბი (Twalib) საბერძნეთის წინააღმდეგ, პარ. 46, იხ.: ტრექსელი შ., დასახ. ნაშრ., 309.
- 49 RD პოლონეთის წინააღმდეგ, პარ. 49, იქვე.
- 50 კამასინსკი (Kamasinski) ავსტრიის წინააღმდეგ, პარ. 91, აგრეთვე, კურუპი (Kurup) დანის წინააღმდეგ, No. 11219/84; X დანის წინააღმდეგ, No. 8395/78, კრიტიკული კომენტარისთვის იხ.: თავი 9, ტრექსელი შ., დასახ. ნაშრ., 350-351.
- 51 ძირითადად, აღნიშნული უკავშირდება იმას, რომ პროცესის მონაწილენი სასამართლოსადმი პატივისცემით განიშტვალონ.
- 52 პუატრიმოლი (Poitrimol) საფრანგეთის წინააღმდეგ პარ. 32; 35, იხ.: ტრექსელი შ., დასახ. ნაშრ., 290-291.
- 53 შეად. მაკბრაიდი ვ., ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, სტრასბურგი, 2011, 287.
- 54 პუატრიმოლი საფრანგეთის წინააღმდეგ (Poitrimol v. France), No. 14032/88, 23.11.93; კრომბახი საფრანგეთის წინააღმდეგ (Krombach v. France), No. 29731/96, 13.2.01; ასევე, ჰაზირი საფრანგეთის წინააღმდეგ (Haziri v. France), No. 59480/00, 29.3.05, იხ.: ლიჩი ფ. დასახ. ნაშრ., 361.
- 55 Resolusion (75) 11 on the Criteria Governing Proceedings Held in the Absence of the Accused, Concil of Europe Committee of Ministers, 21.05.75, I-5, ix. bmulze: <<https://wcd.coe.int/com.instranet.InstraServlet?command=com.instranet.CmdBlobGet&InstranetImage=591160&SecMode=1&DocId=651212&Usage=2>> [10.01.16].
- 56 Human Rights in the Administration of Justice, Office of the High Commissioner for Human Rights in Cooperation with the International Bar Association, Professional Treinig Series No. 9, New York and Geneva, 2003, 282, იხ.: ბმულზე: <https://books.google.ge/books?id=bD-eRFJTPzAC&printsec=frontcover&source=gbs_ge_summary_r&cad=0#v=onepage&q&f=false> [10.01.16].
- 57 B საფრანგეთის წინააღმდეგ, No. 10291/83; კოლოზა (Colozza) იტალიის წინააღმდეგ, პარ. 29, შეად. წიგნიდან: ტრექსელი შ., დასახ. ნაშრ., 289.
- 58 Esser R., Auf dem Weg zu einem europäischen Strafverfahrensrecht, Die Grundlagen im Spiegel der Rechtsprechung des Europäischen Gerichtshofs für Menschenrechte (EGMR) in Strasburg, 2002, 784, იხ.: თუმანიშვილი გ., შეჯიბრებითობის პრინციპი ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისას, მზია ლეკვიშვილი – 85 საიუბილეო კრებული, მ. ივანიძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 115.
- 59 პობორნიკოვი (Pobornikoff) ავსტრიის წინააღმდეგ, პარ. 26; ჯომეფ პრინცი (Josef Prinz) ავსტრიის წინააღმდეგ, პარ. 34; მაიკლ ედვარდს კუკი (Michael Edwards Cooke) ავსტრიის წინააღმდეგ, პარ. 35; კრემცოვი (Kremzow) ავსტრიის წინააღმდეგ, პარ. 63; საქმეში პაკელი (Pakelli) გერმანიის წინააღმდეგ უზენაესი სასამართლოს წინაშე, გამონაკლისის სახით, გაიმართა საჯარო განხილვა, მიუხედავად იმისა, რომ კანონთან დაკავშირებული

ტექნიკური საკითხის განხილვა უნდა მომხდარიყო. ის ფაქტი, რომ ამ განხილვისთვის ბრალდებულს უარი ეთქვა დამცველის დახმარებაზე, ჩათვალა მე-6 მუხლის დარღვევად, შეად. წიგნიდან: ტრექსელი შ., 294.

⁶⁰ კრემზოვი (Kremzow) ავსტრიის წინააღმდეგ, პარ. 57, იქვე.

⁶¹ კამასინსკი ავსტრიის წინააღმდეგ, პარ. 104, ტრექსელი შ., დასახ. ნაშრ., 295.

⁶² Paul C., Das Abwesenheitsverfahren als rechtsstaatliches Problem, Rechtsvergleichende Untersuchung deutscher, englischer, französischer, niederländischer und österreichischer Regelungen angesichts der Rechtsprechung des Europäischen Gerichtshofs für Menschenrechte, 2007, 280, იქვე.

⁶³ იხ.: ტრექსელი შ., დასახ. ნაშრ., 407.

⁶⁴ იხ.: მაკბრაიდი ჯ., დასახ. ნაშრ., 288-289., ასევე, Stoichkov v. Bulgaria, No.9808/02, 24.03.05.

⁶⁵ იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ პარ. II.1.

⁶⁶ შეად. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 540.

⁶⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ პარ. II.2. იხ. ციტირება წიგნიდან: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 548-549.

⁶⁸ იხ.: საქართველოს სსკ-ის 38-ე მუხლის მე-18 ნაწილი.

⁶⁹ სსკ-ის 188-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

⁷⁰ აღნიშნულ საკითხზე შეგიძლიათ დაწვრილებით იხილოთ სსკ-ის 171(1), 198(1), 199(2), 200(1), 203(1), 204(2) მუხლები.

⁷¹ ნიშნადობლივია, რომ საქართველო მიერთებულია ექსტრადიციის შესახებ 1957 წლის 13 დეკემბრის ევროპულ კონვენციას, რომელიც ითვალისწინებს სათანადო მექანიზმებს ამ მიმართულებით.

⁷² იხ.: კუბლაშვილი კ., დასახ. ნაშრ., 340.

⁷³ იხ.: სსკ-ის 189-ე მუხლის პირველი ნაწილი.

⁷⁴ აღნიშნულთან დაკავშირებით იხ.: სსკ-ის 85-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

⁷⁵ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში. საქართველო, ვარშავა, 2014, 99, იხ.: ბმულზე <<http://www.osce.org/ka/odihr/130686?download=true>> [10.01.16].

⁷⁶ იხ.: სსკ-ის 44-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

⁷⁷ თუმანიშვილი გ., შეჯიბრებითობის პრინციპი ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისას, შხია ლეკვიშვილი – 85 საიუბილეო კრებული, შ. ივანიძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 118.

⁷⁸ იხ.: თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 21 ივნისის განჩინება #1/168-13 საქმეზე, სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატის მისი მოვალეობის არასათანადოდ შესრულების გამო საქმიდან ჩამოცილების თაობაზე.

⁷⁹ აღნიშნულ საკითხზე იხილეთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: კამასინსკი (Kamasinski) ავსტრიის წინააღმდეგ, პარ. 65, იხ.: ტრექსელი შ., დასახ. ნაშრ., 325.

⁸⁰ მინიმუმ უნდა აღინიშნოს, რომ ნაფიც მსაჯულთა მიერ გასამართლებისას წარმოუდგენელი იქნებოდა ბრალდების საფუძვლიანობის ხელახალი შემოწმება.

⁸¹ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, საქართველო, ვარშავა, 2014, 98-99, იხ.: <<http://www.osce.org/ka/odihr/130686?download=true>> [10.01.16].

⁸² ამაზე საკასაციო პალატის არაერთი გადაწყვეტილება მეტყველებს, იხ.: მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ივლისის #2კ-მნაპ.-14 განაჩენი. აღნიშნულ საქმეში საკასაციო პალატამ ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, თუმცა დაასაბუთა იგი, მიიჩნია რა, რომ ქვემდგომი ინსტანციის მიერ განაჩენში არ იყო მოტანილი სათანადო დასაბუთება, საკასაციო პალატის გადაწყვეტილებები იხ.: <<http://prg.supremecourt.ge>>.

⁸³ იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის #2კ-52ნაპ.-14 განაჩენი.

TRIAL IN ABSENTIA AND ADVERSARIAL PROCEEDINGS

BADRI NIPARISHVILI

*Judge of the Tetrtskaro District Court, Doctoral Student of the Law Faculty
of the Tbilisi Ivane Javakishvili State University*

Case law of the Strasbourg Court clearly shows how important it is to ensure the adversarial proceedings during the trial. However, due to the adversarial proceedings and, in general, fair trial principle, if there is trial in absentia, the case law establishes key provisions which need to be met for ensuring adherence to the Article 6 of the European Convention on Human Rights. These safeguards are related to providing information of the defendant about the trial, scrutiny of the defendant's position about being absent during the trial, providing effective defense if the case is heard in absentia, and ultimately – the right to re-examine the grounds of charge during the trial as mentioned above.

Considering the abovementioned safeguards and their explanations, the Georgian legislation, especially the criminal procedure code, which stipulates detailed rules in regards to the participation of a defendant in the adversarial process, are fully consistent with the court proceedings of the European Court of Human Rights in regards to the compliance with the adversarial principle of the trial in absentia, and it is possible to say that it ensures fair trial for the defendant. Besides, it is important for the legislator to consider the nuances, which we have shaped out while analyzing the Criminal Procedure Code of Georgia.

განმეორებით გასამართლებისა და დასჯისაგან დაცვის კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის პრაქტიკული ასპექტები

ლევან დარბაიძე

*გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე,
სამართლის დოქტორი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი*

„რა იდეალურიც უნდა იყოს კანონთა კოდექსი, ცხოვრება მაინც წინ უსწრებს მას, რადგან ცხოვრება მუდმივად ცვალებადია და სულ ახალ და ახალ მოთხოვნებს გვიყენებს. კანონი კი არ ქმნის ცხოვრებას, არამედ თვით ცხოვრება ქმნის კანონს, შესაბამისად, ცხოვრება კი არ არის დამოკიდებული კანონზე, არამედ კანონი – ცხოვრებაზე.“

ნიკო ნიკოლაძე, 1881 წელი

განმეორებით გასამართლებისა და დასჯის აკრძალვის ფუნდამენტური პრინციპი *ne bis in idem* დამკვიდრებულია კონტინენტური სამართლის ქვეყნებში, რომელსაც საფუძვლად უდევს ლათინური მაქსიმა – *neto debet bis vexari pro eadem causa*.¹ აღნიშნული საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპი დეკლარირებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტით, რომლის თანახმად, არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის. დასახელებული კონსტიტუციური დებულება, რომელიც ორმაგი დასჯის აკრძალვას ეხება ცხადია, არ გამორიცხავს ერთი და იმავე ქმედებისათვის სამართლებრივი დევნის სხვადასხვა ეტაპებს, რომლებიც წინ უძღვის მსჯავრდებას, თუმცა, იგი არავითარ გამოწვევის არ ითვალისწინებს. პირის უფლება, ერთი და იმავე დანაშაულისათვის განმეორებით არ იყოს მსჯავრდებული, არის იმ უფლებათა რიგში, რომელთა შეზღუდვა დაუშვებელია

საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებშიც კი. ამდენად, ამ პრინციპის ნებისმიერი დარღვევა ანტიკონსტიტუციურია და შეუძლებელია რაიმე საფუძვლით ამ დარღვევის კონსტიტუციურსამართლებრივი გამართლება.²

განმეორებითი დაკავების, ბრალის წაყენებისა და მსჯავრდების აკრძალვას ეხება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლი, რომლის თანახმად, დაუშვებელია პირის განმეორებით დაკავება მხოლოდ ერთი და იმავე მტკიცებულებების ან/და ინფორმაციის საფუძველზე. არ შეიძლება პირს წაეყენოს ბრალი ან/და დაედოს მსჯავრი იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც იგი ერთხელ უკვე გამართლებულ ან მსჯავრდებულ იქნა.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტით დეკლარირებული ნორმა ესადაგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლით (საქართველოსთან მიმართებაში ძალაშია 2000 წლის 1 ივლისიდან) გათვალისწინებულ, საყოველთაოდ აღიარებულ სახელმძღვანელო პრინციპს *ne bis in idem*, რომელიც ასევე, აბსოლუტური ხასიათისაა და გადახვევა დაუშვებელია ომის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი. ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლის თანახმად, (1) ერთი და იგივე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში არავინ არ შეიძლება ხელმეორედ იქნას გასამართლებული ან დასჯილი სისხლისსამართლებრივი წესით დანაშაულისათვის, რომლისთვისაც იგი საბოლოოდ გამართლებული ან მსჯავრდებული იქნა ამ სახელმწიფოს კანონისა და სისხლის საპროცესო სამართლის შესაბამისად; (2) წინა პუნქტის დებულებანი არ ეწინააღმდეგებიან შესაბამისი სახელმწიფოს კანონისა და სისხლის საპროცესო სამართლის მიხედვით საქმის გადახედვას, თუკი არსებობს ცნობები ახალი ან ახლად აღმოჩენილი გარემოებების შესახებ ან წინა განხილვაში ადგილი ჰქონდა არსებით დეფექტს, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა მის შედეგზე; (3) დაუშვებელია წინამდებარე მუხლის დებულებებიდან გადახვევა კონვენციის მე-15 მუხლზე დაყრდნობით.

ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპი (*ne bis in idem*) ასევე, ასახულია „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის (საქართველოსთან მიმართებაში ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან) მე-14 მუხლის მე-7 პუნქტში, რომლის თანახმად, არავის მეორედ გასამართლება ან დასჯა არ შეიძლება დანაშაულისათვის, რომლისთვისაც იგი უკვე საბოლოოდ იყო მსჯავრდებული ან გამართლებული თითოეული ქვეყნის კანონის და სისხლის სამართლის პროცესუალური სამართლის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ნაშრომებში, კომენტარებში თუ იურიდიულ სახელმძღვანელოებში ჩამოყალიბებული უახლესი დოქტრინალური განმარტებები ძირითადად, სისხლისსამართლებრივი წესით განმეორებითი დაკავების, ბრალის წაყენებისა და მსჯავრდების აკრძალვის მეცნიერულ დასაბუთებას ემყარება.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტით დეკლარირებული ნორმის მიზანია პირის დაცვა იგივე ქმედებისათვის უკვე დასრულებული სისხლის სამართლის პროცესის ხელახლა წამოწყებისაგან. ორმაგი დასჯის აკრძალვა ემსახურება სამართლებრივი მშვიდობის უზრუნველყოფას და ამით ადამიანის ღირსების დაცვას.³ *ne bis in idem* პრინციპის ამოქმედების აუცილებელი წინაპირობაა კანონის საფუძველზე მიღებული და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენის არსებობა. აღნიშნული პრინციპი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც სასამართლომ პირის მიმართ გამამართლებელი გადაწყვეტილება გამოიტანა, რამდენადაც ეს უფლება იცავს ინდივიდს არა

მხოლოდ ხელმეორედ დასჯისაგან, არამედ გამართლებისგანაც ე. ი. ზოგადად, ერთი დასრულებული წარმოების შემდეგ განმეორებითი სისხლისამართლებრივი პროცედურების დაქვემდებარებისაგან.⁴

„სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის (საქართველოსთან მიმართებაში ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან) მე-14 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპი (ne bis in idem) ეხება როგორც მსჯავრდებას, ასევე გამართლებასაც.⁵

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით განსაზღვრული ნორმის მიზანია ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლებების დაცვა და მეორე მხრივ, სამართლებრივი სიცხადისა და განჭვრეტადობის უზრუნველყოფა. ne bis in idem პრინციპის შინაარსი ყველა დოკუმენტში იდენტური არ არის. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს განმეორებით მსჯავრდებას, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი – ასევე, განმეორებით დაკავებას და ბრალის წაყენებასაც. მუხლის მოქმედება თანაბრად ვრცელდება ყველა დანაშაულზე მისი სიმძიმისა და სახის მიუხედავად. სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში ორჯერ მსჯავრდების აკრძალვის გამოყენების წინაპირობაა პირის მიმართ თავდაპირველი სისხლის სამართალწარმოების არსებობა, რომელზედაც გადაწყვეტილება უკვე კანონიერ ძალაშია შესული განმეორებითი სამართალწარმოების ინიცირების მომენტისათვის. პარალელურად და ერთდროულად რამდენიმე სამართალწარმოების განხორციელება ერთსა და იმავე ფაქტთან დაკავშირებით არ იკრძალება იმ პირობით, რომ როგორც კი დასრულდება რომელიმე მათგანი საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანით, ყველა დანარჩენი შეწყდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება ne bis in idem პრინციპის დარღვევას.⁶

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ფუნდამენტურ და უპირობო პრინციპთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა არ გააჩნია, თუ არ ჩავთვლით 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილებას საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებასთან დაკავშირებით, სადაც საკონსტიტუციო სასამართლო, განსახილველი საქმის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აღნიშნული მუხლით დაცული სფეროს ამომწურავი განმარტების საჭიროების წინაშე არ დამდგარა. მითითებულ გადაწყვეტილებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა შემდეგი: „34. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის პრინციპს და აცხადებს, „არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.“ აღნიშნული კონსტიტუციური დებულება საყოველთაოდ აღიარებული „ne bis in idem“ პრინციპის ხორცშესხმაა, რომელიც დეკლარირებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ეროვნულ დოკუმენტებში, მათ შორის, 1966 წლის საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მუხლი 14, პუნქტი 7) და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის №7 ოქმში (მუხლი 4). 35. აღნიშნული პრინციპი ერთი მხრივ, იცავს ინდივიდს ერთი და იმავე ქმედების გამო განმეორებითი სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდებისგან, მეორე მხრივ კი, ემსახურება სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესში მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებებით სახელმწიფო ორგანოების ბოჭვას. აღნიშნული პრინციპი სახელმწიფო ორგანოებს აკისრებს პასუხისმგებლობას სისხლისსამართლებრივი დევნის სათანადოდ განხორციელებისთვის, რადგან ხელისუფლების ორგანოები არ არიან უფლებამოსილი, წარუდგინონ პირს დამატებითი ან უფრო მძიმე ბრალდება იმ ქმედების გამო, რომლისთვისაც პირი

უკვე გასამართლებული იყო. შესაბამისად, კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს უმნიშვნელოვანეს გარანტიას ინდივიდების ხელისუფლების თვითნებობისგან დასაცავად, რამდენადაც უზრუნველყოფს, რომ თუ პირს ერთხელ დაეკისრება მსჯავრი და მოიხდის სასჯელს ან გამართლება კონკრეტული ქმედებისთვის, ის თავისუფალი უნდა იყოს შიშისგან, რომ ხელისუფლება იმავე ქმედების გამო კიდევ განახორციელებს მის მიმართ დევნას. 36. აღსანიშნავია, რომ განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის პრინციპიდან გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევები, როდესაც ქმედების გამო სამართალწარმოება შეიძლება განახლდეს ახლადგამოვლენილი ან აღმოჩენილი მტკიცებულებების გამო ან როდესაც გამოვლინდება სამართალწარმოების მნიშვნელოვანი ხარვეზები, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა სამართალწარმოების შედეგზე და რაც მისი ხელახლა დაწყების საფუძველს ქმნის ნათელი, განჭვრეტადი და წინასწარ მიღებული კანონმდებლობის საფუძველზე. თუმცა, აღნიშნული გამონაკლისების გარდა, განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის პრინციპი აბსოლუტურ და იმპერატიულ კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს. ერთი და იმავე ქმედებისთვის პირის განმეორებით მსჯავრდება წარმოადგენს პირის თავისუფლების ცალსახა უგულებელყოფას და ამრს უკარგავს სამართლებრივი სახელმწიფოს იმგვარ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორცაა სამართლის განჭვრეტადობა და კანონის გარეშე პასუხისმგებლობისა და დასჯის აკრძალვა. თუ პირს კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა ერთი ქმედებისთვის რამდენჯერმე შეიძლება დაეკისროს და ხელისუფლება არ იზღუდება ამ მიმართებით, იმპერატიული მოთხოვნა, რომ პირმა წინასწარ იცოდეს, რა სასჯელი დაეკისრება კონკრეტული ქმედებისთვის და შეეძლოს საკუთარი ქცევის შესაბამისად კონტროლი, თავისთავად ამრს მოკლებული ხდება. შესაბამისად, პირის განმეორებით მსჯავრდება არის კონსტიტუციის და მისი ფუნდამენტური პრინციპების მიუღებელი და უხეში დარღვევა, რომელიც არ შეიძლება ექვემდებარებოდეს გამართლებას რაიმე ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საბაბით. 37. განსახილველ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლო არ დგას კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტით დაცული სფეროს ამომწურავად განმარტების საჭიროების წინაშე.“

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ (2015 წლის 12 ოქტომბრის განაჩენი №67აპ-14 საქმეზე), საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების საფუძველზე, განმარტა შემდეგი: „სისხლის სამართლის პრინციპის – ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის აკრძალვა (ne bis in idem) წარმოადგენს კონსტიტუციურ და საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტს, რომლის მიზანია ერთი და იმავე დანაშაულისათვის პირის გასამართლების ან დასჯის თავიდან აცილება. საქმეზე „ოსტერლუნდი ფინეთის წინააღმდეგ“⁴⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გამოყოფს კრიტერიუმებს, რომლებიც უნდა შეფასდეს, ერთი და იმავე დანაშაულისათვის განმეორებით მსჯავრდების საკითხის გადაწყვეტისას, კერძოდ: 1. იყო თუ არა სანქცია/პროცედურები სისხლისსამართლებრივი ხასიათის; 2. იყო თუ არა ერთი და იგივე ის ქმედებები, რომლისთვისაც დაიწყეს მომჩივნის სისხლისსამართლებრივი დევნა; 3. არსებობდა თუ არა საბოლოო გადაწყვეტილება; 4. არსებობდა თუ არა სამართალწარმოების გამეორება (bis). მეორე კრიტერიუმთან (იყო თუ არა ერთი და იგივე ის ქმედებები, რომლისთვისაც დაიწყეს მომჩივნის სისხლისსამართლებრივი დევნა) მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მე-7 ოქმის მე-4 მუხლი კრძალავს სისხლისსამართლებრივ დევნას ან გასამართლებას ისეთი „მეორე დანაშაულისთვის,“ რომელიც გამომდინარეობდა იდენტური ან არსებითად მსგავსი ფაქტებიდან.“

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რომელიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლთან მიმართებაში განსხვავებულ მიდგომებს ითვალისწინებს.⁸ პირველი მიდგომა, რომელიც აქცენტს აკეთებს განმცხადებლის „ერთსა და იმავე ქმედებაზე“, დეტალურად აღწერილია გადაწყვეტილებაში – *Gradinger v. AUT*, 23.10.1995. აღნიშნულ საქმეზე განმცხადებელს ერთი და იმავე ქმედებისათვის ჯერ სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ დაედო მსჯავრი, შემდეგ კი, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ორი „დანაშაულის“ სახელწოდება, ხასიათი და მიზანი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა, სასამართლომ მე-7 ოქმის მე-4 მუხლის დარღვევა დაადგინა, რადგან განმცხადებლის მიერ მიღებული ორივე გადაწყვეტილება ეფუძნებოდა ერთსა და იმავე ქმედებას. ამით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ორმაგი საფრთხის პრინციპი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზეც გაავრცელა.

მეორე მიდგომა მომდინარეობს იმ წინაპირობიდან, რომ ბრალდებულის ქმედება, რომელმაც სისხლისსამართლებრივი დევნა გამოიწვია, ერთი და იგივეა, მაგრამ ეს ერთი და იგივე ქმედება შედგება რამდენიმე სამართალდარღვევისაგან, რომლებიც შეიძლება განცალკევებულ სასამართლო პროცესებზე იქნას განხილული. საქმეში – *Oliveira v. Switzerland*, 30.07.1998 მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ერთი და იმავე ავტოსაგზაო შემთხვევისთვის მოხდა მისი მსჯავრდება ავტომობილის მართვის წესის დარღვევისთვის და შედეგად, გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებისთვის, რითაც მე-7 ოქმის მე-4 მუხლი დაირღვა. თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ სახეზე იყო ერთი დანაშაულებრივი აქტი, რომელიც ორი სამართალდარღვევისგან შედგებოდა შესაბამისად, აღნიშნული ნორმა არ დარღვეულა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მართლმსაჯულების სათანადოდ ადმინისტრირების პრინციპებთან უფრო შესატყვისი იქნებოდა, თუ ორივე სამართალდარღვევისთვის სასჯელს იგივე სასამართლო ერთიანი სამართალწარმოების ფარგლებში განსაზღვრავდა. თუმცა, ის ფაქტი, რომ საქმისწარმოება ამგვარი პროცედურით არ წარიმართა, მოცემულ საქმეში გამომწყვეტი არ არის. ის გარემოება, რომ სხვადასხვა დანაშაულები მაშინაც კი, როდესაც ყველა ერთი დანაშაულებრივი ქმედების ნაწილია, სხვადასხვა სასამართლოშია განხილული, არ იწვევს მე-7 ოქმის მე-4 მუხლის დარღვევას.

მესამე მიდგომა ეფუძნება ორი დანაშაულის „ძირითად ელემენტებს.“ საქმეში *Franz Fischer v. Austria* (№37950/97) სასამართლომ დაადასტურა, რომ მე-7 ოქმის მე-4 მუხლი არ ეწინააღმდეგება დევნის განხორციელებას ერთი სისხლისსამართლებრივი ქმედებიდან წარმოშობილი რამდენიმე სამართალდარღვევის მიმართ. თუმცა, ვინაიდან ამ დებულებასთან წინააღმდეგობაში მოვიდოდა, თუ განმცხადებელს ხელმეორედ გაასამართლებდნენ ან დასჯიდნენ სამართალდარღვევებისთვის, რომლებიც მხოლოდ „ნომინალურად განსხვავდება ერთმანეთისგან,“ სასამართლომ დაადგინა, რომ მან დამატებით უნდა გამოიკვლიოს, ჰქონდა თუ არა ამ სამართალდარღვევებს ერთი და იგივე „ძირითადი ელემენტები.“

ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპი (*ne bis in idem*) დეტალურად არის განმარტებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში – *Zolotukhin v. Russia*, 10.02.2009, რომელიც შედარებით ახლებურ მიდგომას ითვალისწინებს. აღნიშნულ საქმეში განმცხადებელი მსჯავრდებული იყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართული სამართალდარღვევისთვის („წვრილმანი წესრიგის დარღვევის ქმედებისთვის“), რის შემდეგაც იგი დაექვემდებარა დამოუკიდებელ სისხლის სამართალწარმოებას

(„წესრიგის დარღვევის ქმედებისთვის“), იმავე ფაქტებთან დაკავშირებით. ne bis in idem პრინციპზე დაყრდნობით, განმცხადებლის საჩივრის განხილვის შემდეგ სასამართლომ დაასკვნა, რომ ორი სამართალდარღვევის სამართლებრივ მახასიათებლებზე დაფუძნებული მიდგომა მეტად შემზღუდავი იქნებოდა პირის უფლებებისთვის. შესაბამისად, მან დაადგინა, რომ მე-7 ოქმის მე-4 მუხლი კრძალავს მეორე „დანაშაულისთვის“ საქმის წარმოებას პროკურატურის თუ სასამართლოს მიერ მაშინ, როდესაც ქმედება წარმოიშვა იდენტური ფაქტებიდან ან არსებითად იმავე ფაქტებიდან.

ამ შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ იხელმძღვანელა ე. წ. „ენგელის კრიტერიუმების“ მიხედვით (Engel and others v. Netherlands, 09.06.76.), რათა გადაეწყვიტა, ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე განხორციელებული ადმინისტრაციული სამართალწარმოება, თავისი ბუნებით და ხასიათით, უტოლდებოდა თუ არა სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებას. საკითხის შეფასებისას, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გააანალიზა სამართალდარღვევის სიმძიმე, სამართალწარმოების ბუნება, გამოყენებული პასუხისმგებლობის სახისა და ზომის სიმკაცრის ხასიათი და ხარისხი.

„ენგელის კრიტერიუმების“ საქმის გარემოებებზე განვრცობისას, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ორი სამართალდარღვევის ფაქტობრივი მხარე არსებითად მსგავსი იყო მე-7 ოქმის მე-4 მუხლის მიზნებისთვის, შესაბამისად, ადგილი ჰქონდა ამ მუხლის დარღვევას, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი გაამართლეს მეორე სამართალწარმოების შედეგად, რადგან მე-4 მუხლი ვრცელდება უფლებებზე, პროკურატურამ ან სასამართლომ სისხლის სამართლის საქმე არ აწარმოოს ორჯერ. სასამართლომ მიიჩნია, რომ სამართლებრივად არადამაჯერებელია სხვადასხვა მიდგომების გამოყენება იმის დასამტკიცებლად, რომ დანაშაული, რომლის გამოც განმცხადებლის მიმართ დევნა ხორციელდება, მართლაც იგივეა, რისთვისაც იგი უკვე მსჯავრდებული ან გამართლებულია, რადგან ეს შეუთავსებელია ხელმეორედ გასამართლებისა ან დასჯისაგან დაცვის ძირითად უფლებასთან... საერთაშორისო დოკუმენტების ანალიზი, რომლებიც რაიმე ფორმით მოიცავს ne bis in idem პრინციპს, უჩვენებს, რომ ეს პრინციპი სხვადასხვა ტერმინით არის გამოხატული. ...ტერმინებს შორის განსხვავება, ერთი მხრივ, „ერთი და იგივე ქმედება“ ან „ერთი და იგივე საფუძველი“ (memes faits) და მეორე მხრივ, „ერთი და იგივე დანაშაული“ (memes inraction) ევროპის თანამეგობრობის მართლმსაჯულების სასამართლომ და ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულმა სასამართლომ დაადგინა, როგორც მნიშვნელოვანი ელემენტი ისეთი მიდგომის დასამტკიცებლად, რომელიც მკაცრად ეფუძნება მატერიალურ ქმედებათა ერთგვაროვნებას და უკუაგდება ასეთი აქტების სამართლებრივ კლასიფიკაციას. ამ დასკვნის საფუძველზე, ორივე სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი მიდგომა სასარგებლო იქნება სამართალდამრღვევისათვის, რომელსაც ეცოდინება, რომ დამნაშავედ აღიარებისა და სასჯელის მოხდის შემდეგ ან გამართლების შემთხვევაში, მას ხელმეორედ აღარ გასამართლებენ ერთი და იგივე ქმედებისათვის. ...სასამართლომ მიიჩნია, რომ მე-7 ოქმის მე-4 მუხლის ტექსტში სიტყვა „დანაშაულის“ გამოყენებით არ შეიძლება გამართლდეს უფრო მკაცრი მიდგომა... სასამართლომ ასევე აღნიშნა: მიდგომა, რომელიც ხაზს უსვამს ორი დანაშაულის სამართლებრივ კლასიფიკაციას, ძალზე ზღუდავს ინდივიდუალური პირის უფლებებს, რადგან თუ სასამართლო შემოიფარგლა იმის დადგენით, რომ პირი გასამართლეს სხვადასხვა კლასიფიკაციის მქონე სამართალდარღვევისათვის, მაშინ საფრთხის ქვეშ დადგება მე-7 ოქმის მე-4 მუხლით დაცული უფლება და იგი არ იქნება პრაქტიკული და ეფექტიანი, როგორც ამას კონვენცია მოითხოვს. ...შესაბამისად, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მე-7 ოქმის მე-4 მუხლი აღსაქმელია, როგორც „მეორე“

დანაშაულისათვის დევნის ან სამართალწარმოების განხორციელების აკრძალვა იმ ფარგლებში, რამდენადაც იგი წარმოიშობა იდენტური ან არსებითად ერთი და იმავე ფაქტებისაგან. მე-7 ოქმის მე-4 მუხლით დაცული უფლება რელევანტურია ახალი სისხლის სამართალწარმოების დასაწყისისას, როდესაც მანამდე მიღებული გამამტყუნებელ ან გამამართლებელ განაჩენს *res judicata* ძალა აქვს შექცენილი. ამასთან, არსებული მასალები უნდა მოიცავდეს დადგენილებას, რომლითაც დასრულდა პირველი „სისხლის სამართალწარმოება“ და განმცხადებლისთვის ახალი სამართალწარმოებისას წაყენებულ ბრალდებათა ნუსხა შეიცავს იმ დანაშაულის ფაქტების აღწერას, რომლისთვისაც განმცხადებელი უკვე გასამართლებულია. სასამართლოს ამრიგად, ფაქტების ასეთი სახით წარმოდგენა კარგი საწყისი წერტილია, რომ დადგინდეს, არის თუ არა იდენტური ან არსებითად ერთი და იგივე ორივე სამართალწარმოების ფაქტები. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მნიშვნელობა არა აქვს, შემდგომ სამართალწარმოებაზე ახალ ბრალდებათა რომელი ნაწილი იქნა დადასტურებული ან უკუგდებული, რადგან მე-7 ოქმის მე-4 მუხლი იცავს ინდივიდს ხელახალი გასამართლებისაგან ან ხელახალი გასამართლების ვალდებულებისაგან და არ კრძალავს მხოლოდ პირის ხელმეორედ მსჯავრდებას ან გამართლებას... აქედან გამომდინარე, სასამართლოს მოკვლევა ორიენტირებული უნდა იყოს ფაქტებზე – კონკრეტული საქმის გარემოებათა ერთობლიობაზე, რომელთა ჩადენაშიც მას ბრალი ედება და მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული დროსა და სივრცეში... ფაქტები, რომლებმაც განმცხადებლის ადმინისტრაციული ბრალდებები წარმოშვა, დაკავშირებული იყო საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასთან. მან უშვერი სიტყვებით მიმართა პოლიციის ოფიცერს, ქალბატონ „Y“-ს და კაპიტან „S“-ს და ამ უკანასკნელს ხელი ჰკრა. იმავე ფაქტებს დაეყრდნო სისხლის სამართლის კოდექსის 213-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდება, რომლის შესაბამისადაც, განმცხადებელმა დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი ბილწსიტყვაობით, კაპიტან „S“-ის ძალადობრივი დაშინებით და მისთვის წინააღმდეგობის გაწევით. ამრიგად, პროცესების ორი წყება ერთმანეთისგან განსხვავდებოდა მხოლოდ ერთი ელემენტით, კერძოდ, ძალადობრივი დაშინებით, რომელიც პირველ პროცესზე ნახსენები არ იყო. შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ სისხლისსამართლებრივი ბრალდება 213-ე მუხლის მე-2 პუნქტის (b) ქვეპუნქტის საფუძველზე, მოიცავდა სამართალდარღვევის ფაქტებს, რომლებიც მთლიანად გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 158-ე მუხლით, ხოლო „საზოგადოებრივი წესრიგის მცირე დარღვევის“ დანაშაული არ მოიცავს არანაირ ელემენტს, რომელიც არ არის გათვალისწინებული „საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის“ დანაშაულში. აქედან გამომდინარე, ამ ორი „დანაშაულის“ ფაქტები მე-7 ოქმის მე-4 მუხლის მიზნებისთვის უნდა შეფასდეს, როგორც არსებითად ერთი და იგივე. მოცემულ საქმეში 2002 წლის 4 იანვრის ადმინისტრაციული გადაწყვეტილება დაბეჭდილი იყო სტანდარტულ ფორმაზე, რომელზეც მითითებული იყო, რომ იგი გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა და რომ დაუყოვნებლივ შედიოდა ძალაში. ... თუმცა, იგი კიდევ რომ დაქვემდებარებოდა გასაჩივრებას, მისი მიღებიდან ათი დღის ვადაში, როგორც ამას მთავრობა ამტკიცებდა, მან *res judicata* ძალა შეიძინა ამ ვადის გასვლის შემდეგ. მხარეებისთვის სამართლებრივი დაცვის რაიმე სხვა საშუალება არ არსებობდა. აქედან გამომდინარე, 2002 წლის 15 იანვრისათვის ადმინისტრაციული გადაწყვეტილება იყო „საბოლოო“ – კონვენციის დებულების ავტონომიური მნიშვნელობით, მაშინ, როდესაც სისხლის სამართალწარმოება 2002 წლის 23 იანვარს დაიწყო... სასამართლომ მიუთითა, რომ მე-7 ოქმის მე-4 მუხლი იცავს არა ხელმეორედ დასჯისაგან, არამედ იგი იცავს პირს ხელმეორედ დევნისა და გასამართლებისაგან... მე-7 ოქმის მე-4 მუხლი გამოიყენება მაშინაც, როდესაც პირი სისხლის სამართლის წესით გასამართლდა,

მაგრამ მსჯავრი არ დაედო. მე-7 ოქმის მე-4 მუხლი მოიცავს სამ განსხვავებულ უფლებას და უზრუნველყოფს, რომ დაუშვებელია სისხლის სამართლის წესით პირის ხელმეორედ (i) გასამართლება (ii) ან დასჯა (iii) იმ დანაშაულისათვის, რომელთან მიმართებითაც, საბოლოო გადაწყვეტილებით, ის ერთხელ უკვე გამართლდა ან მსჯავრი დაედო... მოცემულ საქმეში განმცხადებელს საბოლოოდ მსჯავრი დაედო საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის უმნიშვნელო ქმედების ჩადენისათვის და მან მოიხადა მისთვის შეფარდებული სასჯელი. ამის შემდეგ მას ბრალდება წაუყენეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მუხლით და წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. პროცესი ათ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელს მოუწია გამოძიებასა და სასამართლო პროცესში მონაწილეობა. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ შემდგომ იგი ამ ბრალდებაში გაამართლეს, არ უკავშირდება მის საჩივარს, რომ ამ ბრალდებისთვის განმცხადებლის მიმართ ორჯერ განხორციელდა დევნა და იგი ორჯერ გასამართლდა... ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 213-ე მუხლის მე-2 პუნქტის (b) ქვეპუნქტის საფუძველზე წარმოებული სისხლის სამართალწარმოება ეხებოდა ძირითადად, იმავე დანაშაულს, რომლის ჩადენისთვისაც იგი უკვე იყო მსჯავრდებული – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 158-ე მუხლის საფუძველზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებით. აქედან გამომდინარე, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დაირღვა მე-7 ოქმის მე-4 მუხლი.

საქმეში *Österlund v. Finland*, 53197/13, 10.02.2015 მომჩივანი მიუთითებდა, რომ დაირღვა მე-7 ოქმის მე-4 მუხლი, რადგან სახელმწიფო ორგანოებმა მისი კომპანიის შემოწმების შემდეგ, გადასახადების გადახდასთან დაკავშირებით, მას დააკისრეს ჯარიმა, ფინეთის პოლიციამ კი, დაიწყო მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა. ამ საკითხის ირგვლივ სასამართლომ იმსჯელა ოთხ ძირითად ასპექტზე: 1. წარმოადგენდა თუ არა საგადასახადო ჯარიმის დაწესება სისხლისსამართლებრივი ბუნების სანქციას, რისთვისაც სასამართლომ გამოიყენა „ენგელის კრიტერიუმები“ (1. სამართალდარღვევის კლასიფიკაცია ეროვნული სამართლის მიხედვით; 2. სამართალდარღვევის უშუალო ბუნება და 3. სასჯელის სიმძიმის ხარისხი, რომელიც შეიძლება დაეკისროს პირს). პირველ კრიტერიუმთან მიმართებით, სასამართლომ მიუთითა, რომ ფინეთის კანონმდებლობის მიხედვით, საგადასახადო ჯარიმა იყო არა სისხლისსამართლებრივი ბუნების, არამედ – ფისკალური რეჟიმის ნაწილი. უფრო მნიშვნელოვანია სამართალდარღვევის ბუნება. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანს ჯარიმა დააკისრეს იმ ზოგადი წესების მიხედვით, რომლებიც ვრცელდებოდა გადასახადის ყველა გადამხდელზე. ჯარიმის მიზანი იყო არა კომპენსაცია, არამედ – იმავე ქმედების განხორციელების პრევენცია და ატარებდა სადამსჯელო ხასიათს. სასამართლომ დაადგინა, რომ ამ გარემოების გამო მომჩივნის ქმედება იყო სისხლისსამართლებრივი ბუნების. რაც შეეხება მესამე კრიტერიუმს, სასამართლომ მნიშვნელობა არ მიანიჭა მისი სიმძიმის დაბალ ხარისხს და დაადგინა, რომ საგადასახადო ჯარიმის დაკისრება იყო „სისხლისსამართლებრივი“ სანქცია მე-7 ოქმის მე-4 მუხლის მიზნებისთვის; 2. იყო თუ არა ერთი და იგივე ის ქმედება, რომლისთვისაც დაიწყო მომჩივნის სისხლისსამართლებრივი დევნა? – სასამართლომ ჩათვალა, რომ მე-7 ოქმის მე-4 მუხლი კრძალავდა სისხლისსამართლებრივ დევნას ან გასამართლებას ისეთი „მეორე დანაშაულისთვის“, რომელიც გამომდინარეობდა იდენტური ან არსებითად მსგავსი ფაქტებიდან. მოცემულ საქმეში, მომჩივნის სისხლისსამართლებრივ დევნასა და მისთვის ჯარიმის დაკისრებას საფუძველად დაედო ერთი და იგივე ფაქტები, კერძოდ, მომჩივნის მიერ 2001-2003 წლების შემოსავლების დამალვა საგადასახადო ორგანოებისთვის. სასამართლომ

დაადგინა, რომ მომჩივნის მიმართ დაწყებული სამართალწარმოებები ეფუძნებოდა იდენტურ და არსებითად მსგავს ფაქტებს; 3. არსებობდა თუ არა საბოლოო გადაწყვეტილება? – სასამართლომ განმარტა, რომ მე-7 ოქმის მე-4 მუხლი კრძალავს ისეთ სისხლის სამართალწარმოებას, რომლის ფარგლებშიც გამოტანილია „საბოლოო“ გადაწყვეტილება. საბოლოო გადაწყვეტილებაში იგულისხმება ისეთი გადაწყვეტილებები, რომელთა გადახედვა შეუძლებელი ხდება ჩვეულებრივი საპროცესო მოქმედებებით (გასაჩივრება, ხანდაზმულობის გაშვება) და აქ არ მოიაზრება საქმის თავიდან განხილვა, მაგალითად, ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო და ა. შ. განსახილველ საქმეში, სისხლის სამართლებრივი წარმოება საბოლოო გადაწყვეტილებით დასრულდა 2010 წელს, როცა უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება; 4. არსებობდა თუ არა სამართალწარმოებების გამეორება (bis)? – სასამართლოს განმარტებით, მე-7 ოქმის მე-4 მუხლი კრძალავს არა მხოლოდ ორჯერ დასჯას, არამედ – ორჯერ გასამართლებასა და სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას. ეს მუხლი აშკარად კრძალავს იმ შემთხვევას, როცა პირველი სამართალწარმოება დასრულდა „საბოლოო“ გადაწყვეტილებით და ამის შემდეგ იწყება მეორე სამართალწარმოება იმავე ფაქტებზე, თუმცა, ეს აკრძალავს არ ვრცელდება პარალელურ და კონკურენტულ სამართალწარმოებებზე. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, იმ შემთხვევებში, როცა სხვადასხვა ორგანოებმა გამოიყენეს სხვადასხვა სანქციები დამოუკიდებელი სამართალწარმოებების შედეგად, ეს არ არღვევდა მე-7 ოქმის მე-4 მუხლს, რადგან ამ ორგანოების გადაწყვეტილებებს შორის არსებობდა საკმარისი კავშირი მათი მიღების დროისა და საქმის არსის გათვალისწინებით. ფინეთის სამართლებრივ სისტემაში სისხლის სამართლებრივი და ადმინისტრაციული სანქციების დაწესება ხდება სხვადასხვა ორგანოების მიერ, რომელთა განხორციელებულ სამართალწარმოებებს შორის არ არსებობს კავშირი. ეს ორგანოები მოქმედებენ მხოლოდ საკუთარი წესების მიხედვით და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. მომჩივნის საქმეში განსახილველი ორი სახის სამართალწარმოება მიმდინარეობდა ერთმანეთის კონკურენტულად, 2010 წლამდე, როცა სისხლის სამართლებრივი სამართალწარმოება დასრულდა, მაგრამ გრძელდებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოება ჯარიმასთან დაკავშირებით. ამის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლი, რადგან მომჩივანი ორჯერ იქნა მსჯავრდებული ერთი და იმავე ქმედებისთვის ორ დამოუკიდებელ სამართალწარმოებაში.

საქმეში *Boman v. Finland*, 41604/11, 17.02.2015, მომჩივანს ბრალი წარედგინა სერიოზული სატრანსპორტო საფრთხის შექმნისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების მოწმობის გარეშე მართვის გამო 2010 წლის 26 მაისს. ჯარიმის დაკისრების გარდა, საოლქო სასამართლომ, პროკურატურის მოთხოვნისამებრ, მომჩივანს ავტომობილის მართვა 4 სექტემბრამდე აუკრძალა. 2010 წლის 28 მაისს მომჩივანს პოლიციამ ავტომობილის მართვის ახალი აკრძალვა დაუდგინა, რომელიც სასამართლოს მიერ დადგენილ აკრძალვის დროს ახანგრძლივებდა. მომჩივანმა ადმინისტრაციულ სასამართლოს ერთი და იმავე საქმეზე ორჯერ დასჯის გამო მიმართა. ის მე-7 ოქმის მე-4 მუხლს იწველიებდა. ადმინისტრაციულმა სასამართლომ მისი მიმართვა არ დააკმაყოფილა და განაცხადა, რომ მომჩივანს სასამართლოს მიერ დადგენილი აკრძალვა სატრანსპორტო საფრთხის გამო შეეფარდა, ხოლო პოლიციის მიერ დადგენილი აკრძალვა მართვის მოწმობის არქონიდან გამომდინარეობდა და შესაბამისად, მომჩივანი ერთი და იმავე საქმეზე ორჯერ არ დასჯილა. მან გადაწყვეტილება უზენაეს ადმინისტრაციულ სასამართლოში გაასაჩივრა, რომელმაც ადმინისტრაციული სასამართლოს

გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უპირველეს ყოვლისა, აღნიშნა, რომ საოლქო სასამართლოს მიერ დაკისრებული აკრძალვა ცალსახად სისხლისსამართლებრივია, ხოლო რაც შეეხება პოლიციის მიერ დაკისრებულს, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სამი კრიტერიუმი („ენგელის კრიტერიუმები“) – 1. მისი ადგილი შიდა კანონმდებლობაში; 2. სამართალდარღვევის ბუნება; 3. სასჯელის სიმკაცრის დონე. სასამართლომ მიიჩნია, რომ პოლიციის მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში გამოცემული მეორე აკრძალვა, მე-7 ოქმის მე-4 მუხლის მიზნებისათვის სისხლისსამართლებრივად უნდა იქნას მიჩნეული. გარდა ამისა, სასამართლომ ჩათვალა, რომ ორივე აკრძალვა ერთი და იმავე ფაქტიდან გამომდინარეობს, კერძოდ, მომჩივნის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების ტარებიდან. ფინეთის კანონმდებლობით ავტო-ტრანსპორტის მართვის აკრძალვა არის როგორც ადმინისტრაციული ზომა, ასევე – სისხლისსამართლებრივი სანქცია. ფინეთის კანონმდებლობით ასეთი ადმინისტრაციული აკრძალვის დაწესება თავის თავში გულისხმობს, რომ უწინ პირი ავტოსატრანსპორტო ან მართვის მოწმობის გარეშე ტრანსპორტის მართვის გამო დამნაშავედ იქნა ცნობილი. შესაბამისად, რადგან ამ შემთხვევაში, შიდა კანონმდებლობის მიხედვით ეს ორი სახის სამართალწარმოება (სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული) ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, მე-7 ოქმის მე-4 მუხლის მიზნებისთვის ისინი ერთ პროცედურად უნდა იქნას მიჩნეული. აქედან გამომდინარე, დაირღვა მე-7 ოქმის მე-4 მუხლი.

საქმეში *Kiiveri v. Finland*, 53753/12, 10.02.2015, მომჩივანი იყო კომპანიის დირექტორი და კომპანიის აქციების 90 პროცენტს ფლობდა. 2005 წელს მის კომპანიაში საგადასახადო შემოწმება ჩატარდა და გადასახადების დამალვისა და თაღლითობის ფაქტები გამოვლინდა. 2008 წლის 8 სექტემბერს საგადასახადო ორგანოებმა, როგორც მომჩივანს, ისე კომპანიას, 2002–2006 საგადასახადო წლებთან დაკავშირებით დამატებითი საშემოსავლო გადასახადი და ჯარიმა დააკისრეს. საგადასახადო საკითხებთან მიმართებით გასაჩივრების ვადა, იმ საგადასახადო წლის მომდევნო კალენდარული წლის დასაწყისიდან ხუთი წლის განმავლობაში მოქმედებდა, რომელთან დაკავშირებითაც დამატებითი გადასახადი ან ჯარიმა იქნა დაკისრებული. მაგალითად, 2002 წლის შემთხვევაში გასაჩივრების ვადა 2008 წლის 31 დეკემბერს იწურებოდა. მომჩივანმა აღნიშნული გადაწყვეტილება არ გაასაჩივრა და შესაბამისად, დაკისრებული თანხების დაყადაღება განხორციელდა. 2009 წელს, პროკურატურამ მომჩივნის წინააღმდეგ საქმე ორი მიმართულებით აღძრა. პირველი საქმე 2000–2006 წლებში კომპანიის დირექტორის პოზიციაზე საბუღალტრო დანაშაულს ეხებოდა, ხოლო მეორე 2000–2003 და 2005–2006 წლებში საგადასახადო თაღლითობას – მომჩივნის შემოსავლების შესახებ დეკლარაციის შეუვსებლობასა და შესაბამისად, ნაკლები გადასახადის გადახდას. ტამპერეს საოლქო სასამართლომ მომჩივანი ორივე ბრალდებაში დამნაშავედ ცნო და სამწლიანი პატიმრობა და კომპენსაციის გადახდა მიუსაჯა. 2010 წელს, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ, ამ უკანასკნელმა აღნიშნა, რომ 2009 წელს წარდგენილ, 2003–2006 წლებთან მიმართებით არსებულ ბრალდებებთან დაკავშირებით *ne bis in idem* პრინციპის საკითხი არ იდგა, ხოლო 2012 წელს, საქმის უზენაეს სასამართლოში გასაჩივრებისას, უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ რადგან 2009 წელს, ბრალდების წარდგენისას, გარკვეულ წლებთან მიმართებით გასაჩივრების ვადა კვლავ მოქმედებდა, *ne bis in idem* პრინციპის საკითხი არ უნდა განხილულიყო. მომჩივანი კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლის შესაბამისად დავობდა, რომ ორჯერ გაასამართლეს და დასაჯეს. ის ამბობდა, რომ თავდაპირველად, საგადასახადო ჯარიმის გადახდა

დააკისრეს, ხოლო შემდგომ იმავე ფაქტების საფუძველზე დამნაშავედ ცნეს და დააპატიმრეს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამ საკითხთან დაკავშირებით იმსჯელა 4 საკითხზე: 1. იყო თუ არა სამართალწარმოებები სისხლისსამართლებრივი (idem). სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართალწარმოების ბუნება მხოლოდ შიდა კანონმდებლობაზე დაყრდნობით არ უნდა დადგინდეს, რადგან ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფოს ne bis in idem პრინციპთან მიმართებით ერთპიროვნული დისკრეცია მიეცემოდა. სასამართლომ ცნობილ „ენგელის კრიტერიუმებზე“ მიუთითა, რომელთა მიხედვითაც, გათვალისწინებულ უნდა იქნას შიდა კანონმდებლობაში სამართალდარღვევის ადგილი, სამართალდარღვევის ბუნება და მისი სიმკაცრე იმ პირობით მიმართებით, რომელსაც შესაძლოა, რომ იგი დაეკისროს. აქედან გამომდინარე, მართალია ჯარიმა ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნაწილი იყო, მაგრამ სასამართლოს ხედვით, ამ შემთხვევაში მისი ბუნება უფრო დიდი მნიშვნელობის არის. გარდა ამისა, სასამართლოს აზრით, რადგან ჯარიმა პირის დასჯის და მის მიერ სამართალდარღვევის ხელშეწყობაზე ჩადენის პრევენციისკენ იყო მიმართული, მცირე ოდენობის მიუხედავად, ის სისხლისსამართლებრივად უნდა ჩაითვალოს; 2. ერთი და იგივე იყო თუ არა ჩადენილი სამართალდარღვევები, რომლებთან დაკავშირებითაც მომჩივანი იღვევებოდა (bis). სასამართლომ მომჩივნისათვის საგადასახადო ორგანოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში დაკისრებულ ჯარიმასა და საგადასახადო სისხლის სამართალწარმოებისას მისი დამნაშავედ ცნობის შესახებ არსებული ფაქტების იდენტურობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ბიზნესით დაკავებული პირის ვალდებულებაა საბუღალტრო წიგნაკის წარმოება, ხოლო აღნიშნულის არასრულყოფილად ან სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მან საგადასახადო ორგანოს შესაბამისი ინფორმაცია შემდგომში უნდა მიაწოდოს. აქედან გამომდინარე, საბუღალტრო დანაშაული და საგადასახადო ჯარიმო სამართალდარღვევა საკმაოდ შორს დგას ერთმანეთისაგან, იმ დასკვნის გამოსატანად, რომ ეს სამართალწარმოებები ერთი და იგივე ან არსებითად მსგავსი ფაქტებიდან არ გამომდინარეობდა. რაც შეეხება მომჩივნის მხრიდან მათ შორის, 2001–2002 წლებში პირადი ცხოვრების ფარგლებში განხორციელებულ საგადასახადო თაღლითობის შესახებ ბრალდებას, საგადასახადო ჯარიმასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებას ამ წლებთან შემხებლობა არ ჰქონია და შესაბამისად, იდენტური ფაქტებიდანაც არ წარმოშობილა, ხოლო 2003–2006 წლებთან მიმართებით სასამართლო მხარეებს დაეთანხმა, რომ ჯარიმასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალწარმოება და მომჩივნის წინააღმდეგ პირადი ცხოვრების ფარგლებში ჩადენილი საგადასახადო თაღლითობის შესახებ სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება ერთი და იმავე ფაქტებიდან გამომდინარეობდა; 3. არსებობდა თუ არა საბოლოო გადაწყვეტილება. მომჩივანმა 2008 წლის 8 სექტემბრის ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები დამატებითი დაბეგვრისა და ჯარიმის დაკისრების შესახებ არ გაასაჩივრა და ჩვეულებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებები არ ამოწურა. მეორე მხრივ, საგადასახადო თაღლითობასთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით საბოლოოდ იქნა ცნობილი; 4. მოხდა თუ არა სამართალწარმოების ორჯერ განხორციელება (bis). სასამართლომ აღნიშნა, რომ მე-7 ოქმის მე-4 მუხლი ცალსახად კრძალავს მეორე სამართალწარმოების დაწყებას, პირველი სამართალწარმოების საბოლოოდ ცნობის მომენტიდან. რაც შეეხება პარალელურ სამართალწარმოებას, ეს მუხლი არ კრძალავს სხვადასხვა კონკურენტული სამართალწარმოების განხორციელებას და ამგვარ შემთხვევებში, არ შეიძლება ითქვას, რომ მომჩივანი „იმ დანაშაულის გამო, რომელიც

მას საბოლოოდ შეეფარდა“ სისხლისსამართლებრივად რამდენჯერმე იდევნებოდა. სასამართლოს თქმით, თუ პარალელური სამართალწარმოებისას პირველი მათგანი დასრულდა და საბოლოოდ იქნა ცნობილი, მეორე უნდა შეწყდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს კონვენციის დარღვევად ჩაითვლება.⁹ სასამართლოს განცხადებით, ფინური კანონმდებლობის მიხედვით, საგადასახადო დეკლარაციაში შემოსავლის შესახებ ინფორმაციის მიუთითებლობის შემთხვევაში, სანქციას მომჩივანზე დაკისრებული სისხლისსამართლებრივი სასჯელი და საგადასახადო ჯარიმა ქმნის, თუმცა, მათი დაკისრება სხვადასხვა ორგანოს მიერ ხდება და სამართალწარმოებები ერთმანეთთან კავშირში არ არის. ორივე სამართალწარმოების მიმდინარეობა სხვადასხვანაირად არის განსაზღვრული და საბოლოოდ, ძალაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შედიან. ამის გათვალისწინებით, აღნიშნული საქმე ორ პარალელურ და განცალკევებულ სამართალწარმოებას ეხება. 2003 და 2005 წლებთან დაკავშირებულ საგადასახადო ჯარიმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით კი, სასამართლომ აღნიშნა, რომ მათი სამართალწარმოება, შესაბამისობის დაცვით, 2009 და 2011 წლების 31 დეკემბერს დასრულდა, ხოლო მეორე ანუ სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება, 2009 წელს დაიწყო და არ უნდა გაგრძელებულიყო 2012 წლის 27 თებერვლამდე, არამედ ჯერ კიდევ, 2011 წლის 31 დეკემბერს უნდა შემწყდარიყო, რადგან პირველი სწორედ ამ დროს დასრულდა. აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა მე-7 ოქმის მე-4 მუხლი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უახლესი პრეცედენტული გადაწყვეტილებების გაანალიზებისა და შეფასების საფუძველზე, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ორმაგი დასჯის აკრძალვის ფუნდამენტური პრინციპი (ne bis in idem) ვრცელდება როგორც იმ შემთხვევებზე, როდესაც პირი ბრალდებული ან მსჯავრდებულია ორჯერ ერთი და იმავე დანაშაულისათვის, ასევე, შემთხვევებზეც, როდესაც პირის პასუხისმგებლობა დადგა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რის შემდეგაც მას იდენტური ან არსებითად მსგავსი ფაქტების საფუძველზე ბრალდება წარედგინა სისხლისსამართლებრივი წესით. ამდენად, სამართალდამცავი ორგანოების მიერ სამართალდარღვევის „ადმინისტრაციულად“ დაკვალიფიცირება არ გამორიცხავს მე-7 ოქმის მე-4 მუხლის მოქმედებას. ასეთ შემთხვევებში, ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა იხელმძღვანელონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ე. წ. „ენგელის კრიტერიუმებით“ (Engel and others v. Netherlands, 09.06.76.) იმისათვის, რათა გადაწყვიტონ, ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე განხორციელებული ადმინისტრაციული სამართალწარმოება თავისი ბუნებით და ხასიათით უტოლდება თუ არა სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებას. საკითხის შეფასებისას, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს სამართალდარღვევის სიმძიმე, სამართალწარმოების ბუნება, პასუხისმგებლობის სახისა და ზომის სიმკაცრის ხასიათი და ხარისხი.

ჩვენი აზრით, ასეთ შემთხვევაში, მოსამართლე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების გამოყენებისას, განსაკუთრებით, წინასასამართლო სხდომის ეტაპზე (ისევე როგორც ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისას), შესაძლოა დადგეს განმეორებითი სამართალწარმოებისა და დასჯის აკრძალვის ფუნდამენტური პრინციპის რეალური განხორციელების პრობლემის წინაშე, რამდენადაც ბუნდოვანია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი და 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი უზრუნველყოფს თუ არა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტით დეკლარირებული საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის – ne bis in idem სრულყოფილი განხორციელების საშუალებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ნორმების ტრილში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ შეიძლება პირს წაეყენოს ბრალი ან/და დაედოს მსჯავრი იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც იგი ერთხელ უკვე გამართლებულ ან მსჯავრდებულ იქნა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი იმავე ბრალდების გამო ან/და სასამართლოს განჩინება იმავე ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე.

საპროცესო კანონის ზემოაღნიშნული ნორმები, მათი ნორმატიული შინაარსიდან და საკანონმდებლო კონსტრუქციის თავისებურებიდან გამომდინარე, იძლევა მხოლოდ სიტყვასიტყვითი განმარტების შესაძლებლობას და აშკარაა, რომ ისინი კრძალავენ მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დამნაშავედ ცნობილი ან გამართლებული პირის სისხლის სამართლის წესით განმეორებით მსჯავრდებას, ასევე, იმ პირის სისხლისსამართლებრივ დევნას, რომლის მიმართაც იმავე ბრალდების გამო სასამართლოს მიღებული აქვს განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე. ამგვარი დასკვნის საფუძველს იძლევა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-14 და მე-15 ნაწილები, რომელთა თანახმადაც, განაჩენი, ეს არის პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ბრალდებულს ცნობს დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში ან ამართლებს მას, განჩინება კი – სასამართლოს გადაწყვეტილება (განაჩენის და განკარგულების გარდა) ნებისმიერ საკითხზე; აგრეთვე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი წინადადება, რომლის მიხედვითაც, დანაშაული, ეს არის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი და ამავე კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი უშვებს თეორიულ შესაძლებლობას, პირი დაექვემდებაროს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას, რომლის საფუძველზე მიღებული „საბოლოო“ გადაწყვეტილების შემდეგაც, მას „იდენტური ან არსებითად მსგავსი“ ქმედებისათვის განმეორებით დაედოს მსჯავრი უკვე სისხლის სამართლის წესით, მაშინ, როდესაც საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტი, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლით გარანტირებული ne bis in idem ფუნდამენტური პრინციპის მიზნებიდან გამომდინარე, ამგვარ შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, დასახელებული კონსტიტუციური ნორმა აბსოლუტური ხასიათისაა და არავითარ გამონაკლისს არ ითვალისწინებს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით (2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებასთან დაკავშირებით), „34. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტი ...საყოველთაოდ აღიარებული ne bis in idem პრინციპის ხორცშესხმაა, რომელიც დეკლარირებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ეროვნულ დოკუმენტებში, მათ შორის, 1966 წლის საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მუხლი 14, პუნქტი 7) და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის №7 ოქმში (მუხლი 4).“ ანალოგიური მიდგომაა განვითარებული დოქტრინალური განმარტებითაც, რომლის მიხედვით, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტში მოცემული ne bis in idem პრინციპის

ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის მიხედვით, რომელიც მოქმედებს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის.¹⁰ ამდენად, აღნიშნული კონსტიტუციური დებულების პრაქტიკული გამოყენება უნდა დაეფუძნოს სწორედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებულ განმარტებებს. თუმცა, მიუხედავად ამისა, *ne bis in idem* პრინციპის ამსახველი ადეკვატური საპროცესო ნორმების არარსებობამ შესაძლოა სასამართლო პრაქტიკაში გარკვეული ხარვეზები გამოიწვიოს, საბოლოოდ კი, ეჭვქვეშ დადგეს სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური უფლებით ეფექტიანი სარგებლობის საკითხი, რამდენადაც პირის წინააღმდეგ წარმოებული მართლმსაჯულების ღონისძიებები – ბრალდება და პასუხისმგებლობის დაკისრება უნდა განხორციელდეს თანამედროვე, ადეკვატური სტანდარტების შესაბამისად, რომლის საფუძველზეც მხარეები უნდა აღიჭურვონ სრულყოფილი, წინასწარგანჭვრეტადი და მკაფიოდ ფორმულირებული საპროცესო გარანტიებით.

საკითხის ნათლად წარმოჩენისათვის, მნიშვნელოვანია ამ მიმართებით საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ადმინისტრაციული ნორმების ანალიზი:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება, თუ დარღვევა თავისი ხასიათით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევს (ასკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი). ამასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს საქმის წარმოების დაწყების დაუშვებლობას და დაწყებული საქმის შეწყვეტის ვალდებულებას იმავე ფაქტზე პირის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ კომპეტენტური ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილების, აგრეთვე იმავე ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის არსებობის შემთხვევაში (232-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-8 ქვეპუნქტი). თუმცა, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შემთხვევაში, როდესაც ქმედება შეიცავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნიშნებს, შეიძლება დადგეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მკაცრად განსაზღვრულ ერთთვიან ვადაში (38-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი ზემოაღნიშნული დანაწესი ცალსახად გამორიცხავს ერთი და იგივე ქმედებისათვის ორმაგი დასჯის შესაძლებლობას (პასუხისმგებლობას ე. წ. „ორი სამართლით“). თუმცა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ამგვარ აკრძალვას („იდენტური ან არსებითად მსგავსი“ ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის სისხლისსამართლებრივი წესით გასამართლებისა და მსჯავრდების აკრძალვას) არ ითვალისწინებს. საქართველოს სისხლის სამართლის ზემოაღნიშნული პროცესუალური ნორმები იმდენად ვიწრო და მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებს აწესებს, რომ კონკრეტული საქმის განხილვისას, მოსამართლეს მათი განვრცობითი განმარტების შესაძლებლობა პრაქტიკულად არ ეძლევა, თუმცა, რა თქმა უნდა, მოსამართლეს სრული უფლება აქვს და ვალდებულიც არის, იხელმძღვანელოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლის ნორმებით. მიუხედავად ამისა, საპროცესო ნორმების მოქმედი ფორმულირებით არსებობამ შესაძლოა გამოიწვიოს სამართალწარმოების მნიშვნელოვანი ხარვეზები, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საბოლოო შედეგზე.

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია იდენტური ან არსებითად მსგავსი ფაქტებისა და მტკიცებულებების საფუძველზე სამართალწარმოების ხელახლა დაწყებისა თუ განმეორებითი დასჯის აკრძალვის პრაქტიკული განხორციელების გარანტიები უზრუნველყოფილ იქნას განჭვრეტადი, ნათელი და წინასწარ მიღებული კანონმდებლობის საფუძველზე, რათა პირს შეეძლოს საკუთარი ქცევის კონტროლი და წინასწარ იცოდეს, რა პასუხს მიიღებს სახელმწიფოსაგან კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისათვის. პირის განმეორებითი გასამართლება და დასჯა არის კონსტიტუციისა და მისი ფუნდამენტური პრინციპებისათვის მიუღებელი და უხეში დარღვევა, რომელიც არ შეიძლება ექვემდებარებოდეს გამართლებას რაიმე ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საბაბით.¹¹

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არსებული ზემოაღნიშნული სამართლებრივი ბარიერების პრაქტიკული კუთხით, სრულყოფილად წარმოჩენისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ერთ-ერთი მაგალითი:

მიღებული შეტყობინების საფუძველზე, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები გამოცხადდნენ ერთ-ერთი საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას, ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფი მამაკაცი, სახის არეში ხელის დარტყმით, ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა, უცნაურ სიტყვებით უყვიროდა და ავინებდა ქალს, რითაც არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს და მოქალაქეთა სიმშვიდეს. მიუხედავად პოლიციის თანამშრომელთა არაერთი მოწოდებისა, იგი არ დაემორჩილა სამართალდამცავთა კანონიერ მოთხოვნას, შეეწყვიტა უკანონო ქმედება, გახდა უფრო აგრესიული და წინააღმდეგობა გაუწია მათ, რის შემდეგაც დაკავებულ იქნა ადმინისტრაციული წესით. იმავე დღეს მამაკაცის მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე და 166-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ნიშნებით და პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის გადასაწყვეტად იგი იმავე დღეს წარედგინა სასამართლოს.

სასამართლოს დადგენილებით, მამაკაცი ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად წვრილმანი ხულიგნობისა (ასკ-ის 166-ე მუხლი) და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისათვის (ასკ-ის 173-ე მუხლით) და ადმინისტრაციული სახდელის სახით განესაზღვრა ადმინისტრაციული პატიმრობა 3 (სამი) დღე-ღამის ვადით.

სასამართლოს აღნიშნული დადგენილება არ გასაჩივრებულა და შევიდა კანონიერ ძალაში, ხოლო სამართალდამრღვევმა დანიშნული სახდელი სრულად მოიხადა. სახდელის მოხდიდან ორ თვეში, მამაკაცს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხულიგნობისათვის. ბრალდებას საფუძველად დაედო აბსოლუტურად იდენტური ფაქტები და მტკიცებულებები, კერძოდ, შესაბამის დადგენილებაში, ბრალდებულის ფორმულირებისას, აღინიშნა, რომ საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას, ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფმა მამაკაცმა ქალისათვის სახის არეში ხელის დარტყმით, უცნაურ სიტყვებით, ყვირილითა და გინებით უხეშად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი, გამოხატა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა, ჩადენილი ძალადობით.

მეორე დღეს, სასამართლოს განჩინებით მამაკაცს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო და სისხლის სამართლის საქმე, წინასასამართლო სხდომის ჩატარების მიზნით, წარიმარ-

თა სასამართლოში. მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემდეგ, მოსამართლის განჩინებით საქმე არსებითი განხილვისათვის გადაეცა მოსამართლეს, რომელმაც საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტის გამოყენებით, ბრალდებული უდანაშაულოდ ცნო და გაამართლა წარდგენილ ბრალდებაში.

„ენგელის კრიტერიუმებით“ მოცემული მაგალითის შეფასებისას, ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მიღებული გადაწყვეტილებით გამოყენებული ადმინისტრაციული სახდელი წარმოადგენს სწორედ „სისხლისსამართლებრივი“ ხასიათის პასუხისმგებლობის ზომას. აღნიშნულზე პირდაპირ მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილება საქმეზე – *Menesheva v. Russia*, №59261/00, 09.03.2006. განმცხადებლის სახლში მივიდნენ პოლიციელები, რომელთაც მკვლელობის გამოძიების პროცესში ესაჭიროებოდათ მისი სახლის ჩხრეკა, თუმცა, ვინაიდან მათ არ ჰქონდათ ჩხრეკის ორდერი, განმცხადებელმა ისინი სახლში არ შეუშვა. პოლიცია მაინც ცდილობდა სახლში შეღწევას, რა დროსაც განმცხადებელმა მათ ძალისმიერი წინააღმდეგობა გაუწია. აღნიშნული ქმედების გამო, მას შეეფარდა ხუთდღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა ძალისმიერი წინააღმდეგობის გაწვევისათვის, რომელიც რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიიჩნევა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სამართალდარღვევის „სისხლისსამართლებრივად“ დაკვალიფიცირებისათვის, კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, შეფასდეს – სამართალდარღვევა, მოპასუხე სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში, მიეკუთვნება თუ არა სისხლის სამართალს. შემდგომ უნდა განისაზღვროს სამართალდარღვევის ბუნება და სასჯელის სიმკაცრის ხარისხი. რაც შეეხება შიდასახელმწიფოებრივ კლასიფიკაციას, სასამართლომ ადრე განხილულ საქმეებში იმსჯელა სფეროზე, რომელიც სამართლებრივ სისტემაში იყო როგორც „ადმინისტრაციული“ და დაადგინა, რომ ის მოიცავდა სამართალდარღვევებს, რომელიც იყო ბუნებით სისხლისსამართლებრივი, მაგრამ მცირე მნიშვნელობის (too trivial), რომ მომხდარიყო მისი რეგულირება სისხლის მატერიალური და საპროცესო სამართლით.¹² სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ თავისუფლების აღკვეთა, როგორც სამართალდარღვევის ჩადენისათვის გათვალისწინებული სასჯელი, ზოგადად, სისხლისსამართლებრივ სფეროს მიეკუთვნება, თუ აღსრულების ბუნებით, ხანგრძლივობითა და ფორმით აშკარად საზიანო არ არის. წინამდებარე საქმეში, მომჩივანს თავისუფლება აღეკვეთა ხუთი დღის განმავლობაში, მასზე დაკისრებული სანქციის მიზანი კი, აშკარად სადამსჯელო იყო. სასამართლომ დაადგინა, რომ სამართალდარღვევა, რომლისთვისაც მომჩივანს აღეკვეთა თავისუფლება, უნდა შეფასდეს „სისხლისსამართლებრივად“ კონვენციის მიზნებისთვის.

საკითხი იმის თაობაზე, ერთი და იგივე იყო თუ არა ქმედება, რომელიც საფუძვლად დაედო მამაკაცის მიმართ განხორციელებულ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას და სისხლისსამართლებრივ დევნას, მარტივი შესაფასებელია, რამდენადაც ბრალდების შესახებ დადგენილებას საფუძვლად დაედო სწორედ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას დადგენილი იდენტური ფაქტები და ინფორმაცია, რომელთა ერთობლიობითაც, ადმინისტრაციული პატიმრობის მოხდის შემდეგ, მამაკაცი მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, არსებობდა თუ არა ე. წ. „საბოლოო გადაწყვეტილება“, აღსანიშნავია, რომ სასამართლოს დადგენილება ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ კანონით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა და აღსრულდა დადგენილი წესით, ხოლო მამაკაცის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მომენტისათვის, მითითებული დადგენილების გადახედვა ჩვეულებრივი საპროცესო მოქმედებებით უკვე პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, რადგან იგი შევიდა კანონიერ ძალაში და სამართალდამრღვევმა შეფარდებული ადმინისტრაციული პატიმრობა სრულად მოიხადა. ამდენად, ეჭვგარეშეა, რომ სასამართლოს დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ წარმოადგენს სწორედ „საბოლოო გადაწყვეტილებას.“

ასევე, როტული დასადგენი არ არის, მოხდა თუ არა სამართალწარმოების ორჯერ განხორციელება მამაკაცის მიმართ, ვინაიდან სასამართლოს მიერ მას ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა, რითაც დასრულდა მის მიმართ დაწყებული სამართალწარმოება და ქმედება შეფასდა, როგორც ადმინისტრაციული გადაცდომა. მოგვიანებით კი, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული დადგენილების აღსრულების შემდეგ, იმავე ფაქტზე, მას წარედგინა ბრალდება უკვე სისხლის სამართლის წესით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ, ბრალდებული სასამართლომ გაამართლა, უდავოა, რომ ამ შემთხვევაშიც დაირღვა *ne bis in idem* პრინციპი, რამდენადაც იგი იცავს ინდივიდს არამხოლოდ განმეორებითი დასჯისაგან, არამედ ზოგადად, განმეორებითი სამართალწარმოების განხორციელებისაგან, მიუხედავად იმისა, იგი კანონიერ ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე გამართლდა თუ დამნაშავედ იქნა ცნობილი.

აღსანიშნავია, რომ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში შესაძლოა არსებობდეს ანალოგიური შემთხვევების დაშვების გარკვეული რისკი. სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, განსაკუთრებით, წინასასამართლო სხდომის ეტაპზე, მოსამართლე ერთი მხრივ, შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ეროვნული საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა ფორმალური დაცვით და სპეციალური საპროცესო ნორმების არარსებობის გამო, გაუძნელდეს მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დეკლარირებული კრიტერიუმების გამოყენება ორმაგი გასამართლებისა და დასჯისაგან ინდივიდის დაცვის მიზნით, ხოლო მეორე მხრივ, შეიძლება დაირღვეს სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური უფლება, რომელიც მოიცავს სისხლის სამართლის სფეროში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის გონივრული წინასწარგანჭვრეტადობის იმპერატიულ მოთხოვნას.

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია სწორედ საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად აქვს პირს გონივრული მოლოდინი დაცული იყოს განმეორებითი გასამართლებისა და დასჯისაგან, რამდენად შეუძლია მას შეაფასოს ჩადენილი ქმედება მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული სინამდვილის პირობებში, ანუ რამდენად დაცულია განჭვრეტადობის და წინასწარგანსაზღვრულობის ფუნდამენტური პრინციპი.

ზემოაღნიშნულ საკითხზე ყურადსაღებია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დამკვიდრებული სტანდარტი, რომელიც ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს შეიმუშაოს ქმედითი პროცესუალური გარანტიები თვითნებური ბრალდების, მსჯავრდებისა და დასჯის საწინააღმდეგოდ (C. R. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 22 ნოემბერი,

1995, S.W. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 22 ნოემბერი, 1995). აღნიშნული მოთხოვნა შესრულებულია, როცა პირს შესაბამისი ნორმიდან შეუძლია გამოიტანოს დასკვნა, საჭიროების შემთხვევაში, ნორმის სასამართლოსეული განმარტების მოშველიებით, თუ რა ქმედების ჩადენისას დაეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა (ჭუჭტამაკი ფინეთის წინააღმდეგ, 6 მარტი, 2012). კანონის წინასწარგანჭვრეტადობის ცნება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია შესაბამისი ტექსტის შინაარსზე (კონონოვი ლატვიის წინააღმდეგ, 24 ივლისი, 2008).

კანონის წინასწარგანჭვრეტადობის სავალდებულო სტანდარტისა და საექვო ხასიათის ბრალდებების საფუძველზე პირის მსჯავრდების დაუშვებლობის შესახებ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განმარტებულია, რომ „აღნიშნული კონსტიტუციური დებულება წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ საფუძველს, განამტკიცებს უდანაშაულო პირის მსჯავრდების თავიდან აცილების მნიშვნელოვან, საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს – in dubio pro reo, რომლის თანახმად, დაუშვებელია პირის მსჯავრდება საექვო ხასიათის ბრალდებების საფუძველზე და ამდენად, სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას ქმნის... სამართლებრივი სახელმწიფო გულისხმობს ისეთი სამართლებრივი სისტემის არსებობას, რომლის პირობებშიც პირის წინააღმდეგ განხორციელებული მართლმსაჯულების ღონისძიებები – ბრალდება და პასუხისმგებლობის დაკისრება უნდა განხორციელდეს ადეკვატური სტანდარტების შესაბამისად. ...პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პროცესში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამართლიანი სასამართლოს უფლებითა და საპროცესო გარანტიებით სრულყოფილ სარგებლობას. პასუხისმგებლობის დაკისრებისას ინდივიდი არ უნდა წარმოადგენდეს სამართალწარმოების ობიექტს და უნდა აღიჭურვოს დაცვის იმ მექანიზმებით, რასაც სამართლიანი სასამართლოს უფლება მოითხოვს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/3/601 გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე, II-11)... მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის, ისევე როგორც მართლმსაჯულების განხორციელებისას, ზოგადად, სახელმწიფო შებოჭილი უნდა იყოს მკაფიოდ ფორმულირებული საკანონმდებლო ნორმებით, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანს თვითნებობის ან შეცდომის დაშვების საფრთხეს. სახელმწიფოს ხელთ არსებული მნიშვნელოვანი რესურსი, რომელიც დანაშაულთან დაკავშირებული ფაქტებისა და გარემოებების გამოძიებისკენ არის მიმართული, არ უნდა იქნას ბოროტად გამოყენებული. გონივრულმა, ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრულმა საკანონმდებლო ნორმებმა უნდა დააბალანსოს ბუნებრივი უპირატესობა, რომელიც შეიძლება ბრალდების მხარეს დაცვის მხარესთან შედარებით ჰქონდეს და შესაძლებლობა მისცეს ბრალდებულს, სრულყოფილად დაიცვას საკუთარი ინტერესები, რაც თავის მხრივ, მართლმსაჯულების ინტერესებს ემსახურება. ასეთია კანონის უზენაესობის პატივისცემისა და სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპების მოთხოვნა. თვითნებობისა და შეცდომის თავიდან

აცილება ემსახურება მართლმსაჯულების ინტერესებს, ხელს უწყობს დანაშაულის სათანადოდ გამოძიებას, რეალური დამნაშავის გამოვლენას და შემდგომ მის მსჯავრდებას.¹³

დასკვნა

ამრიგად, ზემოთ განხილული დოქტრინალური განმარტებებისა თუ პრეცედენტული სასამართლო გადაწყვეტილებების გაანალიზებისა და ობიექტური შეფასების საფუძველზე, სასამართლო პრაქტიკაში მოსალოდნელი შესაძლო ხარვეზების პრევენციის მიზნით, დასკვნის სახით, შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ შემდეგი მოსაზრებები:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის და 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი, მოქმედი ფორმულირებით, რისკის ქვეშ აყენებს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური უფლების რეალური და შეუზღუდავი გამოყენების შესაძლებლობას. ასეთი მოცემულობისას, პირი შესაძლოა დაექვემდებაროს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას, რომლის საფუძველზე მიღებული „საბოლოო“ გადაწყვეტილების შემდეგაც, მას „იდენტური ან არსებითად მსგავსი“ ქმედებისათვის განმეორებით დაედოს მსჯავრი უკვე სისხლის სამართლის წესით მაშინ, როდესაც საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტი, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლით გარანტირებული ne bis in idem პრინციპის მიზნებიდან გამომდინარე, ამგვარ შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.

საპროცესო კანონის დასახელებული ნორმების ნორმატიული შინაარსი გარკვეულწილად ზღუდავს სასამართლოს შესაძლებლობას, შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლოა სახეზე იყოს ერთი და იგივე მტკიცებულებების საფუძველზე პირის ბრალდების შემთხვევა იმავე ქმედებისათვის, რომელიც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული დადგენილებით, უკვე შეფასებულ იქნა, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და მის ჩამდენს შეეფარდა „სისხლისსამართლებრივი“ ხასიათის ადმინისტრაციული სახდელი, მით უმეტეს, როდესაც სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება ბრალდების წარდგენის მომენტისათვის უკვე აღსრულებულია.

დასახელებული საკითხის რეგულირებისათვის მიზანშეწონილია შეიქმნას იმგვარი საპროცესო გარანტიები, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის თუ მართლმსაჯულების განხორციელებისას, მინიმუმამდე დაიყვანს თვითნებობისა და შეცდომის დაშვების რისკს ერთი მხრივ, სახელმწიფოს შებოჭავს ევროპული სტანდარტების ადეკვატური, განჭვრეტადი და მკაფიოდ ფორმულირებული საკანონმდებლო ნორმებით, ხოლო მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის დაკისრებისას, ინდივიდს აღჭურავს დაცვის გონივრული, წინასწარგანჭვრეტადი და ეფექტიანი მექანიზმებით, როგორც ამას სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური უფლება მოითხოვს.

აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, გაფართოვდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით და 105-ე მუხლის პირველი ნაწილის

„ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევათა წრე. სასურველია, ორმაგი გასამართლებისა და დასჯის აკრძალვის საყოველთაოდ აღიარებული უპირობო პრინციპი საპროცესო ნორმებში აისახოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებით დეკლარირებული განმარტებების შესაბამისად, რათა ეროვნული კანონმდებლობით ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად გამოირიცხოს იდენტური ან არსებითად მსგავსი ფაქტების საფუძველზე, ერთი და იგივე ქმედებისათვის განმეორებითი სამართალწარმოების განხორციელებისა და დასჯის შესაძლებლობა (პასუხისმგებლობა ე. წ. „ორი სამართლით“), სახელდობრ, იდენტური ან არსებითად მსგავსი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებული პირის სისხლისსამართლებრივი წესით დევნა ან/და მსჯავრდება (გამართლება).

ჩვენი აზრით, ამგვარი მიდგომა სამართლიან პირობებში ჩააყენებს ინდივიდს, რომელიც წინასწარ იქნება ინფორმირებული, რომ სამართალდამრღვევად აღიარებისა და ადმინისტრაციული სახდელის მოხდის შემდეგ, თუ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შემთხვევაში, მას ხელმეორედ აღარ გაასამართლებენ და დასჯიან ერთი და იგივე ქმედებისათვის, რამდენადაც ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლი კრძალავს მეორე სამართალწარმოების დაწყებას, პირველი სამართალწარმოების საბოლოოდ ცნობის მომენტიდან.

შენიშვნები:

- ¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა ჯგუფი, მე-18 მუხლის კომენტარის ავტორი ლალი ფაფიაშვილი, თბილისი, 2015, გვ.131.
- ² იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, 42-ე მუხლის კომენტარის ავტორი კონსტანტინე კუბლაშვილი, თბილისი, 2005, გვ. 378-379.
- ³ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, ავტორთა ჯგუფი, 42-ე მუხლის კომენტარის ავტორი მერაბ ტურავა, თბილისი, 2013, გვ. 550-552.
- ⁴ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., 42-ე მუხლის კომენტარის ავტორი კონსტანტინე კუბლაშვილი, თბილისი, 2005, გვ. 378-379.
- ⁵ ადამიანის უფლებები მართლმსაჯულების განხორციელებისას, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების შესახებ მოსამართლეების, პროკურორებისა და ადვოკატებისათვის, პროფესიული მომზადების გამოცემათა სერია №9, გაერო, ნიუ-იორკი, ჟენევა, 2003, გვ. 898.
- ⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა ჯგუფი, მე-18 მუხლის კომენტარის ავტორი ლალი ფაფიაშვილი, თბილისი, 2015, გვ. 131-132.
- ⁷ იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Österlund v. Finland*, §35-52.
- ⁸ ევროპული სასამართლოს უახლესი პრეცედენტული გადაწყვეტილებების მოძიებისა და მოწოდებისათვის ავტორი მადლობას უხდის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრს.
- ⁹ *Muslija v. Bosnia and Herzegovina*, no. 32042/11, § 37, 14 იანვარი 2014; *Nykänen v. Finland*, no. 11828/11, § 52, 20 მაისი 2014.
- ¹⁰ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, ავტორთა ჯგუფი, 42-ე მუხლის კომენტარის ავტორი მერაბ ტურავა, თბილისი, 2013, გვ. 550-552.
- ¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1548 გადაწყვეტილება კონსტიტუციურ სარჩელზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“ II-1,2,3,23.
- ¹² *Palaoro v. Austria*, 23 October 1995, §§ 33-35, Series A no. 329-B.
- ¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1548 გადაწყვეტილება კონსტიტუციურ სარჩელზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“ II-1,2,3,23.

PRACTICAL ASPECTS OF REALIZING THE CONSTITUTIONAL RIGHT TO BE PROTECTED FROM DOUBLE JEOPARDY AND PUNISHMENT


LEVAN DARBAIDZE

Judge of the Gori District Court, Doctor of Law

Associated Professor of the Law Faculty of the East European University

This article is about a fundamental principle of the prohibition of double jeopardy (*ne bis in idem*), which is based on the Latin maxim – *Nemo debet bis vexari pro una et eadem causa*. The article aims at identifying problematic issues in the judicial practice in this respect and preventing anticipated miscarriages. The article provides doctrinal clarifications on this issue, case-law judgments of the European Court of Human Rights or the Constitutional Court, and following summary opinions are developed based on their analysis and impartial evaluation:

Current wording of the part 2 of the Article 18 and ‘g’ subparagraph of the first part of the Article 105 of the Criminal Procedure Code of Georgia jeopardizes the possibility of realistic and unlimited enjoyment of the absolute right enshrined in the paragraph 4 of the Article 42 of the Constitution of Georgia. Given this conditionality, a person can be subjected to administrative proceedings, and even if a ‘final’ decision is passed in this case, criminal charges can be brought against the same individual for the “identical or substantially similar” conduct,



whereas the paragraph 4 of the Article 42 of the Constitution of Georgia, pursuant to the purposes of the ‘ne bis in idem’ principle safeguarded in the Article 4 of the 7th protocol of the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, does not envisage such possibilities.

Normative contents of the mentioned provisions of the procedural law somehow limits the ability of the judiciary to discontinue criminal prosecution if the case possibly is about charging an individual based on one and the same evidences for the same cause of action, which has already been evaluated as administrative offence by the court judgment that has already entered the legal force, and an administrative punishment of “criminal” nature was imposed on the offender, especially if the court judgment had been enforced at the moment of bringing the charge.

In order to regulate this issue, it is reasonable to create some procedural safeguards that would minimize the risk of criminal prosecution or administration of justice and mistakes, and would bind the state with adequate, foreseeable and clearly formulated legislative norms about European standards on one hand, and equip an individual with reasonable, foreseeable and effective defense mechanisms while imposing responsibility on him/her, on the other hand, as required by the fundamental right to fair trial.

To ensure this, it is reasonable to expand the list of cases envisaged in the 2nd part of the Article 18‘g’ subparagraph of the first part of the Article 105 of the Civil Procedure Code of Georgia. Preferably, the universally recognized unconditional principle of the prohibition of being tried twice and double jeopardy should be reflected in the procedural norms, in accordance with the definitions declared in case-law judgments of the European Court of Human Rights, so that the national legislation unequivocally and clearly eliminates the possibility of double jeopardy and punishment (responsibility under so called “two laws”) on the grounds of identical or substantially similar facts, for one and the same cause of action, namely, criminal prosecution and/or conviction (acquittal) of a person who has been subjected to administrative punishment, or released from administrative responsibility for identical or substantially similar cause of action.

We think that such approach creates fair conditions to an individual who will be informed upfront that after admitting to an offence and serving an administrative penalty, or in case of being released from administrative responsibility s/he will not be punished again for one and the same cause of action, as far as the Article 4 of the Protocol Seven of the European Convention stipulates that no one shall be liable to be tried or punished again in criminal proceedings for an offence for which he has already been finally acquitted or convicted.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავებისა და გადადგომის წესი

მარინე მარინაშვილი

სამართლის დოქტორი

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში საქართველოს პრეზიდენტის სტატუსი არაერთხელ იქნა განხილული.¹ ჩვენ მიზანს არ წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის არჩევისა ან იმპიჩმენტის წესით უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის პროცედურის კვლევა. განხილვის საგანია ერთი მხრივ, ხალხის მიერ არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავებისა და მეორე მხრივ, მისი თანამდებობიდან ნებაყოფლობით გადადგომის წესი.

I. ფიცის დადება

საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თანამდებობის დაკავების წინ ახალარჩეული პრეზიდენტი წარმოთქვამს საპროგრამო სიტყვას და დებს ფიცს. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის შემოადრინშული მუხლი თანამდებობის დაკავებამდე ხალხის მიერ არჩეულ პირს უწოდებს პრეზიდენტს, თუმცა, იმავე 71-ე მუხლის მე-2 პუნქტით, პრეზიდენტის უფლებამოსილება წყდება ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე. შესაბამისად, ხალხის მიერ პრეზიდენტად არჩეული პირი თანამდებობას იკავებს მხოლოდ ფიცის დადების შემდეგ. საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად ხდება სახელმწიფო ორგანოს ფორმირება,

ხოლო ხალხის მიერ არჩეული პირი თანამდებობას იკავებს ფიცის დადების შედეგად. ამდენად, „პრეზიდენტი“ წარმოადგენს არა მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, არამედ თანამდებობასაც. თუ პარლამენტი საკანონმდებლო ორგანოა, ხოლო „პარლამენტის წევრი“ თანამდებობაა, სახელმწიფოს მეთაურის შემთხვევაში, ეს ცნებები (სახელმწიფო ორგანო და თანამდებობა) გაიგივებულია. სწორედ ამიტომ, ფიცის დადებაზე, ანუ თანამდებობის დაკავებამდე საქართველოს კონსტიტუცია ხალხის მიერ არჩეულ პირს უწოდებს პრეზიდენტს.

თანამდებობის დასაკავებლად პრეზიდენტი ფიცთან ერთად წარმოთქვამს საპროგრამო სიტყვას, თუმცა, საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-2 პუნქტი პრეზიდენტად არჩეული პირის მიერ უფლებამოსილების დაწყებას მხოლოდ ფიცის დადებას უკავშირებს.

ფიცის ტექსტი იწყება სიტყვებით „მე, საქართველოს პრეზიდენტი...“ ე. ი. პირი, რომელსაც არა აქვს დაკავებული სახელმწიფო მეთაურის თანამდებობა თავს პრეზიდენტად აცხადებს. მოცემულ შემთხვევაში, არგუმენტი, რომ „საქართველოს პრეზიდენტი“ გულისხმობს სახელმწიფო ორგანოს – ვერ გამოდგება, იმდენად რამდენადაც ორგანო ვერ დადებს ფიცს და ფიზიკური პირი ვერ გამოაცხადებს საკუთარ თავს ორგანოდ. შესაძლოა საქმე გვაქვს ფიქციასთან, ანუ ფაქტი სინამდვილეში არ არსებობს, მაგრამ სამართალმა მიანიჭა მას ფაქტის მნიშვნელობა. ასეთ ხერხს კანონმდებელი მიმართავს, როდესაც ფაქტის მნიშვნელობის დადგენა აუცილებელია. მიგვაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში ამის საჭიროება ნამდვილად არ არის.

საზღვარგარეთის ქვეყნების უმრავლესობაში ხალხის მიერ არჩეული პირი ფიცის დადებაზე თავს პრეზიდენტად არ აცხადებს, ვინაიდან თანამდებობა ჯერ არა აქვს დაკავებული (აზერბაიჯანი – კონსტიტუციის 103-ე მუხლი; ბელორუსია – კონსტიტუციის 83-ე მუხლი; ფინეთი – კონსტიტუციის 56-ე მუხლი; ესტონეთი – კონსტიტუციის 81-ე მუხლი; რუმინეთი – კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტი; უკრაინა – კონსტიტუციის 104-ე მუხლი; ყაზახეთი – კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი; მექსიკის შეერთებული შტატები – კონსტიტუციის 87-ე მუხლი; მოლდოვეთი – კონსტიტუციის 79-ე მუხლის მე-2 პუნქტი; ირლანდია – კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-8 პუნქტი; კვიპროსი – კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი; პორტუგალია – კონსტიტუციის 127-ე მუხლის მე-3 პუნქტი და სხვა). საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციების გაცნობით აღმოვაჩინეთ მხოლოდ ორი ქვეყანა (ტაჯიკეთი² და თურქეთი³), სადაც საქართველოს მსგავსად, ფიცის ტექსტი იწყება პირველ პირში: „მე, პრეზიდენტი...“ ვფიქრობთ, რომ უპრიანია საქართველოს კონსტიტუციის ტექსტი შესწორდეს და სიტყვები „მე, საქართველოს პრეზიდენტი“ ამოღებულ იქნას.

ფიცის დადება საზოგადოების სამართლებრივი სისტემის უნიკალური ფენომენია, რომელიც ერთი შეხედვით, მარტივ ინსტიტუტად გვევლინება. სამწუხაროდ, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში იგი ჯერ არ არის მეცნიერულად გამოკვლეული. თუმცა, ფიცის დადების წესი ფართოდ არის გავრცელებული მოქმედ კანონმდებლობაში, კერძოდ, თანამდებობის დაკავების წინ ფიცს დებს არა მხოლოდ სახელმწიფოს მეთაური, არამედ პარლამენტის წევრი, მოსამართლე, პროკურატურის მუშაკი და სხვ.

თანამდებობის დაკავების წინ, ახალარჩეული პრეზიდენტი საპროგრამო სიტყვის წარმოთქმის შემდეგ დებს ფიცს, რის საფუძველზეც შეუდგება უფლებამოსილებების განხორციელებას. როგორც წესი, ფიცის დადების ცერემონიალი საზეიმო ხასიათს ატარებს და ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუციაში ამის შესახებ პირდაპირ არის აღნიშნული, მაგალითად, აშშ-ში: „საზეიმოდ ვფიცავ, რომ კეთილ-სინდისიერად შევასრულებ შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანამდებობრივ მოვალეობას,

შესაძლებლობის ფარგლებში სრულად დავუჭერ მხარს და დავიცავ შეერთებული შტატების კონსტიტუციას.⁴⁴

საქართველოს კონსტიტუცია ფიცის დადებას ცერემონიალად⁴⁵ აცხადებს, რომელიც პრაქტიკულად, ყოველთვის საზეიმო ვითარებაში ტარდება. ვინაიდან სახელმწიფოს მეთაურის მიერ ფიცის დადებაზე უარის თქმა ტოლფასია თანამდებობაზე უარის თქმისა, განსახილველი პროცედურა მხოლოდ როგორც „ცერემონიალი“ არ უნდა განვიხილოთ. ფიცის დადება ან უარი ფიცზე ყველა შემთხვევაში, წარმოშობს სამართლებრივ შედეგს (თანამდებობის დაკავება/ახალი არჩევნების დანიშვნა). ამავდროულად, ფიცის ტექსტი მიმართულია პატრიოტიზმის გაღვივებისა და სხვა ზნეობრივი ღირებულებების წარმოშობისაკენ.

საქართველოს კონსტიტუციაში ფიცის ტექსტში ზნეობრივ ღირებულებებზე მიუთითებენ შემდეგი სიტყვები: „ღვთისა და ერის წინაშე“, „კეთილსინდისიერად აღვასრულებ“, „ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ჩემი ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისათვის“ (71-ე მუხლის პირველი პუნქტი). ამდენად, ფიცის დადება ერთდროულად, სამართლებრივ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ შეფასებით ხასიათს ატარებს.

პირის მიერ თანამდებობის დაკავების საზეიმო აქტს, ქვეყნის ახალი პრეზიდენტის უფლებამოსილებაში შესვლის სადღესასწაულო ცერემონიას ინაუგურაციას უწოდებენ.⁴⁶

ტერმინი „ინაუგურაცია“ ლათინური „ინაუგურო“–დან წარმოიშობა, რაც ქართულად კურთხევას ნიშნავს.⁴⁷ ინაუგურაცია რიტუალია, რომლითაც მიმართავდნენ ღმერთებს იმის გასაგებად, იწონებდნენ თუ არა ისინი მეფის, უმაღლესი ქურუმის, მაგისტრატის კანდიდატურას⁴⁸. ამჟამად, ინაუგურაციას არა ნებისმიერი თანამდებობის პირის, არამედ მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის მიერ თანამდებობის დაკავების საზეიმო ცერემონიას უწოდებენ. პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების ცერემონია რეალურად გადმოღებულია სამეფო ტახტის კურთხევის რიტუალიდან. საქართველოს კონსტიტუცია ტერმინს – ინაუგურაცია არ იყენებს.

ფიცის სამართლებრივ ინსტიტუტად ჩამოყალიბებამ ხანგრძლივი პროცესი განვლო და მისი ფესვები ჩვეულებით სამართალში უნდა ვეძიოთ, კერძოდ, მორწმუნე ადამიანი (ხშირად, ტომის მიერ არჩეული ბელადი) ღმერთის ან ღმერთების წინაშე დებდა ფიცს. ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუციაში ფიცის ტექსტში დღესაც შენარჩუნებულია რელიგიური ბუნება, მათ შორის, საქართველოშიც. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის თანახმად, პრეზიდენტი ფიცს აცხადებს ღვთის წინაშე; ავსტრიაში შესაძლებელია დამატებით რელიგიური ფიცის დადება (კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი); პოლონეთში ფიცი შესაძლებელია დაიდოს შემდეგი წინადადების დამატებით: „შემეწიოს უფალი“ (კონსტიტუციის 130-ე მუხლი); გერმანიაში შესაძლებელია რელიგიური დამოწმება სიტყვებით: „ღმერთი იყოს ჩემი შემწე“ (კონსტიტუციის 56-ე მუხლი).

სახელმწიფოს მეთაურის ფიცის თანამედროვე გაგება გულისხმობს სამ მხარეს: ინფორმაციულ ზემოქმედებას, სუბიექტის ნების ფორმირებას ღირებულებით-სამოტივაციო ზეგავლენით და კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის დამყარებას. ფიცი, ანუ ოფიციალური საზეიმო დაპირება, რომ დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისად, პირმა უნდა განახორციელოს უფლებები და შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები, წარმოადგენს იურიდიულ ფაქტს, რომელიც წარმოშობს სუბიექტის სამართლებრივი სტატუსის შეცვლას სარიტუალო და სიმბოლური მოქმედებების ჩატარების შედეგად.

აღსანიშნავია, რომ ახალარჩეული პრეზიდენტი ფიცს დებს არა მხოლოდ იმ ამომრჩევლის წინაშე ვინც არჩევნებში მას მხარი დაუჭირა, არამედ მთელი ერის წინაშე. საქართველოს კონსტიტუციაში

სიტყვა „ერი“ ორჯერ გხვდება, კერძოდ, პრეამბულაში „...ქართველი ერის...“ და პრეზიდენტის ფიცის ტექსტში („ღვთისა და ერის წინაშე“). პრეზიდენტის ტექსტში დაკონკრეტებული არ არის, სავარაუდოდ, პრეზიდენტი ქართველი ერის წინაშე დებს ფიცს. „ერის“ ცნების განმარტებას კანონმდებლობა არ იძლევა. იგი არ წარმოადგენს ჩვენი კვლევის საგანს, თუმცა, ცალსახაა, რომ „ერი“ უფრო ვიწრო ცნებაა ვიდრე „ხალხი.“ ვინაიდან საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყარო ხალხია⁹ ვფიქრობთ, რომ პრეზიდენტმა ფიცი „ხალხის“ და არა „ერის“ წინაშე უნდა დადოს.

საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებისას, წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა საკითხზე თუ ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა პრეზიდენტის ფიცის დადების ცერემონიაში. ზოგიერთი მიიჩნევდა, რომ ინაუგურაციაზე მიპატიჟებული უნდა იყოს ყველა პირი, ვისაც კი რაიმე თანამდებობა ეკავა სახელმწიფოში: პარლამენტის წევრები, მინისტრები, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს წევრები, საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდი და სხვა ოფიციალური პირები. შემდგომში, ლაციზმის პრინციპიდან გამომდინარე, უარი ითქვა ეკლესიის მონაწილეობაზე. თავის მხრივ, იმ დროს მოქმედი უზენაესი სასამართლოს წევრები ცდილობდნენ კონსტიტუციაში ასახულიყო უზენაესი სასამართლოს მონაწილეობა. მათი აზრით, საქართველოს პრეზიდენტს, აშშ-ის სახელმწიფო მეთაურის მსგავსად, ფიცი უნდა დაედო უზენაესი სასამართლოს წევრების წინაშე. ამაში ისინი ხედავდნენ მნიშვნელოვან სიმბოლოს საქართველოს სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გზაზე.¹⁰ აღსანიშნავია, რომ აშშ-ის კონსტიტუციაში ზემოაღნიშნული ტრადიცია არ არის ასახული და იგი კონსტიტუციური პრაქტიკით არის განმტკიცებული. საბოლოოდ, საქართველოს კონსტიტუციაში არ აისახა თუ ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა პრეზიდენტის ფიცის დადების ცერემონიაში.

საქართველოს კონსტიტუცია აგრეთვე, არ განსაზღვრავს რა შედეგი მოყვება პრეზიდენტის მიერ ფიცის დათქმით დადებას, მაგალითად, ჩეხეთის კონსტიტუციის მე-61 მუხლის თანახმად, დათქმით ფიცის დადება განიხილება, როგორც პრეზიდენტის აურჩევლობა.

ამასთან, საქართველოს სახელმწიფოს ძირითადი კანონი ღიად ტოვებს საკითხს ახალარჩეულმა პრეზიდენტმა რაზე (კონსტიტუციაზე თუ ბიბლიაზე) უნდა დადოს ფიცი. კონსტიტუციის შემუშავებისას, კანონპროექტის მიხედვით, პრეზიდენტს საპროგრამო სიტყვა უნდა წარმოეთქვა და ფიცი დაედო მცხეთის კათედრალთან, სვეტიცხოველში. თუმცა, კონსტიტუციაში რელიგიური ასპექტების ასახვას ჰყავდა მოწინააღმდეგეები. მათი აზრით, პრეზიდენტი მუსლიმანი რომ ყოფილიყო, სვეტიცხოველში ფიცის დადების ცერემონიის გამართვა არაადეკვატური იქნებოდა.¹¹

ამდენად, საქართველოს უზენაესი კანონი ახალარჩეულ პრეზიდენტს ზემოაღნიშნულ საკითხში არ ბოჭავს და სრულ თავისუფლებას აძლევს. ასე მაგალითად, საქართველოში პრეზიდენტს ფიცი დაუდია მეფის საფლავზე.¹² ერთი შეხედვით, აღნიშნული ფაქტი მისასაღმებელია, პირმა თავად უნდა გააკეთოს არჩევანი რაზე დადოს ფიცი იმისდა მიხედვით, თუ რა არის მისთვის საფიცარი – ბიბლია, მეფის საფლავი, წმინდანის ხატი, კონსტიტუცია და სხვ. ვფიქრობთ, მიზნშეუწონელია, თუ საქართველოს კონსტიტუციაში აუცილებელ მოთხოვნად ჩაიწერება, რომ „ღმერთისა და ერის წინაშე“ ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ფიცი აუცილებლად ბიბლიაზე უნდა დადოს. ქვეყნის ძირითადი კანონი არ ითვალისწინებს პრეზიდენტის კანდიდატისადმი რელიგიურ ცენზს და სახელმწიფო რელიგიად მართლმადიდებლობას არ აცხადებს. ამასთან, უდავოა, რომ რელიგიური მრწამსი პირის შინაგანი სფეროა და მისი გარეგანი გამოვლენა ხშირად, არ ემთხვევა შინაგანს. თუმცა, პრეზიდენტის ფიცის ტექსტის შინაარსისა და დატვირთვის გათვალისწინებით, სასურველია, სახელმწიფოს მეთაურმა ფიცი

კონსტიტუციაზე დადოს, დოკუმენტზე, რომელიც ქვეყნის უზენაესი კანონია. აღნიშნული ფაქტი ფიცის დადების ცერემონიის მნიშვნელობას უფრო მეტად გაზრდის. ამასთან, ფიცის დადების ცერემონიის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ფიცი ქვეყნის ძირითად კანონზე უნდა დადოს.

ისმის კითხვა, დაეკისრება თუ არა პრეზიდენტს პასუხისმგებლობა ფიცის დარღვევის შემთხვევაში? კონსტიტუციის დარღვევა საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით გადაყენების ერთ-ერთი საფუძველია,¹³ ხოლო ვინაიდან ფიცის ტექსტი კონსტიტუციაშია მოცემული, თეორიულად შესაძლებელია, რომ მისი დარღვევისათვის, სახელმწიფოს მეთაური იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან იქნას გადაყენებული.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ ფიცის დადებას, ამჟამად, ჩვეულებითი სამართლისგან განსხვავებით, აქვს სამართლებრივი ბუნება. ფიცის დადება არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ საბიძო ცერემონიად, ვინაიდან საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტი თანამდებობას იკავებს მხოლოდ ფიცის დადების შედეგად, ხოლო ღვთისა და ერის წინაშე დადებული პირობის დარღვევა თანამდებობიდან გადაყენების საფუძველია.

II. თანამდებობიდან გადადგომა

საქართველოს კონსტიტუციის 76-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნას ორ შემთხვევაში, კერძოდ, პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას.

ისმის კითხვა, პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობა, უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტას თუ მხოლოდ უფლებამოსილების დროებით შეჩერებას იწვევს? რატომ გამოყოფს ცალკე კონსტიტუციის გემოაღნიშნული მუხლი ამ ფაქტს მაშინ, როდესაც კონსტიტუციის არც ერთი მუხლით არ არის მოწესრიგებული რომელიმე ორგანომ (პარლამენტმა თუ საკონსტიტუციო სასამართლომ) როდის უნდა დაადგინოს ფაქტი, რომ პრეზიდენტს, არ შეუძლია თავისი უფლებამოსილების განხორციელება? ვინაიდან კანონმდებელი პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ფაქტს ცალკე გამოყოფს, სავარაუდოდ, იგი არ იწვევს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტას. თუმცა, ბუნდოვანია, რას გულისხმობს კანონმდებელი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობაში, მაგალითად, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო თუ კომპეტენციის ნაკლებობის გამო უფლებამოსილებათა ვერ შესრულებას. უფრო მეტიც, კონსტიტუცია არ ადგენს ვადას, რომლის გასვლის შემთხვევაში, უნდა დაისვას გემოაღნიშნული საკითხი, რაც მოწესრიგებას საჭიროებს. მაგალითად, 4 თვე თუ 6 თვე ვერ ახორციელებს თავის უფლებამოსილებებს. ვფიქრობთ, აუცილებელია კონსტიტუციაში განისაზღვროს ორგანო, რომელიც დაადასტურებს პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ფაქტს, განიმარტოს „უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობა“ და დადგინდეს ვადა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს პრეზიდენტის მიერ დაკავებული თანამდებობის ნებაყოფლობით დატოვების უფლებას.

ვინაიდან საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს სახელმწიფოს მეთაურის არჩევის წესს, შესაბამისად, პრეზიდენტის თანამდებობა არის სახელმწიფო-პოლიტიკური და პრეზიდენტი წარ-

მოადგენს სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირს და მასზე ვერ გავრცელდება საჯარო მოსამსახურისათვის დადგენილი წესები.¹⁴ ამასთან, პრეზიდენტს არ ჰყავს ზემდგომი ორგანოს სახელზე შეუძლია დაწეროს განცხადება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. აქედან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტს „დაუწერელი“ ნორმის ძალით აქვს უფლება დატოვოს დაკავებული თანამდებობა. ამდენად, საქართველოს კონსტიტუცია პრეზიდენტის ისეთ უფლებას, როგორცაა გადადგომა არ ითვალისწინებს, ხოლო საქართველოს საკონსტიტუციო პრაქტიკაში დამკვიდრებული წესი – საჯარო განცხადება გადადგომის შესახებ „დაუწერელი“ ნორმის საფუძველზე იყო გაკეთებული.

საზღვარგარეთის ქვეყნების ერთი ნაწილი, კონსტიტუციურ დონეზე ადგენს პრეზიდენტის უფლებას გადადგეს თანამდებობიდან,¹⁵ ქვეყნების მეორე ნაწილი არა მხოლოდ ითვალისწინებს სახელმწიფო მეთაურის თანამდებობიდან გადადგომის უფლებას, არამედ აღწერს კიდევაც მოცემულ პროცედურას, კერძოდ, თუ ვის სახელზე უნდა დაწეროს განცხადება გადადგომის შესახებ.¹⁶

მაგალითად, მოლდოვეთში გადადგომის შესახებ პრეზიდენტის განცხადებას განიხილავს საკანონმდებლო ორგანო, ხოლო სახელმწიფო მეთაურის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ფაქტს ადასტურებს მოლდოვეთის საკონსტიტუციო სასამართლო.¹⁷

აღნიშნულ საკითხზე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ გადადგომის ფაქტი შეიძლება დადასტურდეს პრეზიდენტის შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის – განკარგულების გამოცემით ან პრეზიდენტის მიერ თანამდებობიდან გადადგომის შესახებ საჯარო განცხადების გაკეთებით.¹⁸

მაშასადამე ისმის კითხვა, როგორ უნდა მოწესრიგდეს საქართველოში პრეზიდენტის მიერ თანამდებობიდან გადადგომის პროცედურა?

ერთი მხრივ, თუ ჩვენ მივყვებით ლოგიკას, რომ პრეზიდენტის გადადგომის შესახებ უნდა გამოიცეს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი – განკარგულება, რომელსაც იგი თავად გამოსცემს და ხელს მოაწერს, მაშინ თანამდებობის დაკავება რატომ არ ფორმდება ინდივიდუალური აქტის გამოცემით?

მეორე მხრივ, თუ ჩვენ მივყვებით ლოგიკას, რომ პრეზიდენტის გადადგომის ფაქტი არ საჭიროებს სამართლებრივი აქტის ფორმაში მოქცევას, როგორც ამას ადგილი აქვს თანამდებობის დაკავებისას, მაშინ საჯაროდ გაკეთებული განცხადება გადადგომის შესახებ საკმარისად უნდა ჩაითვალოს, როგორც თანამდებობის დაკავებისათვის საჯაროდ ფიცის დადება. პირდაპირი გზით არჩეული პრეზიდენტი თავის მანდატს პარლამენტისგან დამოუკიდებლად იღებს და ამდენად, დამოუკიდებელია მისგან. პრეზიდენტი თანამდებობას იკავებს უშუალოდ ამომრჩეველთა და საკუთარი ნების (ფიცის დადება) საფუძველზე. შესაბამისად, გადადგომის შესახებ პრეზიდენტმა საჯაროდ ხალხს უნდა მიმართოს, რაც კანონმდებლობის დონეზე უნდა იყოს აღიარებული, როგორც ამას ადგილი აქვს თუნდაც, პარლამენტის თავმჯდომარის შემთხვევაში. კერძოდ, პარლამენტის თავმჯდომარეს უფლება აქვს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, საჯაროდ განაცხადოს გადადგომის შესახებ. პარლამენტის თავმჯდომარე გადამდგარად ითვლება ამის თაობაზე საჯაროდ განცხადების მომენტიდან.¹⁹

ამგვარი საჯარო განცხადების დაფიქსირების შემდეგ, პრეზიდენტს ვერ მიეცემა გადაწყვეტილების შეცვლის უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ მან თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება მართლსაწინააღმდეგო ფიზიკური ან ფსიქიკური ზეწოლის ქვეშ მიიღო. დავის შემთხვევაში, გადაწყვეტილება პრეზიდენტის საჯარო განცხადების მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველად ცნობის ან არცნობის შესახებ უნდა მიიღოს სასამართლომ.²⁰

პრეზიდენტს ნებისმიერ დროს უნდა ჰქონდეს უფლება დატოვოს თანამდებობა, თუნდაც, ქვეყანაში საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში. თუ პრეზიდენტი ვერ მართავს სახელმწიფოს, ვერ უმკლავდება შექმნილ ვითარებას, დაგვეთანხმებით, უკეთესია გადადგეს თანამდებობიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, უფრო სავალალო შედეგამდე მიიყვანოს ქვეყანა.

დაბოლოს, სასურველია პრეზიდენტს, რომელმაც ვადის ამოწურვამდე თავისი ნებით დატოვა თანამდებობა, აღარ ჰქონდეს უფლება იყაროს კენჭი კანდიდატად იმ არჩევნებში, რომელიც მის გადადგომას მოსდევს. თუ პირს აღარ სურს ეკავოს სახელმწიფოს მეთაურის პოსტი, მაშინ ლოგიკურია, მან არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ვადამდე არჩევნებში. თუმცა, საქართველოს პრაქტიკა საპირისპიროს ცხადყოფს. თუ გადადგომის შესახებ განცხადება არ არის ნებაყოფლობითი (რაც დავუშვათ სასამართლო წესით ვერ დადასტურდა) იგივე გარემოებებმა ან ძალებმა გარკვეული დროის შემდეგ შესაძლოა, კვლავ აიძულონ მას დატოვოს თანამდებობა. ამასთან, ახალი არჩევნების დანიშვნა გარკვეულ თანხებთან არის დაკავშირებული და თუ გამამდგარი პრეზიდენტის გადარჩევა მოხდება მაშინ ეს არის გაუმართლებელი ხარჯი.

დასკვნა

დასკვნის სახით, გთავაზობთ რამდენიმე რეკომენდაციას:

- მიზანშეწონილია, პრეზიდენტის ფიცის ტექსტიდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „მე, საქართველოს პრეზიდენტი,“ ხოლო „ერის წინაშე“ ნაცვლად ჩაიწეროს „ხალხის წინაშე“;
- სასურველია, კონსტიტუციურ დონეზე განმტკიცდეს, რომ პრეზიდენტი ფიცს დებს კონსტიტუციაზე;
- კონსტიტუციურ დონეზე მოწესრიგდეს რომელი ორგანო ადგენს პრეზიდენტის მიერ უფლება-მოსილების განხორციელების შეუძლებლობის ფაქტს. ამასთან, განისაზღვროს ვადა, რომლის გასვლის შემთხვევაში, უნდა დაისვას ეს საკითხი;
- კონსტიტუციურ დონეზე აღიარებულ იქნას პრეზიდენტის უფლება გადადგეს თანამდებობიდან, ხოლო გადადგომად ჩაითვალოს განცხადების საჯაროდ გამოცხადება;
- უპრიანია პრეზიდენტს, რომელმაც ვადის ამოწურვამდე თავისი ნებით დატოვა თანამდებობა, აღარ ჰქონდეს უფლება იყაროს კენჭი კანდიდატად იმ არჩევნებში, რომელიც მის გადადგომას მოსდევს.

შენიშვნები:

- ¹ ერემაძე ქ., საქართველოს პარლამენტის და საქართველოს პრეზიდენტის ურთიერთდამოკიდებულება საკანონმდებლო საქმიანობაში, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2003, №2; შაიშველაშვილი ლ., პრეზიდენტის ინსტიტუტის დამკვიდრება საზღვარგარეთის ქვეყნებსა და საქართველოში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2010, №2(25); ჯანჯღავა მ., საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესი და მისი იმპიჩმენტი აშშ-ის კონსტიტუციასთან შედარებით, ჟურნ. „სამართალი“, 2000, №2; ჯიბლაშვილი მ., საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2000, №1; ჯინჯოლავა მ., საქართველოს პრეზიდენტის კომპეტენცია, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2004, №4 და სხვ.
- ² ტაჯიკეთის კონსტიტუციის 67-ე მუხლი.
- ³ თურქეთის კონსტიტუციის 103-ე მუხლი.
- ⁴ აშშ-ს კონსტიტუციის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი.
- ⁵ საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება.
- ⁶ მოხელის სამაგიდო ლექსიკონი, გაეროს განვითარების პროგრამა, შემდგ.: ს. ურიდია და სხვ., თბილისი, 2004, გვ. 133.
- ⁷ თეგელიშვილი ს., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2007, გვ. 318.
- ⁸ ალექსიძე ლ., გაგუა ი., დანელია მ., კობახიძე ე., რუხაძე ნ., ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2015, გვ. 190.
- ⁹ საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.
- ¹⁰ ბაბეკი ვ., კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993-1995), მეორე გამოცემა, გვ. 180.
- ¹¹ ბაბეკი ვ., კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993-1995), მეორე გამოცემა, გვ. 179-180.
- ¹² 2004 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შედეგად, ახალარჩეულმა საქართველოს პრეზიდენტმა – მ. სააკაშვილმა ფიცი გელათის მონასტერში, დავით აღმაშენებლის საფლავზე დადო.
- ¹³ საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
- ¹⁴ 2015 წლის 27 ოქტომბრის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „თ“ პუნქტი; მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.
- ¹⁵ იხ.: მაგალითად, კონსტიტუცია: აშშ (მე-2 მუხლის პირველი ნაწილი); რუსეთი (92-ე მუხლის მე-2 პუნქტი); ლიტვა (მ. 89); ყირგიზეთი (50-ე მუხლის პირველი ნაწილი); ისლანდია (მ. 7); სლოვენია (მ. 106); ირლანდია (მ. 12); ესტონეთი (82-ე მუხლის პირველი პუნქტი); თურქეთი (მ. 106); რუმინეთი (97-ე მუხლის პირველი ნაწილი); მაკედონია (მ. 82); ხორვატია (მ. 97).
- ¹⁶ იხ.: მაგალითად, კონსტიტუცია: ჩეხეთი (მ. 61); სომხეთი (მ. 58); აზერბაიჯანი (მ. 104); უკრაინა (მ. 108, 109); უნგრეთი (31-ე მუხლის მე-3 პუნქტი); კვიპროსი (44-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი); პორტუგალია (მ. 131); ტაჯიკეთი (71-ე მუხლის მე-2 ნაწილი); ბულგარეთი (მ. 97); ინდოეთი (56-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი); არგენტინა (67-ე მუხლის მე-18 პუნქტი).
- ¹⁷ მოლდოვეთის კონსტიტუციის 90-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.
- ¹⁸ დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, 2011 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი, 2011, გვ. 282.
- ¹⁹ 2012 წლის 22 ივნისის საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 108-ე მუხლი.
- ²⁰ დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, სახელმძღვანელო ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის, მეორე გამოცემა, 2014 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით, თბილისი, 2014, გვ. 223.

PROCEDURE OF TAKING THE OFFICE AND RESIGNATION OF THE PRESIDENT OF GEORGIA

MARINE MARINASHVILI

Doctor of Law

There have been many discussions about the status of the President of Georgia many times in the legal literature. The article does not aim at studying the procedure of electing the head of state of Georgia or his/her preterm termination of authorities through impeachment, but at analyzing the rule of taking the office of the President of Georgia elected by the people on one hand, and procedure of voluntary resignation on the other. The author offers specific recommendation in connection to this issue, namely:

- It is reasonable to remove the following words from the President's oath: "I, the President of Georgia", and to write the words "before the people" instead of "before the nation";
- It is desirable to underpin at the constitutional level that the President take the oath of office by swearing on the Constitution;
- To regulate at the constitutional level which body establishes the fact of inability to carry out authorities by the President. Besides, to set timeframes which should be met for raising this issue;
- To recognize at the constitutional level the right of the President to resign, and making a public announcement should be considered as resignation;
- It is preferred to dispose the President, who has voluntarily resigned before expiration of his/her term of office, of the possibility to run for president during the elections that takes place subsequent to his/her resignation.

ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემები

მალხაზ ლომსაძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლში კანონმდებლის მიერ მოცემულია ჯგუფური დანაშაულის სახეების განსაზღვრება.¹ ჯგუფური დანაშაულის სახეები დიფერენცირებულია მათი ორგანიზებულობის ხარისხის მიხედვით. კანონმდებელი გამოყოფს ჯგუფური დანაშაულის სამ სახეს, კერძოდ:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია ერთობლივი დანაშაულებრივი საქმიანობის ყველაზე ნაკლებად საშიში და მარტივი სახე, კერძოდ, დანაშაული ჩადენილი პირთა ჯგუფის, პირთა მიერ წინასწარი შეთანხმების გარეშე ე. ი. ისეთი დანაშაული, რომელიც ჩადენილია წინასწარ შეთანხმებლად, ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი, თუმცა, შესაძლებელია იყოს მხოლოდ ერთ-ერთი თანამსრულებელი. ამ ფორმის ჯგუფური დანაშაულის დროს მონაწილეთა შორის შეთანხმება შესაძლებელია მხოლოდ დანაშაულის ჩადენის დროს ე. ი. ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დაწყების შემდეგ. აქ თანამონაწილეთა ქმედებაში სახეზეა წინასწარ შეთანხმებელი განსაზღვრა.
2. ჯგუფური დანაშაულის ყველაზე გავრცელებული და საშიში ფორმაა, „პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ჩადენილი დანაშაული ე. ი. ისეთი დანაშაული, რომელიც ჩადენილია ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, თუ მასში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. აქაც აუცილებელია ორი ან მეტი ამსრულებელი და არ არის საკმარისი

მხოლოდ თანამონაწილეობა. აქ ორგანიზატორად შეიძლება გამოდიოდეს ადამიანი, რომლის ინიციატივითაც შეიქმნა ჯგუფი ან რომელიც მას ხელმძღვანელობს და უშუალოდ მონაწილეობს დანაშაულის ჩადენაში თანაამსრულებლის სახით. წინასწარი შეკავშირების ქვეშ იგულისხმება შეთანხმება სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მუხლში აღწერილი მოქმედების თუნდაც ერთი პირის მიერ დაწყებამდე. შეთანხმება შეიძლება განხორციელდეს სიტყვიერი ან წერილობითი ფორმით. თანამონაწილეები იშვიათად აღწევენ შეთანხმებას კონკლუდენტური მოქმედებით. შეთანხმების საგანს ყველაზე ხშირად, ხელყოფის ობიექტი ან საგანი წარმოადგენს. ცალკეულ შემთხვევებში, შეთანხმების საგანი შეიძლება იყოს დანაშაულის ხერხიც.

3. ორგანიზებული ჯგუფი წარმოადგენს წინასწარი შეთანხმებით თანამონაწილეობის ყველაზე საშიშ სახეს. ორგანიზებული ჯგუფი არის ორი ან მეტი პირის ერთობლიობა, რომელიც წინასწარ ორგანიზებული იქნა ერთი ან მეტი დანაშაულის ჩასადენად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება. ორგანიზებული ჯგუფისათვის დამახასიათებელია პროფესიონალიზმი და სიმყარე, მიზანდასახულობა, ორგანიზაციული ხელმძღვანელობა, დისციპლინა ჯგუფის შიგნით და ა. შ. ასეთი ჯგუფის სათავეში დგანან ყველაზე ავტორიტეტული დამნაშავეები, რომლებიც შეიმუშავენ გეგმებს, ადგილზე ხელმძღვანელობენ დანაშაულთა ჩადენას, ზოგჯერ კი, თვითონ არიან ძირითადი ამსრულებლები. ძირითადად, ორგანიზებული ჯგუფის საქმიანობა დაკავშირებულია როლების განაწილებასთან, მაგრამ არ არის გამორიცხული თანაამსრულებლობა. ორგანიზებული ჯგუფის მიზნებისათვის სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად მიიჩნევა ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს როლები განაწილებული მის წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი სახე ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა. ორგანიზებული ჯგუფების აუცილებელი ნიშნებია წინასწარ შეთანხმება და სიმყარე. ორგანიზებული ჯგუფის სიმყარე გულისხმობს ჯგუფის წევრებს შორის მუდმივი კავშირების არსებობას და საქმიანობას, სპეციფიკურ მეთოდებს ერთი ან რამდენიმე დანაშაულის მომზადების ან ჩადენისას.

სიმყარე ნიშნავს, რომ ორგანიზებული ჯგუფი იქმნება დანაშაულებრივი საქმიანობისათვის ე. ი. დანაშაულთა განუსაზღვრელი რაოდენობის ჩასადენად, შედარებით ხანგრძლივი პერიოდისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ორგანიზებული ჯგუფის შექმნისათვის ან ხელმძღვანელობისათვის დაეკისრება იმას, ვინც შექმნა ასეთი ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას, მასვე დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, თუ მათ მოიცავდა მისი განზრახვა. ხოლო ორგანიზებული ჯგუფის სხვა მონაწილე პასუხს აგებს ჯგუფში მონაწილეობისათვის, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე, იმ დანაშაულისათვის, რომლის მომზადებაში ან ჩადენაში იგი მონაწილეობდა.

ჯგუფური დანაშაულის თეორიული მნიშვნელობა მრავალმხრივ არის განპირობებული თვით ამ ფორმის ფენომენის სირთულით. ინდივიდუალურად ჩადენილი დანაშაულისაგან განსხვავებით, ჯგუფი ყოველთვის უფრო საშიში კრიმინოლოგიური ფაქტორია. ჯგუფური დანაშაულობა ადამიანთა უზარმაზარ მასებს აუბედურებს, ემუქრება სახელმწიფო ცხოვრების საფუძველთა საფუძველს, ქვეყნის ეკონომიკას. მარტო საქართველოში ზოგიერთი კრიმინალური ჯგუფების ზრდის შედეგად, „ჩრდილოვანმა ეკონომიკამ“ 45% შეადგინა. უცხოეთის კრიმინოლოგთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბევრ ქვეყანაში ჯგუფური დანაშაულობა მთელ დანაშაულობათა ბირთვის ქმნის. ჯგუფური დანაშაულობის ამ განსაკუთრებული ბუნების აღწერისა და ახსნის გამო სამეცნიერო კვლევის წინაშე რიგი სპეციალური ამოცანა დგას.²

ზოგადად, პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული უფრო მეტი საშიშროების შემცველია, ვიდრე ერთპიროვნულად ჩადენილი დანაშაული. დანაშაულში რამდენიმე პირის მონაწილეობა აადვილებს მისი ჩადენის ობიექტურ შესაძლებლობას. დაბრკოლება, რომელიც გადაუღაბავი იქნებოდა ინდივიდუალურად მოქმედი პირისათვის, ადვილად შეიძლება გადალახოს რამდენიმე კაცის გაერთიანებულმა ძალღონემ.

კოდექსის 27-ე მუხლის შინაარსის მიხედვით, დანაშაულებრივი დაჯგუფება იყოფა სამ სახედ: წინასწარ შეუთანხმებლად მოქმედ ჯგუფად, წინასწარ შეთანხმებულად მოქმედ ჯგუფად და ორგანიზებულ ჯგუფად.

დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად, ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი.

მაგალითად, გაუპატიურების მიზნით, ბერაძე ფიზიკურ ძალას იყენებდა დაზარალებული ფერაძის მიმართ. ეს შენიშნა შემთხვევით გამვლელმა გულაშვილმა და ფერაძეს წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით გაუკავა ხელები. მათი მოქმედება დაკვალიფიცირდება კოდექსის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (გაუპატიურება ჩადენილი ჯგუფურად). ასეთ შემთხვევაში, საქმე გვაქვს წინასწარ შეუთანხმებლად მოქმედ ჯგუფთან.

დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად.

მაგალითად, აბულაძე და ბაბლიძე წინასწარი შეთანხმებით შევიდნენ საცხოვრებელ სახლში და მისაკუთრების მიზნით ფარულად წაიღეს ხელჩანთა, სადაც აღმოჩნდა ფული და ძვირფასი ნივთები. ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით, რაც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ქურდობისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ და ბინაში უკანონო შეღწევით.

დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად და რომლის მიზანია პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება.

ორგანიზებული ჯგუფი შეიძლება შეიქმნას როგორც წესი, ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენისათვის. ამიტომ არ შეიძლება ორგანიზებული ჯგუფის სინონიმად ჩავთვალოთ ბანდა (224-ე მ.), რომელიც მყარი შეიარაღებული ჯგუფია.

მაგალითად, თუ ქურდობა განახორციელა ორგანიზებულმა ჯგუფმა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და არა კოდექსის 224-ე მუხლით.

ასევე, ორგანიზებული ჯგუფის მიზანი შეიძლება იყოს პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონო მიღება. შეიძლება ორგანიზებული ჯგუფის მიზანი იყოს არაანგარებითიც.

მაგალითად, არაანგარებითა თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ (მუხლი 182-ე, მე-3 ნაწილი, „ა“ ქვეპუნქტი).

სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად მიიჩნევა ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ორგანიზებული ჯგუფის შექმნისათვის ან ხელმძღვანელობისათვის დაეკისრება იმას, ვინც შექმნა ასეთი ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას. მასვე დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, თუ მათ მოიცავდა მისი განზრახვა. ორგანიზებული ჯგუფის სხვა მონაწილე პასუხს აგებს ჯგუფში მონაწილეობისათვის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე, იმ დანაშაულისათვის, რომლის მომზადებაში ან ჩადენაშიც იგი მონაწილეობდა.

თუ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მხოლოდ „ჯგუფურად“ ჩადენილი დანაშაულისათვის, ასეთ შემთხვევაში, ჯგუფის ცნებაში იგულისხმება სამივე სახის ჯგუფი. მაგალითად, კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში.

თუ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ ან ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, ასეთი დანაშაულის ჩადენა თუ მოხდება წინასწარ შეთანხმებელი ჯგუფის მიერ, მათი პასუხისმგებლობა დადგება ერთპიროვნულად ჩადენილი დანაშაულისათვის. მაგალითად, თუ ქურდობა ჩაიდინა წინასწარ შეთანხმებლად მოქმედმა ორმა კაცმა, მათი პასუხისმგებლობა დადგება ინდივიდუალურად ჩადენილი ქურდობისათვის.

თუ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას „ჯგუფურად“ და „ორგანიზებული ჯგუფის“ მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, ასეთ შემთხვევაში, „ჯგუფის“ ცნებაში იგულისხმება წინასწარ შეთანხმებლად მოქმედი და წინასწარი შეთანხმებით მოქმედი ჯგუფი. მაგალითად, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

ზოგჯერ, ჯგუფს, რომელიც შედგება ორი წევრისაგან და მათ შორის, ერთ-ერთი შერაცხვისუუნაროა, არ თვლიან ჯგუფად და გვთავაზობენ ქმედება დაკვალიფიცირდეს ერთპიროვნულად ჩადენილი დანაშაულით. თუ ყაჩაღური თავდასხმის ორი მონაწილიდან ერთ იმალება და მისი ვინაობა დაუდგენელია, – წერს ო. გამყრელიძე, მაშინ მეორემ არ უნდა აგოს პასუხი ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისათვის.³

იგივე აზრს იმეორებენ სასამართლო პრაქტიკის კომენტარის ავტორები და წერენ, რომ პირს არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს ჯგუფური დანაშაულისათვის, იქნება ეს ყაჩაღობა, ქურდობა თუ სხვა, თუ ჯგუფის ორი წევრიდან ერთი იმალება ან რაიმე მიზეზით სამართალში მიცემული არ

ყოფილა.⁴ თუ ყაჩაღობა ჩადენილია ორი პირის მიერ, – წერს რ. კვარაცხელია, რომელთაგანაც მხოლოდ ერთია შერაცხადი, მაშინ შეუძლებელია ამ უკანასკნელმა პასუხი აგოს ყაჩაღობის ჯგუფურად ჩადენისათვის, რადგან ასეთია სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის მოთხოვნა.⁵

ცხადია, მოცემული დებულების ავტორები ცდებიან. „ჯგუფურობა“ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენელი ნაწილია (კანონის შემადგენელი ნაწილი), ხოლო შერაცხვა-შეურაცხაობის საკითხი ბრალის დადგენის ეტაპზე წყდება. შეიძლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება ჯგუფმა ჩაიდინა, მაგრამ ჯგუფური დანაშაულის ჩადენა შეერაცხება ბრალად შერაცხად პირს, ხოლო შერაცხვისუუნარო პირს ბრალად არ შეერაცხება მოცემული დანაშაულის ჩადენა. ქმედების ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მის ჩადენაში მონაწილე პირთა რაოდენობას და არა იმას, თუ რამდენ კაცს შეერაცხება ბრალად მისი ჩადენა.

დანაშაულის ჯგუფურად ჩადენის კვალიფიკაციისათვის, საკმარისია დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობდეს ორი ან მეტი პირი. თუ დანაშაულში მონაწილეობს ორი პირი და მათ შორის, ერთ-ერთი შერაცხვისუუნაროა, ქმედება დაკვალიფიცირდება ჯგუფურ დანაშაულად, მაგრამ ბრალის საკითხის გადაწყვეტის დროს შერაცხვისუუნარო პირს დანაშაულის ჩადენა ბრალად არ შეერაცხება, ხოლო შერაცხვისუუნარიანი პირი პასუხს აგებს ჯგუფური დანაშაულისათვის. ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რაოდენობრივ ნიშანს (ქმედების ობიექტური მხარე, ორი ან მეტი პირი). ხოლო ჯგუფში მონაწილე პირის შერაცხადობა-შეურაცხაობის საკითხი უნდა გადაწყდეს ბრალის ეტაპზე. დანაშაულის ჯგუფურად ჩადენა უნდა დადგინდეს იმ ეტაპზე, როდესაც დგინდება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება და არა იმ ეტაპზე, როდესაც დგინდება ბრალი.

ამრიგად, ჯგუფურად დანაშაულის ჩადენის სწორად კვალიფიკაცია ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის პროცესის მიზნების მიღწევას.

შენიშვნები:

- ¹ დონჯაშვილი თ., საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ჯგუფური დანაშაული, 2007, გვ. 264.
- ² ბაძალუა მ., ჯგუფური დანაშაულობა, ჯგუფური დანაშაულობის გამოკვლევის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა, 1998, გვ. 40.
- ³ გამყრელიძე ო., სასამართლო პრაქტიკის ერთი საკითხის განმარტებისათვის, „მართლმსაჯულების მაცნე“, №4, 1998, გვ. 37-39.
- ⁴ სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (ეკონომიკური დანაშაული), თბილისი, 2004, გვ. 102.
- ⁵ კვარაცხელია რ., განაჩენის დაუსწრებლად გამოტანისა და ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემა, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“, №1(9), თბილისი, 2010, გვ. 38.

PROBLEMS OF QUALIFICATION OF CRIME BY GROUP

MALKHAZ LOMSADZE

*Doctor of Law, Professor, Dean of the Law Faculty of
the Samtskhe-Javakheti State University*

Crime by group has always been a subject of discussion for law scholars. This article differentiates crime by group according to the degree of its organization. The article highlights that unlike the offence committed by an individual, the group has always contained a more dangerous criminogenic factor. Organized offence makes large number of people unhappy, and puts the fundamental of fundamentals of state life – economy of the country under risk. In general, a crime committed by a group of people contains more danger than a crime committed individually. Participation of several people in the crime simplifies the objective possibility of its occurrence. The hindrance that would have been insurmountable for a person acting individually, can be easily overcome by united forces of several persons. In general, a crime is committed by a group if two or more actors jointly participated in it without prior agreement. Usually, an organized group can be formed for committing one or more crimes. This is why we cannot use the word ‘band’ (Article 224) interchangeably with an organized group, as far as it is a solid armed group.

The article provides an attempted justification for addressing the problem of qualification of crime by group. It is enough to have two or more people involved in committing the crime for qualifying it as a crime by group. If there are two persons involved in the crime and one of them is not mentally capable, the action will be qualified as crime by group, but while deciding the charge, the incapable person will not be charged of committing the crime, though the capable person will bear responsibility for the crime by group.

We think that this article will assist law scholars, practitioners and those individuals who are interested in the problems of qualification of crime by group.

საზღვარგარეთის ქვეყნების საბადასახადო საქმისა და საბადა- სახადო სამართლის კონსტიტუციურსა- მართლებრივი საფუძვლები

ია ხარაში

*საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტისა და
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

**„გადასახადებს იმიტომ ვიხდით, რომ ცივილიზებულ
საზოგადოებაში ვიცხოვროთ.“**

წარწერა საგადასახადო სამმართველოს შენობაზე, ვაშინგტონში

ნებისმიერი ქვეყნის სამართლის წყაროთა შორის კონსტიტუცია, ანუ ძირითადი კანონი (სადაც ისინი ფუნქციონირებენ) განიხილება, როგორც სამართლებრივი ნორმების დადგენისა და მისთვის აუცილებელი ძალის მიმცემი უმაღლესი ფორმა. „კონსტიტუცია სამართლის სისტემის საწყისი პუნქტი და ნებისმიერი დავის გადამწყვეტი არგუმენტია.“

სამართლის თეორიისათვის ცნობილია, რომ კონსტიტუცია ადგენს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ნორმებსა და პრინციპებს, საიდანაც შემდგომში ხდება დეტალური სამართლებრივი რეგულირება სხვადასხვა ფორმებში. ამასთან, კონსტიტუციის გარკვეულ ნორმებს შეუძლიათ ჰქონდეთ პირდაპირი მოქმედება ე. ი. მათი

გამოყენებისათვის არ საჭიროებს რომელიმე დამატებით რეგულირებას.² გასათვალისწინებელია ისიც, რომ კონსტიტუციის ნორმები წარმოადგენენ მნიშვნელოვან წყაროს არა მარტო საკონსტიტუციო სამართლის, არამედ ყველა სხვა სამართლის დარგებისთვისაც. ისინი შეადგენენ ყველა ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ფუძეს. ეს შეეხება საგადასახადო სამართლის დარგსაც. ნამდვილად, რიგი ავტორების შრომებში კონსტიტუცია განიხილება როგორც საგადასახადო სამართლის ძირითადი წყარო და შესაბამისი საზოგადოებრივი ურთიერთობების მნიშვნელოვანი რეგულატორი. აქედან გამომდინარეობს, რომ საგადასახადო ურთიერთობებზე კონსტიტუცია ასევე, ავრცელებს თავის ნორმატიულ ქმედებას.³

ცხადია, რომ საკონსტიტუციო ნორმები, უპირველეს ყოვლისა, ამაყარებს სხვადასხვა პრინციპებს მათ შორის, ისეთ პრინციპებს, რომლებზედაც ფუძნდება საგადასახადო დაბეგვრის სისტემა. სხვადასხვა ქვეყნების სპეციალისტების აზრით, კონსტიტუცია განისაზღვრება როგორც საგადასახადო სამართლის ძირითადი აქტი, – წერს კობირინი.⁴ ქვეყნების კონსტიტუციური ნორმები სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების მყარი ფინანსური საფუძვლის შექმნას ემსახურებიან და სწორედ კონსტიტუციით დადგენილი საგადასახადო კანონმდებლობისათვის დამახასიათებელი ძირითადი დებულებების გარეშე, ალბათ შეუძლებელი იქნებოდა ბიუჯეტის დროული და სრული ფორმირება, ეფექტიანი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს არა მარტო ქვეყნის მყარი საფინანსო საფუძვლის შექმნა, არამედ ამავდროულად, გადასახადის გადახდელთა ინტერესების დაცვაც.

დღეს, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში კონსტიტუციებით გაწერილი და საგადასახადო კანონმდებლობებით დადგენილი გადასახადების გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნისათვის ძლიერი საფინანსო ბერკეტების შექმნა, რამეთუ გადასახადი სახელმწიფოს ფინანსური რესურსების ძირითადი წყაროა. სახელმწიფოები კი, ფინანსური რესურსების გარეშე ბუნებრივია, ვერ იარსებებენ. კანონით დადგენილი გადასახადების გადახდის კონსტიტუციური ვალდებულების შესრულება სხვადასხვა ქვეყნებში უზრუნველყოფილია ეფექტიანი და მოქნილი საგადასახადო კონტროლის პროცედურებით და შესაბამისი გადახდის კულტურისა და პასუხისმგებლობის დაწესებით.

„გადასახადის გადახდის სავალდებულო ხასიათი უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ საგადასახადო, სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების მეშვეობით, რაც მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ გადასახადის გადახდა ატარებს არა ნებაყოფლობით, არამედ იძულებით ხასიათს.“⁵

შესაბამისი საკონსტიტუციო ნორმების განსაზღვრული მნიშვნელობით საგადასახადო ურთიერთობების რეგულირებაში, საინტერესოა შედარებით–სამართლებრივი კვლევა საზღვარგარეთის ქვეყნების ძირითადი კანონებისა (კონსტიტუციებისა).

თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ურთიერთობების მარეგულირებელი ასპექტები ამა თუ იმ ხარისხით ისახება პრაქტიკულად ყველა ქვეყნის კონსტიტუციაში, გარკვეულწილად, განსხვავებული ინტერპრეტაციით. ერთი ქვეყნის კონსტიტუციაში გაწერილია მხოლოდ საგადასახადო დაბეგვრისათვის საერთო დამახასიათებელი რეგულაციები,⁶ სხვა ქვეყნების კონსტიტუციებში კი, ძირითადად, ფედერალურ სახელმწიფოებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ცენტრალური ხელისუფლებისა და ტერიტორიული წარმონაქმნის უფლებამოსილების გამიჯვნას ადმინისტრაციული მართვის დადგენისა და გადასახადების ამოღების ნაწილში. დაბოლოს, ისეთი კონსტრუქციებიცაა, რომლებშიც მომეტებულადაა საგადასახადო ნორმები – ზოგიერთში, ძირითადი კანონებიდან გა-

ნისაზღვრება გადასახადების სახეები და გაწერილია მათი იურიდიული კონსტრუქციების ზოგიერთი ელემენტები. უფრო დაწვრილებით განვიხილოთ საზღვარგარეთის კონსტიტუციების შესაბამისი დებულებები.

საზღვარგარეთის უმრავლესი ქვეყნის კონსტიტუცია შეიცავს ისეთ ნორმებს, რომლებშიც გადასახადები და მოსაკრებლები განისაზღვრებიან როგორც ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი წყარო. ამითვე აღინიშნება გადასახადების ძირითადი ფუნქცია – ფისკალური. ასე მაგალითად, ბელორუსიის რესპუბლიკის კონსტიტუციის 133-ე მუხლის თანახმად, ბიუჯეტის შემოსავლები ყალიბდება კანონით განსაზღვრული შემოსავლების ხარჯზე, სხვა სავალდებულო გადასახადებით, ასევე, სხვა შემოსავლებით; ყირგიზეთის კონსტიტუციის მე-11 მუხლით განსაზღვრულია, რომ რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები ყალიბდება კანონით დადგენილი შემოსავლების ხარჯზე და აგრეთვე, სხვა სავალდებულო გადასახადებით და ა. შ.

ჩვენი აზრით, კვლევა-ანალიზი უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დავიწყოთ საკონსტიტუციო ნორმა-პრინციპების ანალიზით და იმ ნორმებით, რომლებიც ამაგრებენ საგადასახადო დაბეგვრის ერთობლიობას. ადრე, ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდნენ, რომ გადასახადების გადახდის ვალდებულება ანარეკლს ჰპოვებდა არა ყველა კონსტიტუციაში. ე. წ. „სოციალისტური კონსტიტუციები“ ჩვეულებრივ, არ მიუთითებდნენ მოქალაქეების ძირითად ვალდებულებებს შორის გადასახადების გადახდის ვალდებულებაზე. პროპაგანდა ხშირად ხაზს უსვამდა, რომ „კაპიტალისტური ქვეყნებისაგან“ განსხვავებით, „სოციალისტურ ქვეყნებში“ გადასახადები ამოიღება ძირითადად, არა მოქალაქეებისაგან, არამედ საწარმო-დაწესებულებებისაგან და რომ ირიბი გადასახადები არ არსებობს.⁷ ამ კუთხით, ყველაზე თვალსაჩინოა კორეის კონსტიტუცია, რომლის 33-ე მუხლით, სახელმწიფო მთლიანად ახდენს გადასახადების სისტემის ლიკვიდაციას, რაც წარმოადგენს ძველი საზოგადოების მემკვიდრეობას.

თანამედროვე რეალობით კი, პრაქტიკულად, ყველა სახელმწიფოში სამხედრო და სხვა მნიშვნელოვან საკონსტიტუციო ვალდებულებათა რანგშია აყვანილი გადასახადების გადახდის ვალდებულება. გადასახადების გადამხდელების ვალდებულებებზე მიუთითებს ის, რომ შესაბამისი ნორმები უპირატესად, გათვალისწინებულია კონსტიტუციების განყოფილებებსა და თავებში, რაც განაპირობებს ადამიანისა და მოქალაქის სამართლებრივ სტატუსს. მაგალითად, ბელორუსიის რესპუბლიკის კონსტიტუციის II განყოფილებაში – „პიროვნება, საზოგადოება, სახელმწიფო,“ ყაზახეთის კონსტიტუციის II განყოფილებაში – „ადამიანი და მოქალაქე,“ ყირგიზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის III განყოფილებაში – „მოქალაქის უფლებები და ვალდებულებები,“ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის თავი IV – „მოქალაქის ძირითადი ვალდებულებები“, სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის თავი II – „ადამიანისა და მოქალაქის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები,“ იაპონიის კონსტიტუციის თავი III – „ხალხის უფლებები და ვალდებულებები.“ მხოლოდ ცალკეულ კონსტიტუციებში შესაბამისი მუხლები განთავსებულია სხვაგვარად. საქართველოს კონსტიტუციაში ასეთი არის მეექვსე თავი – „სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი.“

ცალკე უნდა შევჩერდეთ კონსტიტუციის შესაბამისი მუხლების ფორმულირებებზე. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის 73-ე მუხლში საუბარია, რომ ყველას მოვალეობაა დროულად გადაიხადონ კანონით დადგენილი გადასახადები და სახელმწიფო მოსაკრებლები, მთლიანი მოცულობით. სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 46-ე მუხლის თანახმად, ყველაა მოვალე გადაიხადოს კანონ-

ნით დადგენილი გადასახადები, მოსაკრებლები, გადაიხადოს სხვა სავალდებულო გადასახადები. ყაზახეთის კონსტიტუციის 35-ე მუხლში დამაგრებულია დებულება იმის შესახებ, რომ კანონით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა სავალდებულო გადასახადების გადახდა ყველას ვალი და ვალდებულებაა და სხვ.

რიგი ქვეყნების კონსტიტუციებში შესაბამისი ვალდებულებების დადგენა განპირობებულია ყველა მოქალაქის მონაწილეობის ვალდებულებით სახელმწიფოს ფინანსირებაში. მაგალითად, იტალიის რესპუბლიკის კონსტიტუციის 53-ე მუხლი იუწყება, რომ ყველა ვალდებული მონაწილეობდნენ სახელმწიფო ხარჯებში თავისი საგადასახდო შესაძლებლობების შესაბამისად; ბელორუსიის კონსტიტუციის 56-ე მუხლის თანახმად, მოქალაქეები ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო ხარჯების ფორმირებებში, გადასახადების გადახდევინების გზით.

საყურადღებოა, რომ საგადასახდო სამართლის ერთ-ერთ პოსტულატს წარმოადგენს მოთხოვნა, რომ ყველა გადასახადის გადახდა სავალდებულოა მხოლოდ კანონით დადგენილი წესით. ამ დებულებას ავითარებს საქართველოს კონსტიტუციაც, რომლის 94-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ „სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით; გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურას, შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი; გადასახადებისაგან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ კანონით. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება, გარდა აქციზისა ან საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის სახის მიხედვით, არსებული განაკვეთის ზედა ზღვრის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით, გარდა ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. რეფერენდუმის დანიშვნის ინიცირების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს მთავრობას.“

საგადასახდო სამართლის ეს პრინციპი (გადასახადის გადახდის სავალდებულობის პრინციპი) გამყარებულია საზღვარგარეთის ქვეყნების უმეტეს კონსტიტუციებში. ამ პრინციპის აუცილებლობა კონსტიტუციაში აიხსნება იმით, რომ სათანადო კანონის მიღებით შესაძლო ხდება კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპის უზრუნველყოფა და გადასახადების გადამხდელის იძულება თავისი შემოსავლების ნაწილი სახელმწიფო შემოსავალში გადარიცხოს. „სამყაროში ორი რამ არის გარდაუვალი – სიკვდილი და გადასახადები. ეს სიტყვები ბენჯამინ ფრანკლინის ეკუთვნის და რამდენადაც ბანალურად არ უნდა ჟღერდეს, სამწუხარო ჭეშმარიტებაა.“⁴⁸

გადასახადების და მოსაკრებლების დადგენისა და გადახდის პრინციპმა პრაქტიკულად ყველა საზღვარგარეთის კონსტიტუციების ტექსტებში ჰპოვა ასახვა. განსაკუთრებით, ეს პრინციპი გაწერილია იაპონიის კონსტიტუციაში (მ. 30), რომლითაც განისაზღვრება, რომ „მოსახლეობა ექვემდებარება გადასახადებით დაბეგვრას კანონის შესაბამისად.“ აზერბაიჯანის კონსტიტუციაში საუბარია იმაზე, რომ არავინ არ უნდა იყოს იძულებული გადაიხადოს გადასახადები და სხვა სახელმწიფო მოსაკრებლები, თუ კანონით გათვალისწინებული საფუძვლები არ არსებობს. საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის თანახმად, სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით (ნაწ. 1); მე-2 ნაწილის თანახმად კი, გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურას, შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი. მე-3 ნაწილის ფორმულირებით – „გადასახადებისაგან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ კანონით.“ საბერძნეთის კონსტიტუცია გარდა მითითებისა, გადასახადების აუცილებელი გადახდის დაწესებაზე, ასევე შეიცავს დებულებას განსაზღვროს ძირითადი კანონით გადასახადების დაბეგვრის საფუძვლები. კერძოდ, 78-ე მუხლში გაწერილია: „არც ერთი გადასახადი არ შეიძლება იყოს შემოღებული და არ შეიძლება გადახდევინება

ფორმალური კანონის მოქმედების გარეშე,“ რომელიც განსაზღვრავს პირთა გარემოცვას (დაბეგვრას დაქვემდებარებული სუბიექტების წრეს), შემოსავლის დონეს, სივრცით საზღვრებს, ხარჯებს და გარიგებებს ან კატეგორიებს, რომლებზედაც ვრცელდება დაბეგვრა.“ საფრანგეთის კონსტიტუცია ადგენს წესებს, რომლებიც აწესებენ გადასახადებისა და მათი ამოღების პირობებს (საფრანგეთის კონსტიტუციის 34-ე მუხლი).

ესპანეთის სამეფოს კონსტიტუციის 133-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ გადასახადების დაწესების თავდაპირველი უფლება ეკუთვნის მხოლოდ სახელმწიფოს და ხორციელდება კანონის გამოცემის მეშვეობით.

გადასახადების დაწესების ფორმა დგინდება ქვეყნის წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ. მოლდავეთის კონსტიტუციის 132-ე მუხლში პირდაპირ გაწერილია, რომ გადასახადები, მოსაკრებლები და სახელმწიფო ბიუჯეტის ნებისმიერი სხვა შემოსავლები, სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ბიუჯეტი წესდება კანონის თანახმად, სათანადო წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ. ბელორუსიის რესპუბლიკის კონსტიტუციის 97-ე მუხლის თანახმად, რესპუბლიკური გადასახადების დაწესების კანონპროექტის განხილვა მიეკუთვნება ნაციონალური კრების ერთ-ერთი პალატის კომპეტენციას – წარმომადგენლობით პალატას; ყაზახეთის კონსტიტუციაში საუბარია, რომ პარლამენტი უფლებამოსილია გამოსცეს კანონები, რომლებიც არეგულირებენ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ადგენენ ფუძემდებლურ პრინციპებს და ნორმებს; რაც შეეხება გადასახადებით დაბეგვრას, მოსაკრებლებისა და სხვა სავალდებულო გადასახადების დაწესებას (მ. 61), ხორციელდება პარლამენტის მეშვეობით, პალატების სხდომის დაყოფით, საკითხების თანმიმდევრული განხილვის გზით, ჯერ მეჯლისში, შემდეგ კი, სენატში (მ. 54).

საგადასახადო სისტემის ერთიანობის პრინციპი გამყარებულია ყირგიზეთის კონსტიტუციითაც, სადაც მე-11 მუხლის თანახმად, ყირგიზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს ერთიანი საგადასახადო სისტემა. ყველა ბაჟის, გამოსაღებისა და აქციზების გადახდის აუცილებლობაზე საუბარი გაერთიანებული შტატების ტერიტორიაზე აშშ-ის კონსტიტუციის მე-8 განყოფილებაშიც.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ყირგიზეთის კონსტიტუციაში ასევე, გაწერილია საგადასახადო კანონისათვის უკუძალის არმიცემის პრინციპი, რაც გააუარესებს გადასახადების გადამხდელთა მდგომარეობას. კერძოდ, განსაზღვრულია, რომ კანონებს, რომლებიც ადგენენ გადასახადებს და გააუარესებენ გადასახადების გადამხდელთა მდგომარეობას, არ გააჩნია უკუძალა. მოცემული პრინციპი გამოცხადებულია ტაჯიკეთშიც, კერძოდ, კონსტიტუციის 45-ე მუხლში მითითებულია, რომ კანონებს, რომლებიც ადგენენ ახალ გადასახადებს ან აუარესებენ მათი მოქალაქეების მდგომარეობას, არ გააჩნიათ უკუქვევითი ძალა.⁹

გადასახადების დაბეგვრის სამართლიანობის პრინციპი აღნიშნულია მოლდოვეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაშიც, რომლის 58-ე მუხლში აღნიშნულია, რომ კანონით გათვალისწინებულმა „საგადასახადო სისტემამ“ უნდა უზრუნველყოს „საგადასახადო ტვირთის“ სამართლიანი გადანაწილება.

საგადასახადო დაბეგვრის დადგენის უფრო მნიშვნელოვან საფუძვლად მიიჩნევა ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუცია. მასში განსაზღვრულია, რომ გადასახადებს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა ჰქონდეს პირადი ხასიათი და გადანაწილდეს გადასახადების გადამხდელების ეკონომიკური შესაძლებლობების შესაბამისად. კერძოდ, იმისათვის, რომ უზრუნველყონ ამ პრინციპების განხორციელება, საგადასახადო ადმინისტრაციას კანონის შესაბამისად და პირადი უფლებების დაცვით შესაძლებელია გამოარკვიოს გადასახადების გადამხდელის ქონება, შემოსავალი და ეკონომიკური საქმიანობა (მ. 145). კავშირს, შტატებს, ფედერალურ ოლქს და მუნიციპალიტეტებს ეკრძალებათ დაად-

გინონ ან გაზარდონ სავალდებულო ხასიათის გამოსაღებები წინასწარ გამოცემული კანონის გარეშე, ფაქტების საფუძველზე დაბეგრის სავალდებულო გადასახადებით, დაადგინოს გადასახადები ქონებაზე, შემოსავლებზე, მომსახურებაზე, ეკლესიებზე (მიუხედავად რელიგიური შეხედულებებისა) და სხვ. (მ. 150).

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს საკითხი უფლებამოსილების განაწილებაზე ხელისუფლების შტოებს შორის გადასახადების შემოღებასა და დაწესებაზე. ცალკეულ ქვეყნებში ეს პრინციპი წარმოადგენს უმაღლესი ხელისუფლების განსაკუთრებულ პრეროგატივას. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლში ჩაწერილია, რომ „მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება საგადასახადო კანონმდებლობა, ასევე, საგარეო ვაჭრობა, საბაჟო და სატარიფო რეჟიმები.“ „აღნიშნულმა მუხლმა გამოკვეთა საქართველოს საგადასახადო-საბაჟო პოლიტიკა (ეკონომიკური პოლიტიკა), რომელიც არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი ერთგვარი „თამაშის წესები“ საგადასახადო-საბაჟო სფეროში, რომლის მიზანია გაცვლით გაპირობებული განაწილებითი მართვა.“¹⁰ ამასთან, საქართველოს მთავრობას აქვს უფლება წარუდგინოს პარლამენტს წინადადება საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფისათვის. მაგრამ ამგვარი მიდგომა არ არის ტიპობრივი უნიტარული სახელმწიფოებისათვისაც კი, რადგანაც მათი უმრავლესობის საგადასახადო დაბეგრის საკითხები მოქცეულია ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების გამგებლობაში (მაგალითად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, „ადგილობრივი გადასახადის დაწესება, შემოღება, მისი გადახდის პირობების შეცვლა და გადასახადის გაუქმება“) – ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით¹¹ დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში (ნაწ. 1), ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად კი, „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო ვალდებულია ადგილობრივი გადასახადის შემოღების, მისი გადახდის პირობების შეცვლის ან შემოღებული ადგილობრივი გადასახადის გაუქმების შესახებ ინფორმაცია და სათანადო ნორმატიული აქტის ასლი მისი გამოქვეყნებისთანავე გაუგზავნოს შემოსავლების სამსახურსა და შესაბამის საგადასახადო ორგანოებს.“ მაგალითად, აზერბაიჯანში, სადაც გადასახადები, ბაჟები და მოსაკრებლები იმის და მიხედვით, როგორი დონის ბიუჯეტში შედის – ადგენს წარმომადგენლობითი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო (მეჯლისი), ასევე, ავტონომიური რესპუბლიკისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ – მუნიციპალიტეტი (მ. 94, მ. 138, მ. 144 – აზერბაიჯანის კონსტიტუცია). ბელორუსის კონსტიტუციის 121-ე მუხლის თანახმად, ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების დაწესება კანონის შესაბამისად, მიეკუთვნება ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების განსაკუთრებულ კომპეტენციას.

„ფედერალური სახელმწიფოების კონსტიტუციებში ხელისუფლების დონეებს შორის კომპეტენციების გამიჯვნას გადასახადების გამგებლობაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ასე მაგალითად, ბრაზილიის ფედერაციული კონსტიტუციის 24-ე მუხლის შესაბამისად, კავშირი, შტატები და ფედერალური ოლქი „კონკურენციის საფუძველზე, კანონმდებლობენ საგადასახადო სამართლის საკითხებზე.“ მე-4 განყოფილების 1-ელ თავში „ფედერალური საგადასახადო სისტემა“ განსაზღვრულია, რომ კავშირს, შტატებს, ფედერალურ ოლქს და მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ დააწესონ შემდეგი სავალდებულო დასაბეგრი გადასახადები: გადასახადები, მოსაკრებლები, რომლებიც გადაიხდებიან პოლიციის

უფლებამოსილებების განსახორციელებლად ან საჯარო სამსახურების ეფექტიანი მუშაობისათვის.¹² ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ გამოცემულ ერთ პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ გარდა იმ გადასახადებისა, რომლებსაც მოსახლეობა ცენტრალურ მთავრობას უხდის და რომელთა რიცხვში საშემოსავლო გადასახადიც შედის, „ხელფასის მიმღები პირები შეიძლება იხდიდნენ ადგილობრივი, რეგიონის, პროვინციისა თუ შტატის ხელისუფლების მიერ დაწესებულ საშემოსავლო გადასახადებს. ასეთი ვითარება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბელგიაში, ესპანეთში, იაპონიაში, ისლანდიაში, კანადაში, კორეაში, სკანდინავიის ქვეყნებსა და შვეიცარიაში“ (OECD Observer).¹³ მაგალითად, „აშშ-ის პრიორიტეტს პირდაპირი გადასახადები წარმოადგენენ. დღეისათვის აშშ-ის საგადასახადო სისტემა ხასიათდება ფედერალური მთავრობის, შტატების მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ ძირითადი სახის გადასახადების პარალელური გამოყენებით. აშშ-ის ფედერალური მთავრობის საგადასახადო სისტემაში ძირითად გადასახადს საშემოსავლო გადასახადი, შტატების საგადასახადო სისტემაში – უნივერსალური და სპეციფიკური აქციზები, ხოლო ადგილობრივ საგადასახადო სისტემებში – ქონების გადასახადი წარმოადგენს. დღეისათვის პირდაპირ გადასახადებში 40%-ზე მეტი ფედერალურ საშემოსავლო გადასახადზე მოდის, რომელიც ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყაროა.“¹⁴ ზოგადად, აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში საშემოსავლო გადასახადი (მათ შორის, საქართველოშიც)¹⁵ მოსახლეობის ძირითადი პირდაპირი გადასახადია, რომელიც ევროპის ყველა სახელმწიფოში მოქმედებს,“ მხოლოდ მდგომარეობა განსხვავება. „მაგალითად, ირლანდიაში გადასახადის გადამხდელის ერთობლივი წლიური შემოსავლის განსაზღვრისას, ხელფასის გარდა, მხედველობაში მიიღება პრემიისა ან სარგებლის სახით მიღებული შემოსავლებიც. ...ბელგიაში, ლუქსემბურგში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, შვედეთსა და ფინეთში დროებით შრომისუნარიანობასთან დაკავშირებული განაცემები გადასახადით დასაბეგრი ბაზის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება, ხოლო ირლანდიაში, ავსტრიაში, პორტუგალიასა და ესპანეთში ასეთი განაცემები გადასახადით დასაბეგრი ბაზის განსაზღვრისას – მხედველობაში არ მიიღება.“¹⁶ საზღვარგარეთის ქვეყნებში საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები რთული პროგრესის მეთოდითაა აგებული, განსხვავებით საქართველოსაგან, სადაც პროპორციული დაბეგვრის მეთოდები გამოიყენება და ა. შ.

გერმანიის ძირითადი კანონის 105-ე მუხლში განსაზღვრულია, რომ ფედერაცია ფლობს საბაჟო საქმეებში განსაკუთრებულ რეპუტაციას და კონკურენციულ კომპეტენციას საქმეებში, რომლებიც ეხება სხვა გადასახადებს. ფედერალური მიწების მთავრობა უფლებამოსილია დააკანონოს ადგილობრივი გადასახადების სფეროში გადასახადები მომსახურებაზე. ბუნდესრატის მოწონებას საჭიროებენ ფედერალური კანონები გადასახადებზე, საიდანაც შემოსავლები მთლიანად ან ნაწილობრივ ხმარდება მიწებს ან თემებს. გერმანიის ძირითადი კანონი შეიცავს საკმაოდ ბევრ ნორმას, რაც დეტალურად განსაზღვრავს გადასახადების ამოღებით შემოსავლების განაწილებას, გადასახადების სახეობების გაწერილობამდეც კი. ასე მაგალითად, ძირითადი კანონის 106-ე მუხლში განსაზღვრულია, რომ ფედერაცია ღებულობს შემოსავლებს შემდეგი გადასახადებისაგან: საბაჟო გადასახადები; ძირითადი გადასახადები მოხმარებაზე; გადასახადები საბარგო ტრანსპორტიდან; კაპიტალის ბრუნვიდან ამოღებული გადასახადი; დაზღვევაზე გადასახადი და გადასახადი გაცვლითი ოპერაციებიდან. მიწის სასარგებლოდ შემოდის შემდეგი სახის გადასახადები: ქონების გადასახადი; მემკვიდრეობით მიღებული ქონებიდან მიღებული გადასახადი; გადასახადი ავტომობილებზე; გადასახადი ლუდზე; მოსაკრებლები სათამაშო დაწესებულებებიდან. თემები იღებენ შემოსავლის ნაწილს საშემოსავ-

ლო გადასახადისაგან, რომლებიც უნდა დარეგულირდეს თემების მიწების გადასახადებისაგან და რომლებსაც იხდიან მისი მცხოვრებლები საშემოსავლო გადასახადის სახით. შემოსავლის ნაწილი პირდაპირი გადასახადებიდან და ირიბი ადგილობრივი გადასახადებიდან ასევე, ეკუთვნის თემებს (თემების გაერთიანებებს), მათვე ეკუთვნით უფლება დააწესონ, რომ თუ მიწას არ გააჩნია თავის შემადგენლობაში თემები, მაშინ აღნიშნული შემოსავლები ეკუთვნის მთლიანად მიწას.

„ცალკე აღნიშვნის ღირსია შვეიცარიის კონფედერაციის ფედერალური კონსტიტუციის ნორმები გადასახადების დაწესების შესახებ. ამ სახელმწიფოში გადასახადების გადახდევინება ხდება კონფედერაციულ, კანტონალურ და მუნიციპალურ დონეებზე. გადასახადების სისტემის კონფედერაციულობა განისაზღვრება შვეიცარიის კონფედერაციის ფედერალური კონსტიტუციის მე-3 მუხლით, რომლის შესაბამისად, კანტონები წარმოადგენს სუვერენულ ტერიტორიებს. მათი სუვერენიტეტი არ არის შეზღუდული ფედერალური კონსტიტუციით და ისინი თვითნებურად განახორციელებენ თავის უფლებებს, იმის გარდა, რომლებიც გადაცემულია კონფედერაციისათვის.“⁴⁷ კონფედერაციის საგადასახადო დაბეგვრის ნაწილში დელეგირებულია მხოლოდ ცალკეული უფლებამოსილებები. ასე მაგალითად, განსაზღვრული განაკვეთის ჩარჩოებში კონფედერაცია უფლებამოსილია გადახდევინოს ცალკეული პირდაპირი გადასახადები: ფიზიკური პირების შემოსავლებზე, იურიდიულ პირთა სუფთა შემოსავალზე, იურიდიული პირების კაპიტალზე და სარეზერვო ფულად ფონდებზე. გადასახადი დამატებულ ღირებულებებზე შეიძლება გადახდევინებულ იქნას კონფედერაციის მიერ არა უმეტეს 1,5 პროცენტის განაკვეთით. „თუ მოსახლეობის რაოდენობის ზრდის მიხედვით წარმოიშვა ფინანსირების პრობლემა სოციალური საპენსიო დაზღვევის, მარჩენალდაკარგულების დაზღვევის და პირების დაზღვევისა, რომლებმაც დაკარგეს შრომისუნარიანობა ე. ი. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრები საკმარისი არ არის ასეთი პირებისათვის და ფინანსირებას არ არის უზრუნველყოფილი, კონფედერაციას შეუძლია ფედერალური კანონით ერთი პუნქტით გაზარდოს გადასახადი დამატებულ გადასახადზე. სპეციალურ მიზნობრივ ხარჯვაზე კონფედერაციას უფლება ეძლევა მოახდინოს გადახდევინება შემდეგ საქონელზე: დაუმუშავებელი და დამუშავებული თამბაქო, გაწმენდილი ალკოჰოლური სასმელები, ლუდი, ავტომობილები და მათი ძირითადი ნაწილები, ნავთობი, სხვა ნავთობპროდუქტები, ბუნებრივი აირი. ამას გარდა, კონფედერაციას შეუძლია მოახდინოს გადახდევინება საწვავზე, საგერბო მოსაკრებელი ფასიან ქალაქებზე, სადაზღვევო პოლისებზე და სხვა კომერციულ ოპერაციებზე, მოგების, გადასახადი მოძრავი ქონების რეალიზაციიდან, ლატარიის მოგებებიდან და სადაზღვევო ანაზღაურებიდან, ასევე, საბაჟო შემოსავლები. ამას გარდა, გადასახადების გადახდევინება ხდება იმ პირთაგან, რომლებიც არ მსახურობენ ჯარში.“¹⁸ აღსანიშნავია, რომ კანტონებმა და კომუნებმა უარი თქვეს თავის მოთხოვნებზე ზოგიერთი გადასახადის მიმართ, კონფედერაციის სასარგებლოდ. კერძოდ, შვეიცარიის კონსტიტუციის 134-ე მუხლის შესაბამისად, „ობიექტები, რომლებიც ფედერალურმა კანონმდებლობამ მიაკუთვნა გადასახადის დაბეგვრას დამატებით ღირებულებებზე, გადასახადით სპეციალურ ხარჯებზე (გასავლებზე), საგერბო მოსაკრებლებით და წინასწარი გადასახადით, რომლებისგანაც ეს კანონმდებლობა ათავისუფლებს, არ შეიძლება შეყვანილ იქნას კანტონების და კომუნების მიერ იმავე ხასიათის გადასახადში.“ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კონსტიტუციით განსაზღვრული კონფედერაციის უფლებამოსილება საგადასახადო ჰარმონიზაციაზე. კერძოდ, ცენტრალურ ხელისუფლებას უფლება დააწესოს პირდაპირი გადასახადების ჰარმონიზაციის საერთო პრინციპები, რისი გადახდევინება ხდება როგორც კონფედერაციულ, ასევე კანტონურ და მუნიციპალურ დონეებზე. ასეთი ჰარმონიზაცია ვრცელდება საგადასახადო შეთანხმებებზე, საგანზე და გადასახადების გამომანგარიშებებზე დროში, პროცედურებზე და სისხლისსამართლებრივ ნორმებზე საგადასახადო

სფეროში. ამავე დროს კონფედერაციამ უნდა გაითვალისწინოს კანტონების მიერ მიღებული პირობები, საგადასახადო ჰარმონიის განხორციელების საქმეში.¹⁹

მნიშვნელოვანია საგადასახადო პოლიტიკის დებულებების განხორციელების საკონსტიტუციო დამაგრება, მითუმეტეს, რომ ისინი ძირეულად განსხვავდებიან საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციებში. მაგალითად, ბელორუსიის კონსტიტუციის 132-ე მუხლის თანახმად, ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტარდება ერთიანი საბიუჯეტო-საფინანსო და საგადასახადო პოლიტიკა, მაგრამ ორგანოები, რომლებსაც ევალება საგადასახადო პოლიტიკის განხორციელება სხვადასხვა ქვეყნებში – არაერთგვაროვანია. მაგალითად, ტაჯიკეთში საგადასახადო პოლიტიკის განსაზღვრა მიეკუთვნება წარმომადგენლობითი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების უფლებამოსილებებს (ტაჯიკეთის კონსტიტუციის მ. 49); ყირგიზეთის კონსტიტუციის 73-ე მუხლში განსაზღვრულია, რომ ქვეყნის მთავრობა ახდენს საბიუჯეტო-საფინანსო-ეკონომიკურ, საკრედიტო და საგადასახადო სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელებას. ცალკეული ქვეყნების კონსტიტუციები შეიცავენ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ კონტროლის ორგანიზაციას საგადასახადო სფეროში. ბელორუსიის კონსტიტუციის 129-ე მუხლში განსაზღვრულია, რომ სახელმწიფო კონტროლს პრეზიდენტის აქტების, პარლამენტის, მთავრობის და სხვა სახელმწიფო ორგანოების შესრულებაზე, რომლებიც არეგულირებენ საფინანსო და საგადასახადო ურთიერთობებს, განახორციელებს პრეზიდენტის მიერ ჩამოყალიბებული სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ცალკეული ქვეყნების კონსტიტუციებში გაწერილია საგადასახადო დაბეგვრის ცალკეული ელემენტები. მაგალითად, შვეიცარიის კონფედერაციის ფედერალური კონსტიტუციის 85-86-ე მუხლებში განსაზღვრულია ძირითადი პირობები მძიმე ტვირთების გადაადგილებაზე, გადასახადები საწვავის მოხმარებაზე და სხვა მოსაკრებლები დაკავშირებული საგზაო მოძრაობასთან. საგადასახადო დაბეგვრის საინტერესო მეთოდმა ჰპოვა ანარეკლი იტალიის კონსტიტუციაში, მის 53-ე მუხლში ნათქვამია, რომ „საგადასახადო სისტემა შენდება პროგრესულ საწყისებზე.“

ცალკეულ კონსტიტუციებში გაწერილია ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ გადასახადების გადამხდელთა შეღავათიან წესრიგს. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლი (ნ. 3) იუწყება, რომ „გადასახადებისაგან გათავისუფლება დაშვებულია მხოლოდ კანონით.“

დასკვნა

საზღვარგარეთის ქვეყნების ზოგიერთი კონსტიტუციის საფუძველზე ჩატარებული შედარებით-სამართლებრივი ანალიზი იძლევა დასკვნის გაკეთების საშუალებას, საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო ნორმების მნიშვნელოვან მსგავსებაზე (დამთხვევაზე), რომლებიც არეგულირებენ საგადასახადო ურთიერთობებს სხვადასხვა ქვეყნებში, – ყოველ შემთხვევაში, ისინი თავის თავში შეიცავენ მსგავს იდეოლოგიას იმის შესახებ, რომ საგადასახადო დაბეგვრის სისტემის შემოღება მათი ძირითადი კანონების (კონსტიტუციების) პრეროგატივაა. განსხვავებები კი, უმეტეს შემთხვევაში, სათანადო მუხლების ტექსტურ რედაქციას ეხება. ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სამართლებრივი ხასიათის მრავალრიცხოვანი მნიშვნელობების ძალით საზღვარგარეთის სახელმწიფოების კონსტიტუციების ყველა დებულება ბუნებრივია, საგადასახადო დაბეგვრის ნაწილში არ შეიძლება გათვალისწინებულ და მიღებულ იქნას საქართველოს კონსტიტუციაში, მაგრამ ნათელია, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება საგადასახადო დაბეგვრის სისტემაში და მათი გაზიარება სასიკეთოდ წაადგება სამამულო კანონმდებლობის სრულყოფას.

შენიშვნები:

- ¹ გოგიაშვილი გ., შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 5.
- ² კოზლოვი ა. ე., კონსტიტუციური სამართალი, რუს. ენაზე, 1997, გვ. 11.
- ³ იხ.: ხარაზი ი., საგადასახადო საქმისა და საგადასახადო სამართლის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები, საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, თბილისი, 2015, 5-24.
- ⁴ კოზირინი ა. ნ., საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სამართალი: თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, იხ.: რუს. ენაზე, მ., 1993.
- ⁵ ფუტყარაძე ს., საქართველოს საგადასახადო სისტემა და მისი სრულყოფის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, სადისერტაციო ნაშრომი, ბათუმი, 40.
- ⁶ უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება უნიტარულ სახელმწიფოებს.
- ⁷ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური (სახელმწიფო) სამართალი, ზოგადი ნაწილი, პასუხისმგ. რედაქტ. ა. ბ. სტრაშუნი, რუს. ენაზე, მ., 1995, გვ. 158-169.
<http://www.ambebi.ge>
- ⁹ ეს პრინციპი საქართველოს საგადასახადო კოდექსშია დაფიქსირებული, კერძოდ, მე-2 მუხლში ხაზგასმულია, რომ გადასახადების დაბეგვრისათვის გამოიყენება ვალდებულების დღისათვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა.
- ¹⁰ ხარაზი ი., საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, თბილისი, 2015, გვ. 7.
- ¹¹ საგადასახადო კოდექსით.
- ¹² მაკლაკოვი ვ. ვ., საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები: სასწავლო სახელმძღვანელო, მე-3 გამოცემა, მ, 2000, გვ. 486.
<http://wol.jw.org/ka/wol/d/r20/p-ge/102003882>
- ¹⁴ როგავა ზ., ამილახვარი ზ., საგადასახადო სამართალი, საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2013, გვ. 213-214.
- ¹⁵ როგავა ზ., ამილახვარი ზ., დასახ. ნაშრომი, გვ. 206.
- ¹⁶ როგავა ზ., ამილახვარი ზ., დასახ. ნაშრომი, გვ. 207.
- ¹⁷ კუჩეროვი ი. ი., საგადასახადო ურთიერთობების მარეგულირებელი საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო ნორმები, იხ.: რუს. ენაზე, 2003.
- ¹⁸ ზოგიერთ ქვეყანაში გადასახადების არსებობის კიდევ ერთი მიზეზი შეიარაღებული ძალების დაფინანსებაა. საშემოსავლო გადასახადი პირველად, დაეკისრათ შეძლებულ ბრიტანელებს საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართული ომის მხარდასაჭერად. ეს იყო 1799 წელს. მეორე მსოფლიო ომის დროს კი, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ მუშათა კლასსაც მოსთხოვა საშემოსავლო გადასახადის გადახდა. დღესაც, შეიარაღებული ძალების დაფინანსება, თუნდაც მშვიდობიან დროს, ძალიან ძვირი ჯდება. სტოკ-ჰოლმის მშვიდობის პრობლემების კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის შეფასების თანახმად, 2000 წელს, მსოფლიო მასშტაბით გაწეულმა სამხედრო ხარჯებმა თითქმის 798 მილიარდი დოლარი შეადგინა. <http://wol.jw.org/ka/wol/d/r20/p-ge/102003882#h=10>
- ¹⁹ მაკლაკოვი ვ. ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 254-256.



CONSTITUTIONAL- LEGAL GROUNDS OF TAX CASE AND TAX LAW OF FOREIGN COUNTRIES

IA KHARAZI

*Associated Professor of the Sukhumi State University and
Georgia Davit Aghmashenebeli University*

Virtually, constitutions of all the countries contain some aspects of regulating tax relations at some level, with different interpretation. Constitution of a certain country provides common characteristic regulations only for taxation, however, constitutions of other countries – mostly in federal states – lay special emphasis on differentiating the authorities of central government and territorial units in the area of determining the administrative governance and tax collection. And lastly, there are also constructions with more tax norms. Pursuant to basic laws, some of them determines the types of taxes and specifies some elements of their legal constructions. These are the issues discussed in this article together with other topical ones.

ადმინისტრაციული სამართალწარმოება საბადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე და სამართალწარმოებისას გასათვალისწინებელი სხვა რეგულაციები

კაბატა კუბლაშვილი

იურისტი

ადმინისტრაციულმა საპროცესო კოდექსმა საქართველოში საფუძველი დაუდო ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას, ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაზე სასამართლო კონტროლის განხორციელებას. ამ პროცესში ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად წარმოჩენილ იქნა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. თუ ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობით დარღვეული იქნება ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მიმართონ დამოუკიდებელ სასამართლოს, შესაბამისად, ნებისმიერი ადმინისტრაციული საქმიანობა, მიუხედავად მათი ფორმისა და მოვლენისა, ექვემდებარება სასამართლო კონტროლს.¹

ადმინისტრაციული სამართალწარმოების განვითარებისა და ადმინისტრაციული ორგანოების სასამართლო კონტროლის განხორციელებაში განმსაზღვრელი როლი ენიჭება ხელისუფლების დანაწილების პრინციპსა და მესამე ხელისუფლების – სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გარანტიებს. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი მოითხოვს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების პარალელურად და არა

იერარქიულად თანაარსებობას. თავის მხრივ, ადმინისტრაციული მართლმსაჯულების განხორციელება შესაძლებელია დამოუკიდებელი, ადმინისტრაციული ორგანოებისაგან განცალკევებული სასამართლოების მეშვეობით, იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ემორჩილებიან მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII⁵ თავში მოცემულია ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული რეგულაციები საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით. ბრძანებას გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე, საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე, გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფელის მიხედვით.² საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით გადასახადის გადამხდელი არის პირი, რომელსაც აქვს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადის გადახდის ვალდებულება.³ ყოველი კონკრეტული გადასახადის მიხედვით, საგადასახადო კოდექსი ადგენს გადასახადის გადამხდელს. გადასახადის გადამხდელად ყოველთვის წარმოდგება პირი, რომელიც სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შეიძლება არ იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი.⁴ გადასახადის გადამხდელისათვის დაკისრებული გადასახადის გადახდის ვალდებულება არ უნდა გავიგოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება.⁵ ზოგჯერ სახელმწიფოს, როგორც კრედიტორს, არ შეუძლია გადასახადის გადახდის ვალდებულების ძალით მოსთხოვოს პირს, როგორც მოვალეს, გადასახადის სახით თანხის ბიუჯეტში გადახდა. ამის მაგალითია დაქირავებული პირის ვალდებულება გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი. თუ დაქირავებულმა პირმა გაცემული ხელფასიდან დაქირავებულს არ დაუკავა საშემოსავლო გადასახადი, სახელმწიფო დაქირავებულს ვერ მოსთხოვს საშემოსავლო გადასახადის გადახდას. თანხის დაბრუნების მიზნით, დაქირავებულს შეუძლია გამოიყენოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის უსაფუძვლო გამდიდრების შესაბამისი ნორმები,⁶ მაგრამ არა საგადასახადო კოდექსის ნორმები. ამდენად გადასახადის გადახდის ვალდებულება უნდა გავიგოთ უფრო ფართო აზრით და ვალდებულების შესრულება არ დავუკავშიროთ თვით გადასახადის გადამხდელს, რომელსაც თავისი ქმედებითა თუ ქონების ფლობით წარმოექმნა ეს გადასახადი. გადასახადის გადამხდელი ამ ვალდებულებას თავის თავში ატარებს და ერთგვარად განცალკევებულია მის შესრულებასთან. თუ პირი ახორციელებს ისეთ ქმედებებს ან ფლობს ქონებას, რომელმაც შეიძლება წარმოშვას გადასახადის გადახდის ვალდებულება, სწორედ ეს პირი მოიაზრება გადასახადის გადამხდელად. მაგალითად: თუ პირი რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად, მას რომც არ ჰქონდეს დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციები, ითვლება დღგ-ის გადამხდელად. ფიზიკური პირი, რომელიც დაქირავებულია, ითვლება საშემოსავლო გადასახადის გადამხდელად, ვინაიდან ახორციელებს ამ გადასახადით დასაბეგრ საქმიანობას. საერთოდ ნებისმიერი ფიზიკური პირი შეიძლება განვიხილოთ როგორც საშემოსავლო გადასახადის გადამხდელად, როგორც მანც რალაც სახის სარგებლის მიმღები. ასეთი სარგებლის გარეშე, ფიზიკური პირი როგორც წესი, არსებობას შეწყვეტდა.⁷

გადასახადის გადამხდელის საგადასახადო კონტროლის განხორციელება

გადასახადის გადამხდელის საგადასახადო კონტროლს ახორციელებს მხოლოდ საგადასახადო ორგანო. სხვა მაკონტროლებელ და სამართალდამცავ ორგანოებს ეკრძალებათ გადასახადის

გადამხდელის საქმიანობის საგადასახადო კონტროლის განხორციელება. ამასთან, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებს, გარდა საგადასახადო ორგანოებისა, არ წარუდგინოს დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია გადასახადების დაბეგვრის ობიექტების განსაზღვრასთან, გადასახადების გამოანგარიშებასთან და გადახდასთან. კანონმდებელი იმპერატიულად უთითებს, რომ გადასახადის გადამხდელი უნდა შეამოწმოს მხოლოდ საგადასახადო ორგანომ. კანონმდებლობაში ასევე, არის ნორმა, რომლის მიხედვითაც მხოლოდ მაკონტროლებელი ორგანოა უფლებამოსილი შეამოწმოს მეწარმის (რომელიც ასევე, გადასახადის გადამხდელია) საქმიანობა, მათ შორის, შევიდეს საწარმოში, მოითხოვოს დოკუმენტები, შეაჩეროს საწარმოს საქმიანობა, დალუქოს მეწარმის კუთვნილი ქონება, დაათვალიეროს საწარმო, შეამოწმოს მეწარმის მიერ გამოშვებული ნაწარმის ხარისხი და სხვ. მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე. ბრძანებას მეწარმის საქმიანობის თაობაზე, მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე ან მაგისტრატი მოსამართლე მეწარმის ადგილსამყოფელის მიხედვით.⁸ „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებულია მაკონტროლებელი ორგანოს განმარტება – მაკონტროლებელი ორგანო:⁹

- სახელმწიფო
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო
- სხვა ადმინისტრაციული ორგანო

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით საქართველოს საგადასახადო ორგანოებია:¹⁰

- შემოსავლების სამსახური
- შემოსავლების სამსახურის შემადგენლობაში შემავალი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები.

საგადასახადო ორგანოები ქმნიან სახელმწიფო კონტროლის ერთიან, დამოუკიდებელ და ცენტრალიზებულ სისტემას. შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო ორგანოები ორიენტირებულია ერთიანობის, დამოუკიდებლობისა და ცენტრალიზაციის პრინციპებზე. საგადასახადო ორგანოების სისტემის აგებულების ერთიანობის პრინციპი გამომდინარეობს საგადასახადო პოლიტიკის ერთიანობის პრინციპიდან: საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველსაყოფად საჭიროა ერთიანი მაკონტროლებელი ორგანოს არსებობა. თავის მხრივ, საქართველოს საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ თავის უფლებამოსილებას, როგორც საერთოსახელმწიფოებრივი, ასევე ადგილობრივი გადასახადების მიმართ.¹¹ შესაბამისად, მაკონტროლებელი ორგანო გაიგივებული არ უნდა იყოს საგადასახადო ორგანოსთან, როგორც გადასახადის გადამხდელის კონტროლის განმხორციელებელ ორგანოსთან. საგადასახადო კონტროლის პროცედურებმა გონივრულ ფარგლებში არ უნდა დაარღვიოს პირის საქმიანობის ჩვეული რიტმი და არ უნდა გააჩეროს (შეაჩეროს) მისი საქმიანობა. საგადასახადო შემოწმების ერთ-ერთი სახეა საგადასახადო შემოწმება. საგადასახადო შემოწმება შეიძლება იყოს კამერალური და გასვლითი,

ასევე, გადაუდებელი გასვლითი საგადასახადო შემოწმება.¹² საგადასახადო ვალდებულების შესრულება ყველა გადამხდელის კონსტიტუციური მოვალეობაა. სხვადასხვა მიზეზების გამო გადასახადის გადამხდელს ზოგჯერ არა აქვს შესაძლებლობა სახელმწიფოს წინაშე სათანადოდ შეასრულოს თავისი საგადასახადო ვალდებულება. ამასთან, ცალკეული სუბიექტები ხშირად შეგნებულადაც თავს არიდებენ საგადასახადო ვალდებულების სათანადო შესრულებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, სახელმწიფო იძულებულია გადასახადის გადამხდელის ქონების მიმართ გამოიყენოს დამცავი ხასიათის ღონისძიებები, რათა უზრუნველყოს საგადასახადო დავალიანების შესრულება. საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიებებსა და აღნიშნული ღონისძიებების გამოყენების წესს ეძღვნება საგადასახადო კოდექსის მე-15 თავი.¹³ საგადასახადო კოდექსი საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების სახით ითვალისწინებს როგორც სამოქალაქოსამართლებრივ, ასევე საფინანსოსამართლებრივ და ადმინისტრაციულსამართლებრივ საშუალებებს. სამოქალაქოსამართლებრივ საშუალებებს განეკუთვნება – თავდებობა, საბანკო გარანტია, საფინანსოსამართლებრივ საშუალებებს – საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა, ხოლო ადმინისტრაციულსამართლებრივ საშუალებებს – ქონებაზე ყადაღის დადება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 416-ე მუხლში ჩამოთვლილია მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებათა სახეები:¹⁴ პირგასამტეხლო (პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის), ბე (ბედ მიიჩნევა ფულადი თანხა, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე აძლევს მეორე მხარეს და ამით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი) და მოვალის გარანტია (მოვალის გარანტიად ითვლება, როცა მოვალე კისრულობს რაიმე უპირობო მოქმედების ან ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელიც სცილდება ხელშეკრულების საგანს). რა თქმა უნდა მითითებულ მუხლში გაწერილი მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებები ვერ გამოდგება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების სამოქალაქოსამართლებრივი უზრუნველყოფის ღონისძიებებათა ანალოგად და შესაბამისად, არ უნდა მოხდეს მათი გაიგივება-ჩანაცვლება არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ საფინანსო და ადმინისტრაციულსამართლებრივი ღონისძიებების შერჩევისას (თავდებობა, საბანკო გარანტია, საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა, ქონებაზე ყადაღის დადება). ამის მიუხედავად, მითითებული რეგულაციის გათვალისწინება უნდა მოხდეს საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების შერჩევისა და ადმინისტრაციული სამართალწარმოების სტადიაზე გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე შუამდგომლობის განხილვისას.

საგადასახადო დავალიანების გადახდევინების სახეები:

საგადასახადო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ვალდებული პირები (გადასახადის გადამხდელები) თავს არიდებენ სახელმწიფო ვალდებულების შესრულებას – გადასახადებისაგან თავის არიდების გზით ან მათ აღარ გააჩნიათ ფინანსური ბერკეტები (მაგალითად, გაკოტრების შედეგად არ შეუძლიათ გადაიხადონ გადასახადები) სახელმწიფო ვალდებულებების შესასრულებლად. საგადასახადო კოდექსი ასეთ სამართლებრივ შემთხვევებსაც ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტში

ვალდებული პირების მიერ გადასახადის გადახდევინებისათვის და მოცემულ სამართლებრივ ბერკეტს ეძღვნება საგადასახადო კოდექსის შესაბამისი მუხლები.¹⁵ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:¹⁶

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა
- მესამე პირზე გადახდევინების მიქცევა
- ქონებაზე ყადაღის დადება
- ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია
- საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა
- გადასახადის გადამხდელის სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება.

საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე, გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციას წინ უსწრებს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიება როგორცაა, პირის (გადასახადის გადამხდელის) საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ყადაღის დადება. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებით, „საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ყადაღა დაადოს პირის საკუთრებაში არსებულ ან/და მის ბალანსზე რიცხულ (გარდა, ლიზინგით მიღებული ქონებისა) ნებისმიერ ქონებას, აღიარებული საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის მოცულობის ფარგლებში.“ პირის ქონებაზე ყადაღის დადებისას, ქონებრივი უფლების შეზღუდვის ხარისხი მდგომარეობს იმაში, რომ პირს ეკრძალება ყადაღადადებული ქონების განკარგვა, კერძოდ, ქონების ნებისმიერი ფორმით გასხვისება, დაგირავება, იპოთეკით, უზუფრუქტით, სერვიტუტით ან აღნაგობით დატვირთვა, თხოვების, ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულების დადება, სხვისთვის დროებით ან მუდმივ მფლობელობაში გადაცემა. ქონებაზე ყადაღის დადება გულისხმობს გადასახადის გადამხდელის (სხვა ვალდებული პირის) ქონების აღწერას და ამ ქონების განკარგვის აკრძალვას. ქონებაზე ყადაღის დადების ძირითადი დანიშნულებაა გადასახადის გადამხდელს (სხვა ვალდებული პირის) შეუქმნას ბარიერები, რათა მან ვერ შეძლოს ქონების გასხვისება ან სხვა გზით მისი დამალვა. მთლიანობაში ქონებაზე ყადაღის დადება საგადასახადო დავალიანების შესრულების უზრუნველყოფის ყველაზე მკაცრი საშუალებაა.¹⁷

თემის სენსიტიურობიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ქონებაზე ყადაღის დადება უნდა მოხდეს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, რადგანაც უზრუნველყოფის ღონისძიება (ქონებაზე ყადაღის დადება) პირის საკუთრებაში არსებულ ქონებას ეხება, რომელიც მისი და მისი ოჯახის არსებობის საშუალებაა. ქონებაზე ყადაღის დადების, სახელმწიფოს სასარგებლოდ ქონების სასყიდლით თუ უსასყიდლოდ ჩამორთმევა და მსგავსი დავები მხოლოდ სასამართლოს განსახილველი უნდა იყოს, მისი კომპეტენტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპიდან გამომდინარე.¹⁸ აღნიშნულიდან გამომდინარე მართებული და კანონშესაბამისი იქნება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის პირველი ნაწილის ჩამოყალიბება შემდეგი ფორმულირებით (შესაბამისად უნდა მოხდეს მასთან მუხლის დანარჩენი ნაწილების შესაბამისობაში მოყვანა): „ბრძანებას პირის (გადასახადის გადამხდელის) საკუთრებაში არსებულ ან/და მის ბალანსზე რიცხულ (გარდა, ლიზინგით

მიღებული ქონებისა) ნებისმიერ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ, აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის მოცულობის ფარგლებში საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე, გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფელის მიხედვით.“

საგადასახადო კოდექსის 242-ე მუხლი განსაზღვრავს ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის ან პირდაპირ სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის წესს. კოდექსის 242-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით (ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია), საგადასახადო ორგანოს ან აღსრულების ეროვნული ბიუროს (აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ქონებაზე ყადაღის დადების პროცედურების განხორციელების შემთხვევაში) შუამდგომლობას პირის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის ან პირდაპირ სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ სასამართლო განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. საგადასახადო ორგანო/აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია მოითხოვოს მოვალის ყადაღადადებული ქონების პირდაპირ სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღიარებული საგადასახადო დავალიანება ქონების საბაზრო ღირებულების ტოლია ან აღემატება მას. შუამდგომლობა პირის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის ან პირდაპირ სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის თაობაზე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს უნდა წარედგინოს ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ აქტის შედგენიდან¹⁹ ერთი თვის ვადაში. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ქონებაზე ყადაღის დადების პროცედურების განხორციელების შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის ან პირდაპირ სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის თაობაზე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს შუამდგომლობით მიმართავს უშუალოდ აღსრულების ეროვნული ბიურო. ამასთან, როგორც საგადასახადო კოდექსის 242-ე მუხლის პირველი ნაწილშია ფიქსირებული საგადასახადო ორგანო/აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია მოითხოვოს მოვალის ყადაღადადებული ქონების პირდაპირ სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღიარებული საგადასახადო დავალიანება ქონების საბაზრო ღირებულების ტოლია ან აღემატება მას. შესაბამისად, თუ მოვალის ყადაღადადებული ქონების საბაზრო ღირებულება ნაკლებია აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე, ყადაღადადებული ქონების პირდაპირ სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნა დაუშვებელია. საგადასახადო ორგანოს/აღსრულების ეროვნული ბიუროს შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს ქონების რეალიზაციის საკითხის გადაწყვეტისათვის შესაძლო მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება. გარდა ამისა, საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული და მასში მითითებული უნდა იყოს გადასახადის გადამხდელის ზუსტი მონაცემები.²⁰

ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე

შუამდგომლობას პირის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის ან პირდაპირ სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის თაობაზე განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფელის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. საგადასახადო ორგანოს/აღსრულების ეროვნული

ბიუროს შუამდგომლობის საფუძველზე გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის ან პირდაპირ სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის თაობაზე ბრძანებას გასცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე შუამდგომლობის წარდგენიდან 14 დღის ვადაში. ამასთან, მოსამართლე საგადასახადო ორგანოს/აღსრულების ეროვნული ბიუროს შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად. სასამართლო სხდომაზე შუამდგომლობის განხილვაში მონაწილეობენ საგადასახადო ორგანოს/აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენელი და ის გადასახდის გადამხდელი ან მისი წარმომადგენელი, რომლის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე ბრძანების გაცემასაც ითხოვს საგადასახადო ორგანო (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვერ ხერხდება მხარეთა მოწვევა). აღსანიშნავია, რომ მხარეთა გამოუცხადებლობა ან მათი მოწვევის შეუძლებლობა არ იწვევს საგადასახადო ორგანოს/აღსრულების ეროვნული ბიუროს შუამდგომლობის განხილვის გადადებას. საგადასახადო ორგანოს/აღსრულების ეროვნული ბიუროს შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ, მოსამართლე გამოსცემს ბრძანებას გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის ან პირდაპირ სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების შესახებ. მოსამართლის ბრძანება დგება სამ ცალად, რომელთაგანაც ერთი ეგზემპლარი ეგზავნება შუამდგომლობის წარმდგენ საგადასახადო ორგანოს/აღსრულების ეროვნული ბიუროს, მეორე გადასახდის გადამხდელს, ხოლო მესამე რჩება სასამართლოში.

მოსამართლის ბრძანება ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის ან პირდაპირ სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის ნაწილში, ძალაში შედის ბრძანების გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ. ამასთან, ბრძანების გასაჩივრება არ აჩერებს ბრძანების მოქმედებას. საჩივარი მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე შეიტანება ბრძანების გამომცემ სასამართლოში, მხარისათვის ბრძანების ეგზემპლარის გადაცემიდან 48 საათში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს. საჩივარი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განიხილება შეტანიდან 10 დღის ვადაში. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ბრძანება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. საერთო წესის შესაბამისად, ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შესახებ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.²¹

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 57-ე მუხლის პირველის ნაწილის მიხედვით, „გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანების გადახდა ეკისრება მის მემკვიდრეს, სამკვიდრო ქონებაში მისი წილის პროპორციულად, სამკვიდრო მოწმობის მიღების დღიდან.“ ამავდროულად მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად კი, გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანება ჩამოიწერება თუ:

- გარდაცვლილ პირს არ ჰყავს მემკვიდრე;
- მემკვიდრემ უარი თქვა სამკვიდროზე;
- გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანების მოცულობა აღემატება მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულებას – საგადასახადო დავალიანების დარჩენილი თანხის ოდენობით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლების შედარებითი ანალიზი

საგადასახადო კოდექსი აღიარებს ანდერძით მემკვიდრეობის ოთხი რიგის მემკვიდრეს,²² განსხვავებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა, რომლითაც განსაზღვრულია კანონით მემკვიდრეობის ხუთი რიგის მემკვიდრე (საგადასახადო კოდექსი კანონით მემკვიდრეთა ინსტიტუტს არ იცნობს). სამოქალაქო და საგადასახადო კოდექსების ზემოაღნიშნული მუხლების შედარებითი ანალიზისას ვხვდებით როგორც არსებით, ისე შინაარსობრივ განსხვავებას, რაც მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს კანონმდებლობაში და რომელიც უპირველეს ყოვლისა, წარმოინდება გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის ან პირდაპირ სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს. კონკრეტულად:

1. გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შესახებ საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის განხილვისას, სასამართლო ვერ იმსჯელებს და ვერ გამოიტანს გადაწყვეტილებას სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მეხუთე რიგის კანონით მემკვიდრის (ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, ხოლო თუ ეს უკანასკნელნი არ არიან, მაშინ მათი შვილები) საკუთრებაში არსებული ქონების რეალიზაციის ან პირდაპირ სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის თაობაზე (გარდაცვილილი პირის საგადასახადო ვალდებულების შესრულება), რადგანაც როგორც აღვნიშნეთ, საგადასახადო კოდექსი იცნობს ოთხი რიგის მემკვიდრეს და მეხუთე რიგის კანონით მემკვიდრის საკუთრებაში არსებული ქონება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების დროს (ყადაღადადებული ქონების რეალიზაციისას) არ შეიძლება განხილული იქნას როგორც უშუალოდ გადასახადის გადამხდელის საკუთრებაში არსებული ქონება.
2. კანონმდებლობაში ერთგვარი ხარვეზი გვხვდება ასევე, ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის სასამართლოში განხილვისას, როდესაც მემკვიდრეს საანდერძო დანაკისრის (ლეგატი) შესაბამისად, მოანდერძის მიერ დაკისრებული აქვს რაიმე ვალდებულების შესრულება. კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, „მემკვიდრემ, რომელსაც საანდერძო დანაკისრის შესრულება დაევალა, უნდა შეასრულოს იგი ნაანდერძები სამკვიდროს ნამდვილი ღირებულების ფარგლებში, მამკვიდრებლის ვალების იმ ნაწილის გამოკლებით, რომლის გასტუმრებაც მას შეხვდა,“²³ თუმცა, კანონი იმასაც ითვალისწინებს, რომ საანდერძო დანაკისრის მიმღებმა პასუხი არ უნდა აგოს მამკვიდრებლის ვალებისათვის.²⁴ შესაბამისად, ამ შემთხვევაში, საგადასახადო კოდექსის იმ მუხლის იმპერატივი, რომლითაც საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს საანდერძო დანაკისრის მიმღების მფლობელობაში არსებული ქონების რეალიზაცია (გარდაცვილილი პირის საგადასახადო ვალდებულების შესრულება) – ალოგიკურია, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს არ ავალდებულებს გასცეს ბრძანება საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ.
3. საგადასახადო კოდექსის 58-ე მუხლის (უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის და მხარდაჭერის მიმღების საგადასახადო ვალდებულების შესრულება) პირველი ნაწილის მიხედვით, „სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის საგადასახადო დავალიანებას გადაიხდის პირი, რომელიც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ უფლებამოსილია, მართოს უგ-

ზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონება მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებიდან 3 თვის განმავლობაში, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონების ხარჯზე,“ სამოქალაქო კოდექსის თანახმად, „პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას, უკვლოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით, მათ შორის, მიიღონ მისგან სარგებელი. ამ ქონებიდან მიეცემა სარჩო უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს და დაიფარება ვალები.“²⁵ საგადასახადო კოდექსით უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის და მხარდაჭერის მიმღების საგადასახადო დავალიანება სრულდება უშუალოდ უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონების ხარჯზე სპეციალური სუბიექტის მიერ. ასეთ სპეციალურ სუბიექტს განეკუთვნება პირი, რომელიც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ უფლებამოსილია მართოს უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონება, ხოლო სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, კანონით მემკვიდრეებს გადაეცემა უფლებამოსილება, უკვლოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით, მათვე ევალებათ სარჩოს მიცემა უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებისათვის და ვალების გასტუმრება.

აღწერილ საგადასახადო და სამოქალაქო ნორმებს შორის კოლიზიის გამო, საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის განხილვის სტადიაზე, საგადასახადო დავალიანების გადახდევინებისას (ყადაღადადებული ქონების რეალიზაციისას), კანონით მემკვიდრეების საკუთრებაში არსებული ქონება სასამართლოს მიერ ვერ იქნება განხილული როგორც გადასახადის გადამხდელის მფლობელობაში არსებული ქონება, რადგანაც როგორც აღვნიშნეთ, დავალიანების გადახდა ამ შემთხვევაში ევალება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს და არა კანონით მემკვიდრეებს.

სამივე განხილულ შემთხვევაში (გარდაცვლილი პირის საგადასახადო ვალდებულების შესრულება და უგზო-უკვლოდ დაკარგული პირისა და მხარდაჭერის მიმღების სადაგადასახადო ვალდებულების შესრულება), სასამართლოს მიერ გასათვალისწინებელია საგადასახადო კოდექსის რეგულაცია უიმედო ვალის შესახებ,²⁶ უნდა მოხდეს საგადასახადო დავალიანების ჩათვლა უიმედო საგადასახადო დავალიანებად და შესაბამისად, მის ჩამოწერა საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით.

ადმინისტრაციული სამართალწარმოება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შუამდგომლობის საფუძველზე

განსხვავებული სტანდარტები და რეგულაციებია გასათვალისწინებელი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებისას, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შუამდგომლობის საფუძველზე. სახელმწიფო აუდიტის სამსახური უწყებრივად, ფუნქციურად და ფინანსურად დამოუკიდებელი ორგანოა, რომელიც ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე. იგი ხელს უწყობს საპარლამენტო კონტროლის განხორციელებას, რაც გულისხმობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საკანონმდებლო ორგანოსათვის საჯარო ფინანსების ადმინისტრირების შესახებ სრულფასოვანი და ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას.

უმალლესი აუდიტური ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაცია (INTOSAI) განასხვავებს აუდიტის სამ ძირითად ტიპს: ფინანსური, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტი. მარტივად რომ ვთქვათ, ფინანსური აუდიტი აფასებს ფინანსური ანგარიშგების უტყუარობას მოქმედი წესებისა და ინსტრუქციების შესაბამისად, ხოლო შესაბამისობის აუდიტი – განხორციელებული საქმიანობის კანონშესაბამისობას. რაც შეეხება ეფექტიანობის აუდიტს, აღნიშნული მოიცავს საქმიანობის შეფასებას ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის კუთხით. შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტების განხორციელების გზით. აუდიტის განხორციელების პროცესში აუდიტის ობიექტი (შესამოწმებელი ობიექტი) ვალდებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით წარადგინოს სრული ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია. შესაბამისი ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, აუდიტის ობიექტს შეუძლია სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მიმართოს თხოვნით, გააგრძელოს ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის წარდგენის ვადა. სახელმწიფო აუდიტის სამსახური უფლებამოსილია, აუდიტის ობიექტის თხოვნით, აღნიშნული ვადა გააგრძელოს მხოლოდ ერთხელ, არანაკლებ 5 და არაუმეტეს, 30 კალენდარული დღით.²⁷ „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 26¹ მუხლის მიხედვით, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის აუცილებელი ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის მიწოდებისათვის თავის არიდება, მცდარი ინფორმაციის წარდგენა, მის საქმიანობაში ჩარევა ან მისი საქმიანობისათვის სხვაგვარად ხელის შეშლა – გამოიწვევს პასუხისმგებელი პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.“ აუდიტური პრაქტიკიდან გამომდინარე, პასუხისმგებელი პირი შესაძლებელია იყოს შესამოწმებელი ობიექტის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფინანსების მართვის სამსახურის შესყიდვების სამმართველოს უფროსი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, გამგებელი (მერი), საკრებულოს თავმჯდომარე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ა. შ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას, სამართალწარმოება ხორციელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად.

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმების შედგენაზე უფლებამოსილ პირებად განსაზღვრულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის განმახორციელებელი მოხელეები (აუდიტორები).²⁸

კანონში არ არის დათქმა, რომლის მიხედვითაც, აუდიტის ობიექტი ვალდებულია აუდიტის სამსახურს წარუდგინოს მოთხოვნილი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია აუდიტის ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც აუდიტის ჯგუფის მიერ დასრულებულია აუდიტის განხორციელების პროცესი, შედგენილი და დამტკიცებულია შესაბამისი აუდიტის ანგარიში. მიუხედავად ამისა, დამკვიდრებული სასამართლო და აუდიტური პრაქტიკიდან გამომდინარე, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომელიც განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შუამდგომლობის საფუძველზე გამოაქვს გადაწყვეტილება პასუხისმგებელი პირის სამართალდამრღვევად ცნობის შესახებ და მასვე აკისრებს იმ მოვალეობის შესრულებას, რომლის შეუსრულებლობისთვისაც მას შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას ან დამრღვევის

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ასევე, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმის განხილვის სხვა ადგილიც. აუდიტის ობიექტი ვალდებულია მოთხოვნილი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია აუდიტის სამსახურს წარუდგინოს როგორც ფიზიკური, ისე ელექტრონული სახით, როგორც აუდიტის ჯგუფის მუშაობის ადგილზე (მაგალითად, თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული შენობა), ისე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ადმინისტრაციულ შენობაში. „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 26¹ მუხლის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, აუდიტის სამსახურის აუდიტორის მიერ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმი და შესაბამისი შუამდგომლობა, კანონშესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შესაძლებელია წარიმართოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, როგორც სამართალდამრღვევის (პასუხისმგებელი თანამდებობის პირის) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ასევე სასამართლოში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ადმინისტრაციული შენობის განთავსების ადგილის მიხედვით²⁹ (მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლო, ქუთაისის საქალაქო სასამართლო და ბათუმის საქალაქო სასამართლო).

შენიშვნები:

- 1 ვაჩნაძე მ., თოდრია ი., ტურავა პ., წკეპლაძე ნ., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2005 წლის 24 ივნისის მდგომარეობით, გვ. 13.
- 2 საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21^ა მუხლი.
- 3 საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილი.
- 4 ნადარაია ლ., როგავა ზ., რუხაძე კ., ბოლქვაძე ბ., საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 2012, გვ. 194.
- 5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი. 316.
- 6 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 976-991-ე მუხლები.
- 7 ნადარაია ლ., როგავა ზ., რუხაძე კ., ბოლქვაძე ბ., საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 2012, გვ. 195.
- 8 საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 21^ა მუხლი.
- 9 საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.
- 10 საქართველოს საგადასახადო კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილი.
- 11 ნადარაია ლ., როგავა ზ., რუხაძე კ., ბოლქვაძე ბ., საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 2012, გვ. 335-336.
- 12 საგადასახადო შემოწმება, თბილისელების ადვოკატი, თბილისი, 2011 წლის 01 ნოემბრის მდგომარეობით, გვ. 4-5.
- 13 საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 238-ე მუხლის პირველი ნაწილი.
- 14 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, გვ. 487-507.
- 15 ხარაზი ი., საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფა“, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, თბილისი, 2014, გვ. 65.
- 16 საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 238-ე მუხლის პირველი ნაწილი.
- 17 ნადარაია ლ., როგავა ზ., რუხაძე კ., ბოლქვაძე ბ., საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 2012, გვ. 404-405.
- 18 ხარაზი ი., „საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფა“, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, თბილისი, 2014, გვ. 76.
- 19 თუ ქონებაზე ყდალის დადების შესახებ 241-ე მუხლი ჩამოყალიბდება ჩვენს მიერ მითითებული ფორმულირებით, ამ შემთხვევაში შუამდგომლობა პირის ყდალადადგებული ქონების რეალიზაციის ან პირდაპირ სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს შესაძლებელია წარედგინოს ქონებაზე ყდალის დადების შესახებ შესაბამისი ბრძანების გაცემიდან ერთი თვის ვადაში
- 20 ნადარაია ლ., როგავა ზ., რუხაძე კ., ბოლქვაძე ბ., საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 2012, გვ. 416-417.
- 21 საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 21^ა-21^ბ მუხლები.
- 22 საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 82-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „გ“, „გ.ა“, „გ.ბ.“, „გ.გ.“ და „გ.დ“ ქვეპუნქტები – ქონების ჩუქების ან/და ანდერძით შემკვიდრებისას I, II და IV რიგის შემკვიდრებელ ითვლებიან შემდეგი პირები:
გ.ა) I რიგის შემკვიდრებელ: მეუღლე, შვილი, ნაშვილები, შვილიშვილი, შვილიშვილის შვილი და მისი შვილი, მშობელი და მშვილებელი;
გ.ბ) II რიგის შემკვიდრებელ: და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი შვილები;
გ.გ) III რიგის შემკვიდრებელ: ბებია და პაპა, ბებულის დედა-მამა და პაპის დედა-მამა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან;
გ.დ) IV რიგის შემკვიდრებელ: ბიძა (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდა და მამიდა;
- 23 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1387-ე მუხლი.
- 24 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1393-ე მუხლი.
- 25 საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 58-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 21-ე მუხლის პირველი ნაწილი.
- 26 საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მე-8 მუხლის ოცდამეცხრე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები: უიმედო ვალი – საქონლის ან/და მომსახურების რეალიზაციის ან აღნიშნულის ფარგლებში წინასწარი გადასახადის შედეგად გადასახადის გადახდების მიერ აღიარებული მოთხოვნა ან მისი ნაწილი, რომლის გადახდის ვადა გასულია და რომელიც არ იქნა ანაზღაურებული მიმდინარე საგადასახადო წლის ბოლომდე, ამასთან, არსებობს ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი:
ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
ბ) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ან გარდაცვალების ცნობა.
- 27 საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“, 23-ე მუხლის მე-სამე ნაწილი.
- 28 საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2012 წლის 16 იანვრის №9/37 ბრძანება „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ქვემდებარეობისათვის მიკუთვნებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე საქმისწარმოების ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“.
- 29 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №4/1656-12).

ADMINISTRATIVE PROCEEDINGS PURSUANT TO THE MOTION OF TAX AUTHORITIES, AND OTHER REGULATIONS TO BE CONSIDERED DURING LEGAL PROCEEDINGS

PAATA KUBLASHVILI

Lawyer

When administrative legal proceedings should take place based on the motion of tax authorities, here not only the regulations envisaged in the Administrative Procedure Code, but also the norms stipulated in the Tax Code of Georgia regarding taxpayers and their compliance of tax obligations are to be taken into consideration. As this topic is specific, the measure to secure payment of tax liabilities – attachment of property (of a taxpayer) should not be carried out by a tax authority without court decision, and it should be performed under the judicial control. While considering the motion of tax authorities on the sale of a taxpayer's attached property, we should also consider the fifth-order successors stipulated in the Civil Code, and property owned them, which cannot be considered as a property directly owned by a taxpayer. In this respect we should consider the estate owned (enjoyed) by the statutory successors, after enforcing the court judgment on the recipient of hereditary obligation and announcing a person as missing, as stipulated in the Civil Code of Georgia, as this estate cannot be discussed by the court as a property directly owned by a taxpayer.

There are absolutely different standards and regulations to be considered during administrative proceedings, if the motion is filed by the State Audit Service, when despite information submitted by the auditee to the State Audit Service (audit team) pursuant to their request may no longer have any evidentiary power (after approving the audit report), based on the motion of Audit Service the court passes a decision on recognizing the person in charge of an auditee as an offender, and obligates him/her meet those liabilities, which have not been met and for which administrative penalty was imposed.

მხარეთა საპროცესო უფლება-მოვალეობები მტკიცებულებათა წარდგენის დროს სამოქალაქო სამართალწარმოებაში

კობა საყვარელიძე

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი

1. მტკიცებულებათა წარდგენის უფლება მტკიცების სუბიექტების მიერ

დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის სამოქალაქო საპროცესო სამართალში, მხარეთა მიერ მტკიცებულებათა წარდგენის უფლებას სამოქალაქო საქმეთა განხილვის დროს სასამართლოში, მხარეთა თვითინიციატივის უფლება ეწოდება. თუმცა, ამ ტერმინის თაობაზე სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. ზოგიერთი ქვეყნის სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერება ამ ტერმინს საერთოდ არ იცნობს. ავსტრიის სამოქალაქო საპროცესო სამართალში ეს ტერმინი არის მოხსენიებული, როგორც შეჯიბრებითობის პრინციპის სინონიმი. ასევე, სკანდინავიის ქვეყნების საპროცესო სამართალი წარმოადგენს მას, როგორც საპროცესო სამართლის ძირითად და წამყვან პრინციპს.¹ სამოქალაქო საპროცესო სამართლის სახელმძღვანელოში, პროფესორი იაუერნიგი შეჯიბრებითობის პრინციპზე საუბრისას მიუთითებს, რომ ეს პრინციპი გვხვდება სხვადასხვა სახელწოდებით. მაგალითად, როგორც შეჯიბრებითობის საფუძველი ან როგორც მხარეთა პრინციპი.² შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპთა სინონიმად აქვს მიჩნეული ეს ტერმინი მიულერს.³ პროფესორი კნიში კი, დის-

პოზიციურობის პრინციპს და ე. წ. თვითინიციატივის პრინციპს თვლის შეჯიბრებითობის პრინციპის შემადგენელ ნაწილებად.⁴

თვითინიციატივის პრინციპის დამკვიდრებას ხელი შეუწყო იმ შეხედულებამ, რომ მხარეებს შეუძლიათ სასამართლო პროცესზე წარადგინონ სწორედ ის მტკიცებულებები, რომელიც მათ მიაჩნიათ სასარგებლოდ საკუთარი პოზიციების გასამყარებლად და საქმის მათ სასარგებლოდ გადასაწყვეტად.

ამ პრინციპის მიხედვით, მხარეებს ეკისრებათ სასამართლო მასალების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა. ისინი თვითონ წარმოადგენენ ფაქტებს პროცესში და მათვე უნდა დაამტკიცონ ისინი მეორე მხარის მიერ უარყოფის შემთხვევაში. ე. ი. მტკიცებულებების წარდგენის საშუალებით, მხარეები ატარებენ როგორც მტკიცების, ისე ფაქტების დადგენის პასუხისმგებლობას.

კანონი განსაზღვრავს: რომელმა მხარემ რა უნდა დაამტკიცოს; ვის ეკისრება მტკიცებულებათა სასამართლოში წარდგენის მოვალეობა; რომელი ფაქტები არ საჭიროებენ მტკიცებას; მტკიცების რა საშუალებები დაიშვება და რა არა; როგორ ხდება მტკიცებულებათა შეგროვება და შემოწმება; როგორია მტკიცებულებათა შეფასების წესი და ა. შ.

მტკიცებულებათა წარდგენა ძირითადად, საქმის მომზადების სტადიაზე მიმდინარეობს. მხარეები, მესამე პირები, განმცხადებლები აქტიურად მონაწილეობენ მტკიცებულებათა შეგროვება-გამოკვლევაში. ე. ი. მათ აწევთ დასადგენი ფაქტების გამოკვლევის ვალდებულება. სწორედ, საქმის მონაწილენი გახლავთ მტკიცების ძირითადი სუბიექტები.

მტკიცებითი საქმიანობა წარმოადგენს სასამართლოს, საქმის მონაწილეთა და სხვა სუბიექტების საპროცესო კანონით მოწესრიგებულ საქმიანობას და იგი მიმართულია დადგენის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები. სხვა სიტყვებით, ეს საქმიანობა ხორციელდება მტკიცებულებების მეშვეობით. ამ ფაქტების დადგენაზე დამოკიდებული მხარეთა შორის წამოჭრილი დავის არსებითი გადაწყვეტა. სამოქალაქო სამართალწარმოებაში მტკიცებითი საქმიანობა ეფუძნება, როგორც საპროცესო კანონებს, ასევე, ლოგიკის ნორმებს. ანუ საპროცესო მტკიცება წარმოადგენს ლოგიკურისა და საპროცესო საქმიანობის ერთიანობას. ეს ნიშნავს, რომ თუ სასამართლო გადაწყვეტილებაში ასახული დასკვნები არ შეესაბამება საქმის გარემოებებს, მაშასადამე ის არის დაუსაბუთებელი და უნდა გაუქმდეს.

„თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებანი, რომელზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას და შესაგებელს“ (სსსკ-ის 102მ.).

სასამართლოს მტკიცებულებებს მხარეები წარუდგენენ. სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინოს დამატებითი მტკიცებულებები. თუ მხარეებმა ვერ შეძლეს მტკიცებულების უშუალო მიღება და სასამართლოში წარდგენა, მაშინ მხარეთა შუამდგომლობით, სასამართლოს შეუძლია თვითონ გამოითხოვოს ისინი (სსსკ-ის 103-ე მ.). აქვე აღსანიშნავია, რომ საბჭოთა სამოქალაქო საპროცესო სამართალის მიხედვით, სასამართლოს ევალუბოდა არ დასჯერებოდა წარმოდგენილ მასალებსა და ახსნა-განმარტებებს და მიეღო კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოერკვია საქმის ნამდვილი გარემოებანი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი (საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მ., 1964 წელი). ეს გამომდინარეობდა ე. წ. ობიექტური ტემპარიტების პრინციპიდან, რომელიც ძირითადი და წამყვანი პრინციპია საბჭოთა სამართალში და სასამართლოს აქტიურ მონაწილეობას გულისხმობს მხარეთა უფლებების განკარგვაში, რაც უდავოდ მიუღებელია.

მხარეთა მიერ წარმოდგენილი ყველა ფაქტობრივი გარემოება როგორც წესი, საჭიროებს დამტკიცებას. ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენს ზოგიერთი ფაქტი, რომელიც არ საჭიროებს მტკიცებას. ასეთ ფაქტობრივ გარემოებათა წრეს მიაკუთვნებენ: ე. წ. უდავო ფაქტებს, ანუ ისეთ ფაქტებს, რომელთა შესახებ მხარეები არ დავობენ, საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს და პრეიუდიციულად დადგენილ ფაქტებს, კერძოდ:

ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას, რომლებშიც იგივე მხარეები მონაწილეობენ და ფაქტებს იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა მოქმედებას ადგილი და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით, როდესაც საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქოსამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი. სხვა ფაქტების მიმართ, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელობა სამოქალაქო საქმის გადაწყვეტისთვის. განაჩენი სავალდებულო არ არის და ისინი შეიძლება დადგინდეს სამოქალაქო საქმის განხილვის დროს. მაგალითად, ზარალის ანაზღაურების შესახებ სარჩელების განხილვისას, რომლებიც სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარეობენ, სასამართლო აღარ კრებს მტკიცებულებებს იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა ადგილი მოქმედებას და ჩაიდინა თუ არა იგი ამ პირმა. ამ შემთხვევაში, სასამართლო ადგენს მხოლოდ ანაზღაურების ოდენობას, რომელიც მოპასუხეს უნდა დაეკისროს, რისთვისაც იყენებს, როგორც სისხლის სამართლის საქმის მასალებს, ისე მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

მხარეები, რომლებიც თავიანთ შესაძლებლობებს პროცესზე არ გამოიყენებენ დაამტკიცონ საკუთარი მოსაზრებები ფაქტების საშუალებით, საკუთარ დავის საგანს და სასარჩელო მოთხოვნას აყენებენ კითხვის ქვეშ. სხვა სიტყვებით, მტკიცებულებების წარდგენის უფლების გამოუყენებლობა პროცესზე, შეიძლება პროცესის წაგებას ნიშნავდეს. სასამართლოს შეუძლია ფაქტების შესახებ იმსჯელოს და გადაწყვეტილება გამოიტანოს მხოლოდ მაშინ, თუ ისინი ერთ-ერთი მხარის მიერ მაინცაა წარმოდგენილი.

გერმანულ საპროცესო სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმად, მტკიცებულებების წარდგენა პროცესზე მხარეთა უფლებამოსილებად უნდა დარჩეს, მაგრამ ამავე დროს, საჭიროა სასამართლოს მიეცეს უფლება ფაქტები და მტკიცებულებები ოფიციალურად წარმოადგინოს პროცესზე მხარეთა განცხადების გარეშე.⁵ ძნელია დაეთანხმო ამ მოსაზრებას, რადგან ეს ნიშნავს სამძებრო ელემენტების შემოღებას პროცესში, რაც ლახავს მხარეთა ნების თავისუფლებას.

მხარეთა მიერ მტკიცებულებების პროცესზე წარდგენის უფლებამოსილება შესაძლებელია შემდეგნაირად ჩამოვაცალიბოთ:

1. მხარეები განსაზღვრავენ საპროცესო დავის საგანს.
2. ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა წარმოადგენს მხარეთა საპროცესო უფლება-მოვალეობებს.
3. სასამართლოს შეუძლია დამატებით ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა შესთავაზოს მხარეებს, თუ პროცესის მსვლელობის დროს ის დარწმუნდა, რომ ამას გადაწყვეტილების გამოტანისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

მხარეთა საპროცესო უფლება-მოვალეობაზე საუბრისას, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს თანასწორუფლებიანობის პრინციპი. სწორედ მაშინ ეძლევა მხარეს შესაძლებლობა საკუთარი მტკიცებულებებით, რაზედაც ის ამყარებს თავის მოთხოვნას იდავოს მხარესთან, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, კითხვები დაუსვას ექსპერტებს, გამოთქვას საკუთარი შეხედულებები და მოკლედ განახორციელოს კანონით მინიჭებული უფლება-მოვალეობები, თუ ის სარგებლობს თანასწორუფლებიანობის პრინციპით პროცესის სხვა მონაწილესთან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა (მ.102) აკეთებს მტკიცების საშუალებების ჩამონათვალს, ესენია: მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტებები; მოწმის ჩვენება; წერილობითი მტკიცებულება; ნივთიერი მტკიცებულება და ექსპერტის დასკვნა.

სასამართლო პრაქტიკაში ცოტა ხნით ადრე მიეთითებოდა, რომ: „სსსკ-ის 102-ე მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს მტკიცების საშუალებათა ჩამონათვალს (მტკიცებულებათა წრეს). ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ „საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დასადასტურებლად შეიძლება გამოყენებული იქნას კანონში მითითებული ნებისმიერი საშუალება.“⁴⁶ სხვა სამოქალაქო საქმეზე, 2010 წლის გადაწყვეტილებაში უზენაესმა სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია მტკიცებულებად აუდიო-ვიდეო ჩანაწერების გამოყენება.⁷

ამ გადაწყვეტილებაში მოცემულია აუდიო ჩანაწერის განმარტებაც. „აუდიო ჩანაწერი არის საქმესთან დაკავშირებული გარემოებების დამტკიცების საშუალება ხმის ან ხმოვანი სიგნალის სპეციალურ ტექნიკურ საშუალებაზე ფიქსაციის მეშვეობით.“ სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აუდიო ჩანაწერს არ განიხილავს მტკიცებულების დამოუკიდებელ სახედ. მას მოიცავს ნივთიერი მტკიცებულების ცნება და განიხილება, როგორც ნივთიერი მტკიცებულების ერთ-ერთი სახე.

ვფიქრობთ, რომ აუდიო-ვიდეო ჩანაწერები ხელოვნურად არის მიკუთვნებული ნივთიერ მტკიცებულებას. იგი უნდა აისახოს დამოუკიდებელ მტკიცებულებად და შეიქმნას საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ამ სახის მტკიცებულებების წარდგენის, გამოთხოვის და გამოკვლევის წესებს.

„აუდიო-ვიდეო ჩანაწერები მტკიცებულებათა დამოუკიდებელი სახეა და შესაბამისად, მოწესრიგებული უნდა იყოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. მტკიცებულების ამ სახისათვის დამახასიათებელია მისი გამოთხოვის, გამოკვლევის, ინფორმაციის ასახვის, შენახვისა და დაბრუნების სპეციფიკური წესები.“⁴⁸

ტექნიკის თანამედროვე პირობების განვითარებას ვერც სამოქალაქო სამართალწარმოება აუვლიდა გვერდს, ამის დასტურად გამოდგება ბოლო რამდენიმე წელიწადში ტექნიკური საშუალებების გამოყენების დანერგვა სხვადასხვა საპროცესო მოქმედებათა შესრულებაში. აღნიშნული ეხება საპროცესო მოქმედების თაობაზე მხარეთა ინფორმირებას, მოწმეთა დაკითხვას, მხარისაგან ახსნა-განმარტებების მიღებას და სხვა.

იზრდება იმ ადამიანების რიცხვიც, რომლებსაც სურთ აუდიო-ვიდეო ჩანაწერები წარმოადგინონ სასამართლოში, როგორც მტკიცებულებითი ინფორმაციის წყარო. გარდაუვალია მტკიცებულებათა შესახებ ნორმათა განახლებაც საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით. მტკიცების პრინციპი და მტკიცებულებათა სისტემის დახვეწის საკითხი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მართლმსაჯულების დემოკრატიულობას, სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობასა და კონსტიტუციითა და სხვადასხვა კანონმდებლობით განმტკიცებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

სამოქალაქო პროცესში ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმის შექმნა, რომ მიღებული, გამოკვლევული და შეფასებული იქნას აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, როგორც მტკიცებულებები შესაძლებელია მხოლოდ იმ ინფორმაციის თავისებურებების გაცნობიერების შემდეგ, რომელიც დაფიქსირებულია აუდიო-ვიდეო ჩანაწერების მეშვეობით. ხშირ შემთხვევაში, სწორედ ამ მტკიცებულებებს ეძლევა ყველაზე უფრო „ძლიერი და უტყუარი“ მტკიცებულების ძალა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის დოქტრინაში ნაკლებად გამოკვლეულად რჩება საკითხი ამ სახის ჩანაწერების სამართლებრივი ბუნების შესახებ – ისინი წარმოადგენენ დამოუკიდებელ სასამართლო მტკიცებულებებს, თუ მხოლოდ ნივთიერი და წერილობითი მტკიცებულებების ნაირსახეობას. შესაბამისად, არ დასმულა საკითხი აუდიო-ვიდეო ჩანაწერების გამოკვლევის საპროცესო წესების შექმნის შესახებ. ამ კუთხით, არსებული მდგომარეობა არ არის საკმარისი უზრუნველყოფით იმ პირთა საპროცესო უფლებები, რომლებიც მონაწილეობენ საქმეში და ასევე, განვსაზღვროთ მონაცემების უტყუარობა დაფიქსირებული ხმოვანი სიგნალისა და წარმოსახვითი, ვიზუალური ფიქსაციის სახით. ეს პრობლემა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, როცა საქმე ეხება მოქალაქეთა პირადი ცხოვრების ამსახველ მომენტებს. საჭიროა გავანალიზოთ აუდიო-ვიდეო ჩანაწერების დასაშვებობისა და უტყუარობის საკითხები, მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე ეხება მონაცემებს მოქალაქეთა პირადი ცხოვრების შესახებ, მათი ცოდნის გარეშე.

მხარეთა საპროცესო უფლებას, წარადგინონ მტკიცებულებები თანასწორუფლებიანობის ფარგლებში, დაუსვან მოწმეებს კითხვები, მისცენ სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები, წარადგინონ მტკიცებულებები თუ მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, ანუ ერთი სიტყვით, შეასრულონ კანონით მინიჭებული საპროცესო მოქმედებები გამიზნულია იმისათვის, რომ მხარემ დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვით მიიღწიოს მისთვის სასურველ შედეგს. შესაბამისად, საპროცესო მოქმედებათა განხორციელების შესაძლებლობები კანონმდებლისა და სასამართლოს მხრიდან უნდა იყოს მაქსიმალურად დახვეწილი იმისათვის, რომ მიღწეული იქნას მართლმსაჯულების ამოცანები.

2. შეჯიბრებითობის პრინციპი სამოქალაქო სამართალწარმოების დროს, მტკიცებითი საჭმიანობის პროცესში

მტკიცებულებათა შეგროვებისა და წარდგენის ტვირთი უმთავრესად, საქმის მონაწილეებს აკისრიათ, თუმცა ამ კუთხით, სასამართლოც აღჭურვილია გარკვეული უფლებით. რაც შეეხება მტკიცებულებათა შეფასებას, ეს მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაა. ამიტომ შეფასების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოსამართლის მართლშეგნებასა და იმ კანონს, რომელსაც სასამართლო იყენებს საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს.

როგორც დასაწყისში უკვე აღვნიშნეთ, შეჯიბრებითობის პრინციპის თანახმად, პროცესში მონაწილე მხარეებს ერთი მხრივ, უფლება აქვთ წამოაყენონ სასამართლოს წინაშე მოსაზრებები ე. ი. განახორციელონ თავიანთი მატერიალურ-საპროცესო უფლებამოსილებანი და მეორე მხრივ, წარუდგინონ სასამართლოს მასალები ამ მოსაზრებათა დასადასტურებლად.

საქმის ფაქტობრივი მხარე უკეთესად შეიძლება დადგენილ იქნას მის მიერ, ვინც უფრო ახლოს იცნობს ამ პრობლემას. ასევე, იცის სად შეიძლება ეს მტკიცებულებანი მოძიებული იქნას და რა სახის მტკიცებულებებით შეიძლება მისი მოთხოვნის დადასტურება. ყველაზე მეტად თვითონ მხარეები

არიან დაინტერესებული საქმის გარემოებების გამოკვლევით. თითოეული მხარე მიისწრაფვის მოიგოს პროცესი და ამ მიზნით, მოიძიოს და წარუდგინოს სასამართლოს ყველა ფაქტები, რაც მის სასარგებლოდ მიუთითებს და მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნებს უპასუხებს. ამ დროს სასამართლო არ არის დაინტერესებული იმით, თუ რომელი მხარე მოიგებს პროცესს. მისთვის მთავარია, რომ ყველაფერი მოხდეს პროცესუალურად დადგენილი წესების დაცვით.

სასამართლოს ამოცანა შემოიფარგლება მხოლოდ იმ საქმიანობით, რომ სწორად შეაფასოს მტკიცებულებები და გამოიტანოს გადაწყვეტილება დადგენილი ნორმების შესაბამისად.

თუ ვისაუბრებთ შეჯიბრებითობის პრინციპის საწინააღმდეგო სამძებრო, ანუ ინკვიზიციური პრინციპის შესახებ, სასამართლო ამ შემთხვევაში, უბრალო დამკვირვებლის ნაცვლად აქტიურ მონაწილეობას ღებულობს დავის პროცესში. ამით სასამართლო შეიძლება მისდაუნებურად ერთ-ერთი მხარის დამხმარედ გამოვიდეს, რადგან სასამართლოს მიერ მოძიებული მტკიცებულებები სასამართლოსთვის უფრო მისაღები შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე მხარის მიერ წარმოდგენილი.

შეჯიბრებითობის პრინციპი მხარეებს უხსნის გზას დამოუკიდებელი მოქმედებებისათვის და შესაძლებლობას აძლევს საკუთარი ძალისა და ინიციატივის გამოსაჩენად. სრულიად საწინააღმდეგო ხდება სამძებრო პრინციპის გამოყენების დროს. მხარეთა მონდომება ამ დროს ქვეითდება, ისინი დახმარებას ელიან ზემოდან და თუ საქმე მათ სასარგებლოდ არ გადაწყდება, მაშინ იწყებენ სასამართლოსადმი უნდობლობის გამოჩენას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამოქალაქო სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთი მთლიანად მხარებს აწევთ მაშინ, როდესაც მათი შეფასება მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს უფლება-მოვალეობაა.

მხარეები, თავიანთ მოთხოვნებს ასაბუთებენ სხვადასხვა მტკიცებულებებით. ისინი იძლევიან ახსნა-განმარტებებს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ. სასამართლო წარმართავს მხარეთა შეჯიბრებას და შეუძლია დამატებითი კითხვები დაუსვას მხარეებს პროცესის მსვლელობის დროს. ასევე, მოწინააღმდეგე მხარეები კითხვებს უსვამენ ერთმანეთს, მაგრამ ისევ და ისევ სასამართლოს ნებართვით, რაც სასამართლოს მიერ მხარეთა შეჯიბრებითობის წარმართვის მოვალეობას წარმოადგენს და არა შეჯიბრებითობის პრინციპის შეზღუდვას.

იურიდიულ ლიტერატურაში მიღებული შეხედულების თანახმად, შეჯიბრებითობის პრინციპი მიჩნეულია თანამედროვე სამოქალაქო საპროცესო სამართლის განუყოფელ ნაწილად. ამ პრინციპის თანახმად, სასამართლო წარმოება მიმდინარეობს დავის სახით. დავას აქვს შეჯიბრებითი ხასიათი, ვინაიდან თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს თავისი მოთხოვნის თუ შესაგებლის იურიდიული საფუძველი.

შეჯიბრებითობის პრინციპის განხორციელების დროს კანონის მიხედვით, სასამართლოსაც გარკვეული როლი და ადგილი ენიჭება. თვითონ სასამართლო თავისი ინიციატივით არ აგროვებს მტკიცებულებებს და საქმეს წყვეტს იმ ფაქტობრივი მასალის მიხედვით, რომელსაც მას წარუდგენენ მხარეები. ანუ სასამართლოს არ შეუძლია იხელმძღვანელოს სხვა მტკიცებულებებით, რომელიც არ წარუდგენიათ მხარეებს და ამასთან, სასამართლო ვალდებულია თავისი გადაწყვეტილება დაამყაროს მხოლოდ იმაზე, რაც მოთხოვნილი და დამტკიცებული იყო მოდავე მხარეთა მიერ. ეს იმას ნიშნავს, რომ მტკიცებულებათა წარმოდგენის დროს სასამართლო უბრალო მაყურებლის როლშია და მისი გააქტიურება ხდება მაშინ, როდესაც ის შეუდგება მოწოდებული მასალის შეფასებას ანა თუ იმ დასკვნისათვის.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, სრული შეჯიბრებითობა სამოქალაქო პროცესში არ არსებობს. მაგალითად: საოჯახო-საქორწინო საქმეთა განხილვის დროს, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე. ასევე, სასამართლოს უფლებამოსილებაა არ მიიღოს, არ გამოითხოვოს ან საქმიდან ამოიღოს მტკიცებულებები, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. ეს კი ნიშნავს, რომ სასამართლო ამოწმებს წარმოდგენილ მტკიცებულებათა შესახებობას თითოეულ საქმესთან დაკავშირებით. სსსკ-ის 162-ე მუხლით საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივითაც დანიშნოს ექსპერტიზა და თვითონ განსაზღვროს იმ საკითხთა წრე, რომელზედაც საჭიროა ექსპერტიზის ჩატარება.

წერილობით და ნივთიერ მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. თუ მხარემ უშუალოდ ვერ შეძლო მათი მიღება ან გამოთხოვა, მას შეუძლია იშუამდგომლოს ამის შესახებ სასამართლოს წინაშე (სსსკ-ის 103-ე მ.). მხარეებმა შეიძლება აგრეთვე, იშუამდგომლონ სასამართლოს წინაშე ამა თუ იმ პირის მოწმედ დაკითხვის შესახებ. ეს მხარის უფლებაა, რაც შეეხება გამოძახებული პირის მოწმედ დაკითხვას, ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა.

კანონმდებელი განსაზღვრავს თუ ვინ შეიძლება მოწმედ დაიკითხოს. მოწმედ არ შეიძლება გამოძახებული და დაკითხული იყოს პირები, რომლებიც ფიზიკური და ფსიქიკური ნაკლის გამო, სწორად ვერ აღიქვამენ ფაქტებს, სასულიერო პირები აღსარების დროს მიღებული გარემოებების შესახებ, წარმომადგენლები და დამცველები მათი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ინფორმაციის შესახებ. ასევე, მედიატორები იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რაც მათთვის ცნობილი გახდა მოვალეობის შესრულებისას (სსსკ-ის 141-ე მ.). მოწმედ დაბარებული პირი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს სწორი ჩვენება. მოწმემ, რომელიც უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე, უნდა დაასაბუთოს ეს უარი (სსსკ-ის 144-ე მ.). სასამართლოს შეუძლია უარი თქვას გამოძახებული მოწმის დაკითხვაზე ან არ გამოიძახოს იგი, თუ ცნობს, რომ გარემოებებს, რომელთა დასადასტურებლადაც იძახებენ მოწმეს არა აქვთ რაიმე მნიშვნელობა საქმისათვის (სსსკ-ის 140-ე მ.). აქ რა თქმა უნდა, შეიძლება დაისვას კითხვა, ხომ არ ირღვევა სასამართლოს ამგვარი მოქმედებით შეჯიბრებითობის პრინციპები? არა, რადგან სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს საკუთარი მოვალეობის განხორციელების ფარგლებში, სხვაგვარად წარმოუდგენელია სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებისა და ამოცანების შესრულება.

საკითხი, ადგილზე დათვალეობის ჩატარებისა, შეიძლება სასამართლომ დაადგინოს, არა მარტო მხარეთა თხოვნით, არამედ საკუთარი ინიციატივითაც, რომლის შესახებაც მიღებული განჩინების გასაჩივრება არ დაიშვება (სსსკ-ის 121-ე მ.). ასევე, სასამართლო უფლებამოსილია ამ დროს, მოიწვიოს სპეციალისტი. ხარჯებს ფარავს ორივე მხარე. სასამართლოს მოვალეობაა, შეაფასოს მხარეთა მიერ წარმოდგენილი ფაქტები ან თავად განახორციელოს მოქმედებები მტკიცებულებების მოპოვების მიზნით. ეს სრულიად არ ნიშნავს შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევას. არცერთ მტკიცებულებას სასამართლოსათვის არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა და მათი შეფასება ხდება მტკიცებულებათა შეფასების საერთო წესის თანახმად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Wrede, Der Zivilprozeb Schwedens und Finnlands, 1924;
2. O. Jauerning, Zivilprozebrecht, 1993;
3. Muller, Zivilprozeb Erkenntnistverfahren, 1996;
4. Knisch Grundris des Gerichtsverfahrensrechts, 1996;
5. Zettel, Der Beibringungsgrundsatz, 1977;
6. სსუგ სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, #3, 2008;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 1 ივნისის განჩინება საქმეზე #1154-1416-09;
8. შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი.

შენიშვნები:

- ¹ D. Wrede, Der Zivilprozeb Schwedens und Finnlands, 1924, გვ. 57.
- ² O. Jauerning, Zivilprozebrecht, 1993, გვ. 3.
- ³ S. Muller, Zivilprozeb Erkenntnistverfahren, 1996, გვ. 76.
- ⁴ A. Knisch, Grundris des Gerichtsverfahrensrechts, 1996, გვ. 145.
- ⁵ J. Zettel, Der Beibringungsgrundsatz, 1977, გვ. 188.
- ⁶ სსუგ. სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, 2008, #3, გვ. 7.
- ⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 1 ივნისის განჩინება, # 1154-1416-09.
- ⁸ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2012, გვ. 282.

RIGHTS AND OBLIGATIONS OF PARTIES AT THE MOMENT OF EVIDENCE SUBMISSION IN CIVIL PROCEEDINGS

KOBA SAKVARELIDZE

Georgia Davit Aghmashenebeli University

Doctoral Student of the Law School

Working on evidence occupies a special place among procedural rights and obligations of the parties. Doing it in a right and smooth way is tightly linked to reaching fair judgment by the court. Evidence related activities are based on the principles that are universally recognized in the civil proceedings law (adversarial principle, direct examination of evidence, etc.).

In order to let the court conclude if there is any right that has become subject of dispute, or if the interest is protected by the law or not, the court should clearly establish the facts that represent grounds for the parties. This can be done only through evidence submission.

As far as handling this process is fully delegated to the parties in the civilized countries of civil law, submission of evidence to the court is referred to as a principle of self-imitated discovery in civil proceedings of some European countries.

According to this principle, the parties bear responsibility for collecting evidence, and they should prove them if the opposite side challenges them.

There was a so-called principle of objective truth in the Soviet civil procedure law, which implied active involvement of the court in the rights of the parties, which is undoubtedly unacceptable.

As mentioned, the burden of evidence collection and submission are born by case participants, but in this respect the court is not limited in regards to some rights, if it considers that the evidence submitted by the parties is not enough for the right resolution of case. Besides, it can identify set of issues, which necessitate expert opinion, or pass the ruling on examination of evidence in situ, etc. This does not necessarily mean the violation of the adversarial principle, as far as the evidence or expert opinion submitted additionally based on the court request are not binding for the court, and they are examined in accordance with the common regulation on evidence examination.

ოჯახში ძალადობის სისხლისსამართ- ლებრივი დახასიათება

ლელა მეთრეველი

*საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის დოქტორანტი*

შესავალი

ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა მსოფ-
ლიოში. ეს უნივერსალური მოვლენაა, რომელიც შესაძლებელია
შეეხოს საზოგადოების ნებისმიერ წევრს, მიუხედავად მისი რა-
სობრივი, სოციალური, თუ კულტურული კუთვნილებისა. განსა-
კუთრებით აღსანიშნავია ქალთა მიმართ ძალადობა, რადგან
ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ყველაზე ხშირად, არის სწორედ
ქალი. შესაბამისად, ილახება ქალთა უფლებები, მათი სოციალური
ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მათი ეკონომიკური,
თუ სოციალური კეთილდღეობა საფრთხის ქვეშ დგება.¹ ოჯახში
ძალადობა კომპლექსური პრობლემაა და არ არსებობს სამოქმე-
დო გეგმა, რომელიც ყველა სიტუაციას მოერგება. თუმცა, ოჯახში
ძალადობის მსხვერპლთათვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა,
დახმარების დროული და ეფექტიანი აღმოჩენის სისტემის შექმნა,
ოჯახში ძალადობის აღკვეთის მექანიზმის მთავარი დანიშნულებაა.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვან მოვლენად ითვლება
სწორედ ის გარემოება, რომ 2006 წელს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში
ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქარ-
თველოს კანონი.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლ-
თა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შექმ-

ნის ერთ-ერთი პირველი მიზანი იყო საკანონმდებლო ნორმით განსაზღვრა, თუ რას წარმოადგენს ოჯახში ძალადობა, ანუ ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია ამ ტიპის გადაცდომათა მიმართ. ასევე, ოჯახში განხორციელებული ძალადობის შემთხვევაში, შეექმნა ამ ქმედებათა აღკვეთისა და მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვის სწრაფი და ეფექტიანი მექანიზმი, მოეხდინა ძალადობის ლოკალიზება, უზრუნველყო მოძალადისა და მსხვერპლის მყისიერი განცალკევება, ეფექტიანი პრევენციისა და მსხვერპლის რეაბილიტაციის მექანიზმი.² აღნიშნული კანონის მიზანია სამართლიანი და თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნა ოჯახში, ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დახმარებისა და მოძალადეთა წინააღმდეგ შესაბამისი სანქციების განხორციელების უზრუნველყოფა.

ოჯახში ძალადობის ფაქტების აღკვეთას ხშირად, ხელს უშლის ის, რომ ძალადობა პირადი ცხოვრების ნაწილად ითვლება. მსხვერპლ ქალებს, არ სურთ ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ საუბარი შესაბამისად, ისინი დუმის ამჯობინებენ. ამ პრობლემაში დიდ როლს ასრულებს საზოგადოება, რომლის დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ წყვილს შორის პრობლემები მათ შორის უნდა მოგვარდეს და მასში სხვა პირების ჩარევა მიუღებელია.

მეცნიერული კვლევების მიხედვით, ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზი არის ძალაუფლება და კონტროლი, ხოლო უმუშევრობა, ალკოჰოლიზმი და სხვა ფაქტორები ხელს უწყობს ძალადობის გამოვლენას. თუმცა, საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგად, უმრავლესობა ოჯახში ძალადობის გამომწვევ ძირითად მიზეზად უმუშევრობას, ალკოჰოლიზმს, ნარკომანიასა და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს ასახელებს. სინამდვილეში კი, ოჯახში ძალადობა ერთნაირად არსებობს როგორც ჩამორჩენილ, ასევე ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში.³

საქართველოს კანონმდებლობაში, ქალთა მიმართ სქესობრივი დისკრიმინაციის აღსაკვეთად მიღებული კიდევ ერთი კანონი გენდერულ თანასწორობას ეხება. იგი 2010 წლის 26 მარტს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო და ძირითად მიზნად დაასახელა საკანონმდებლო დონეზე სქესობრივი ნიშნით ადამიანთა თანასწორობის პრინციპის განმტკიცება და გენდერული თანასწორობის მისაღწევად შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიების შექმნა.

კანონი აღიარებს ადამიანთა თანასწორობას სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. მაგალითად, შრომითი ურთიერთობები, განათლებისა და მეცნიერების სფერო, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სფერო, საოჯახო ურთიერთობები, საინფორმაციო რესურსებით სარგებლობა, საარჩევნო უფლებების რეალიზაცია და ა. შ. კანონის მიხედვით, ქალი და მამაკაცი თანასწორია საოჯახო ურთიერთობებში.

კერძოდ, ცალსახად აღიარებულია ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებები ქორწინებისა და განქორწინების, გვარის, პროფესიისა და საქმიანობის არჩევის, ქონების ფლობის, შექმნის, განკარგვის დროს, ასევე, თანაბრად უნდა განაწილდეს ოჯახში გაწეული შრომა თუ შვილების აღზრდის პასუხისმგებლობა. როგორც ვხედავთ, კანონმდებლობაში საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დონე სავალალო არ იყოს საქართველოში, მაგრამ ფაქტები საპირისპიროს გვამცნობენ.

მსოფლიო მასშტაბით, საერთაშორისო უწყებების მიერ მუშავდება სხვადასხვა სტრატეგიები და ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც მიმართულია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისკენ.

2011 წლის 7 აპრილს, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“, რომელსაც 2011 წლის 11 მაისს, სტამბულში მოეწერა ხელი. კონვენციის მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად მნიშვნელოვანია ქალისა და მამაკაცის თანასწორობის

დე იურე და დე ფაქტო აღიარება. ამასთან, „გაცნობიერება იმისა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა არის გენდერული ძალადობა და რომ ეს არის ერთ-ერთი წამყვანი სოციალური მექანიზმი, რომელიც აიძულებს ქალებს დაიკავონ მამაკაცებთან შედარებით სუბორდინირებული მდგომარეობა.“ გარდა ამისა, საჭიროა აღიარება იმისა, რომ ქალები და ბავშვები მეტი ალბათობით, გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლები ხდებიან. ასევე, მამაკაცებიც შესაძლებელია, რომ იყვნენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი, ხოლო ბავშვები ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან მაშინაც, როცა ისინი უბრალოდ ძალადობის სცენის მხილველნი არიან. გამომდინარე აქედან, კონვენციის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს ქალთა მიმართ ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციის შემცირებას, უზრუნველყოს ქალისა და მამაკაცის თანასწორობა და ქალთა გაძლიერება.³

ქალების წინააღმდეგ ძალადობა ყველა ქვეყანაშია გავრცელებული. მას არ გააჩნია საზღვრები კულტურის, საზოგადოებრივი თუ ეთნიკური კლასისადმი კუთვნილების, განათლების, ეკონომიკური ცენზისა და ასაკის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების უმრავლესობა ოჯახში ძალადობის არსებობას აღიარებს და გმობს მას, ქალთა უფლებების შელახვა მაინც ხშირად ხდება, რაც უმეტესად კულტურული მემკვიდრეობის ნორმებით არის განპირობებული ან რელიგიური დოგმების არასწორი განმარტების შედეგია. ქალები ძალადობას იქ აწყდებიან, სადაც ყველაზე უსაფრთხოდ უნდა გრძნობდნენ თავს.⁴

ოჯახში ძალადობა, როგორც ძალადობის ერთ-ერთი ტიპური გამოვლინება, სისხლის სამართლის კოდექსით ცალკე ფორმულირებული არ იყო. აღნიშნული ტიპის ქმედებები უმეტესწილად, განიხილებოდა, როგორც კერძო ბრალდების საქმე და შეიძლებოდა დაზარალებულ მხარესთან მორიგების შემთხვევაში, საქმის წარმოებით შეწყვეტა, რაც რეალურად ასეც მთავრდებოდა. ოჯახის წევრების მიმართ ძალადობის შემთხვევაში, მოქალაქეები თავს არიდებდნენ სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვას. მოქალაქეთა მხრიდან საკითხის ასეთმა დამოკიდებულებამ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ასეთი სახის დარღვევისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება გამოიწვია, რამაც კონკრეტულ შემთხვევაში, საქმე ფატალურ შედეგთან მიიყვანა. გახშირდა სხეულის მძიმე დაზიანებათა რიცხვი, რაც ზოგჯერ ტრაგიკული შედეგით მთავრდებოდა, როგორცაა მსხვერპლის ან მოძალადის მკვლელობა.

ოჯახში ძალადობის გამომწვევი ძირითადი ფორმები

კანონმდებლობით განისაზღვრა ოჯახში ძალადობის დეფინიცია, რითაც მომზადდა იურიდიული საფუძველი დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემისთვის.

ძალადობის ფორმები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შემდეგნაირად არის განმარტებული:

- ა) ფიზიკური ძალადობა – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვაგვარი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;
- ბ) ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას.

- გ) იძულება – ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შესარულოს ან არ შესარულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა. ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;
- დ) სექსუალური ძალადობა – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით. სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვანის მიმართ;
- ე) ეკონომიკური ძალადობა – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების აგრეთვე, თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;
- ვ) უგულვებელყოფა – მშობლის ან/და კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუ მშობელს ან/და კანონიერ წარმომადგენელს აქვს სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება შესაბამის მომსახურებაზე;

საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, მსხვერპლი არის ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ძალადობა, იძულება ან უგულვებელყოფა. მოძალადე არის ოჯახის წევრი, რომელიც ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობას ახორციელებს.

ოჯახში ძალადობის გახშირებულმა შემთხვევებმა და საკითხის აქტუალობამ დღის წესრიგში დააყენა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ახალი მუხლის დამატება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ოჯახში ძალადობის მუხლი ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავშია მოქცეული. ამ თავში ამ მუხლის დამატებით, ვფიქრობთ, კანონმდებელმა ხაზი გაუსვა ქმედების მნიშვნელობასა და საფრთხეს. სწორედ ადამიანის ჯანმრთელობაზე დამოკიდებული მისი სიცოცხლე. ადამიანის ჯანმრთელობას რა თქმა უნდა, ესაჭიროება სამართლებრივი დაცვა.

2012 წელს, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ახალი სსკ-ის 126¹ მუხლი – ოჯახში ძალადობა. ამ მუხლის დამატება გამოიწვია „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონმა. აღნიშნული კანონით ცვლილება შევიდა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილშიც, კერძოდ, დაემატა 11¹ მუხლი, რომლის მიხედვითაც, ოჯახში ძალადობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესდება კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლებზე მითითებით. სსკ-ის 126¹ მუხლი განმარტავს ოჯახში ძალადობის კრიმინალურ ხასიათს და აწესებს პასუხისმგებლობას ჩადენილი ქმედებისათვის.

ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით, იძულებით ან უგულვებელყოფით. საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ განსაზღვრავს იმ ქმედებათა ერთობლიობას, რომლებიც დამახასიათებელია ოჯახში ძალადობისათვის, ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, აგრეთვე, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვისა და დახმარების გარანტიებს.⁵

ოჯახში ძალადობის სხვა სახის ძალადობისაგან ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ იგი ოჯახის ფარგლებს არ სცილდება.

აღნიშნული მუხლის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ოჯახის წევრთა ჯანმრთელობა, პატივი და ღირსება. ადამიანს აქვს უფლება იცხოვროს უსაფრთხო გარემოში ანუ ოჯახში, ძალადობის გარეშე. ამ მუხლს ჰყავს სპეციალური სუბიექტი ანუ ოჯახის წევრი, რომელიც პასუხისმგებლობის ასაკს ანუ 14 წელს არის მიღწეული. მსხვერპლიც უნდა იყოს ოჯახის წევრი, სხვა შემთხვევაში, არ გვექნება ამ მუხლის შემადგენლობა. მუხლს ახლავს შენიშვნა, რომელშიც სრულად არის ჩამოთვლილი თუ ვინ იგულისხმება ოჯახის წევრში.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ძალადობაში, სისტემატურ შეურაცხყოფაში, შანტაჟსა და დამცირებაში. მართლსაწინააღმდეგო შედეგი უნდა იყოს ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა. ასევე, სახეზე უნდა გვექონდეს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. სსკ-ის 126¹ მუხლი ითვალისწინებს ძალადობის არა ყველა ფორმას, არამედ მხოლოდ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ან ეკონომიკურ ძალადობას ან იძულებას, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ მას არ გამოუწვევია ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებაც კი.

ძალადობა უნდა გავიგოთ ისე, როგორც წინა მუხლშია განმარტებული, მაგრამ შედეგად არ უნდა გვექონდეს ჯანმრთელობის დაზიანება. თუ ოჯახში ძალადობა გამოვლინდა სხვადასხვა ქმედებებში, რომლებიც ჯანმრთელობის დაზიანების მომტანია, ისინი დაკვალიფიცირდება კოდექსის შესაბამისი მუხლებით – 11¹ მუხლზე მითითებით. რაც შეეხება სისტემატურ შეურაცხყოფას – ეს არის სხვისი პატივისა და ღირსების განზრახ დამცირება, გამოხატული უწესო ფორმით, რაც დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით არ იცვება. თუ ის ოჯახშია ჩადენილი და აქვს სისტემატური ხასიათი – დაისჯება ამ მუხლით. სისტემატურად ჩაითვლება თუ ჩადენილია სამჯერ მაინც, დროის ახლო მონაკვეთში. შანტაჟი კი, გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ისეთ მუქარას, რომ თუ მას არ დაემორჩილება, გაუვრცელებს სახელის გამტეხ ინფორმაციას. ინფორმაციის სინამდვილეს არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია მუქარის განხორციელება. რაც შეეხება დამცირებას, მისი შეურაცხყოფისგან გამიჯვნა ძნელია. განმასხვავებელ ნიშნად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ დამცირება გამოხატულია უწესო ფორმით. მაგალითად, ოჯახის ერთი წევრი ყოველდღიურ ცხოვრებაში აგრძნობინებს მეორეს, რომ იგი არასრულფასოვანი პიროვნებაა, მუდმივად გარიყული ჰყავს, ექცევა როგორც მოსამსახურეს, ფიზიკურად ეხება, რათა დაამციროს.

სუბიექტურად, განსახილველი დანაშაულის მოტივსა და მიზანს არა აქვს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა, თუმცა, უფრო გავრცელებულია მისი ჩადენა შურისძიების, ეჭვიანობის, სიძულვილის მოტივით და სამაგიეროს გადახდის ან პირის დამორჩილების მიზნით. ბრალის ფორმის მიხედვით, სახეზეა განზრახი დანაშაული.⁶ მუხლს ასევე, ახლავს რამდენიმე დამამძიმებელი გარემოება.

ოჯახში ძალადობისგან დაცვის სამართლებრივი მმქანიშმები

ოჯახში ძალადობა ადამიანის უფლებათა დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომელიც ლახავს პიროვნების უსაფრთხოებას, ღირსებას, თვითპატივისცემას და ზღუდავს მის უფლებას ისარგებლოს ადამიანის ძირითადი თავისუფლებებით. ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქოსამართლებრივი და ადმი-

ნისტრაციული მექანიზმები. სისხლისსამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ისეთ შემთხვევაში, რომლებიც შეიცავენ სისხლის სამართლის დანაშაულის ისეთ ნიშნებს, როგორცაა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, სხეულის განზრახ მიძიმე დაზიანება, გაუპატიურება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, რომელმაც გამოიწვია ჯანმრთელობის სერიოზული მოშლა ან შრომისუნარიანობის მნიშვნელოვანი დაქვეითება ან დაკარგვა და სხვა ამგვარი.

რაც შეეხება სამოქალაქოსამართლებრივ მექანიზმებს, რომელიც გამოიყენება ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ზიანი. ასევე, არამატერიალური ზიანის შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლით, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნას მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში, დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვისაც.

რაც შეეხება ადმინისტრაციულსამართლებრივ მექანიზმებს, იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ სამართალდარღვევა კანონმდებლობის შესაბამისად, არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და მისი აღკვეთა შესაძლებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების შესაბამისად.

საქართველოს კანონმდებლობა ოჯახური ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის, მსხვერპლთა დაცვისა და მოძალადისათვის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით, დამცავ და შემაკავებელ ორდერებს იყენებს. დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც ოჯახური ძალადობის შემთხვევაში, განისაზღვრება ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები. შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც ასევე, განისაზღვრება ოჯახური ძალადობის შემთხვევაში, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები. მსხვერპლთა დაცვის დროებით ღონისძიებებში იგულისხმება: მოძალადისაგან მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის დაცვის ზომები; მოძალადისაგან მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის გარიდებისა და თავშესაფარში მათი მოთავსების საკითხები; მოძალადისთვის თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვა; მოძალადისთვის ბავშვისაგან განცალკევების, მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხები; მოძალადის მიახლოება მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება. ასევე სხვა საკითხები, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის.

შსს სამინისტროს მასშტაბით, ოჯახში ძალადობაზე რეაგირებას საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი და საუბნო სამსახური ახდენს. ძალადობის ფაქტის დაფიქსირებისას, პოლიციელი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვისა და ძალადობის განმეორების თავიდან აცილების მიზნით, გამოსცეს შემაკავებელი ორდერი. შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 175¹ მუხლით და სისხლის სამართლის 381¹ მუხლით.

დასკვნა


როგორც ვხედავთ, საქართველოს კანონმდებლობაში საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევების რიცხვი სავალალო არ იყოს, თუმცა, რეალობა სხვა რამეზე მეტყველებს. ოჯახში ძალადობა მთელი საზოგადოების ტკივილი და პრობლემაა. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ამ საკითხში საზოგადოების ჩართულობა. ასევე მნიშვნელოვანია, სხვადასხვა მოქმედი სტრუქტურებისა და ორგანიზაციების მჭიდრო და კოორდინირებული მუშაობა. რაც მოითხოვს, ისეთი შიდასამართლებრივი საკანონდებლო ცვლილებების განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობს არასამთავრობო ორგანიზაციების ეფექტიან მუშაობას და ამ საკითხში სამთავრობო სექტორის აქტიურ მხარდაჭერას. ამ ურთიერთობების ფარგლებში უნდა მოხდეს საჭირო ინფორმაციის შეგროვება, რომელიც შეეხება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ფაქტებს, სოციალური სტატუსის მქონე ყველა პირისთვის.

ფაქტია, რომ გენდერული ნიშნით ძალადობა არის ყველაზე გავრცელებული და მას დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ. მიგვაჩნია, რომ პრობლემას საკანონმდებლო დონეზეც სერიოზულად უნდა მივუდგეთ. იმ პირთა მიმართ, რომლის მიმართაც მოქმედებს დამცავი ან შემაკავებელი ორდერი კანონი არ არის მკაცრი, რასაც კანონდებლობის ხარვეზად მივიჩნევთ.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს მთავრობისთვის და ზოგადად, მოსახლეობისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი უნდა იყოს. საერთაშორისო, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებმა ერთად, მეტად აქტიურად უნდა სცადონ მუშაობა ოჯახში ძალადობის პრობლემის დაძლევაზე. მიუხედავად კანონის მიერ ოჯახში ძალადობის კრიმინალად აღიარებისა, ქართულ საზოგადოებაში ჯერ კიდევ, მყარადაა ფესვგადგმული მოსაზრება, რომ ოჯახში კონფლიქტი ოჯახშივე უნდა გვარდებოდეს და იქვე უნდა რჩებოდეს. ამიტომ გასატარებელია მთელი რიგი ღონისძიებები. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ოჯახში ძალადობა ადამიანის უფლებების დარღვევაა. ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული და ყველა დამნაშავე სათანადოდ დაისჯება. აუცილებელია სამოქმედო გეგმების ეფექტიანი იმპლემენტაციის უზრუნველყოფა, რომელიც უზრუნველყოფს თანმიმდევრულ და ეფექტიან მუშაობას. ღრმად ფესვგადგმული ტრადიციული მიდგომებისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრისკენ მიმართული სტრატეგიის მიუხედავად, პროგრესი მაინც ნელა მიმდინარეობს.

იმისთვის, რომ ქალის უფლებების დაცვის საკითხებში ეფექტიანობასა და გაუმჯობესებას მივაღწიოთ, საჭიროა არსებული მექანიზმებისა და დაცვის შემოთავაზებული საშუალებების მაქსიმალურად ამოქმედება. ქალის უფლებების დაცვის ტრადიციებისა და კულტურის უკმარისობა ქვეყანაში ქალის უფლებათა დამკვიდრებას უშლის ხელს. სწორედ ამიტომ, დიდია იმ მიმართულებით სწავლებისა და განათლების აუცილებლობა. სწორედ ამ მიზნით, აუცილებელია კანონმდებლობის შემდგომი დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ქალის უფლებადაცვითი სისტემის შექმნა. საქართველოში რეალური გენდერული თანასწორობის მიღწევა შესაძლებელი გახდება მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების მხრიდან მკაფიოდ გამოხატული ნების გამოვლენის შედეგად.

სახელმწიფოს მოვალეობაა შეინარჩუნოს ოჯახი ძალადობის გარეშე, რათა საშუალება მიეცეს მის ნებისმიერ წევრს იცხოვროს და აღიზარდოს ნორმალურ გარემოში. სახელმწიფოსთან ერთად კი, ყველა რიგითი მოქალაქე თუნდაც მცირედით, შესაძლებლობების ფარგლებში უნდა ზრუნავდეს პრობლემის მოგვარებაზე.



ჩვენი აზრით, მოძალადე პირთა მიმართ შემაკავებელი ან დამცავი ორდერის გამოყენების შემთხვევაში, მათ ასევე, უნდა ჩამოერთვათ იარაღის ტარების უფლება, იმ ვადით ვიდრე მათ მიმართ შემაკავებელი ან დამცავი ორდერები მოქმედებს, რათა შემდგომში მსხვერპლის საწინააღმდეგოდ არ მოხდეს იარაღის ბოროტად გამოყენება. ასეთ პირთა მიმართ ასევე, მიზანშეწონილად მივიჩნევთ შემაკავებელი ან დამცავი ორდერების მოქმედების ვადით ჩამოერთვათ პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, რადგან დაუშვებელია მოძალადე პირი მუშაობდეს მოზარდებთან და ეწეოდეს პედაგოგიურ და საგანმანათლებლო მოღვაწეობას. ვინაიდან ბავშვის აღზრდაზე გავლენას ახდენს როგორც ოჯახი, ასევე ოჯახის გარდა ის გარემო და ადამიანი, რომელთანაც მას შეხება აქვს. ვფიქრობთ, რომ პირი, რომელიც სჩადის ოჯახში ძალადობას იგი საზოგადოებრივად საშიშ ქმედებას ახორციელებს და იზოლირებული უნდა იყოს მოზარდებისაგან. ვფიქრობთ, ამ კუთხით, მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ქალთა მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენცია, 2010;
2. „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენცია, 2011;
3. „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საერთაშორისო ხელშეკრულება, 2010;
4. საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 2013;
5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბილისი, 2015;
6. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, თბილისი, 2015;
7. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი, თბილისი, 2015;
8. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, თბილისი, 2014;
9. „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი, 2010;
10. მ. ლეკვიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014;
11. ოჯახური ძალადობა ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ, საიას გამომცემლობა, თბილისი, 2006;
12. მ. კუჭუხიძე, ძალადობა ოჯახში, (ემპირიული კვლევები), ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2002;
13. კ. ბოჭორიშვილი, შ. დემეტრაძე, ლ. ცანავა, პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2008;
14. ოჯახური ძალადობა, სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები, საერთაშორისო პრაქტიკა და მიდგომები, საიას გამომცემლობა, თბილისი, 2006;
15. ნ. გაბრიჩიძე, ოჯახური ძალადობა, უურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N11(21), თბილისი, 2009;
16. ნ. გაბრიჩიძე, საოჯახო კონფლიქტების შედეგად ჩადენილი მკვლელობების გამოძიების მეთოდოლოგია, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2005;
17. ე. კუსიანი, ძალადობა ოჯახში და მისი გადაჭრის გზები, <http://education.ge/index.php?do=definition/view&id=1387>
18. ი. ალადაშვილი, კ. ბოჭორიშვილი, მ. მესხი, პოლიცია და ძალადობა ოჯახში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2008;
19. ნ. ჭაბუკიანი, გ. ჯიბლაძე, ნ. უბილავა, საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ანალიზი, თბილისი, 2013;
20. Krizsan, Andrea and Popa Raluca – Frames in Contestation: „International Human Rights Normsand Domestic Violence Policy Debate in Five Countries of Centraland Eastern Europe,“ Center for Policy Studies, Central European University, 2010, P. 41.

შენიშვნები:

- ¹ ჭაბუკიანი ნ. ჯიბლაძე, გ., უბილავა ნ., საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ანალიზი, თბილისი, 2013, გვ. 2.
- ² ბოჭორიშვილი კ., დემეტრაძე შ., ცანავა ლ., პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისთვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2008, გვ. 5.
- ³ ალადაშვილი ი., ბოჭორიშვილი კ., მესხი მ., პოლიცია და ოჯახში ძალადობა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2008.
- ⁴ Krizsan, Andrea and Popa Raluca – Frames in Contestation: „International Human Rights Normsand Domestic Violence Policy Debate in Five Countries of Centraland Eastern Europe“ Center for Policy Studies, Central European University, 2010, P. 41.
- ⁵ ოჯახური ძალადობა ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ, საიას გამომცემლობა, თბილისი, 2006, გვ. 7.
- ⁶ კუჭუხიძე მ., ძალადობა ოჯახში, (ემპირიული კვლევები), ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2002, გვ. 4.
- ⁷ ლეკვიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ. 147.

DOMESTIC VIOLENCE – DESCRIPTION FROM THE STANDPOINT OF CRIMINAL LAW

LELA METREVELI

Doctoral Student of the Law School of the Georgia Davit Aghmashenebeli University

Domestic violence is one of the current problems globally, which may affect any member of the community regardless its racial, social or cultural belonging. We should lay special emphasis on the domestic violence against women, as far as it is a woman who most frequently becomes a victim of domestic violence. Correspondingly, the women's rights are violated, and their social inclusion in public life, and their economic or social welfare is jeopardized.

Prevention of the facts of domestic violence is often hindered by the perception that violence is a part of one's private life. The female victims do not want to discuss the problems linked to violence and they prefer to be silent. The community plays a big role in this problem, as most of its part considers that the problems of a couple should be resolved between them, and it is unacceptable to involve others.

I think that the fight against domestic violence should be one of the priority issues for the government of Georgia and for the general public. International governmental or non-governmental organizations should be more active in their attempt to work on overcoming the problem of domestic violence. Although the law recognizes that the domestic violence is a crime, still, there is a deep-rooted opinion among the Georgian community that family conflicts should be resolved in the family and remain there. This is why a whole range of activities is necessary. The public should know that domestic violence is a violation of human rights. This is a crime and all the criminals will be duly punished. It is necessary to ensure effective implementation of action plans, which ensures consistent and effective work.

In order to ensure more effectiveness and improvement in regards to the protection of women's rights, we should activate the existing mechanisms and offer protection measures as much as possible. Lack of traditions and culture of protecting the women's rights is a hindrance for ensuring the women's rights in the country. This is why there is a great need to learn and raise awareness in this respect. With this purpose, it is necessary to refine the legislation and create a system of women's rights that meet international standards.

სასამართლო პრაქტიკა და სამართლის დოქტრინა, როგორც ქართული კერძო სამართლის წყაროები

მაკაო თყეშელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

შესავალი

სამართლის წყაროები წარმოადგენენ ფუნდამენტს, რომლის გარეშე პოზიტიური სამართლის ფორმირება შეუძლებელია. ცნობილია, რომ სამართალი შედგება ერთმანეთთან სისტემური რგოლით დაკავშირებული, განსხვავებული და ამავდროულად, ერთმანეთის შემავსებელი წყაროებისგან. ამ სისტემაში მოქცეულია როგორც დაწერილი (კანონი, კოდექსი, კანონქვემდებარე აქტი და ა. შ.), ისე დაუწერელი (ჩვეულება, დოქტრინა) წყაროები. სამართლის მეცნიერება სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე, ასეთ წყაროებს სამართლის ძირითად, ანუ „პირდაპირ“ წყაროებად აღიარებს. დამკვიდრებული შეხედულებით, კერძო სამართლის არაპირდაპირ წყაროდ მიჩნეულია სასამართლო პრაქტიკა და სამართლის დოქტრინა. მიუხედავად ამისა, მეცნიერ იურისტთა შორის დღემდე არ დასრულებულა დებატები იმის თაობაზე, ჩაითვალოს თუ არა სასამართლო პრაქტიკა სამართლის ძირითად წყაროდ.

ამ მხრივ, საინტერესოა ფრანგი იურისტების მიერ გამოყენებული კერძო სამართლის წყაროების დაყოფის მეთოდი, რომელიც

წყაროებს ჰყოფს რაციონალური და თეორიული თვალსზრისით. რაციონალურში იგულისხმება „კრეატიული“ წყარო (კანონი, ნორმატიული აქტი), თეორიულში – განმარტებითი წყარო (სასამართლო პრაქტიკა და სამართლის დოქტრინა).¹

1. სამართლის წყაროების სისტემა

სამართლის წყაროების არსის გარკვევისათვის, მნიშვნელოვანია მისი ცნების განსაზღვრა. სამართლის წყაროდ მიჩნეულია მოცემულ ქვეყანაში გამოსაყენებელი იურიდიული წესების (ქვეყნის წესების) ერთობლიობა. სამართლის წყაროა ყველა ის აქტი, რომელიც სამართლის ნორმებს შეიცავს.

პოზიტიური სამართლის გარდა, სამართლის წყაროდ აღიარებულია ჩვეულება. ჩვეულება ეს არის ქვეყნის დაუწერელი წესი, რომელსაც ეყრდნობა კანონმდებელი, მაგრამ არ ანიჭებს სამართლის ნორმის ფორმას. ჩვეულება გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს კანონი და თუ მისი გამოყენება სანქცირებულია სახელმწიფოს მიერ. ჩვეულების გამოყენება იზღუდება იმით, რომ იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სამართლისა და მნებობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს.² სამართლის ნორმით, ზოგჯერ პირდაპირ არის მითითებული ჩვეულების გამოყენების შესაძლებლობა. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 339-ე მუხლის თანახმად, „მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები.“ ამ შემთხვევაში, შესაძლებელია სავაჭრო ჩვეულება განხილული იქნას როგორც სამართლის წყარო.

სამართლის განვითარების კვალდაკვალ, ჩვეულების გამოყენების არეალი იზღუდება და ადგილს უთმობს სამართლის სხვა ისეთ წყაროებს, როგორცაა სასამართლო პრაქტიკა და სამართლის დოქტრინა

2. კერძო სამართლის არაპირდაპირი წყაროები

იურიდიულ ლიტერატურაში სამართლის არაპირდაპირი წყაროები განმარტებულია, როგორც კონკრეტული სამართლის სისტემისათვის არატიპიური, ნორმატიული დანიშნულების, სუბსიდიური ხასიათის წყარო.³ არაპირდაპირ წყაროებს აქვთ სპეციფიკური იურიდიული ძალა, მოქმედების სფერო და განსაზღვრული ადგილი სამართლის სისტემაში. მათი როლი მზარდია და წარმოადგენს სამართლის წყაროების თავისთავად განვითარებად სახეს. მხოლოდ სამართლის „პირდაპირი“ წყაროების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას, ზოგიერთმა ნორმამ შეიძლება სამართლის სხვა წყაროს გამოყენების აუცილებლობა წარმოშვას. ამ შემთხვევაში, „სხვა“ წყარო შეიძლება იყოს სასამართლო პრაქტიკა ან სამართლის დოქტრინა.

სასამართლო პრაქტიკას არაპირდაპირი წყაროების იერარქიაში წამყვანი ადგილი უჭირავს. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ საფრანგეთში იშვიათად ქვეყნდება კოდექსები თანდართული სასამართლო პრაქტიკის გარეშე. „კანონის გამოყენების პროცესში მოსამართლის მიერ გაკეთებული განმარტება, დადასტურებული საკასაციო სასამართლოს მიერ იღებს იურიდიული კონცეფციის სახეს, რაც იძლევა საშუალებას სასამართლო პრაქტიკა მიჩნეული იქნას როგორც სამართლის წყარო.“⁴ სასამართლოები კონკრეტული დავისადმი მართებული და ერთგვაროვანი მიდგომის

ჩამოსაყალიბებლად ხელმძღვანელობენ კერძო სამართლის ზოგადი პრინციპებით, სამართლის დოქტრინის მიერ შემუშავებული დებულებებით, რაც უფრო დამაჯერებელსა და ლოგიკურს ხდის მათ სამართლებრივ პოზიციას.

სასამართლო პრაქტიკისადმი დამოკიდებულება გარკვეულწილად, აისახება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც გარდა ნორმატიული აქტებისა, ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებსაც (მათ შორის, სასამართლო გადაწყვეტილებასაც) აღიარებს. თუ ნორმატიული აქტი არის კანონი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი, დროებითი ან მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს, ნორმატიული აქტის საფუძველზე მიღებული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ამ შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილება მიუხედავად ერთჯერადობისა, არ გამორიცხავს სასამართლო პრეცედენტისა და სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრების შესაძლებლობას.

3. არაპირდაპირი წყაროების როლი რომანულ-გერმანული და ანგლო-საქსური სამართლის სისტემაში

სამართლის წყაროს მნიშვნელობა განსაზღვრავს სამართლის სისტემის მეთოდოლოგიურ საფუძველს. განსაკუთრებით ეს ეხება სასამართლო პრაქტიკას, რომლის მნიშვნელობა უფრო თვალსაჩინოა ანგლოსაქსური სამართლის სისტემის მაგალითზე. ინგლისში ჯერ კიდევ, 1870 წლიდან გამოიყენებოდა „სასამართლოს ანგარიშები“, სადაც ქვეყნდებოდა უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებები და რომელსაც, როგორც პრეცედენტს, უნდა დაყრდნობოდნენ მოსამართლეები. ანგლო-საქსურ სამართლებრივ სისტემას მეცნიერი იურისტები ტრადიციულად, უწოდებენ პრეცედენტული სამართლის სისტემას (caselaw), რომელშიც სამართლის პირდაპირი წყაროს როლს ასრულებს სასამართლო პრაქტიკა და სასამართლო პრეცედენტი.

ანგლო-საქსური სამართლის სისტემაში სასამართლო პრაქტიკის, როგორც პირდაპირი წყაროს მნიშვნელობა განპირობებულია სასამართლო ორგანოებისა და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მკაცრი იერარქიით. კერძოდ: ლორდთა პალატის გადაწყვეტილება წარმოადგენს სავალდებულო პრეცედენტს ყველა ინსტანციის სასამართლოსთვის; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა ყველა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოსთვის და თავად სააპელაციო სასამართლოსთვის; უმაღლესი (სამეფო) სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა ქვემდგომი სასამართლოებისთვის და არ არის სავალდებულო უმაღლესი სასამართლოსთვის. აღსანიშნავია, რომ ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებები არ ითვლება სავალდებულოდ. სასამართლო პრაქტიკის ძირითად წყაროდ აღიარება სიახლეს არ წარმოადგენს. ეს პირდაპირ აისახება ანგლოსაქსური სისტემის მაგალითზე, სადაც პრეცედენტის სამართლის ძირითად წყაროდ აღიარება სადავოდ არ ითვლება.

პრეცედენტს აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი თვისებაც. მის უარყოფით თვისებად ითვლება: არათანმიმდევრულობის საფრთხე (მოსამართლემ, რომელსაც არ სურს გამოიყენოს კონკრეტული გადაწყვეტილება, შეიძლება თავი იმართლოს მის მიერ ვითომდა აღმოჩენილი უმნიშვნელო განსხვავებით); სასამართლო გადაწყვეტილებების სირთულე და სიმრავლე.

პრეცედენტის უპირატესობად ითვლება: თანმიმდევრულობა (გადაწყვეტილების ერთგვაროვნების უზრუნველყოფა); დახვეწის უნარი; კონკრეტული შემთხვევების გათვალისწინება.

რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნებში, სასამართლო პრაქტიკა არ არის აღიარებული სამართლის ძირითად წყაროდ. იმის გამო, რომ კანონი როგორც სამართლის ძირითადი წყარო, ხშირად არ არის საკმარისი წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისთვის, რომანულ-გერმანული სამართალი იძულებული ხდება კანონში არსებული ხარვეზი სხვადასხვა ხერხით შეავსოს. კერძოდ, კანონის ინტერპრეტაციით და სასამართლო პრაქტიკით. ამ მხრივ, ნიშანდობლივია საფრანგეთის მაგალითი. საფრანგეთში სასამართლო პრაქტიკა ოფიციალურად ითვლება სამართლის არაპირდაპირ წყაროდ, რეალურად კი, მდგომარეობა განსხვავებულია. კანონი ხშირად მოითხოვს განმარტებას, ზოგჯერ ის დამატებას და შევსებასაც საჭიროებს. მოსამართლეების მიერ ასეთი სამუშაოების განხორციელების საფუძველზე ყალიბდება სასამართლო პრაქტიკა. სასამართლო პრაქტიკას სპონტანურად იყენებენ ქვემდგომი სასამართლო ორგანოები, რომლებიც კანონით არ არიან ვალდებულნი, მაგრამ ღრმად არიან დარწმუნებული, რომ მათი გადაწყვეტილება გასაჩივრების ან კასაციის შემთხვევაში იქნება გაუქმებული ან უკან დაბრუნებული.⁵

სასამართლო პრაქტიკის ასეთი ავტორიტეტული ბუნება სრულიადაც არ ზღუდავს მოსამართლის შესაძლებლობას საჭიროების შემთხვევაში, შეცვალოს ან უარი თქვას სასამართლო პრაქტიკაზე და ხელახლა განმარტოს კანონი. განმარტება უნდა იყოს მოტივირებული, დასაბუთებული და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ნორმის განმარტების აღიარებულ ფორმებს და სამართლის პრინციპებს.

4. სასამართლო პრაქტიკა, როგორც სამართლის წყარო

საქართველოში, ისევე როგორც რომანულ-გერმანული სისტემის სხვა ქვეყნებში, სასამართლო პრაქტიკა შედგება სასამართლოების გადაწყვეტილებებისაგან, რომლებშიც კონკრეტული სამართლებრივი პრობლემის ირგვლივ ახალი ქცევის წესია გადმოცემული. სასამართლო პრაქტიკის დანიშნულება სწორედ ანალოგიურ შემთხვევებში ამ წესის გამოყენების შესაძლებლობით დასტურდება. იმ მომენტიდან, როცა მოსამართლე ანალოგიური საკითხის გადაჭრისას იყენებს საკასაციო სასამართლოს განმარტებას როგორც წესს, მკვიდრდება სასამართლო პრაქტიკა. ამით რეალურად მომზადდა ახალი ქცევის წესი პოზიტიური სამართლისთვის, რომელიც მოქმედებს იქამდე, ვიდრე არ ჰპოვებს ასახვას შესაბამის კანონმდებლობაში. აქედან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკას ამ შემთხვევაში აქვს სამართლის პირდაპირი წყაროს თვისება (ნორმა) და მნიშვნელობა (გამოყენების ვალდებულება საქართველოს სინამდვილეში).

განსაკუთრებით დიდია სასამართლო პრაქტიკის როლი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ დავებში იმდენად, რამდენადაც კანონმდებლობა არ ადგენს არც არაქონებრივი ზიანის ცნებას და არც მისი ოდენობის გამოთვლის რაიმე წესს. მითითებებს აღნიშნულის თაობაზე შეიცავს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, ერთგვაროვანი პრაქტიკის შესახებ. ამ შემთხვევაში, მოსამართლისთვის მნიშვნელოვანია როგორც სამოქალაქო კოდექსის კომენტარებში ასახული სამართლის დოქტრინის გათვალისწინება, ისე უზენაესი სასამართლოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციებისა და მის მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის გათვალისწინება.

საფრანგეთში სასამართლო პრაქტიკის ოფიციალურად პირდაპირ წყაროდ აღიარებას ართულებს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლი, რომელიც კრძალავს სასამართლო პრაქტიკის,

როგორც წყაროს გამოყენების შესაძლებლობას და ამით წინააღმდეგობაში მოდის ამავე კოდექსის მე-4 მუხლიდან. კოდექსის მე-5 მუხლი საკანონმდებლო და მართლმსაჯულების განმახორციელებელ ხელისუფლებას შორის ძალაუფლების გადანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, მოსამართლეს უკრძალავს ნორმის შემცველი განაჩენის ან გადაწყვეტილების მიღებას, რომლის უფლებამოსილება მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს აქვს მინიჭებული. აღნიშნული იდეოლოგიური პოზიციის უარყოფითი მხარეა ის, რომ მოსამართლეს არ გააჩნია არავითარი ნორმაშემოქმედებითი შესაძლებლობა, როდესაც აწყდება ისეთ საკითხს, რომელიც არ არის დარეგულირებული საკანონმდებლო ტექსტით. ასეთ საკანონმდებლო სიცარიელეში მოსამართლე რჩება პარალიზებული. სამოქალაქო კოდექსის რედაქტირებისას მხედველობაში იქნა მიღებული ეს შეუთავსებლობა და სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლით მოსამართლეს დაეკისრა საქმის გადაწყვეტის ვალდებულება. მითითებული მუხლის ძალით, „მოსამართლე, რომელიც უარს იტყვის საქმის გადაწყვეტაზე კანონის ბუნდოვანების, უკმარისობის ან სიცარიელის მოტივით, ცნობილი იქნება როგორც დამნაშავე და მიეცემა პასუხისგებაში.“⁶ რეალურად ეს მუხლი მოსამართლეს ანიჭებს კანონის „შექმნის“ უფლებას. ამდენად, სასამართლო პრაქტიკა ოფიციალურად გვევლინება, როგორც სამართლის წყარო, რომელიც რეალურად ქმნის სამართალს, მაგრამ არ უნდა ვაღიაროთ, რადგან ამით ეჭვის ქვეშ ვაყენებთ ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. მოსამართლე რეალურად ქმნის არა ზოგად წესებს, არამედ მხოლოდ განხილვაში მყოფი კონკრეტული დავიდან გამომდინარე წესებს. ამ უკანასკნელით შენარჩუნებულია განსხვავება საკანონმდებლო და მართლმსაჯულების განმახორციელებელ ხელისუფლებას შორის.⁷

რაც შეეხება საქართველოს, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის გავლენით შეიქმნა შესაბამისი ქართული ნორმა.⁸ კერძოდ, სსკ-ის მე-4 მუხლის 1 ნაწილის მიხედვით, სამოქალაქო საქმეების განხილვაზე უარის უფლება არ აქვს სასამართლოს იმ შემთხვევაშიც, როცა კანონს ხარვეზი აქვს, როცა კანონი არ არსებობს ანდა იგი ბუნდოვანია. ხარვეზის არსებობა შევსებას ითხოვს და არა ურთიერთობების მოწესრიგებაზე უარის თქმას, რამდენადაც „სამოქალაქო სამართალი უპირატესად, ნორმალურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს და მართლმსაჯულების აუცილებელ ჩარევას ითვალისწინებს.“⁹ აღნიშნული აკრძალავს მოსამართლეს ავალდებულებს მიმართოს კანონის ინტერპრეტაციას, განმარტოს ბუნდოვანი და შეავსოს ხარვეზიანი ნორმა, სადავო საკითხის ბუნებიდან და საერთო სამართლებრივი პრინციპებიდან გამომდინარე.

კანონის ინტერპრეტაციის შესაძლებლობა გამოწვეულია კანონის ტექსტში არსებული წინადადებების, ფორმულირებების და მათ შორის ლოგიკური კავშირის გააზრების აუცილებლობით. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ საზოგადოებრივ-სოციალური ურთიერთობები მუდმივ და დინამიკურ განვითარებას განიცდის და აქედან გამომდინარე, კანონი შეიძლება გამოყენებულ იქნას მისი მიღებიდან არსებითად განხვავებულ დროსა და პირობებში. კანონის ინტერპრეტაციას მნიშვნელობა ენიჭება როგორც კანონში არსებული ხარვეზის შევსების, ასევე მის ფორმალურ ხასიათსა და საზოგადოებრივ-სოციალური ურთიერთობის დინამიკის შორის წინააღმდეგობის დაძლევისთვის. არსებობს კანონის ინტერპრეტაციის ისეთი ხერხები, როგორიცაა: გრამატიკული, ლოგიკური, ისტორიული, იურიდიული და სისტემური. „თუ კანონის ინტერპრეტაცია სცილდება გრამატიკული ინტერპრეტაციის ფარგლებს და გადადის ლოგიკური ინტერპრეტაციის სფეროში, მაშინ პრაქტიკულად, ხშირად საქმე გვაქვს ახალი ნორმის შექმნასთან. რეალურად ეს არის სამართალშემოქმედება.“¹⁰ ასევე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განმარტების ისეთ ხერხს როგორიცაა ისტორიული

განმარტება, როდესაც კანონის აზრის გაგება ხდება მისი მიღების განმაპირობებელი გარემოებებისა და წინარე კანონმდებლობის შესწავლის გზით. იგი განეკუთვნება სამეცნიერო საქმიანობის სფეროს და გამოიყენება დოქტრინალური განმარტებისას.

ნორმათა ინტერპრეტაციაზე საუბრისას მნიშვნელოვანია დოქტრინალური განმარტების ადგილისა და როლის განსაზღვრაც ვინაიდან, ინტერპრეტაციის შედეგად არსებობს თეორიული ალბათობა, რომ შეცვლილი იქნას დამკვიდრებული პრაქტიკა, რისი დასაბუთებაც უფრო მეტ არგუმენტაციასა და ანალიზს საჭიროებს. დასაბუთებისა და არგუმენტაციის პროცესზე კი, უდიდესი გავლენა აქვს სამართლის დოქტრინას, როგორც სამართლის არაპირდაპირ წყაროს.

5. სამართლის დოქტრინა როგორც სამართლის არაპირდაპირი წყარო

სამართლის დოქტრინა გამოხატავს მეცნიერ იურისტთა თვალსაზრისს სამართლის პრობლემებზე. დოქტრინა კრიტიკისა და ანალიზის საფუძველზე, განმარტავს და ნათელს ჰფენს პოზიტიურ სამართალს. ატარებს სისტემატურ და რაციონალურ ხასიათს, ხელს უწყობს სახელმწიფოს სამართლებრივ უზრუნველყოფას. მიუხედავად ამისა, „დოქტრინა პირდაპირი გაგებით არ შეიძლება იყოს სამართლის წყარო, რადგან მას არა აქვს სავალდებულო ძალა. დოქტრინა, როგორც უბრალოდ ავტორიტეტი ეძებს საშუალებას იყოს აღიარებული სასამართლოების მხრიდან და მოსმენილი კანონმდებლის მიერ, როგორც ავტორიტეტული და ხარისხიანი საფუძველი.“⁴¹

სამართლებრივი დოქტრინა ასახულია სამართლის პრინციპებში, ცნებათა სამართლებრივ დეფინიციებში, სამართლის ნორმების დოქტრინალურ განმარტებებში და სამართლებრივ პოზიციებში.

სამართლის სისტემაში დოქტრინის, როგორც სამართლის არაპირდაპირ წყაროდ აღიარება განპირობებულია სახელმწიფოს მხრიდან მათი ნორმატიულსამართლებრივ აქტში გადატანის შესაძლებლობით და სასამართლო პრაქტიკაში მისი გამოყენებით.

დოქტრინის როლი ნათლად წარმოჩნდება საერთაშორისო კერძოსამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული დავის განხილვისას, როდესაც სასამართლო ვალდებულია მიმართოს ყველა საშუალებას უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების არსის გასარკვევად, შესაბამის ქვეყანაში მათი ოფიციალური განმარტების, გამოყენების პრაქტიკის და დოქტრინის გათვალისწინებით. სასამართლოს აღნიშნული ვალდებულება იმპერატიულადაა განსაზღვრული „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილით. დამკვიდრებული პრაქტიკით, აღნიშნულ პროცესში მეცნიერი იურისტის ჩართვა განპირობებულია ზემოაღნიშნული საკითხების შესახებ მოსაზრების წარდგენაში. ამ შემთხვევაში, საუბარია სასამართლოს მიერ დამარე საშუალების გამოყენებაზე. ზემოაღნიშნული კანონით, მეცნიერი იურისტის სტატუსი პირდაპირ არ არის განსაზღვრული, მისი როლი გამოიხატება სასამართლოსთვის კონსულტაციის გაწევაში, რაც განასხვავებს მას ექსპერტის სტატუსისაგან, რომლის დასკვნაც განიხილება როგორც მტკიცებულება.

სამართლის პირდაპირი წყაროებისგან განსხვავებით, სამართლებრივი დოქტრინის შემქმნელია სამართალმცოდნე, მაშინ როდესაც სხვა წყაროები მაგალითად, ნორმატიულსამართლებრივი აქტები, სასამართლო პრაქტიკა იქმნება სახელმწიფო ხელისუფლების მიერ. სამართლებრივი დოქტრინის გამოყენება ხდება მოსამართლის მიერ ნებაყოფლობით, იმისდა მიხედვით, ეთანხმება თუ არა დოქტრინაში განვითარებულ ანალიზს, მაშინ, როდესაც სამართლის სხვა წყაროს გამოყენება დაკავ-

შირებულია სახელმწიფოს მხრიდან იძულებასთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლის დოქტრინა არ შეიძლება ჩაითვალოს კერძო სამართლის პირდაპირ წყაროდ. „როგორც რეპუტაციის იურისტიც არ უნდა გამოხატავდეს თავის აზრს, როგორც ძლიერიც არ უნდა იყოს მისი არგუმენტები, მაშინაც კი, თუ არსებობს ასეთი გადაწყვეტისადმი იურისტთა შორის ერთსულოვნება, ეს აზრი თუ ეს გადაწყვეტა ვერ გახდება სამართლის ნორმა თუ ის არ იქნება გაზიარებული კანონმდებლის ან მოსამართლის მიერ... თუ დოქტრინა არ არის სამართლის წყარო, ის მაინც რჩება სამართლის შთავგონების წყაროდ.“⁴²

6. სამართლის დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის ურთიერთკავშირი

სამართლის დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა განხილვება როგორც სამართლის სხვადასხვა წყარო, მაგრამ განსაზღვრული პირობების არსებობისას, შესაძლებელია განხილული იქნას როგორც ფორმა და შინაარსი. „სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება იქცეს ფორმად, რომელშიც გადმოცემულია დოქტრინის დებულება. ამ შემთხვევაში, სამართლის დოქტრინა გამოდის როგორც სასამართლო გადაწყვეტილების წყარო.“⁴³

პრეცედენტსა და დოქტრინას შორის არსებობს მყარი სამართლებრივი კავშირი. სასამართლოს საქმიანობაზე სამართლის დოქტრინის გავლენით არამარტო ყალიბდება პრეცედენტი, არამედ ვითარდება სასამართლო პრაქტიკაც. დოქტრინას იყენებს უმაღლესი სასამართლო ინსტანციები სადავო საკითხის განხილვისას. სასამართლო პრაქტიკისა და სამართლის დოქტრინის გათვალისწინებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების ნიმუშის საილუსტრაციოდ, საინტერესოა საკასაციო სასამართლოს 2006 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც საკასაციო სასამართლომ გააუქმა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში. საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში პირდაპირ მიუთითებს: „საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დააკისრა ლ. ტ.-უას მკვლელობისათვის მისი ოჯახის წევრების სასარგებლოდ მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება, ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნას მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა მორალური ზიანის დეფინიციას. ეს საკითხი კანონმდებელმა დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკას მიანდო შესაფასებლად.“

ცხადია, დოქტრინამ თავისი გავლენის ქვეშ არ უნდა მოაქციოს მოსამართლე. მოსამართლემ უნდა იხელმძღვანელოს კანონით, მაგრამ თუ კანონი ხარვეზიანია, მისი შევსებისა და ხარვეზის აღმოფხვრისათვის უნდა მიმართოს დოქტრინას. „დოქტრინამ უნდა უზრუნველყოს კანონმდებლისადმი კარნახის ფუნქცია. არ მოადუნოს სიფხიბლე იმისათვის, რომ კანონი შეესაბამებოდეს და უკეთ ასახავდეს სოციალურ მოთხოვნებს. მეორე მხრივ, დოქტრინა შეიძლება იყოს როგორც მოსამართლის, ასევე კანონმდებლის გიდი კანონის გაუმჯობესების საქმეში.“⁴⁴

თავის მხრივ, პრეცედენტის შესწავლისა და განზოგადების პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე იხვეწება სამართლის დოქტრინაც. „სამართლის პროფესორთა დიდი ნაწილისათვის კვლევის საგანი

სასამართლო გადაწყვეტილებების კომენტარი და მათი დოქტრინალური ანალიზი. შესაბამისად, ფრანგული სამართლის სწავლებაც ამ ანალიზზე დაფუძნებული.⁴⁵

სამართლის დოქტრინის პრინციპებსა და იდეებს გავლენა აქვთ როგორც კანონისა და სამართლის ანალოგიის გამოყენებაზე, ასევე თავად ამ ნორმის ფორმირებაზე და მის სამართლებრივ ძალაზე (მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი). „სამართლის სპეციალისტთა ღირებულ აზრებზე დაყრდნობით შეიძლება დაამკვიდრო სასამართლო პრაქტიკა ან შეიმუშავო ახალი კანონი.“⁴⁶

დოქტრინას იყენებს საკანონმდებლო ორგანოებიც კანონპროექტებისა და სხვა ნორმატიული აქტების მომზადებისა და განხილვის პროცესში. მაგალითად, კანადაში, კვებეკის 1994 წელს მიღებული კოდექსი არსებითად არის დაფუძნებული საფრანგეთის სამართლებრივ დოქტრინაზე. განსაკუთრებით სახელშეკრულებო ვალდებულების საკითხებში.⁴⁷

მიუხედავად იმისა, რომ რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყნებში სამართლის წყაროების სისტემაში დოქტრინას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს და უდიდეს როლს ასრულებს, პრეცედენტის მსგავსად, ფორმალურად აღიარებული არ არის როგორც სამართლის წყარო და განხილვა მხოლოდ როგორც რეალურად არსებული და სამართალზე ფაქტობრივი გავლენის მქონე მეორადი ელემენტი.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი პოზიცია

საქართველოში სასამართლო პრაქტიკა მოიცავს საერთო და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებს, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების შესახებ უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებებს. უზენაესი სასამართლოს განმარტება კი, წარმოადგენს გადაწყვეტილებას, მიმართულს ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებისკენ. უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებები შესაძლოა განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც სასამართლო პრაქტიკის ფორმა, არამედ როგორც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი (როგორც სავალდებულო ძალის მქონე, თანახმად „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლისა), რომელიც ისედაც წარმოადგენს ქართული სამართლის წყაროს.

საქართველოს საკასაციო სასამართლოს პოზიცია ასახულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-5 ნაწილში, რომლის თანახმადაც, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი შეფასება (ნორმის განმარტება) სავალდებულოა ყველა ინსტანციის საერთო სასამართლოსთვის. მისი სავალდებულო ხასიათიდან გამომდინარე, დავის განხილვისას, სასამართლოები სულ უფრო ხშირად ეყრდნობიან საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ პოზიციას. მიზანშეწონილია, კანონის აღნიშნულ დებულებას არ ჰქონდეს სავალდებულო ხასიათი, რითაც არ შეიზღუდებოდა მოსამართლეთა კონსტიტუციით გარანტირებული დამოუკიდებლობა და ექნებოდა მხოლოდ განმარტებითი ხასიათი, როგორც ეს მიღებულია ევროპის რიგ ქვეყნებში, მაგალითად, საფრანგეთში.

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი შეფასებისათვის სავალდებულო ძალის მინიჭებისას, მნიშვნელოვანია ერთგვარი ბალანსის დაცვა ზემოაღნიშნულ დებულებასა და მოსამართლის უფლებას შორის განმარტოს კანონი თავის შეხედულებისამებრ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებზე დასაშვებია თუ სააპელაციო სასამართლოს

გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, რაც მოსამართლეს საშუალებას აძლევს თავისი შეხედულებისამებრ, შესაბამისი არგუმენტაციის საფუძველზე შეცვალოს დამკვიდრებული პრაქტიკა. აღნიშნულთან დაკავშირებით, უზენაესი სასამართლოს პოზიცია გადმოცემულია 2014 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილების (საქმე #ას-189-182-2013) აღწერილობით ნაწილში. საუბარია სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მიერ სასამართლო პრაქტიკის გაუთვალისწინებლობაზე. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „სააპელაციო სასამართლოსთვის ცნობილია მსგავს საკითხებთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა და სრულიად აცნობიერებს სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელობას ქვეყნის სამართლებრივი განვითარების პროცესში, მაგრამ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დავა ამ პრაქტიკის შესაბამისად არ უნდა გადაწყდეს. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულის უფლებამოსილება არ გააჩნდა, რადგან იმ შემთხვევაშიც კი, თუ უზენაესი სასამართლოს შეფასებას არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატა, სასამართლო პრაქტიკას ადგენს მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.“ მიუხედავად იმისა, პრაქტიკის გაუთვალისწინებლობა მოსამართლის მიერ იყო თუ არა სათანადოდ არგუმენტირებული, უზენაესი სასამართლოს ამგვარი პოზიცია თითქმის გამორიცხავს ზემოაღნიშნული ნორმის პრაქტიკაში მოქმედებისა და სასამართლო პრაქტიკის შეცვლის შესაძლებლობას.

8. სასამართლო პრაქტიკის წყაროდ აღიარებასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები

კონტინენტური სამართლის ქვეყნებში არ არსებობს ერთიანი მიდგომა სამართალშეფარდების პროცესში სასამართლოს როლის შესახებ, რაც ქმნის არაერთ სირთულეს როგორც თეორიაში, ასევე პრაქტიკაში.

ერთი მხრივ, სასამართლო გადაწყვეტილებებს გერმანიასა და საფრანგეთში აქვთ განმსაზღვრელი მნიშვნელობა კონკრეტული დავის გადაწყვეტისას, მაგრამ თუნდაც საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ აბრკოლებს მოსამართლეს მსგავსი საკითხის გადაჭრისას გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლებაში, სასამართლოს გადაწყვეტილებებს აქვთ დამარწმუნებელი ხასიათი. მეორე მხრივ, მოსამართლე სადავო საკითხის მართებულად გადაჭრისთვის უნდა დაინტერესდეს არა იმდენად დოქტრინალური ანალიზით, რამდენადაც პრაქტიკოსი იურისტებისათვის გამოცემული სასამართლო გადაწყვეტილებათა კრებულებით. აღნიშნული კრებულების გამოყენება და გამოცემის სისტემატური ხასიათი მოწმობს, რომ სასამართლო პრაქტიკას რეალურად მინიჭებული აქვს სამართლის წყაროს ფუნქცია სამართალშეფარდების პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ რომანულ-გერმანული სამართლის სისტემა არ აღიარებს სასამართლო პრაქტიკას როგორც სამართლის ძირითად წყაროს, მას უდავოდ მიიჩნევს სამართალშემოქმედების არსებით წყაროდ.

სასამართლო პრაქტიკის, როგორც სამართლის წყაროს არაღიარების არგუმენტად მიიჩნევა იმის მტკიცებაც, რომ უმაღლესი სასამართლოების სახელმძღვანელო მითითებები და მათი სავალდებულო ხასიათი ზღუდავს მოსამართლეთა თავისუფლებას, რადგან ისინი უნდა დაემორჩილონ

მხოლოდ კონსტიტუციას და მოქმედ კანონმდებლობას. ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ კი, არსებობს მოსაზრება, რომ სასამართლო განმარტავს უკვე არსებულ კანონს, ამგვარად არ იზღუდება მოსამართლის თავისუფლება, რადგან მოსამართლეები ნებისმიერ შემთხვევაში, ემორჩილებიან კანონს ხოლო საკასაციო სასამართლოების ამგვარი საქმიანობის მიზანი მხოლოდ ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება და მისი განზოგადებაა.

თეორიაში არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სასამართლო პრაქტიკა განხილული უნდა იქნას არა როგორც სამართლის წყარო, არამედ როგორც „ავტორიტეტული დებულება.“ თუ საკასაციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული წესი სავალდებულო არ არის ქვემდგომი სასამართლოებისთვის, ეს ნიშნავს, რომ მას მხოლოდ ავტორიტეტული ხასიათი აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პრაქტიკა დიდი ხანია მყარად დამკვიდრდა კონტიტენტური ევროპის წყაროთა იერარქიაში, რისი მაგალითიც არის საფრანეთის კერძო სამართალი, სადაც კანონების დიდი ნაწილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე არის მიღებული და ზოგი მათგანი გაზიარებულია ევროპის პარლამენტის მიერ,¹⁸ არ შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო პრაქტიკა ამ იერარქიაში გათანაბრებულია კანონთან. ამ შემთხვევაში, სასამართლო პრაქტიკა გამოდის როგორც დამხმარე წყარო როცა კანონი ბუნდოვანია, ხარვეზიანია ან მოძველებული და აღარ ესადაგება არსებულ რეალობას. სასამართლო პრაქტიკის, როგორც დამხმარე წყაროს როლი გამოწვეულია სამართლის განვითარების ობიექტური კანონზომიერებით: ერთი მხრივ, კანონმდებელს არ შეუძლია პოზიტიურ სამართალში წინასწარ გაითვალისწინოს საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა დეტალი, მეორე მხრივ, საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება იყოს პრობლემატური და დასჭირდეს ხანგრძლივი პერიოდი.

სასამართლო პრაქტიკის სამართლის წყაროს აღიარების პრობლემას ისიც წარმოადგენს, რომ სასამართლომ სამართალშეფარდების პროცესში, კანონის ინტერპრეტაციისას, შესაძლებელია ჩამოაყალიბოს ქცევის ახალი წესი (შექმნას ახალი ნორმა) და ამით შეიჭრას კანონმდებლის ფუნქციაში, რაც ეწინააღმდეგება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. აღნიშნულის საპირისპიროდ არსებობს მოსაზრება, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მიმართულია კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის აღმოფხვრისკენ, არათუ ეწინააღმდეგება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, არამედ აწონასწორებს ხელისუფლების ყველა შტოს მოქმედებას.

ქართული კანონმდებლობიდან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკა შეიძლება ვაღიაროთ სამართლის წყაროდ, მისი გამოყენების სავალდებულო ხასიათი მოსამართლეებს გარკვეულწილად უზღუდავს უფლებას თავისი შეხედულებისამებრ განმარტონ კანონი.

დასკვნა

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ სამართლის წყაროები წარმოადგენენ რთულ და კომპლექსურ კატეგორიას, რომელიც მოიცავს როგორც სამართლის ნორმებს, ასევე მათი შექმნის განმაპირობებელ ფაქტორებს.

ცალკეულ ქვეყნებში სამართლის წყაროები მათი მნიშვნელობის მიხედვით შეიძლება დაიყოს პირდაპირ და არაპირდაპირ წყაროებად. ამგვარი დაყოფის საფუძველს წარმოადგენს ქვეყნის სამართლებრივი ტრადიციები.

მიუხედავად იმისა, რომ რომანულ-გერმანული სამართლის სისტემა სამართლის ძირითად წყაროებად აღიარებს პოზიტიურ სამართალსა და ჩვეულებას – სამართლის წყაროთა იერარქიაში, სასამართლო პრაქტიკას უთმობს განსაკუთრებულ ადგილს. სასამართლო პრაქტიკის არაპირდაპირ წყაროდ მიჩნევის წინაპირობას წარმოადგენს სასამართლო პრაქტიკის როლი სამართლებრივ რეგულირებაში, რომელიც შესაძლოა გამოიხატოს კანონმდებლობით არასაკმარისად დარეგულირებული ურთიერთობისას, ქცევის ახალი წესის შექმნაში, ხარვეზის არსებობისას ნორმის შევსებაში და ბუნდოვანი ნორმის არსებობისას მის განმარტებაში. სასამართლო პრაქტიკის როგორც სამართლის წყაროს განსაკუთრებული როლი ასევე, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მისი ანალიზი კანონმდებლობის დახვეწასა და სრულყოფაზე ახდენს გავლენას.

საქართველოში, განსხვავებით რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ზოგიერთი ქვეყნისაგან, საკასაციო სასამართლოს დიდი პალატის განმარტებებისათვის სავალდებულო ძალის მინიჭებამ შესაძლებელი გახადა სასამართლო პრაქტიკის, როგორც სამართლის პირდაპირ წყაროდ განხილვა.

სასამართლო პრაქტიკა ძირითადად, ყალიბდება სამართლის დოქტრინის გამოყენების საფუძველზე. სასამართლო პრაქტიკასა და სამართლის დოქტრინას შორის ურთიერთკავშირს განაპირობებს ის, რომ სამართლის დოქტრინა სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე იძლევა მომავალი ნორმის დისპოზიციას.

განსხვავებით სასამართლო პრაქტიკისაგან, სადავოა სამართლის დოქტრინის წყაროდ აღიარების საკითხი, მიუხედავად მისი როგორც კანონშემოქმედებითი, ისე სამართალშეფარდების პროცესზე ირიბი გავლენისა. თუ არაპირდაპირ წყაროებს განვიხილავთ, როგორც კონკრეტული სამართლის სისტემისათვის არატიპური, ნორმატიული დანიშნულების, სუბსიდიური ხასიათის წყაროდ, მისი როგორც სამართლის წყაროს არატიპურობა და სუბსიდიური ხასიათი უდავოა. სადავო შეიძლება გახდეს სამართლის დოქტრინის ნორმატიული ხასიათი, რაც შესაძლოა გამოიწვიოს დოქტრინაში შემავალი სამართლის პრინციპების ნორმატიულ აქტში ასახვამ. აღნიშნული გარემოებები იძლევა სამართლის დოქტრინის სამართლის წყაროდ განხილვის შესაძლებლობას.

შენიშვნები:

- ¹ Yves Guyon. Droit des Affaires, Tome I. 1998 p. 19. სიტყვა „კრეატიული“ გამოიყენება ფორმის მიმცემის თვალსაზრისით და გამომდინარეობს ფრანგული სიტყვიდან „créateur.“
- ² სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 31.
- ³ <http://www.law-n-life.ru/arch/169/169-5.doc>
- ⁴ Tereé Francois, Intradiction général au droit, précis/ Dalloz, 6me édit; 2013, p. 3.
- ⁵ Proudon, Cours de droit civil Français: Dijon, miTiTebulia Jean Gatsi, La Jurisprudence source du droit, 2010, p. 2.
- ⁶ <http://www.cours-de-droit.net/introduction-au-droit>
- ⁷ <http://www.cours-de-droit.net/introduction-au-droit>
- ⁸ ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში, 2000, გვ. 107.
- ⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 33.
- ¹⁰ ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში, 2000, გვ. 107.
- ¹¹ Yves Guyon. Droit des Affaires, Tome I. 1998 p. 23.
- ¹² Jean-Pierre Tosi, Martine Le Friant, Introduction au droit de l'interise, 1999, p. 18.
- ¹³ http://legalinfo.pw/doktrina-kak-forma-i-istochnik-prava#sub_200
- ¹⁴ J. Ghétin et Alii, "La doctrine est une source du droit"; op.eit.n°574.
- ¹⁵ <http://static.luiss.it/erasmuslaw/francia/index.htm>
- ¹⁶ <http://ulex.be/sourceduroit> ციტირებულია Philippe Quarré. Le droit, la justice; part. 1: le droit. p.3.
- ¹⁷ <http://fr.wikipedia.org/wiki/Doctrine>
- ¹⁸ ფრანგული სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1598-ე მუხლის პრინციპს – „ყველაფერი იყიდება, რისი გაყიდვაც შეიძლება“, ევროკავშირის 1990 წლის 13 ივნისის #90/314/EE დირექტივამ ორგანიზებული მოგზაურობაზე დადებულ ხელშეკრულებას მიანიჭა ნასყიდობის ხელშეკრულების კვალიფიკაცია.

JUDICIAL PRACTICE AND LEGAL DOCTRINE AS SOURCES OF GEORGIAN PRIVATE LAW

MAKA TKEBUCHAVA

Doctoral Student of the Law Faculty of the Tbilisi Ivane Javakhishvili State University

Based on the essence of legal sources and study and analysis of their legal nature, this article discusses the role and significance of judicial practice and legal doctrine in the law-making process, in the legal regulation of public relations. Their relation and recognition problems are analyzed as well.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, როგორც პროკურორის დისკრეცია სისხლის სამართლის პროცესში

მარი ჟუთათელაძე

*საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის
სამართლის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი*

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ამჟამად რადიკალურ ცვლილებებს განიცდის. კანონმდებლობა ვითარდება ლიბერალიზაციის მიმართულებით. შესაბამისად, კაცობრიობა ეძებს სრულიად ახალ გზებს და უარს ამბობს მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ინერგება იუვენალური იუსტიციის (არასრულწლოვანთა საქმეებზე) ლიბერალური მოდელები, აღდგენითი სამართალწარმოება (Restorative justice) – სისხლის სამართლის საქმეებზე წარმოების დამთავრება ბრალდებულის და დაზარალებულის შერიგებით, სადაც ჩართულია მედიატორი. აღნიშნული შედეგით საქმის დასრულება დამოკიდებულია პროკურორზე, რომელსაც შეუზღუდავი დისკრეციული უფლებამოსილება აქვს მინიჭებული ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების (განრიდება/მედიაცია) გამოყენების შესახებ და მას კანონი აღნიშნული გადაწყვეტილების დასაბუთებასაც კი, არ ავალდებულებს. მსგავსი მიდგომით პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების უკან სუბიექტივიზმის ეჭვი ჩნდება, ირღვევა

კონსტიტუციითა და საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული პრინციპები, რისთვისაც აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე გაიწეროს, თუ რა სახის კონტროლი უნდა განხორციელდეს პროკურორის შეუზღუდავ დისკრეციაზე.

თავი 1. განრიდებისა და მედიაციის პროგრამა – ნოვაცია პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებაში

„სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით.“ აღნიშნული ნორმა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ნაწილია, რომელიც სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციაზეა ორიენტირებული.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, პროკურორს აქვს შეუზღუდავი დისკრეცია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკითხის გადაწყვეტისას.

პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება ნიშნავს, რომ პროკურორი უფლებამოსილია გააკეთოს არჩევანი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასა და სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტას შორის (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16, 166-ე მუხლები). პროკურორს კანონი არჩევანის გაკეთების უფლებას ანიჭებს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოპოვებული მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებენ პირის ბრალეულობაზე. პროკურორი გადაწყვეტილებას იღებს საჯარო ინტერესიდან და სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე მისი უარი სასამართლოში არ საჩივრდება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლი).

მართლმსაჯულების სისტემაში პროკურატურისათვის დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე, აუცილებელია პროკურორისათვის გარკვეული ზომით დისკრეციის მინიჭება. თუ ეს უფლება სწორად იქნება გამოყენებული, იგი ხელს შეუწყობს სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას. მით უმეტეს, რომ ქართული კანონმდებლობით, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, დამნაშავის რესოციალიზაცია და არა ადამიანის ფიზიკური ტანჯვა და მისი ღირსების დამცირება.

პროკურორისათვის დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭების არჩევანი განვითარებულ ქვეყნებს უკვე გაკეთებული აქვთ და როგორც ექსპერტები ამტკიცებენ, შედეგიც წარმატებულია.

თავი 2. ანგლოსაქსური და კონტინენტური სამართლის ქვეყნებში პროკურატურის სისტემების თავისებურება

ანგლოსაქსური და კონტინენტური სამართლის ქვეყნებში პროკურატურის სისტემები ერთმანეთისაგან განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორ ხორციელდება პროკურატურის უმთავრესი ფუნქცია და სისხლისსამართლებრივი დევნა – მიზანშეწონილობის თუ კანონიერების პრინციპით, ანუ პროკურორი სისხლის სამართლის დევნის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, მტკიცებულებების გარდა ითვალისწინებს თუ არა სხვა ფაქტორებსაც. ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნებში – ინგლისი, უელსი, ირლანდია, აშშ, სადაც „მიზანშეწონილობის პრინციპს“ უჭერენ მხარს,

პროკურორებს სრული თავისუფლება ეძლევათ დევნის განხორციელების სფეროში. მათ უფლება აქვთ საზოგადოებრივი ინტერესის ფაქტორის გათვალისწინებით გადაწყვიტონ, საჭიროა თუ არა დევნის დაწყება კონკრეტული საქმის მასალების საფუძველზე ე. ი. ამ გადაწყვეტილების მიღება პროკურორის დისკრეციულ შეხედულებაზეა დამოკიდებული. კონტინენტური სამართლის ქვეყნებში კი, სადაც „კანონიერების პრინციპს“ მისდევნენ, სრულიად იგნორირებულია საზოგადოებრივი ინტერესის ფაქტორი და პროკურორი ვალდებულია დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა, თუ არსებული მტკიცებულებები საკმარის საფუძველს იძლევა პირის ბრალდებისათვის. ამ შემთხვევაში, ბრალდების მხარე საქმეს სასამართლოს გადასცემს.

ბრიტანეთში, სადაც დისკრეცია ფაქტობრივად, ტოტალურ ხასიათს ატარებს, დანაშაულთა უმეტესობაზე იწყება სისხლის სამართლის დევნა, ხოლო იქ, სადაც კანონიერების პრინციპს აღიარებენ, სულ უფრო ნაკლები სისხლის სამართლის საქმე შედის სასამართლოში. დღესდღეობით, ექსპერტების გათვლით, ევროპის ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით, გამოსაძიებელი საქმეების სიმრავლის, ადამიანური თუ მატერიალური რესურსების დაზოგვის, პროცესის მონაწილეთა ემოციური მდგომარეობის შემსუბუქებისა და ამავე დროს, სასჯელის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ყველა დანაშაულის ფაქტზე დევნის დაწყება კატეგორიულად სავალდებულო აღარ არის, უპირატესობა ენიჭება განრიდების სხვადასხვა ფორმებს, იზრდება პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების არეალი, რაც მეტ-ნაკლები მასშტაბით კანონმდებლობებშიც აისახება. შედარებით ფართოა ეს უფლებამოსილებები ნიდერლანდებსა და საფრანგეთში, ხოლო ნაკლებია გერმანიასა და იტალიაში.²

გერმანიაში, კანონის თანახმად, პროკურორს უფლება აქვს არ დაიწყოს სისხლის სამართლის დევნა იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება ნაკლებად მძიმე დანაშაულს, რომლის მიმართ არ არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი, ამასთან თუ ერთი და იგივე დანაშაულის მიერ ჩადენილი დანაშაული ნაკლებად მნიშვნელოვანია და მისთვის დაწესებული სასჯელი უმნიშვნელოა. ამ შემთხვევებში, საქმე უპირობოდ წყდება. სხვა შემთხვევებში – ხდება პირობითი სასჯელის დაწესება, ზარალის ანაზღაურება, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან მედიაციის დანიშვნა. თუმცა, ასეთ შემთხვევებში, მოსამართლის თანხმობა აუცილებელია. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, პროკურორი ვალდებულია რეაგირების გარეშე არ დატოვოს ყოველი ეჭვი დანაშაულის შესახებ და ამ მიზნით იგი ვალდებულია ჩაატაროს გამოძიება (გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი §152 (2), §160, §170-ე (1)). ამასთან, გადაწყვეტილების მიღებისას, განახორციელოს თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა, პროკურორი თავისუფალია გადაწყვეტილების მიღებაში, ოღონდ ვალდებულია საკუთარი პოზიცია წერილობით დაასაბუთოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონიერების პრინციპი გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში არ მოქმედებს შეუზღუდავად, საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებით. გერმანელი იურისტები საკმაოდ კრიტიკულნი არიან დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით. მათი აზრით, მხოლოდ კანონმა უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული საფუძველი, როდესაც პროკურორი გარკვეული მოსაზრებით უარს ამბობს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე.³

დისკრეციული უფლებამოსილება საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, შეზღუდულია და იგი არ გამოიყენება მძიმე დანაშაულის ჩამდენის მიმართ; პირის მიმართ, რომლის მიმართაც ადრე გამოყენებული იყო დისკრეციული უფლებამოსილება და ა. შ.

ფრანგული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს დამარაღებულის უფლებას სასამართლოში (საგამოძიებო პალატა) გაასაჩივროს პროკურორის მიერ მიღებული

გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე (აღძვრაზე) უარის თქმის ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.⁴

თითქმის ანალოგიურადაა გადაწყვეტილი საპროკურორო დისკრეციის საკითხი ესპანეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (მუხლი მე-100) და სხვა ევროპული ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობაში.

თავი 3. პროკურორის შიშუღუდავი დისკრეცია საქართველოს თანამედროვე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით

ქართული თანამედროვე სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, თუ რის საფუძველზე უნდა მიიღოს პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისას/შეწყვეტისას, განრიდების/მედიაციის პროგრამის გამოყენებისას – სუფთა ამერიკულია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი განსაზღვრავს საფუძვლებს, თუ რა შემთხვევებში შეუძლია პროკურორს გამოიყენოს კანონით მინიჭებული დისკრეცია, არ დაიწყოს/შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოიყენოს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი განრიდება ან მედიაცია. განრიდებისა და მედიაციის გამოყენებაზე სრულად ვრცელდება პროკურორის დისკრეცია და მხოლოდ მას აქვს უფლება ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება გამოიყენებს თუ არა აღნიშნულ პროგრამას კონკრეტული პირის მიმართ. პროკურორის გადაწყვეტილება განრიდებისა და მედიაციის გამოყენება/არგამოყენებაზე არც კანონით და არც სასამართლო წესით არ ექვემდებარება კონტროლს, რაც უდავოდ საკანონმდებლო ნოვაციის არაობიექტურ და არაეფექტიან განხორციელებაზე მიუთითებს. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ეს მიდგომები მეტად დამაფიქრებელია.

განრიდება – ეს არის დისკრეციული უფლებამოსილება, რომელიც აქვს პროკურორს. ანუ პროკურორს არ გააჩნია ვალდებულება დაასაბუთოს, რატომ გამოიყენა ან არ გამოიყენა ესა თუ ის ღონისძიება, კონკრეტულ შემთხვევაში – განრიდება. ლოგიკურია, თუ პროკურორს არ ევალება დაასაბუთოს აღნიშნული გადაწყვეტილება, ვერც მისი გასაჩივრების შესაძლებლობა იარსებებს. კანონის თანახმად, პროკურორი ვალდებულია ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის და სხვა ფაქტორების არსებობის შემთხვევაში, განიხილოს ალტერნატივა – განრიდების პროგრამის გამოყენების, მაგრამ გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება არ გააჩნია.

ვინაიდან არ არსებობს პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა აღნიშნულის მხრივ, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მნიშვნელოვნად აუარესებს დაზარალებულის უფლებრივ მდგომარეობას, რადგან ის მოკლებულია შესაძლებლობას სასამართლო კონტროლის მეშვეობით შეძლოს საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. გარდა ამისა, სასამართლოსათვის მიმართვის არ დაშვება პროცესის მონაწილეების მიერ ამკარა წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან, საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკასთან.⁵

დასკვნა

მიგვაჩნია, რომ ზოგადად, დისკრეციის პრინციპის შემოღება და დაკანონება აღნიშნული სახით, თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში მოხდა ნაჩქარევად, რასაც მოჰყვა ხარვეზები კანონის პრაქტიკულ გამოყენებაში. პროკურორისათვის სისხლისსამართ-

ლებრივი დევნის განხორციელებისას მსგავსი ფართო (ფაქტობრივად, შეუზღუდავი) დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება აშკარად სუბიექტივიზმის საფრთხეს ბადებს. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში პროკურორისათვის შეუზღუდავი დისკრეციის მინიჭება იმდენად ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ამერიკელი იურისტები მას გარდაუვალ აუცილებლობად მიიჩნევენ, ამერიკელი ექსპერტები მაინც საუბრობენ პროკურორის შეუზღუდავი უფლებამოსილების უკან მდგარ საფრთხეებზე.⁶

უმჯობესია დისკრეციის გამოყენების საფუძვლები განსაზღვროს კანონმა, რომელიც ზუსტად დაადგენს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების საფუძვლებს და ამით მნიშვნელოვნად შეზღუდავს ან თითქმის გამორიცხავს სუბიექტივიზმს. მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მსგავს დათქმას: „მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს, რომ განიხილოს განრიდების საკითხი და თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ შესაძლებელია განრიდების საკითხის განხილვა, მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე პროკურორმა ეს შესაძლებლობა არ გამოიყენა, თავისი დისკრეციული უფლებიდან გამომდინარე, შეუძლია დაუბრუნოს პროკურორს საქმე, რომ ხელახლა განიხილოს ეს საკითხი,“ თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ აღნიშნული ნორმით საკმარისი კონტროლი ხორციელდება პროკურორის დისკრეციასა და მის მიერ განრიდება/მედიაციის გამოყენებაზე. რაც შეეხება კონტროლს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაზე, ვფიქრობთ, პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ობიექტურად და კანონიერად განსახორციელებლად საჭიროა სასამართლო კონტროლი. საკანონმდებლო დონეზე უნდა მოწესრიგდეს საკითხი და მხარეს უნდა მიეცეს უფლება სასამართლოში გაასაჩივროს პროკურორის მიერ მიღებული დისკრეციული გადაწყვეტილება განრიდების/მედიაციის გამოყენება/არგამოყენების თაობაზე.

შენიშვნები:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2015 წლის რედაქცია.
2. ცვლილება პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების ასამოქმედებლად, გაზეთი 24 საათი, 10 სექტემბერი, 2011.
3. Markus Horstmann, Ueber Zwaeckmaessigkeitsprinzip, Praezisieren und Kontrolle im Strafprozessrecht, Berlin, 2002.
4. Уголовно процессуальный кодекс Франции / Перевод Л. В. Головки. М., 2000.; Головки Л. В., Альтернативы уголовному преследованию в современном праве. Санкт-Петербург, 2002.
5. მეფარიშვილი გ., ჩხეიძე ი., დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში, სამეცნიერო შრომების კრებული „სამართალი.“
6. Gerard e. Lynch, American law and lawyer information, T. 3, Chicago, American Bar Association, 1998.

DIVERSION AND MEDIATION PROGRAM, AS PROSECUTOR'S DISCRETION IN CRIMINAL PROCEEDINGS

MARI KUTATELADZE

*Doctoral Student of the Doctoral Program of Law of the Georgia Davit
Aghmashenebeli University*

A new form of dispute resolution emerged at the end of the twentieth century, which is different from traditional legal approaches. Most often, this form of conflict resolution is referred to as one of the instruments of restorative justice, “mediation between the victim and perpetrator”. The diversion and mediation program was introduced and developed gradually throughout the world. In accordance with the current criminal procedure legislation of Georgia, usage of the program completely depends on the discretionary powers of the prosecutor, and it is only the prosecutor who has the authority to use/not to use the diversion and mediation program as an alternative mechanism instead of criminal prosecution, although there is no control over the prosecutor’s decision in any respect. The unlimited-uncontrolled discretion, regardless who can enjoy it, clearly violates the basic human rights and freedoms.

ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის პროექტის ხელშეკრულებათა სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები

ლევან კოკია

*საერთაშორისო სამოგადობრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA)
მიწვეული ლექტორი*

შესავალი

ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვა ეფუძნება როგორც ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს შორის მიღწეული მთავრობათაშორისი შეთანხმების, აგრეთვე სხვადასხვა ინვესტორის ურთიერთთანამშრომლობას, რის გამოც აღნიშნული პროცესის სამართლებრივი რეგულირება ერთმნიშვნელოვნად არ განეკუთვნება არც საერთაშორისო საჯარო ან/და კერძო სამართლის და არცერთი რომელიმე ქვეყნის შიდასამართლებრივი დაცვის ობიექტს. ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვა ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული სხვადასხვა პროცესის დაგეგმვით და აღსრულებით ხორციელდება, რაც პროექტის განხორციელების თითოეულ ეტაპზე შესაბამისი სამართლებრივი გარანტიების შემუშავებას უკავშირდება. სწორედ ამიტომ, ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვა განიხილება, როგორც ერთი კონკრეტული პროექტი, რაც თავის მხრივ, განაპირობებს მასში ჩართულ მხარეთა შორის ურთიერთდაკავშირებული სხვადასხვა სახის საერთაშორისო ხელშეკრულების დადებას.

მოცემულ შემთხვევაში, ერთი ინდუსტრიისთვის დამახასიათებელ საერთაშორისო ხელშეკრულებათა ნაირსახეობა კრებითად წარმოდგენილია საერთაშორისო მთავრობათაშორისი ხელშეკრულებების – „მთავრობათაშორისი ხელშეკრულების“ (Inter Governmental Agreement „IGA“) და ნახევრად კომერციული საერთაშორისო ხელშეკრულების – „ხელშეკრულება ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან“ (Host Governmental Agreement „HGA“) სახით. მსგავსი ტიპის ხელშეკრულებათა, როგორც „ერთიანი პროექტის ხელშეკრულებათა“ მთლიანობაზე მიუთითებს ენერჯო ქარტიის სამდივნოს მიერ შემუშავებული „მოდელური მთავრობათაშორისი ხელშეკრულება და „მოდელური ხელშეკრულება ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან,“ რომელიც ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასთან არსებული სამართლებრივი ურთიერთობისთვის დამახასიათებელ ერთიან უნიფიცირებულ სტანდარტს ითვალისწინებს.¹ აღსანიშნავია, რომ პროექტის მონაწილე მხარეები თავისუფალია საკუთარ არჩევანში – სრულად ან ნაწილობრივ გამოიყენონ ან უარყონ მოდელურ ხელშეკრულებათა ცალკეული დებულებები.

წინამდებარე ნაშრომი ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის პროექტის მოდელურ ხელშეკრულებათა, „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ არსებული ხელშეკრულების (BTC)“ და „სამხრეთ კავკასიური მილსადენის ხელშეკრულების (SCP)“ მაგალითებზე დაყრდნობით მიმოიხილავს: ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის პროექტის ხელშეკრულებათა სახეებს და მათი რეგულირების საერთაშორისოსამართლებრივ და შიდასამართლებრივ მექანიზმებს.

1. ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის პროექტის ხელშეკრულებათა სახეები

არსებობს ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის პროექტის ხელშეკრულებათა ორი სახე, ესენია:

- ა. მთავრობათაშორისი ხელშეკრულებები (IGA), რომლებიც დადებულია იმ სახელმწიფოთა შორის, სადაც განთავსებულია ნავთობის ან გაზის მილსადენი და საიდანაც მილსადენის ოპერირება ხდება. ასეთი ტიპის ხელშეკრულებები ძირითადად, მილსადენის ინფრასტრუქტურული განლაგებისა (მაგალითად, თანამშრომლობა, უსაფრთხოება, მიწაზე საკუთრების უფლება, მილსადენის პროექტთან დაკავშირებული გადასახადები და სხვა) და პროექტის განხორციელების სამთავრობო დონეზე შეთანხმებულ დეკლარაციულ საკითხებს მოიცავს.
- ბ. ხელშეკრულებები ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან (HGA), რომელიც იდება ერთი მხრივ, ტერიტორიის მფლობელ ქვეყანასა ე. წ. მასპინძელ სახელმწიფოსა და მეორე მხრივ, ნავთობის/გაზის მილსადენის პროექტის ინვესტორებს შორის. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულება, სადაც მხარეებად პროექტის ინვესტორები და სახელმწიფო საწარმოებია წარმოდგენილი, ხელშეკრულების განსახილველ სახეს არ განეკუთვნება. ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული ხელშეკრულება არეგულირებს ე. წ. ვერტიკალურ სამართლებრივ ურთიერთობებს. მისი შინაარსი ხშირად იკვეთება მთავრობათაშორის ხელშეკრულებასთან, განსაკუთრებით ისეთი საკითხების ირგვლივ, როგორც არის მაგალითად: სახელმწიფო ხელისუფლებისა და ინვესტორ-

თა ვალდებულებები, გარემოსდაცვითი და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხები, მხარეთა პასუხისმგებლობის განსაზღვრა, ხელშეკრულებათა ვადა და საკითხები, რომლებიც შესაბამისი ქვეყნის ტერიტორიაზე მილსადენის პროექტის განხორციელებას უშუალოდ უკავშირდება.²

როგორც წესი, ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვა ან/და ტრანზიტი ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს აერთიანებს ერთი საერთო პროექტის ფარგლებში (მაგალითად: ბაქო-სუფსის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ნაბუკოს, ტრანსადრიატიკის, სამხრეთ კავკასიური და სხვა მილსადენები). ცხადია, ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვა კომერციულ მიზნებს სცილდება და ის ქვეყანათაშორისი სავაჭრო, ენერგეტიკული და ეკონომიკური ორმხრივი ან/და მრავალმხრივი თანამშრომლობის დასაბამს წარმოადგენს. აღნიშნული თანამშრომლობა კი, საფუძველს უდებს შესაბამისი ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო მთავრობათაშორისი ხელშეკრულებების დადებას, რომელთა შინაარსმაც პროექტის დაგეგმვის, განხორციელების და პროექტიდან მომდინარე საერთო სარგებლის გადანაწილების ზოგადი სამართლებრივი პრინციპების დადგენა უნდა იტვირთოს, რაც თავის მხრივ, პროექტის შემდგომი განხორციელების თითოეულ ეტაპზე დასადები ხელშეკრულებებისათვის მყარი სამართლებრივი საფუძვლის შექმნას უზრუნველყოფს. პროექტის მსგავსი ფორმით განხორციელება ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორც არის მაგალითად: ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობები, ქვეყანათა შორის არსებული საერთო ეკონომიკური და ენერგეტიკული ინტერესები და სხვა, მეტწილად სამართლებრივ ფაქტორსაც უკავშირდება. კერძოდ, ნავთობისა და გაზის საბადოები, აგრეთვე სახმელეთო სივრცე, სადაც მილსადენის ფიზიკური განთავსება ხდება, სახელმწიფო საკუთრებას განეკუთვნება და თავისთავად ცხადია, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლება უპირველეს ყოვლისა, დაინტერესებულია, რომ ნავთობის ან გაზის საერთაშორისო გადაზიდვის სამართლებრივი დაცულობა საჯარო-სამართლებრივი ელემენტებით განახორციელოს.

პროექტის განხორციელების სირთულიდან გამომდინარე, მსგავსი ტიპის ტრანსსასაზღვრო მილსადენთა ოპერირება შეუძლებელია ინვესტორთა მონაწილეობის გარეშე. იმის გათვალისწინებით, რომ ნავთობის ან გაზის მილსადენი ერთი კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიით არ შემოიფარგლება და მას ტრანსსასაზღვრო ან/და ტრანზიტული ფუნქცია აქვს, ცხადია, პროექტში ჩართულ თითოეულ ქვეყანასა და შესაბამის ინვესტორთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა გარკვეული ფორმით უნდა განისაზღვრებოდეს. განსახილველ შემთხვევაში, ორივე მხარისათვის (სახელმწიფო ხელისუფლება და ინვესტორები) არსებობს სხვადასხვა რისკი, რაც გარკვეულწილად ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების ძალით ნეიტრალდება. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ერთი მხრივ, შესაბამისი ქვეყნის ინტერესი, რომ მის ტერიტორიაზე გამავალმა მილსადენმა უზრუნველყოს გარემოსდაცვითი უმაღლესი სტანდარტები, დაცული იყოს შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა, წიაღისეული, ბუნებრივი რესურსები და მეორე მხრივ, ინტერესები, რაც გამომხატულია ინვესტიციათა სამართლებრივი დაცვის გარანტიების შექმნით, საკუთრების უფლების დაცვით, ქვეყნის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებისაგან მაქსიმალური ადმინისტრაციული ხელშეწყობის მიღებითა და სხვა მსგავსი საკითხების სახელშეკრულებო გარანტიების ჩამოყალიბებით.

საყურადღებოა, რომ ხელშეკრულებათა განსახილველ სახეებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, რაც მრავალ შემთხვევაში, ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დასადებ ხელშეკრულებ-

ბათა (HGA) მიმართ გამოსაყენებელი სამართლებრივი ნორმების შესაბამისი მთავრობათაშორისი ხელშეკრულების (IGA) ნორმებზე აპელირებასაც გულისხმობს. უფრო მეტიც, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ მთავრობათაშორისი ხელშეკრულების პირველი მუხლით დადგენილი ერთ-ერთი სახელშეკრულებო ტერმინი „პროექტის ხელშეკრულებები“ გულისხმობს: I. „წინამდებარე ხელშეკრულებას; II. ხელშეკრულებებს ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან; III. სხვა პროექტის ხელშეკრულებებს.“⁴³

საყურადღებოა, რომ ზემოაღნიშნული მთავრობათაშორისი ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-2 და მე-7 პუნქტების მიხედვით: ხელშეკრულებები ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან (იგულისხმება საქართველოს მთავრობა და ცალკე ხელშეკრულება დადებული თურქეთის რესპუბლიკის მთავრობასთან) და პროექტთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებები წარმოადგენენ მთავრობათაშორისი ხელშეკრულების, როგორც ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის პროექტის ძირითადი ხელშეკრულების დანართს.⁴⁴ რიც შემთხვევებში, პროექტში ჩართული სახელმწიფოები ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული ხელშეკრულების რატიფიკაციას მთავრობათაშორისი ხელშეკრულებასთან ერთად ახდენენ.

მთავრობათაშორისი ხელშეკრულებასა და ხელშეკრულებას ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული მჭიდრო კავშირის შესახებ ასევე, მითითებულია მოდელურ მთავრობათაშორისი ხელშეკრულებაშიც. კერძოდ, მოდელური ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „ყოველმა ხელმომწერმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით და ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულება, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.“⁴⁵

ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებათა რამდენიმე ციტირებული დებულების შინაარსით ვლინდება, რომ განსახილველი ორივე ტიპის ხელშეკრულება არა ცალკე აღებული ხელშეკრულებას, არამედ „ერთიანი პროექტის“ ფარგლებში დადებულ ხელშეკრულებათა კომპლექტს წარმოადგენს. მილსადენის პროექტთან დაკავშირებულ ურთიერთდამოკიდებულ სამართლებრივ ურთიერთობათა ერთიანობის გამო იწოდება ნებისმიერი ამ სფეროში დასადები ხელშეკრულება, როგორც „ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის პროექტის ხელშეკრულება“ და არა ცალკეულ შემთხვევაში „ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის ხელშეკრულება.“

2. მთავრობათაშორისი ხელშეკრულების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება

ზოგადი წესის მიხედვით, მთავრობათაშორისი ხელშეკრულებად მიიჩნევა ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში ორ ან რამდენიმე ქვეყანას შორის არის მიღწეული.

მთავრობათაშორისი ხელშეკრულება საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ წყაროს განეკუთვნება. კერძოდ, საერთაშორისო ხელშეკრულება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მთავარი წყაროა, რადგანაც მხოლოდ დაწერილი, მხარეთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე შექმნილი ნორმა ქმნის სტაბილურ, მყარ ქვეყნის წესს.⁴⁶

თუმცა, ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის სფეროში დადებული მთავრობათაშორისი ხელშეკრულება, როგორც საერთაშორისო სამართლის ერთი კონკრეტული წყაროს

– საერთაშორისო ხელშეკრულების სახით არ არის შემოფარგლული მხოლოდ მხარეთა (მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფოთა) შორის შეთანხმებული სახელშეკრულებო დებულებებით. კერძოდ, განსახილველ შემთხვევაში, ორმხრივი/სამხმრევი მთავრობათაშორისი ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს ერთი კონკრეტული რეგიონული ეკონომიკური/ენერგეტიკული პროექტის განხორციელებას, ემყარება როგორც მხარეთა შორის მანამდე ხელმოწერილ სხვა სახელშეკრულებო პრინციპებს, აგრეთვე უნივერსალურ ხელშეკრულებასაც. მაგალითად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ მთავრობათაშორისი ხელშეკრულების პრეამბულაში მითითებულია, რომ: „სახელმწიფოები მხარს უჭერენ რა, იმ საერთაშორისო სავაჭრო და საინვესტიციო შეთანხმებათა პრინციპებს, რომელთა მხარეს, ხელმოწერსა და წევრობაზე განმცხადებელს თითოეული სახელმწიფო წარმოადგენს, აგრეთვე, 1994 წლის ენერგო ქარტიის დებულებებს და ცნობენ რა, ენერგეტიკის დარგში სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცების აუცილებლობას.“⁴⁷

ენერგო ქარტიასთან, როგორც საერთაშორისო საჯარო სამართლის წყაროსთან მთავრობათაშორისი ხელშეკრულების კავშირზე ასევე, მითითებულია მოდელური მთავრობათაშორისი ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-2 ნაწილშიც, რომლის მიხედვით: „წინამდებარე ხელშეკრულება წინააღმდეგობაში არ უნდა მოვიდეს არც ერთი ხელმოწერილი სახელმწიფოს უფლებასთან ან ნაკისრ ვალდებულებასთან, რომელიც ენერგო ქარტიიდან, მსგავსი ტიპის საერთაშორისო შეთანხმებიდან ან საერთაშორისო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარეობს.“⁴⁸

იმის გათვალისწინებით, რომ ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვა, ენერგეტიკის კონკრეტული მიმართულებით თანამშრომლობის თაობაზე მხოლოდ სახელმწიფოთა შორის მიღწეულ ორმხრივ ან მრავალმხრივ შეთანხმებას არ განეკუთვნება და რომ მსგავსი ტიპის პროექტების განხორციელება სხვადასხვა ინვესტორის ჩართულობას მოითხოვს, ცხადია, არსებული სამართლებრივი ურთიერთობისთვის ერთ-ერთ ძირითად პოტენციურ რისკს ინვესტორთა საკუთრების უფლების დაცვა შეადგენს. მოცემულ შემთხვევაში, მთავრობათაშორისი შეთანხმება წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც მოახდენს იმ ძირითადი პრინციპების სამართლებრივ დეკლარირებას, რაც პროექტის განხორციელების თითოეულ ეტაპზე ინვესტიციის დაცვას მოემსახურება. „ინვესტიციაში“ აქ არა მხოლოდ კონკრეტული ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის პროექტის განხორციელებისას დაბანდებული კაპიტალი მოიაზრება, არამედ ზოგადად, „ინვესტიცია“, რომელიც განსაზღვრულ ხელმოწერილ სახელმწიფოთა ორმხრივი სამართლებრივი ურთიერთობების ფარგლებში განმტკიცებულია სხვა ორმხრივი საერთაშორისოსამართლებრივი ფორმატებით. ინვესტიციის დაცვა, როგორც წინამდებარე ნაშრომით განსახილველი პროექტების სამართლებრივი დაცვის ერთ-ერთი ობიექტი, მთავრობათაშორისი შეთანხმების რეგულირების მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, რომ ერთი მხრივ, მოხერხდეს კონკრეტული ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის პროექტის ფარგლებში დაბანდებულ ინვესტიციათა სამართლებრივი დაცვა და ასევე, უზრუნველყოფილი იყოს მთავრობათაშორისი ხელშეკრულებისა და მისი თანმდევი ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დადებულ ხელშეკრულებათა შინაარსობრივი თავსებადობა სხვა ორმხრივ, მრავალმხრივ და უნივერსალურ საერთაშორისოსამართლებრივ მექანიზმებთან, რომლის წევრი/ხელმოწერილი სახელმწიფოები ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის კონკრეტული პროექტის მთავრობათაშორისი ხელშეკრულების ხელმოწერნი არიან. აღნიშნულ მოსაზრებას გამოხატავს სამხრეთ-კავკასიური მილსადენის სისტემის მეშვეობით საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიებზე და ამ ტერიტორიების ფარგლებს გარეთ

ბუნებრივი გაზის ტრანზიტის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის შესახებ საქართველოსა და ამერბაიჯანის რესპუბლიკას შორის დადებული მთავრობათაშორისი ხელშეკრულების პრეამბულის ნაწილი, რომლის მიხედვითაც: „სახელმწიფოები მხედველობაში იღებენ რა, იმ ფაქტს, რომ ნებისმიერ იმ პროექტს, რომელიც ტერიტორიებზე, ამ ტერიტორიების გავლით, ამ ტერიტორიებისაკენ და/ან ამ ტერიტორიების გადაკვეთით ბუნებრივი გაზის ტრანზიტს ითვალისწინებს, აქვს ტრანსნაციონალური ხასიათი, რაც ინვესტიციათა დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლის ნორმების ერთგვაროვან და არადისკრიმინაციულ გამოყენებას მოითხოვს, მათ შორის, ინვესტიციების მიმართ არადისკრიმინაციულ მიდგომას, როგორც ეს განსაზღვრულია ორმხრივ ან მრავალმხრივ ხელშეკრულებებში, რომელთა მხარეს თითოეული სახელმწიფო წარმოადგენს.“⁴⁹

ციტირებული დებულებით შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ ნავთობისა და გაზის ტრანს-სასაზღვრო გადაზიდვის ფარგლებში დადებულ მთავრობათაშორის ხელშეკრულებას არ გააჩნია ავტონომიური ხასიათი და ის არ იმყოფება მხოლოდ ერთი კონკრეტული პროექტის სამართლებრივი რეგულირების ფარგლებში. ცხადია, აღნიშნული ტიპის ხელშეკრულებას, როგორც საერთაშორისო სამართლის ლოკალურ წყაროს აქვს ფართო სპექტრის შემხებლობა საერთაშორისო სამართლის როგორც უნივერსალურ ხელშეკრულებებთან, აგრეთვე სხვა თემატურად სრულად ან ნაწილობრივ ურთიერთდაკავშირებულ ცალკეულ ლოკალურ ორმხრივ ან მრავალმხრივ ხელშეკრულებებთანაც.

3. მთავრობათაშორისი ხელშეკრულების შიდასამართლებრივი რეგულირება

საერთაშორისო საჯაროსამართლებრივი ელემენტების გარდა, მილსადენის პროექტის განხორციელება მასში ჩართული თითოეული სახელმწიფოს სხვადასხვა შიდასამართლებრივი რეგულაციის ამოქმედებას მოითხოვს. სწორედ ამიტომ, მთავრობათაშორისი ხელშეკრულებათა უმეტესობა არა მხოლოდ ავალდებულებს ხელმომწერ სახელმწიფოებს, რომ მოახდინონ ხელშეკრულებათა რატიფიკაცია, არამედ შეიუშუაონ შესაბამისი შიდასამართლებრივი რეგულაციები და გაატარონ სხვა მასთან დაკავშირებული ზომები.¹⁰ მაგალითად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ მთავრობათაშორისი ხელშეკრულების მე-2 მუხლის პირველი ნაწილი მოიცავს ხელშეკრულების თითოეული ხელმომწერი სახელმწიფოს სამ ვალდებულებას. კერძოდ, „სახელმწიფოთა ვალდებულებაა: 1. მთავრობათაშორისი ხელშეკრულება დროულად და სათანადო წესით წარუდგინონ ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოს, რომ მოხდეს ხელშეკრულების რატიფიკაცია შესაბამისი ქვეყნის კონსტიტუციის, როგორც უპირატესი სამართლებრივი აქტის პირობათა შესაბამისად; 2. წარმოადგინონ ყველა საკანონმდებლო აქტი და საჭირო კანონპროექტი, რომელიც ხელმომწერი სახელმწიფოს კონსტიტუციის შესაბამისად, მთავრობათაშორისი ხელშეკრულების ასამოქმედებლად შესაძლოა საჭირო გახდეს და 3. შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში უზრუნველყონ ხელშეკრულების რატიფიკაცია და/ან დამტკიცება, აგრეთვე ყველა შესაბამისი კანონის მიღება რატიფიკაციის და/ან დამტკიცების წინ ან მის პარალელურად.“¹¹

მოდელური მთავრობათაშორისი ხელშეკრულება შიდაეროვნულ სამართალთან ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის პროექტის მთავრობათაშორისი ხელშეკრულების (IGA) კავშირს ცალსახად არ ითვალისწინებს. კერძოდ, მოდელური ხელშეკრულების მე-3 მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, რომ „თითოეული სახელმწიფო ადასტურებს, რომ ხელშეკრულების

აღსრულება მონაწილე მასპინძელ სახელმწიფოთა შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება და იძლევა გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ განეკუთვნება რომელიმე სამართლებრივი ან საერთაშორისო ხელშეკრულების ნაწილს და არ ემსახურება ასეთი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. მონაწილე სახელმწიფოები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება სრულ შესაბამისობაშია მათ შიდაეროვნულ სამართალთან და საერთაშორისო სამართლით ნაკისრ ვალდებულებებთან იმისათვის, რომ შეიმუშაონ და დადონ ხელშეკრულებები ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობებთან ან სხვა სახის ხელშეკრულებები, რომლებიც პროექტის განხორციელების სამართლებრივი რეგულირებისთვის იქნება საჭირო.⁴²

მიუხედავად იმისა, რომ ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის პროექტის მთავრობათაშორის ხელშეკრულება საერთაშორისო საჯარო სამართლებრივ ხელშეკრულებას წარმოადგენს, მთელი რიგი ფაქტორების გამო, იგი მაინც ვერ დარჩება ამა თუ იმ ქვეყნის შიდაეროვნული სამართლებრივი რეგულირებისაგან იზოლირებულად. კერძოდ, იმისათვის, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება სახელმწიფოს ტერიტორიაზე (ჩვენს მიერ განხილულ მაგალითზე: საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის რესპუბლიკების ტერიტორიებზე) იქცეს სამართლის წყაროდ, აუცილებელია მისი რატიფიკაცია, რაც სახელმწიფოთა კონსტიტუციებით განისაზღვრება. აგრეთვე ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის კომპლექსური ბუნება თავისთავად განაპირობებს შიდაეროვნული სამართლებრივი მექანიზმების შესაბამის შემუშავებას ან/და დახვეწას, რაც შეიძლება გულისხმობდეს ახლებური ფორმით ინვესტიციათა სამართლებრივი დაცვის მექანიზმების განსაზღვრას, ექსპროპრიაციის საკითხებს და სხვა.

იმის გათვალისწინებით, რომ „პროექტის ხელშეკრულებები“ ერთიანი, სისტემური ფორმით აღიქმება და მოცემულ შემთხვევაში, მთავრობათაშორისმა ხელშეკრულებამ ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დასადები ხელშეკრულებებისათვის ძირითადი პრინციპები უნდა განსაზღვროს, ცხადი ხდება, რომ რატიფიკაციის პროცედურების გარდა, პროექტის განხორციელება სახელმწიფოთა ცალკეული შიდასამართლებრივი რეგულაციების მთავრობათაშორის ხელშეკრულებასთან შინაარსობრივი თავსებადობის უზრუნველყოფასაც მოითხოვს. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ცალსახად ვლინდება ამ ტიპის ხელშეკრულებათა შიდაეროვნულ სამართალთან მჭიდრო კავშირის არსებობა.

4. ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული ხელშეკრულების სამართალშორისო სამართლებრივი რეგულირება

ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული ხელშეკრულების საერთაშორისო სამართალთან კავშირის დადგენა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე მთავრობათაშორისი ხელშეკრულების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების განსაზღვრა, რადგანაც ხელშეკრულების განსახილველი სახე საერთაშორისო სამართლის კლასიკურ წყაროს არ წარმოადგენს. თუმცა, როგორც აღინიშნა, ხელშეკრულების აღნიშნული სახე ზოგიერთი პროექტის სამართლებრივი რეგულირების ფორმატში მთავრობათაშორისი ხელშეკრულების დანართს განეკუთვნება ან პროექტში ჩართული სახელმწიფოები ამ უკანასკნელ ხელშეკრულებასთან ერთად ახდენენ მის რატიფიკაციასაც,

რაც ცალსახად მიუთითებს, რომ ხელშეკრულების განსახილველი ტიპი გარკვეულწილად, საერთაშორისოსამართლებრივი ელემენტებითაც რეგულირება.

აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის ფარგლებში, საქართველოს მთავრობასა და ინვესტორთა ჯგუფს შორის ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული ხელშეკრულების პრეამბულის ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს, რომ „რატიფიკაციისას, ხელშეკრულება საქართველოს სამართლებრივ სივრცეში (კონსტიტუციის შემდგომ) ინტეგრირდება, როგორც უპირატესი სამართლებრივი რეჟიმი.“¹³

ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული მოდელური ხელშეკრულებაც ამ სახის ხელშეკრულებებს საერთაშორისოსამართლებრივ დაცვას უქვემდებარებს. კერძოდ, მოდელური ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ძალით: „წინამდებარე ხელშეკრულება ან პროექტის სხვა ნებისმიერი ხელშეკრულება მხარეებს არ უნდა ართმევდეს უფლებას, რომლის გამოყენება გავლენას მოახდენდა ნაკისრ სახელშეკრულებო ვალდებულებათა პერმანენტულ შესრულებაზე ან რომელიც ენერგო ქარტიდან ან/და ნებისმიერი სხვა საერთაშორისო შეთანხმებიდან ან ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს.“¹⁴

ერთადერთი კითხვა, რომელიც ხელშეკრულების განსახილველი სახის რეგულირებას საერთაშორისო საჯარო სამართალსაც უქვემდებარებს მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად მართებულია, რომ ხელშეკრულება, სადაც რომელიმე ქვეყნის მთავრობის გარდა, ერთ-ერთ მხარეს ყოველთვის კომერციულ ინვესტორთა ჯგუფი შეადგენს, ნაწილობრივ მაინც ექვემდებარებოდეს საერთაშორისო საჯარო სამართლის დაცვის სფეროს? ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი არც ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული რომელიმე ხელშეკრულებით და არც მოდელური ხელშეკრულებით გაცემული არ არის.

როგორც აღვნიშნეთ, ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის პროექტის სამართლებრივი რეგულირება ხელშეკრულებათა სხვადასხვა სახის ერთდროული მოქმედებით ხორციელდება. ის პროექტები, სადაც მთავრობათაშორისი ხელშეკრულებები ხელშეკრულების განსახილველ სახეს მის დანართად აღიარებენ, ირიბად მიუთითებენ მისი საერთაშორისო საჯარო სამართლით დაცვის შესახებ. აღნიშნულის საპირისპიროდ, პროექტები, რომელთა მთავრობათაშორისი ხელშეკრულებები არ აცხადებენ ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებულ ხელშეკრულებებს, როგორც მათ დანართებს, მოდელური ხელშეკრულების მიხედვით, ნაწილობრივ მაინც ექვემდებარებიან საერთაშორისო საჯარო სამართლით რეგულირებას. აღნიშნულის მიზეზი კი, ის არის, რომ ასეთი ტიპის ხელშეკრულებებში ერთ-ერთ სავალდებულო მხარედ ყოველთვის საერთაშორისო საჯარო სამართლის სუბიექტი – ესა თუ ის სახელმწიფოა წარმოდგენილი.

5. ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული ხელშეკრულების რეგულირება ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის კანონმდებლობით

როგორც წესი, ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული ხელშეკრულების შიდაეროვნული სამართლებრივი მექანიზმებით რეგულირებისას, ხელშეკრულების მხარეთა მიერ არჩეული სამართლის საკითხი განიხილება. ისევე, როგორც ყველა საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულება, არსებული და მოდელური ხელშეკრულებების შინაარსის გათვალისწინებით ხელ-

შეკრულების განსახილველი სახეც მარეგულირებელი სამართლის არჩევის საკითხსაც ითავსებს. კერძოდ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის ფარგლებში საქართველოს მთავრობასა და ინვესტორთა ჯგუფს შორის ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული ხელშეკრულების 23-ე მუხლის 23.10-ე პუნქტის მიხედვით: „წინამდებარე ხელშეკრულება, მათ შორის, არბიტრაჟთან დაკავშირებული დებულებები, რომლებიც მე-17 მუხლშია მოცემული ინგლისის მატერიალურსამართლებრივ კანონმდებლობას ექვემდებარება.“⁴⁵ რადგანაც საერთაშორისო ხელშეკრულებათა რეგულირებისას სამართლის არჩევის, არჩეული სამართლებრივი წესრიგის შეცვლის, რამდენიმე სამართლებრივი წესრიგის გამოყენებით ხელშეკრულებათა რეგულირების საკოლომბო-სამართლებრივი ნიუანსების, დავათა მოგვარების შეთანხმებული სტანდარტებისა და ყველა სხვა მასთან დაკავშირებული საკითხის გაშუქება კვლევის ცალკე სფეროს განეკუთვნება, წინამდებარე თავი მხოლოდ ხელშეკრულების განსახილველი ტიპის ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის კანონმდებლობით რეგულირებას დაეთმობა.

საკითხი იმის შესახებ, რომ ხელშეკრულების რატიფიკაცია ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით უნდა განხორციელდეს, არ წარმოადგენს ერთადერთ ფრაგმენტს, სადაც ხელშეკრულების განსახილველი სახე ადგილობრივი სამართლის გამოყენებაზე აკეთებდეს მითითებას. მაგალითად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის ფარგლებში, საქართველოს მთავრობასა და ინვესტორთა ჯგუფს შორის ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული ხელშეკრულება, რამდენიმე შემთხვევაში უთითებს საკითხთა საქართველოს კანონმდებლობით რეგულირებაზე. კერძოდ, განსახილველი ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2. პუნქტის (VII)-ე ქვეპუნქტის მე-8 ნაწილის მიხედვით: „სახელმწიფო ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ მიწასთან დაკავშირებული უფლებები, მათ შორის, აღნიშნულ უფლებებთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი დოკუმენტი სათანადო წესით და დროულად იქნას რეგისტრირებული ან მიწერილი ძირითადი საექსპორტო მილსადენის პროექტის თითოეულ მონაწილეზე, თითოეული მათგანის სახელის მითითებით, როგორც საკუთრების უფლების მფლობელებზე და მესაკუთრეებზე, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, რომ დაკმაყოფილდეს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები ძირითადი საექსპორტო მილსადენის პროექტის მონაწილეთა მიწასთან დაკავშირებული უფლებების საჯარო რეესტრში ასახვის თაობაზე.“⁴⁶ ასევე, საგულისხმოა განსახილველი ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.2 პუნქტის (i) ქვეპუნქტის პირველი წინადადება: „პროექტის საქმიანობასთან დაკავშირებით ძირითადი საექსპორტო მილსადენის პროექტის თითოეული მონაწილე საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნათა გათვალისწინებით იბეგრება მოგების გადასახადით.“⁴⁷

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ არსებული პროექტის თითოეული მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დადებული სხვა ხელშეკრულებებიც (იგულისხმება ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დადებული ორი ხელშეკრულება: ხელშეკრულება თურქეთის რესპუბლიკასთან და ხელშეკრულება აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან) ციტირებული ნორმების ნაწილში იდენტურია, იმ გამონაკლისით, რომ „მარეგულირებელ კანონმდებლობაში“ შესაბამისად, აზერბაიჯანის რესპუბლიკის და თურქეთის რესპუბლიკის შიდაეროვნული კანონმდებლობა მიეთითება და თურქეთის რესპუბლიკასთან დადებული ხელშეკრულების ტექსტში, ციტირებულ ნორმათა ნუმერაცია განსხვავებულია.⁴⁸

ხელშეკრულების განსახილველი სახის ცალკეულ საკითხთა შიდასამართლებრივი რეგულირების შესაძლებლობას აგრეთვე, ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული მოდელური ხელშეკრულების მე-17-ე მუხლის მე-3 ნაწილიც უშვებს, რომლის მიხედვით: „თუ წინამდებარე ხელშეკრულება და შესაბამისი ქვეყნის შიდა სამართალი სხვა რამეს არ ითვალისწინებს...“⁴⁹

როგორც ჩანს, ეროვნული სამართლის კონტექსტში განსახილველი ხელშეკრულების რეგულირების სამართლებრივი დაცვის მექანიზმები არაერთგვაროვანია. ერთი მხრივ, სახეზეა ინგლისის მატერიალურსამართლებრივი რეგულირების შესახებ არსებული სახელშეკრულებო ჩანაწერი, მეორე მხრივ კი, არსებობს საკითხთა სპექტრი, რომელიც განხილული მაგალითის გათვალისწინებით, საქართველოს (ასევე, თურქეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკების „შესაბამისი ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის სამართალი“) შიდაეროვნული სამართლით რეგულირდება. აღნიშნული მრავალფეროვნება განპირობებულია იმით, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით, განსახილველი პროექტი რთულად დასარეგულირებელია, რამდენადაც აღნიშნულ შემთხვევაში, სახეზეა როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტთა (სახელმწიფოები, სხვადასხვა ინვესტორები) სიმრავლე და მათი განსხვავებული ეროვნული წარმომავლობა, ასევე ურთიერთობის ობიექტის – „პროექტის“ სპეციფიკა, რომელიც უამრავ ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულ დეტალს მოიცავს. უფრო მეტიც, ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის პროექტთა განხორციელებისას „პროექტის სხვა ხელშეკრულებებიც“ არსებით როლს ასრულებენ, რომელიც კლასიკური კომერციული ტიპის ხელშეკრულებებია (ეს შეიძლება იყოს მომსახურების ხელშეკრულებები, ე. წ. ქვეკონტრაქტები და სხვა). იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს პროექტის სხვა ხელშეკრულებათა შემუშავების და რეგულირების მაღალი ხარისხი, პროექტის განხორციელების სამართლებრივი იერარქიის თვალსაზრისით, აუცილებელია, რომ სტრატეგიული ტიპის ხელშეკრულებათა რეგულირებაც სხვადასხვა სამართლებრივი სისტემით ხორციელდებოდეს (სამართლებრივი ურთიერთობების დაცვის საერთაშორისო და შიდასამართლებრივი მექანიზმები, ასევე, „არჩეული ქვეყნის სამართალი“).

რამდენიმე ქვეყნის სამართლით ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებულ ხელშეკრულებათა ცალკეული საკითხის რეგულირება ერთობლიობაში აყალიბებს როგორც ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს, ასევე პროექტში ჩართული თითოეული ინვესტორის დაცულობის უფრო მაღალ სტანდარტს.

6. დასკვნა

როგორც წინამდებარე ნაშრომში აღინიშნა, ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვა რთული სახის სამართლებრივ ურთიერთობას წარმოადგენს. ეს განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული ურთიერთობის მონაწილენი ერთი მხრივ, სხვადასხვა ინტერესის მქონე სახელმწიფოები არიან, ხოლო მეორე მხრივ, ურთიერთობის მონაწილეებად წარმოდგენილია პროექტის ინვესტორთა შემადგენლობა, რომელთა სამართლებრივი წარმომავლობა ხშირ შემთხვევაში, პროექტის მონაწილე არცერთი სახელმწიფოს წარმომავლობას არ შეესაბამება. გარდა ამისა, მსგავსი ტიპის პროექტების დაგეგმვა, განხორციელება, ფუნქციონირება, არსებულ ხელშეკრულებათა შესრულების დროულობა და სხვა მსგავსი საკითხები ხანგრძლივ პერიოდზე გათვალისწინებული, რაც თავისთავად გარკვეულ რისკებს მოიცავს. მაგალითად: საკანონმდებლო ცვლილებები, სახელმწიფოთა შორის არსებულ ურთიერთობათა თავისებურება, პოტენციური ფორს-მაჟორული გარემოებანი, პროექტის

ინვესტორთა მომგებიანობა და სხვა ის ფაქტორები, რამაც დროთა განმავლობაში გარკვეული სახით შეიძლება ცვლილება განიცადოს და რამაც თავის მხრივ, შესაძლოა პრობლემური ფონი შეუქმნას სახელშეკრულებო ურთიერთობათა სამომავლო პერსპექტივებს.

ამრიგად, რაც უფრო რთულია სამართლებრივი ურთიერთობის ბუნება, რომელიც რისკის უფრო მაღალი ხარისხით გამოირჩევა, მით უფრო აქტუალური ხდება ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირების მრავალფეროვანი მექანიზმების ჩამოყალიბება. სწორედ აღნიშნული სირთულისა და მისგან გამომდინარე პოტენციური რისკების დასაბალანსებლად გამოიყენება საერთაშორისო საჯარო და შიდაეროვნული სამართლებრივი მექანიზმებით ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის პროექტის მთავრობათაშორის და ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებულ ხელშეკრულებათა შემუშავება, ინტერპრეტაცია და მათი შემდგომი გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლევან ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2010 წელი.
2. Barbara v. Gayling-Westphal, Intergovernmental Agreements and Host Government Agreements on Oil and Gas Pipelines – A Comparison; Energy Charter Secretariat 2015.
3. Model Intergovernmental and Host Government Agreements for Cross-Border Pipelines. (Second Edition). Energy Charter Secretariat. <http://www.energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/Legal/ma2-en.pdf>
4. Agreement Among Azerbaijan Republic, Georgia and the Republic of Turkey Relating to the Transportation of Petroleum Via the Territories of the Azerbaijan Republic, Georgia and the Republic of Turkey Through the Baku-Tbilisi-Ceyhan Main Export Pipeline. http://www.bp.com/content/dam/bp-country/en_az/pdf/legalagreements/BTC_eng_agmt4_agmt4.pdf
5. Agreement Between Georgia and the Azerbaijan Republic, Relating to the Transit, Transportation and Sale of Natural Gas in and Beyond the Territories of Georgia and the Azerbaijan Republic Through the South Caucasus Pipeline System. http://www.bp.com/content/dam/bp-country/en_az/pdf/legalagreements/SHA_eng_intergov_Azerbaijan_Georgia_Intergovernmental_Agreement.pdf
6. Host Government Agreement Between and Among the Government of Georgia and [THE MEP PARTICIPANTS].
7. http://www.bp.com/content/dam/bp-country/en_az/pdf/legalagreements/BTC_eng_agmt2_agmt2.pdf
8. Host Government Agreement Between and Among the Government of Georgia and State Oil Company of the Azerbaijan Republic, BP Exploration (Azerbaijan) Limited, Totalfinaelf E&P Caucasian Gas SA, Luk Agip N.V., Statoil Azerbaijan a.s., Naftiran Intertrade Co. (NICO) Limited, Turkish Petroleum Overseas Company Limited. http://www.bp.com/content/dam/bp-country/en_az/pdf/legalagreements/SHA_eng_HGA_Host_Government_Agreement_Georgia__English_.pdf
9. Host Government Agreement Between and Among the Government of Azerbaijan Republic and the State Oil Company of the Azerbaijan Republic, BP Exploration (Caspian Sea) LTD, Statoil BTC Caspian As, Ramco Hazar Energy Limited, Turkiye Petrolleri A.O., Unocal BTC Pipeline, LTD, Itochu Oil Exploration (Azerbaijan) INC., Delta Hess (BTC) Limited.
10. http://www.bp.com/content/dam/bp-country/en_az/pdf/legalagreements/BTC_eng_agmt1_agmt1.pdf
11. Host Government Agreement Between and Among the Government of the Republic of Turkey and the State Oil Company of the Azerbaijan Republic, BP Exploration (Caspian Sea) LTD, Statoil BTC Caspian As, Ramco Hazar Energy Limited, Turkiye Petrolleri A.O., Unocal BTC Pipeline, LTD, Itochu Oil Exploration (Azerbaijan) INC., Delta Hess (BTC) Limited. http://www.foe.co.uk/sites/default/files/downloads/turkey_btc_agreement.pdf
12. Abigail S. Reyes, Protecting the Freedom of Transit of Petroleum: Transnational Lawyers Making (up) International Law in the Caspian; Berkeley Journal of International Law, Volume 24 | Issue 3 Article 3; Published by Berkeley Law Scholarship Repository, 2006.
13. <http://scholarship.law.berkeley.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1323&context=bjil>

შენიშვნები:

- ¹ მოდელურ ხელშეკრულებათა შესახებ ვრცლად იხ.: Model Intergovernmental and Host Government Agreements for Cross-Border Pipelines. (Second Edition). Energy Charter Secretariat. <http://www.energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/Legal/ma2-en.pdf>
- ² Barbara v. Gayling-Westphal, Intergovernmental Agreements and Host Government Agreements on Oil and Gas Pipelines – A Comparison; Energy Charter Secretariat 2015, გვ. 16.
- ³ Agreement Among Azerbaijan Republic, Georgia and the Republic of Turkey Relating to the Transportation of Petroleum Via the Territories of the Azerbaijan Republic, Georgia and the Republic of Turkey Through the Baku-Tbilisi-Ceyhan Main Export Pipeline. (BTC) http://www.bp.com/content/dam/bp-country/en_az/pdf/legalagreements/BTC_eng_agmt4_agmt4.pdf; გვ. 3.
- ⁴ იქვე, გვ. 5; 7.
- ⁵ Model Intergovernmental and Host Government Agreements for Cross-Border Pipelines. (Second Edition). Energy Charter Secretariat. <http://www.energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/Legal/ma2-en.pdf>; გვ. 19.
- ⁶ ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2010, გვ. 18.
- ⁷ Agreement Among Azerbaijan Republic, Georgia and the Republic of Turkey Relating to the Transportation of Petroleum Via the Territories of the Azerbaijan Republic, Georgia and the Republic of Turkey Through the Baku-Tbilisi-Ceyhan Main Export Pipeline. (BTC) http://www.bp.com/content/dam/bp-country/en_az/pdf/legalagreements/BTC_eng_agmt4_agmt4.pdf; გვ. 1.
- ⁸ Model Intergovernmental and Host Government Agreements for Cross-Border Pipelines. (Second Edition). Energy Charter Secretariat. (Article 3 (Opinion 1 “2”)). <http://www.energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/Legal/ma2-en.pdf>; გვ. 16.
- ⁹ Agreement Between Georgia and the Azerbaijan Republic, Relating to the Transit, Transportation and Sale of Natural Gas in and Beyond the Territories of Georgia and the Azerbaijan Republic Through the South Caucasus Pipeline System. (SCP) http://www.bp.com/content/dam/bp-country/en_az/pdf/legalagreements/SHA_eng_intergov_Azerbaijan_Georgia_Intergovernmental_Agreement.pdf; გვ. 1
- ¹⁰ Barbara v. Gayling-Westphal, Intergovernmental Agreements and Host Government Agreements on Oil and Gas Pipelines – A Comparison, Energy Charter Secretariat 2015, გვ. 50.
- ¹¹ Agreement Among Azerbaijan Republic, Georgia and the Republic of Turkey Relating to the Transportation of Petroleum Via the Territories of the Azerbaijan Republic, Georgia and the Republic of Turkey Through the Baku-Tbilisi-Ceyhan Main Export Pipeline. (BTC) http://www.bp.com/content/dam/bp-country/en_az/pdf/legalagreements/BTC_eng_agmt4_agmt4.pdf; გვ. 4-5.
- ¹² Model Intergovernmental and Host Government Agreements for Cross-Border Pipelines. (Second Edition). Energy Charter Secretariat. Article 3 (Opinion 1 “2”). <http://www.energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/Legal/ma2-en.pdf>; გვ. 17
- ¹³ უფრო ვრცლად იხ.: Host Government Agreement Between and Among the Government of Georgia and [THE MEP PARTICIPANTS] http://www.bp.com/content/dam/bp-country/en_az/pdf/legalagreements/BTC_eng_agmt2_agmt2.pdf; გვ. 5.
- ¹⁴ Model Host Government Agreement Between/Among Government of State [...] and the Project Investors Concerning the [...] Pipeline System; <http://www.energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/Legal/ma2-en.pdf>; გვ. 49.
- ¹⁵ Host Government Agreement Between and Among the Government of Georgia and [THE MEP PARTICIPANTS] http://www.bp.com/content/dam/bp-country/en_az/pdf/legalagreements/BTC_eng_agmt2_agmt2.pdf; გვ. 51.
- ¹⁶ იქვე, გვ. 17.
- ¹⁷ იქვე, გვ. 19-20.
- ¹⁸ უფრო ვრცლად იხ.:
 1. Host Government Agreement Between and Among the Government of Azerbaijan Republic and the State Oil Company of the Azerbaijan Republic, BP Exploration (Caspian Sea) LTD, Statoil BTC Caspian As, Ramco Hazar Energy Limited, Turkiye Petrolleri A.O., Unocal BTC Pipeline, LTD, Itochu Oil Exploration (Azerbaijan) INC., Delta Hess (BTC) Limited. http://www.bp.com/content/dam/bp-country/en_az/pdf/legalagreements/BTC_eng_agmt1_agmt1.pdf
 2. Host Government Agreement Between and Among the Government of the Republic of Turkey and the State Oil Company of the Azerbaijan Republic, BP Exploration (Caspian Sea) LTD, Statoil BTC Caspian As, Ramco Hazar Energy Limited, Turkiye Petrolleri A.O., Unocal BTC Pipeline, LTD, Itochu Oil Exploration (Azerbaijan) INC., Delta Hess (BTC) Limited. http://www.foe.co.uk/sites/default/files/downloads/turkey_btc_agreement.pdf
- ¹⁹ Model Host Government Agreement Between/Among Government of State [...] and the Project Investors Concerning the [...] Pipeline System; <http://www.energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/Legal/ma2-en.pdf>; გვ. 64.

MECHANISMS OF LEGAL REGULATION OF AGREEMENTS ON OIL AND GAS TRANS-BOUNDARY SHIPMENT PROJECT

LEVAN KOKAIA

*Master of Law, Invited Lecturer of the Georgia Institute of
Public Administration (GIPA)*

This article provides an institutional overview of legal regulation of agreements regarding the oil and gas trans-boundary shipment project, and highlights the types of agreements used in this industry: inter-governmental agreement (IGA), and the Host Government Agreement, describing their legal nature.

Relying upon the examples of legal regulation of the Baku-Tbilisi-Ceyhan main export pipeline project, also the model inter-governmental and host government agreements, the author describes specific legal mechanisms of international and national regulation of every type of project agreements (IGA and HGA). Namely, several excerpts are provided from several agreements concluded in this area, which clearly refer to regulation of agreements with various legal mechanisms.

The article highlights the significance and difficulty of legal relations of oil and gas trans-boundary shipment as one project, also the diversity of legal subjects involved in this relations, and complex nature of legal protection for the object, which is potentially related to many risks. Final part of the article provides an opinion that with the purpose of balancing these risks, agreements pertaining to the oil and gas trans-boundary shipment project are subject of regulation by international and national legal remedies.

ინფორმაციული უფლებები საქართველოში და მათი შეზღუდვის საფუძვლები

შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

ნათია გიგაური

*საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის დოქტორანტი*

ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად, ინფორმაციის შენახვის, დამუშავებისა და გადაცემის პროცესმა ახალი სამართლებრივი ურთიერთობების – ინფორმაციული ურთიერთობების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ინფორმაციული პროცესები თავისი შინაარსით, გლობალური ხასიათისა და ადამიანის უფლებების დაცვის სრულიად ახალ მექანიზმებს ითხოვს. დღეს აღარავინ დავობს, რომ პრობლემის დაძლევა საერთაშორისო-მართლებრივი და შიდასამართლებრივი ურთიერთობის თანაბარი განვითარების საფუძველზეა შესაძლებელი. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ინფორმაციული უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის პროცესში „ადამიანის უფლებათა დაცვის ტრადიციული ინსტიტუტები აღარ არიან ტექნიკური პროგრესის ადეკვატურნი.“⁴¹

გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებული ადამიანის ინფორმაციული უფლებების იმ თვალსაზრისით შესწავლა, თუ რამდენად შეესაბამებიან ისინი ინფორმაციული უფლებების რეალიზაციისა და დაცვის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს.

საქართველოს კონსტიტუციაში ინფორმაციული უფლებები სხვადასხვა მუხლებითაა განმტკიცებული: მე-19 მუხლი ყოველ ადამიანს ანიჭებს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის

თავისუფლებას. მე-20 მუხლი პირადი ცხოვრებისა და პირადი საქმიანობის ადგილის ხელშეუხებლობასთან ერთად, პირადი ჩანაწერის, მიმოწერის, საუბრის და სატელეფონო თუ სხვა სახის ტექნიკური საშუალებით შეტყობინების ხელშეუხებლობასაც იცავს. 23-ე მუხლის თანახმად, უზრუნველყოფილია ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება, რაც ადამიანის საკუთარი თავის გამოხატვის უფლებას ანიჭებს. შემოქმედებითი გამოხატვა კი, თავისუფალი გამოხატვის ერთ-ერთი ფორმაა და ამ პროცესში ჩარევა დაუშვებელია.² 24-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. 41-ე მუხლი საქართველოს ყოველ მოქალაქეს ანიჭებს უფლებას კანონით დადგენილი წესით, გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

უფლება ინფორმაციაზე, როგორც ფუნდამენტური უფლება აღიარებულია საერთაშორისოსამართლებრივი აქტებით. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს დამტკიცებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-18 მუხლი ყოველ ადამიანს ანიჭებს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლებას. მე-19 მუხლი მოიცავს ინფორმაციისა და იდეების თავისუფლად მოძიების, მიღებისა და გავრცელების უფლებას ყველა საშუალებით, სახელმწიფო საზღვრებისგან დამოუკიდებლად.³

მოგვიანებით, ეს უფლებები აისახა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში, რომელიც ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს. ამ კონვენციის მე-9 მუხლი აღიარებს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას. ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და აგრეთვე, თავისუფლებას როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესის დაცვითა და რიტუალების აღსრულებით. რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. მე-10 მუხლი ადგენს, რომ ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება რეალიზდება სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან რაიმე ჩარევის გარეშე.⁴

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ყოველი ადამიანი ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც კანონით დგინდება იმ მიზნით, როგორცაა:

- სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის უზრუნველყოფა, როგორცაა პირადი და ოჯახური ცხოვრების, აგრეთვე, საცხოვრისის ხელშეუხებლობა, კორესპონდენციის თავისუფლება, ღირსება და რეპუტაცია;
- მორალური მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- საზოგადოებრივი წესრიგი;
- დემოკრატიული საზოგადოების კეთილდღეობა.

თუ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით შებლუდების საფუძვლად მოქალაქისა და საზოგადოების ინტერესებია მიჩნეული, უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია შებლუდების აღიარებასთან ერთად (მუხლი 10, მე-2 პუნქტი) მათ ჩამონათვალსაც ადგენს:

- ტერიტორიული მთლიანობის, საზოგადოებრივი სიმშვიდის ან სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- დანაშაულისა და არეულობის აღკვეთა;
- მორალისა და ჯანმრთელობის დაცვა;
- სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვა;
- კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გახმაურების თავიდან აცილება;
- მართლმსაჯულების მიუკერძოებლობისა და ავტორიტეტის უზრუნველყოფა.

რაც შეეხება მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტს, იგი შებლუდების შემდეგ საფუძვლებს იცნობს:

- სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემა;
- სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა;
- საზოგადოებრივი წესრიგი.

საქართველოს კონსტიტუციის რიგი მუხლები კი, რომლებიც ადგენენ ინფორმაციულ უფლებებსა და თავისუფლებებს, პირდაპირ არ მიუთითებენ შებლუდვის საფუძვლებსა და პირობებს. მაგალითად, მე-19 მუხლით გარანტირებული სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების შებლუდვა დასაშვებია იმ შემთხვევაში, როდესაც მათი გამოვლინებით ხდება სხვათა უფლებების შელახვა. 24-ე მუხლის მე-4 პუნქტიც შებლუდვის ზოგად საფუძვლებს მიუთითებს, როდესაც წინამდებარე უფლებების განხორციელება შეიძლება კანონით შეიზღუდოს. ესენია: დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, თითოეული ადამიანი სარგებლობს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებით. ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში და საზოგადოების უშიშროების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის, ისევე როგორც სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით.

მე-19 მუხლი ადგენს, რომ თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად, მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია მისი გავრცელების ნებისმიერი ფორმის მიუხედავად.⁵

ადამიანის უფლებათა დაცვის მთლიანი სისტემა არ შეიძლება ფუნქციონირებდეს სათანადოდ ინფორმაციის თავისუფლების გარეშე. ამ გავებით ეს არის ფუნდამენტური უფლება, რომელზეც სხვა უფლებებია დაფუძნებული. შვედეთი იყო პირველი ქვეყანა, სადაც მიიღეს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონი და ამ უფლებას მიენიჭა კონსტიტუციური დაცვის სტატუსი.⁶

ვეტერანი კონსტიტუციებისგან განსხვავებით, თითქმის ყველა კონსტიტუცია, რომელიც შეიქმნა ახალგაზრდა დემოკრატიებში, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, შეიცავენ მუხლებს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ.⁷

განსხვავებული მიდგომა აშშ-ში, სადაც უპირატესობა ენიჭება ინდივიდუალურ თავისუფლებას სხვა უფლებების მიმართ, თუმცა, აშშ უარს აცხადებს იმ უფლებების აღიარებაზე, რომლებიც მთავრობას პოზიტიურ მოვალეობას აკისრებს.⁸

საინტერესოა ამ მოდელის სასამართლო პრაქტიკა. აშშ-ის უზენაესი სასამართლო ინფორმაციაზე უფლებას შეეხო საქმეზე – „Nixon v Warner.“⁹ ეს არის ყველაზე ხშირად ციტირებადი საქმე ინფორმაციულ ურთიერთობასთან დაკავშირებით. საქმე ეხება მაუწყებელთა მოთხოვნას თეთრ სახლში დაცული აუდიო ჩანაწერების მოპოვებაზე, რომლებიც საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა 1970-იან წლებში უოტერგეიტის გახმაურებულ საქმეზე.¹⁰ თავდაპირველი უარის მიუხედავად, სასამართლომ დაადგინა საერთო სამართალში არსებული ინფორმაციის თავისუფლება, რომელიც გულისხმობს საჯარო დაწესებულებებში არსებული ჩანაწერებისა და დოკუმენტების ასლის გადაღებისა და მოპოვების უფლებას. ამგვარად, ამერიკის შეერთებულ შტატებში სახელმწიფო და ფედერალური სასამართლოები აღიარებენ საზოგადოების უფლებას, ჰქონდეთ წვდომა საჯარო დაწესებულებებში არსებული ჩანაწერებისა და დოკუმენტების მიმართ.¹¹

ბრიტანული სამართლის თანახმად კი, მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს ინფორმაციის მოთხოვნის საფუძვლები, რათა სასამართლოს მიერ მოხდეს ინტერესების დაბალანსება. ინგლისური სამართლისგან განსხვავებით, ამერიკულ სამართალში საქმეზე – United States v Mitchell¹² დადგინდა, რომ ბევრმა ამერიკულმა სასამართლომ აღიარა ინფორმაციის თავისუფლება, რომელიც არაა დამოკიდებული სპეციალური საჭიროების (განსაკუთრებული აუცილებლობის) არსებობაზე, რადგან ყველა მოქალაქეს ხელი უნდა მიუწვდებოდეს საჯარო დაწესებულებებში არსებულ ინფორმაციაზე. თუმცა, საქმეზე – Brewer v Watson¹³ აღნიშნულია, რომ მოქალაქემ უნდა აჩვენოს პირდაპირი ინტერესი, რათა გამოიყენოს საერთო სამართლის უფლება და გაცენოს საჯარო ჩანაწერებს.

ტექნოლოგიური პროგრესით გამოწვეული სირთულეების ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იწვევს ელექტრონული მედიის ხელმისაწვდომობის საკითხი თითოეული ადამიანის მიერ.¹⁴

რა სირთულეები უკავშირდება ციფრული ტექნოლოგიის განვითარებას და როგორია მისი მიმართება ადამიანის უფლებებთან? ელიზა ვარნი¹⁵ საუბრობს გამოწვევების შესახებ, რომელთა გადალახვა უწევთ მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს და უკავშირდება ტექნოლოგიის განვითარებას. ამაში იგულისხმება ინტერფეისები, სხვადასხვა დისტანციური მართვის პულტები, ძნელად გასარჩევი ციფრული გამოსახულებები და სხვ. ავტორი მიიჩნევს, რომ სწორად შერჩეული საკანონმდებლო ჩარჩო ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში გადამწყვეტი იქნება პრობლემის გადაჭრაში და საშუალებას მისცემს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, სრულად ისარგებლონ ციფრული რევოლუციის შედეგად დაწინაურებული სიახლეებით.

მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – Autronic AG v Switzerland¹⁶, სადაც დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი ვრცელდება კომუნიკაციის ტექნოლოგიაზე, რადგანაც იგი ეხება არა მხოლოდ ინფორმაციის შინაარსს, არამედ მისი გადაცემის ტექნიკურ საშუალებებს, რადგანაც ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც შეეხება მათ გამოყენებას, იწვევს ჩარევას უფლების რეალიზაციაში.

საქმეზე – *Khurshid Mustafa and Tarzibachi v Sweden*¹⁷ სასამართლომ დაადგინა, რომ ინფორმაციის მიღების უფლება მოიცავს (უკავშირდება) არამხოლოდ საზოგადოებრივ მოვლენებს, არამედ ე. წ. კულტურული გამოხატვის ფორმებს, ისევე როგორც „გასართობ“ ინფორმაციას. რობინ ჰერს¹⁸ ორივე საქმე პრეცედენტულად მიაჩნია.¹⁹ ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებები მიუთითებს, რომ დაუშვებელია ინფორმაციის მიღების უფლების შეზღუდვა და ნებისმიერი აკრძალვა სათანადოდ უნდა იქნას დასაბუთებული.

ამდენად, საერთაშორისო აქტებისგან განსხვავებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლები ამომწურავად არ განსაზღვრავს შეზღუდვის პირდაპირ საფუძვლებს და ამ მხრივ საჭიროებს უნიფიცირებას ევროპულ კონვენციასთან მიმართებაში.


ინფორმაციული თავისუფლების კუთხით, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მე-19, 24-ე და 41-ე მუხლები. მე-19 მუხლით დაცულია აზრის, სიტყვის, რწმენის და სინდისის თავისუფლება. 24-ე მუხლის თანახმად, ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. 41-ე მუხლი კი, განამტკიცებს ადამიანის უფლებას, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე, იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავით განსაზღვრული ინფორმაციის თავისუფლება მოიცავს არა მხოლოდ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, არამედ კოლეგიურ საჯარო დაწესებულებების სხდომათა საჯაროდ და ღიად წარმართვის ვალდებულებასაც.²⁰

საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ ნებისმიერი უფლების რეალიზაციისა და დაცვისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრას. მნიშვნელოვანია უფლების იმგვარად განმარტება, რომელიც დაცული სიკეთით სარგებლობას უფრო ეფექტიანს ხდის.²¹

მე-19 მუხლთან დაკავშირებით ევა გოცირიძე მიიჩნევს, რომ აზრის თავისუფლება დაცულია ვიწრო შინაარსით და ძირითადად, უკავშირდება რელიგიისა და რწმენის საკითხებს, რომ აქ მოცემული აზრის თავისუფლება არ უკავშირდება გამოხატვის თავისუფლებას, რომელიც 24-ე მუხლითაა დაცული.²² კონსტიტუციის 24-ე და 41-ე მუხლების ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაციის თავისუფლების კონსტიტუციური გარანტია საკმაოდ ფართოა და ის სახელმწიფოს აკისრებს არა მარტო ნეგატიურ ვალდებულებას, რომ ხელი არ შეეშალოს პირს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან ინფორმაციის მიღებაში, არამედ მას აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, ხელმისაწვდომი გახადოს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაცია და უზრუნველყოს მისი დაუბრკოლებელი გაცემა, ეს უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.²³

დაბოლოს, ინტერნეტის მზარდი გამოყენებით გამოწვეული შედეგები ცხადყოფენ, რომ საჭირო ხდება ინფორმაციის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის სათანადო უზრუნველყოფა. დაცვის ფარგლები ვრცელდება არა მარტო შინაარსზე, არამედ მისი გამოხატვის სხვადასხვა ფორმებზე. შესაბამისად, დაცული უნდა იყოს არა მხოლოდ აზრის გავრცელების უფლება, არამედ მისი განხორციელების (რეალიზაციის) ფორმებიც, თუმცა, პრესისა და ტელევიზიის გარდა კონსტიტუციის შესაბამის მუხლებში პირდაპირ არ არის მითითებული მისი რეალიზაციის სახეები.

ამგვარად, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ინფორმაციის სხვადასხვა ფორმებით მიღებისა და გავრცელების უფლების დაცვა. აქ საუბარია ინფორმაციის მიღების უფლებაზე, რომლის



რეალიზაცია დამოკიდებულია თანამედროვე, მოწინავე საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით მიღებისა და გავრცელების სახეებზე.

შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: თუ ძირითადი ინფორმაციული უფლებები და თავისუფლებები საერთაშორისო აქტებში და საქართველოს კონსტიტუციაში შინაარსობრივად ერთგვაროვნად არის ჩამოყალიბებული, შესაძლო და პირდაპირი შეზღუდვები ერთმანეთთან თანხვედრაში არაა. აუცილებელია შეზღუდვების უნიფიცირება (პიროვნების ინტერესების, საზოგადოების სტაბილურობის, თავდაცვისა და სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის), აგრეთვე პირდაპირი შეზღუდვის ჩამონათვალი, რომელიც კანონებში შეიძლება აისახოს. საკითხის მასშტაბურობიდან გამომდინარე, აუცილებელია ინფორმაციის ციფრული ფორმით მიღების უფლების დაცვის კონცეფციის შემუშავება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო;
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წლის 25 ივნისი;
3. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, 2004 წლის 24 ივნისი;
4. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წლის 10 დეკემბერი;
5. ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენცია, 1950 წლის 4 ნოემბერი;
6. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1966 წლის 16 დეკემბერი;
7. თეიმურაზ ტულუში, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი მშენიერიძე, გიორგი გოცირიძე, ვახუშტი მენაბდე, „ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა“, თბილისი, 2013 წელი;
8. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 2013;
9. სერგი ჯორბენაძე, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის წინაპირობა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2013;
10. მარიამ ცაცანაშვილი, ინფორმაციული სამართალი, თბილისი, 2004;
11. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი „ინფორმაციის თავისუფლება: კანონმდებლობა და პრაქტიკა“, თბილისი, 2012, <https://idfi.ge/public/migrated/uploadedFiles>
12. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერი #2/2-389 გადაწყვეტილება, პ. II. 4;
13. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები: #2/2180-183 #2/482, 483, 487, 502 , #2/2-389 , #2/2-389;
14. Robin Elizabeth Herr, „Can human rights law support access to communication technology? A case study under Article 10 of the right to receive information.“ Copenhagen Business School, Copenhagen, Denmark. Information & Communications Technology Law, 2013 Vol. 22, No. 1, 1–13, <http://dx.doi.org/10.1080/13600834.2013.774517>
15. Eliza Varney, Disability rights in the communications sector: an examination of digital television regulation in the United Kingdom, Communications Law, 2008, 13 (6), 187-196;
16. Regalia Joe, The Common Law Right to Information, Richmond Journal of Law and the Public Interest, Vol.18, Issue 2 (Winter 2015), pp. 89-132;
17. Peled Roy, Rabin Yoram, The Constitutional Right to Information, 42 Columbia Human Rights Law Review, Vol.42, Issue 2 (Winter 2011), pp. 357-402;
18. Nixon v Warner Commc' ns, Inc. 435 U.S. 589, 597 (1978);
19. United States v Mitchell, 551 F.2d 1252, 1257 (D.C. Cir. 1976), rev'd sub nom Nixon v Warner Commc'ns. Inc 435 U.S. 589 (1978);
20. Brewer v Watson, 71 Ala. 299, 303-305 (1882);
21. Autronic AG v Switzerland 22 May 1990] ECtHR, App. No. 12726/87;
22. Khurshid Mustafa and Tarzibachi v Sweden [16 March 2009] ECtHR, App. No. 23883/06.

შენიშვნები:

- ¹ ცაცანაშვილი მ., ინფორმაციული სამართალი, 2004, გვ. 75.
- ² საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 2013, გვ. 236.
- ³ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წლის 10 დეკემბერი, მე-19 მუხლი.
- ⁴ ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენცია, 1950 წლის 4 ნოემბერი.
- ⁵ საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1966 წლის 16 დეკემბერი, მე-19 მუხლი.
- ⁶ იქვე.
- ⁷ იქვე.
- ⁸ იქვე.
- ⁹ იქვე.
- ¹⁰ აქ საუბარია აშშ-ის პოლიტიკურ სკანდალზე, რომელიც უკავშირდება რიჩარდ ნიქსონის პრეზიდენტობის პერიოდს.
- ¹¹ Regalia Joe, The Common Law Right to Information, Richmond Journal of Law and the Public Interest, Vol.18, Issue 2 (Winter 2015), pp. 89-132.
- ¹² United States v Mitchell, 551 F.2d 1252, 1257 (D.C. Cir. 1976), rev'd sub nom (შემდგომში ცნობილი, როგორც) Nixon v Warner Commc'ns. Inc 435 U.S. 589 (1978).
- ¹³ Brewer v Watson, 71 Ala. 299, 303-305 (1882).
- ¹⁴ Eliza Varney, Disability rights in the communications sector: an examination of digital television regulation in the United Kingdom, Communications Law, 2008, 13 (6), 187-196. [22 May 1990] ECtHR, App. No. 12726/87.
- ¹⁵ [16 March 2009] ECtHR, App. No. 23883/06.
- ¹⁶ Copenhagen Business School, Copenhagen, Denmark
- ¹⁷ Robin Elizabeth Herr (2013) Can human rights law support access to communication technology? A case study under Article 10 of the right to receive information, Information & Communications Technology Law, 22:1, 1-13, Available at: <http://dx.doi.org/10.1080/13600834.2013.774517>
- ¹⁸ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, III თავი.
- ¹⁹ ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, გვ. 160.
- ²⁰ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 2013, გვ. 159.
- ²¹ ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, იხ.: <https://borjalo.files.wordpress.com/2015/01/იენისი/>.

RIGHT TO INFORMATION IN GEORGIA AND GROUNDS FOR THEIR LIMITATION

COMPARATIVE LEGAL ANALYSIS

NATIA GIGAURI

Georgia Davit Aghmashenebeli University

Doctoral Student of the Law School

The article provides the analysis of the need of developing completely new mechanisms for the protection of human rights on the background of advanced information processes. Special emphasis should be laid on the protection of the right to obtain and disseminate information in various forms. It is necessary to develop a concept of the protection of the right to obtain information in a digital form.

The article emphasizes the need to study the individual's rights to information as recognized by the Chapter 2 of the Constitution of Georgia in regards to the internationally recognized principles for enjoyment and protection of these rights. If the contents of basic rights to information are provided consistently in international acts and in the Constitution of Georgia, their possible or direct restrictions are incompatible to each other. Correspondingly, the limitations should be unified and a list of direct limitations should be made.



საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/TEL-FAX: (+995 32) 292 34 90

საქართველოს უზენაესი სასამართლო
THE SUPREME COURT OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/TEL-FAX: (+995 32) 299 70 01



9 771512 259002